ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

11

1984

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

328

გამოცემის ოცდამეექვსე წელი

11

ნოემბერი

1984

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუბლია
თეიმურაზ დოიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

# შინაარსი

3. დავამკვიდროთ ცხოვრებისეული სიმართლე, სოციალიზმის მაღალი იდეალები

## პოეზია და პროზა

13. რევაზ მარგიანი — ლექსები
16. ჯემალ ქარჩხაძე — სოლომონიანი. მოთხრობა
57. ლია სტურუა — ლექსები
61. ენვერ ნიჟარაძე — ლექსები
64. თაფლო თანდაშვილი — ბაცანა. მოთხრობა
72. თამაზ ბაძაღუა — ლექსები
75. ავთანდილ გურგენიძე — ლექსები
77. შაბურა არაბული — ლექსები
78. ომარ დოხნაძე — ლექსები
78. გივი გოგნაძე — ლექსები
79. ნანა გოგიჩაშვილი — ლექსები
80. ავთანდილ ყურაშვილი — ცთომილთა დღესასწაული. რომანი. გაგრძელება
117. ბეთქილ ზამფრიანი — ლექსები

## გახსენება

118. გაბრიელ ჯაბუშანური — ლექსები

## ახალი თარგმანები

121. ზიგფრიდ ლენცი — ამბავი ერთი სიყვარულისა. თარგმნა ხათუნა ფხოველიშვილმა

## ეგნატე ნინოშვილი — 125

124. სიმართლისათვის მებრძოლი

## დიალოგი

127. პირველად იყო საქმე

## წერილები

145. ინა ბორისოვა — ოტია იოსელიანის ვარსკვლავები და დოლაბები
159. გივი ზედელაშვილი — ოსეთის უკვდავი შვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დავამკვიდროთ ცხოვრებისეული სიმართლე, სოციალიზმის მაღალი იდეალები

**ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმზე 1984 წლის 25 სექტემბერს**

**ძვირფასო** ამხანაგებო!

თქვენი პლენუმი ეძღვნება საბჭოთა კულტურის ისტორიის ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას — საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის ორმოცდაათ წლისთავს. დღეს სიამაყით გავცქერით გზას, რომელიც გამოიარა დიდი ოქტომბრით შობილმა საბჭოთა ლიტერატურამ. ლიტერატურამ, რომელშიც მკაფიო გამოხატულება ჰპოვა XX საუკუნის რევოლუციურმა გარდაქმნებმა. **(ტაში).**

ეს არის ლიტერატურა, რომელიც ხალხის ცხოვრებით, პარტიის, ქვეყნის ცხოვრებით სულდგმულობს. მის ფურცლებზე მთელი სიმაღლით წარმოგვიდგება ლენინისა და მისი თანამოსანგრეების, სამოქალაქო ომისა და პირველი ხუთწლედების გმირების, დიდი სამამულო ომის უკვდავი მეომრების დიადი ფიგურები. ეს არის ლიტერატურა, რომლის ყურადღების ცენტრშია გამრჯე კაცი, მშრომელი კაცი, მაძიებელი, დაუდგრომელი, საქმიანი, სოციალიზმის აქტიური მშენებელი. ეს არის ლიტერატურა, რომელსაც შეუძლია გაუგოს თანამედროვეს, წარმოსახოს იგი, წარმოაჩინოს მისი შინაგანი სამყაროსა და ზნეობრივი ძიების მთელი სირთულე, მისი ჭირი და ლხინი, მისი მისწრაფება სიმართლისა და სამართლიანობისადმი.

საქმეს, რომელიც ასე შესანიშნავად დაიწყეს გორკიმ და მაიაკოვსკიმ, ფადეევმა და შოლოხოვმა, დღეს განაგრძობენ მწერლები და პოეტები, აქტიურად და ნაყოფიერად რომ იღვწიან ჩვენს მრავალეროვნულ ლიტერატურაში. (**ტაში**). ბუნებრივია, აქ არ მოვყვები სახელებისა თუ კონკრეტული ნაწარმოებების ჩამოთვლას. ვიტყვი მხოლოდ ერთს: ის ახალი, ნიჭიერი და ღრმა ქმნილებები, რომლებიც ლიტერატურაში გაჩნდა ამ ბოლო წლებში და აღელვებს საბჭოთა მკითხველს, რომლებზეც ფიქრობს და კამათობს, — უტყუარი დასტურია იმისა, რომ ჩვენს თვალწინ საბჭოთა და, საერთოდ, მსოფლიო კლასიკაში ადგილს იმკვიდრებენ ნაწარმოებები, რომლებიც გასცდება დროის სამანს და ალალმართლად უამბობს ჩვენი დროების შესახებ შთამომავალთ.

არა მგონია შევცდე, თუ ვიტყვი, რომ საერთოდ ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებათა უზუსტეს კრიტერიუმს წარმოადგენს იმ ზემოქმედების რეალური სიძლიერე, რომელსაც ისინი ხალხის იდეურ-ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაზე ახდენენ. ამ თვალსაზრისით საბჭოთა ლიტერატურა, მართლაც, რომ უბადლოა. იგი განასახიერებს ახალი, სოციალისტური ცივილიზაციის სუ-



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ლიერ სიმდიდრეს. აი, რატომ არის, რომ პარტია, ხალხი ესოდენ დიდი პატი-ვისცემით ეკიდებიან მწერალთა, ყველა ხელოვნების ოსტატთა კეთილშობი-ლურ შრომას. **(ტაში)**.

ამხანაგებო, მწერალთა პირველი ყრილობის წლისთავი განგვაწყობს გუ-ლახდილი, საფუძვლიანი სჯა-ბაასისათვის არა მარტო ლიტერატურის საქმეთა მდგომარეობის შესახებ, არამედ აგრეთვე საერთოდ მხატვრული შემოქმედების პრობლემების, ჩვენს ცხოვრებაში ხელოვნების ადგილის შესახებ. ასეთი სჯა-ბაასის მოთხოვნილება თქვენ, საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეებს, უდავოდ გექ-ნებათ. მჯერა, ეს სწადია თქვენს ათმილიონობით მკითხველს, მაყურებელს, მსმენელსაც — ერთი სიტყვით, მთელ ჩვენს საზოგადოებას. არ დაგიმალავთ: ამ საუბარში მეც მინდა მივიღო მონაწილეობა. და, ბუნებრივია, როდესაც მხატვ-რული შემოქმედების პრობლემებს შევეხები, სულაც არ ვაპირებ მოგცეთ რეც-ეპტები, თუ როგორ გადაწყვიტოთ ისინი. მინდა, უწინარეს ყოვლისა, აზრი გამოვთქვა ამ პრობლემათა პოლიტიკურ ასპექტებზე, გაგიზიაროთ ჩემი საფიქ-რალი, გაგაცნოთ პარტიის პოლიტიკის სადღეისო ძირეული ამოცანები, გიამ-ბოთ, როგორ გვესმის ისინი, როგორ ვმოქმედებთ.

მხატვრული შემოქმედების პრობლემები უპოლიტიკოდ არ არსებობს. ჩვენთვის ეს ცხადზე უცხადესი ჭეშმარიტებაა. მაგრამ მოგეხსენებათ, რაოდენ დიდი გაჭირვებით იკვლავდა იგი გზას. არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ წვლილი, რომელიც მის პრინციპულ დამკვიდრებაში შეიტანა მწერალთა პირ-ველმა ყრილობამ.

ამ ყრილობაზე მიმდინარეობდა სჯა-ბაასი სოციალისტურ საზოგადოებაში ლიტერატურის მოწოდების შესახებ, ახალი ადამიანის აღზრდაში მისი როლის, ლიტერატორის მოქალაქეობრივი მოვალეობის შესახებ. ფართოდ, ლენინუ-რად მიუდგა ამ საკითხებს ალექსი მაქსიმეს ძე გორკი. თქვენ, რა თქმა უნდა, გახსოვთ მისი მთავარი აზრი: მწერალმა უნდა შეძლოს იმ დიადი უფლების აქტიური გამოყენება, რომელიც მას სოციალიზმმა მიანიჭა. უფლებისა — უშ-უალოდ მონაწილეობდეს ახალი ცხოვრების მშენებლობაში, იყოს ყოველივე ყალბისა და დრომოჭმულის მკაცრი მსაჯული, ამკვიდრებდეს თავისი ხელოვნებით ნამდვილ ჰუმანიზმს, სოციალიზმის წმინდა იდეალებს. ასეთია, არსებითად, სოციალისტური რეალიზმის, ჩვენი ლიტერატურის, ხელოვნების, ძირითადი მხატვრული მეთოდის პოლიტიკური არსი.

პირველი ყრილობა ახალი, სოციალისტური მიმართულების ლიტერატუ-რის ჩამოყალიბების გზაზე გარდატეხის ნიშანსვეტი გახდა. და იგი, როგორც იტყვიან, სუფთა ფურცელზე კი არ დაიწყო, არამედ იბარტყა მოწინავე რუს-ული ლიტერატურის, რუსეთის ყველა ხალხის დემოკრატიული კულტურის მსოფლიო კლასიკური მემკვიდრეობის ბალავარზე.

შეაჯამა რა ყრილობის შედეგები, გორკიმ მას ბოლშევიზმის გამარჯვება უწოდა. და იგი უდავოდ სწორი იყო. კომუნისტური პარტიულობისა და ორ-განიზებისაციის შეტანა ლიტერატურის სფეროში დაეხმარა მას გამხდარიყო, როგ-ორც ლენინმა განჭვრიტა, ნამდვილად თავისუფალი, მშრომელ ადამიანთან ყო-ველმხრივ დაკავშირებული. დიდი ხნის ძიების შედეგად მიგნებული და ყრი-ლობაზე დამკვიდრებული ლიტერატორთა გაერთიანების ორგანიზაციული ფორმით შეიარაღდნენ სხვა ხელოვნების ოსტატებიც. და მან ღირსეულად გა-უძლო დროის გამოცდას.

მაგრამ პირველი ყრილობის მნიშვნელობა გასცდა მხატვრული ცხოვრე-ბის ფარგლებს. იგი საბჭოთა ინტელიგენციის ჩამოყალიბების ისტორიის მიჯ-ნადაც იქცა. გაიხსენეთ: ყრილობის დელეგატთა ორ მესამედს წარმოშობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშები და გლეხები შეადგენდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეადგენდნენ პირველი თაობის ინტელიგენტები. ეს ფაქტი ყოველგვარ სიტყვებზე უკეთ მოწმობდა, რომ იშვა ახალი ინტელიგენცია, რომელმაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ჩვენს საზოგადოებაში.

ლიტერატორთა ყრილობამ განამტკიცა ოქტომბრის შემდეგ ჩამოყალიბებული შრომისა და კულტურის კავშირი, უამკავშიროდ, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის კავშირის მიუღწევლად, რომლის შემადუღაბებელი ძალა იყო და არის მუშათა კლასი, სოციალიზმის წარმატებული მშენებლობა უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა. ეს სწორი იყო ნახევარი საუკუნის წინათ, ეს მით უფრო სწორია დღეს, როდესაც ინტელიგენცია განათლებულ ადამიანთა ვიწრო თხელი შრე არ არის, არამედ მშრომელი ხალხის მძლავრი ფენაა. როდესაც განუხრელად იზრდება მისი წვლილი ჩვენს საერთო საქმეში — სსრ კავშირში აშენებული სოციალიზმის სრულყოფაში.

გასაგებია, ეს რთული საქმეა. იგი ვერ ჰგუობს ამჩატებულ, გამარტივებულ მიდგომას. აქ პირდაპირ ენის წვერზე გადგება ანდაზა: ჭკვა ცოდნით მოიხმარებისო. დიახ, სწორედ რომ ასეა, დღეს ჩვენ მანქანებისგანაც კი მოვითხოვთ ჭკვიანურ მუშაობას. და თუმცა ეს მხოლოდ მეტაფორაა, იგი სწორად წარმოაჩენს თანამედროვე საწარმოო პროცესის დამახასიათებელ თავისებურებას, მის მზარდ ინტელექტუალურ დონეს. აკი ამიტომაც არის, რომ სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებას, წარმოების ინტენსიფიკაციას ჩვენ უაღრესად მჭიდროდ ვუკავშირებთ მეცნიერების აღმოჩენათა, ინჟინერული აზროვნების მიღწევათა დაჩქარებულ ათვისებას და, რაღა თქმა უნდა, თვით ეკონომიკური აზროვნების გარდაქმნას.

საერთოდ, ამხანაგებო, პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო მუშაობის რა დარგიც უნდა ავიღოთ, ჩვენ ვერსად ვერ შევძლებთ წარმატებულ წინსვლას, თუ არ დავეყრდნობით ყველა მშრომელის ღრმა ცოდნას, მაღალ შეგნებასა და კულტურას, თუ არ დავეყრდნობით იმ უდიდეს სულიერ, შემოქმედებით პოტენციალს, საბჭოთა ადამიანების თაობებმა რომ შეიძინეს. პარტიის XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი პლენუმების გადაწყვეტილებანი, არსებითად რომ ითქვას, სწორედ ამ პოტენციალის სრულ მობილიზაციას გვისახავენ მიზნად. ეს, დარწმუნებული ვარ, მძლავრ აჩქარებას მიანიჭებს მთელ ჩვენს განვითარებას.

აქ, ამ დარბაზში შეკრებილან იმ პროფესიათა წარმომადგენლები, რომლებსაც ტრადიციისამებრ ვუწოდებთ შემოქმედ ინტელიგენციას. მაგრამ ვფიქრობ, თქვენც დამეთანხმებით, თუ ასე ვიტყვი: შრომის შემოქმედებითი ხასიათი, დაკისრებული საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა დღეს განმასხვავებელ ნიშნად უნდა ახასიათებდეს ყოველ ინტელიგენტს — მეცნიერსა თუ ინჟინერს, მასწავლებელს თუ ექიმს; — ისევე როგორც ცხადია, თითოეულ მუშას, თითოეულ კოლმეურნეს, ყველას, ვინც ალალმართლად და კეთილსინდისიერად შრომობს ჩვენი დიადი სამშობლოს ასაყვავებლად. ასეთი ადამიანები კი ჩვენ მილიონობით გვყავს.

თქვენ, ალბათ, უკვე მიმიხვდით, ამხანაგებო, რაზე მინდა ჩამოგიგდოთ სიტყვა: თვით იმ ამოცანების ხასიათი, რომლებიც ჩვენი საზოგადოების წინაშე დგას, ჭეშმარიტად უკიდეგანო ასპარეზს გვაძლევს საბჭოთა ინტელიგენციის ყველა რაზმის შემოქმედებითი ძალებისა და ენერგიის მოსახმარად. მათი მოღვაწეობის ფორმები და მიმართულებანი უაღრესად მრავალფეროვანია. მაგრამ არის რაღაც საერთო, რაც მათ აერთიანებს. მე ვგულისხმობ იმ უზარმაზარ გავლენას, რომელსაც ინტელიგენცია ახდენს საზოგადოებრივ შეგნება-

ზე, საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე. ამის გათვალისწინება პარტიის პოლიტიკაში, მის იდეოლოგიურ და ორგანიზატორულ მუშაობაში, როგორც ლენინი გვასწავლიდა, ყოველთვის გვმართებს. მაგრამ განსაკუთრებით გვმართებს ისეთ პერიოდებში, როდესაც საზოგადოების წინაშე დგება თვისებრივად ახალი ამოცანები, რომელთა გადასაწყვეტად, ბუნებრივია, საჭიროა საზოგადოებრივი შეგნების ახალი დონე.

სწორედ ასე დგას საქმე ჩვენს დღეებშიც. პარტიის თეორიულმა აზროვნებამ ჩვენ განვითარებული სოციალიზმის კონცეფციით შეგვაიარაღა. ამ კონცეფციის ძალა ის არის, რომ იგი შესაძლებლობას გვაძლევს, ზუსტად განვსაზღვროთ ახალი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მოწიფულობის მიღწეული დონე, უფრო ზუსტად წარმოვიდგინოთ ჩვენი უახლესი და პერსპექტიული მიზნები. იქნებ, ერთი შეხედვით, ეს რამდენადმე აბსტრაქტულადაც ჟღერდეს. მაგრამ, თუ ჩავუფიქრდებით, თუ ყურადღებით ჩავუკვირდებით პარტიულ დოკუმენტებს, არ შეიძლება არ შევნიშნოთ: საქმე ეხება ძალზე კონკრეტულ, ცხოვრებისეულ საგნებს. საქმე ეხება იმას, რომ საჭიროა ყოველმხრივ ავწონ-დავწონოთ, რეალისტურად შევაფასოთ ჩვენი ახლანდელი პერიოდის თავისებურებანი, არ დავუშვათ ჩვენი დიადი, უცილობელი მიღწევების არც დაკნინება, არც სინამდვილის შელამაზება და არც ნაკლოვანებათა დრამატიზაცია. საქმე ეხება წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტის ახალი, ამ თავისებურებების შესაფერისი გზების შემოქმედებითი ძიების მნიშვნელობას.

მასების მიერ სკკპ პოლიტიკის მხარდაჭერა მისი ეფექტიანი განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ასეთ მხარდაჭერას კი უზრუნველყოფს გულახდილი საუბარი ადამიანებთან. პატიოსნება და გულწრფელობა პოლიტიკაში პარტიისათვის გარდაუვალი კანონია. როგორც ვ. ი. ლენინი წერდა: „გულწრფელობა პოლიტიკაში, ესე იგი ადამიანთა ურთიერთობის იმ სფეროში, რომელსაც საქმე აქვს არა ერთეულებთან, არამედ **მილიონებთან,** — გულწრფელობა პოლიტიკაში ეს არის შემოწმებისათვის სავსებით მისაწვდომი **შესაბამისობა სიტყვასა და საქმეს შორის**".

სინამდვილის რეალისტური აღქმის მოთხოვნა სულაც არ ნიშნავს, თითქოს მიმდინარე საქმეების ნაჭუჭში უნდა ვიკეტებოდეთ. პარტია წინ იყურება, უპირველეს ყურადღებას უთმობს პრობლემებს, რომელთა გადაჭრაზეც დამოკიდებულია ქვეყნის, ხალხის მომავალი და მნიშვნელოვანწილად საქმეთა მდგომარეობაც მსოფლიო ასპარეზზე.

ახლოვდება სკკპ XXVII ყრილობა. ყოველი ყრილობა უდიდეს როლს ასრულებს პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. მაგრამ უკვე ახლა ერთი რამ უეჭველია: მორიგი ყრილობის მნიშვნელობას განსაზღვრავს ის, რომ იგი მიიღებს სკკპ პროგრამის ახალ რედაქციას, რომლის საფუძველზეც ათწლეულების განმავლობაში უნდა ვიმუშაოთ.

როგორც არაერთგზის მითქვამს ცენტრალური კომიტეტის საპროგრამო კომისიის სხდომებზე ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ შექმნილი რეალიებით, გავითვალისწინოთ ყოველივე არსებითად ახალი, რაც კი რამ გაჩენილა საზოგადოებრივ პრაქტიკასა და თეორიაში უკანასკნელი თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე, ყურად ვიღოთ მასების შეძენილი გამოცდილება. ამ გამოცდილებამ კი გვიჩვენა, რომ სანამ უშუალოდ კომუნიზმის მშენებლობასთან დაკავშირებულ ამოცანებს გადავწყვეტდეთ, უნდა გავიაროთ განვითარებული სოციალიზმის ისტორიულად ხანგრძლივი ეტაპი, რომლის დასაწყისშიც არის ახლა ჩვენი ქვეყანა.

როგორც მშრომელთა წერილების, საზოგადოებრიობის გამოხმაურებას

ანალიზი გვიჩვენებს, საკითხის ასეთი დაყენება უცილობელ მხარდაჭერას პოულობს. ამასთანავე, როდესაც ხალხს ესაუბრები, ფოსტას ათვალიერებ, ზოგჯერ გებადება კითხვა: უკან ხომ არა ვწევთ ამით კომუნისტურ პერსპექტივას? ამ კითხვის პასუხი ცხადი და მარტივია: რა თქმა უნდა, არა. პირიქით, ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა მოვაახლოოთ ეს პერსპექტივა. მისი მოახლოება კი შეგვიძლია მხოლოდ ერთი გზით — უნდა გადავჭრათ მთელი კომპლექსი დიდი და რთული პრობლემებისა, რომლებიც კომუნისტური ფორმაციის პირველი ფაზის ამა თუ იმ საფეხურს განეკუთვნება. ამას სრულად შეესაბამება ლენინური წარმოდგენა იმის შესახებ, რომ „კომუნიზმი არის განვითარებული სოციალიზმის უმაღლესი საფეხური“. და მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, ამხანაგებო: განვითარებული სოციალიზმის ეტაპის ხანგრძლივობა არამც და არამც არ ნიშნავს, თითქოს შეგვიძლია თავი არ შევიწუხოთ ტემპის მუდმივი გაძლიერებით გადავდოთ რაღაც მომწიფებული საქმეები სახვალიოდ. ჩვენი განვითარების მაქსიმალურ დაჩქარებას ვახმართ დღეს ხალხის მთელ შემოქმედებითს ძალებს, მის შრომითს ინიციატივას.

ასე რომ, „განვითარებული სოციალიზმის“ ფორმულა ვერ გამოგვადგება მხოლოდ როგორც სიგელი, რომელიც გვიდასტურებს, ასე ვთქვათ, წარსულ წარმატებებს და ავტომატურად გვაძლევს მომავალ წარმატებათა გარანტიას. იგი მიზნად გვისახავს სულ სხვას, იმას, რომ შევუსაბამოთ საბჭოთა ცხოვრების ყველა მხარე ყველაზე მაღალ, ყველაზე მომთხოვნ და, რა თქმა უნდა მეცნიერულად დასაბუთებულ წარმოდგენებს სოციალიზმის შესახებ.

ცხადია, ეს ენერგიულ სამეურნეო და ორგანიზატორულ ძალისხმევას მოითხოვს. ამასთანავე შეუპოვარი მუშაობა გვმართებს მასების შეგნების ასამაღლებლად, საზოგადოებრივი შეგნების გარკვეული, თუ გნებავთ, ხელახალი ორიენტაციის განსახორციელებლად, რათა იგი უფრო სწრაფად ითვისებდეს ახალ იდეებს, რომლებსაც პარტია აყენებს, გადაჭრით იღებდეს ხელს მოძველებულ, ჩამორჩენილ შეხედულებებზე. და ამ დიდმნიშვნელოვან იდეურ-პოლიტიკურ მუშაობაში ჩვენი ინტელიგენციის აქტიური დახმარების იმედი გვაქვს.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ ამოცანას უდიდესი შთამაგონებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისათვის. თავიანთი საშუალებებით ისინი უნდა ამკვიდრებდნენ ცხოვრებისადმი, მისი პრობლემებისადმი სწორედ ისეთ მიდგომას, რომლისთვისაც იღვწის, იბრძვის პარტია. სხვათა შორის, საჭირო რომ გახდეს ასეთი მიდგომის არსის მოკლედ განსაზღვრა, შეიძლება, ალბათ, ვისარგებლოთ თქვენთვის კარგად ცნობილი სიტყვებით — სოციალისტური რეალიზმი.

ახლა ლიტერატურა, კინო, თეატრი ხშირად მიმართავენ რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე მოვლენებს. აქ არაფერია გასაკვირი. წინააღმდეგობანი ბუნებრივი და გარდაუვალია სოციალისტური საზოგადოების განვითარების პროცესში. და, რაღა თქმა უნდა, ისინი ყოველთვის ასე თუ ისე გავლენას ახდენენ ადამიანების ბედზე, ზნეობრივი კოლიზიების წყაროდ გვევლინებიან, მით უმეტეს, რომ ამ წინააღმდეგობათა დაძლევა, თუმცა ისინი ჩვენში ანტაგონისტური ხასიათისა არ არის, მნიშვნელოვან მეცადინეობას, დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობას და პრინციპულობას მოითხოვს. ეს უხვად ასაზრდოებს მწერლის ფიქრებს, რათა შეასრულოს ლიტერატურის მარადიული მისია: საზოგადოებას, თითოეულ ადამიანს გაუღვიძოს სურვილი მეტი ყურადღებით, უფრო მკაცრად შეხედოს საკუთარ თავს. იგი ყველგან და ყველაფერში უნდა ეხმარებოდეს მას, დაადგეს ჩვენი საერთო საქმისათვის მედგარი მებრძოლის აქტიურ პოზიციას.

ეხმარებიან რა პარტიას კომუნისტური სულისკვეთებით ადამიანების აღზრდაში, ნამდვილი საბჭოთა ხასიათის ჩამოყალიბებაში, ჩვენმა ლიტერატურამ, ხელოვნებამ ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ წარმოეჩინათ ასეთი ხასიათის ბუნება, შეექმნათ ხალხის, სოციალიზმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანების მართალი, სისხლსავსე სახეები, რომლებიც გამოხატავენ ახალი სამყაროს მშენებლობის ჰეროიკას. ჩვენ ყველას გვესმის: ამის გაკეთება, ცხოვრებიდან მხატვრულ ნაწარმოებებში ასეთი ადამიანების გადაყვანა ადვილი როდია. ალბათ ამიტომ ბუნებრივი და საჭიროა შემოქმედთა წრეში კამათი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს დადებითი გმირი. მე რა თქმა უნდა, ამაში ჩარევას არ ვაპირებ. მინდოდა მხოლოდ ერთი მოსაზრება გამომეთქვა. ვფიქრობ, ნაკლებად ნაყოფიერია დისკუსიები იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს, მაგალითად, გმირის დადებითი და უარყოფითი თვისებების „დოზირება". ამხანაგებო, ხელოვანის შემოქმედებითს ძიებას უნდა ჰქონდეს, თუ შეიძლება ითქვას, ერთი ამოსავალი წერტილი — ცხოვრების სიმართლის, სოციალისტური იდეალების ერთგულება. ეს ხელოვნების პარტიულობის, ხალხურობის აუცილებელი პირობაა.

რა თქმა უნდა, მკითხველს, მაყურებელს, განსაკუთრებით ახალგაზრდას, სურს უფრო ხშირად ხვდებოდეს წიგნში თუ ეკრანზე ისეთ თავის თანამედროვეს, რომელსაც იწამებს, რომელსაც შეიყვარებს, მისაბაძად დაიგულებს. ვიმეორებ იმას, რაც ვთქვი ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე, რადგან დარწმუნებული ვარ: ლიტერატურას და ხელოვნებას ვერაფერი ვერ შეედრება საზოგადოებრივი ზნეობისა და გრძნობების დახვეწის მხრივ, ზემოქმედების ძალის მხრივ. აი, კიდევ რა მინდა გითხრათ ამასთან დაკავშირებით. მხატვრულ კულტურასთან ადამიანის ზიარება, ესთეტიკური აღზრდა მკვიდრ შედეგებს მაშინ იძლევა, როცა იგი პატარაობიდანვე იწყება. ჩვენი სკოლის უდავო დამსახურებაა, რომ პრაქტიკულად არა გვყავს კლასიკოსის მიერ გამასხარავებული „მიტროფანუშკები", მაგრამ, აი, ემოციურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უმწიფარებს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით. როგორც ჩანს, საჭიროა სკოლის რეფორმა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ ადამიანის ჩამოყალიბებაზე ლიტერატურისა და ხელოვნების გავლენა. დარწმუნებული ვარ, რომ დღეს მოზარდ თაობათა იდეურ-ზნეობრივ განვითარებას, გრძნობათა კულტურის აღზრდას ნაკლები ყურადღება როდი უნდა ეთმობოდეს, ვიდრე მეცნიერების საფუძვლების სწავლებას. პარტიას ამ საქმეში შემოქმედებითი კავშირების, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის კონკრეტული დახმარების იმედი აქვს.

მოქალაქეობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის ჩანერგვის დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო და კვლავაც იქნება ისტორიის მეშვეობით აღზრდა. და კარგია, რომ ლიტერატურაში, ხელოვნებაში თავისებურ აღორძინებას განიცდის ისტორიული თემა. წარსულზე სერიოზულად, აწონ-დაწონილად, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის პოზიციებიდან ლაპარაკის უნარი — აი, რას მოაქვს, როგორც პრაქტიკა მოწმობს, წარმატება ამ საქმეში. ისტორიას ვერ გადაწერ, ვერ შეალამაზებ. განსაკუთრებით დაკვირვებულ, ნამდვილ კლასობრივ მიდგომას მოითხოვს სოციალიზმისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის ისტორიის მხატვრული ასახვა. და რომ სიმართლეს არ მოსწყდეს, ხელოვანი ვალდებულია მტკიცედ ეყრდნობოდეს ფაქტებს, ემოციებითა და თვითნებური წარმოსახვით არ ცვლიდეს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებისა და რეალური მიმდინარეობის ცოდნას.

და კიდევ ერთი რამ. სასიხარულოა, რომ ახლა საბჭოთა შემოქმედნი უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ხშირად მიმართავენ პუბლიცისტიკას. ეს მათ შესაძლებლობას აძლევს გაბედულად და დროულად იჭრებოდნენ ყველაზე საჭირბოროტო პრობლემატიკაში, იმ კონკრეტულ ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში, რომლებიც აღელვებთ ადამიანებს, ეს ხელს უწყობს ისეთ ნაწარმოებთა შექმნას, რომლებიც ხელოვნების საშუალებებით ზოგჯერ თითქოს უსწრებენ დროს, აწვავედ აყენებენ რა საჭირბოროტო ცხოვრებისეულ პრობლემებს და სახავენ მათი გადაჭრის კონკრეტულ გზებს.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, რა თემასაც უნდა მოჰკიდოს ხელი შემოქმედმა — თანამედროვესა თუ ისტორიულს, საშინაოს თუ საერთაშორისოს, რა ჟანრშიც უნდა მუშაობდეს, მისი შრომის ღირებულებას განსაზღვრავს უწინარეს ყოვლისა ის აქტიური იდეურ-პოლიტიკური, მსოფლმხედველობითი პოზიცია, რომელიც მას უკავია და რომელსაც ამკვიდრებს.

ამხანაგებო! ჩვენი წინსვლის ტემპზე უმნიშვნელო გავლენას როდი ახდენს საგარეო-პოლიტიკური ვითარება, ახლა კი იგი მეტად შემაშფოთებელი ხდება. უკანასკნელ ხანს არაერთხელ მომიხდა ამაზე ლაპარაკი. ასე, რომ, ნება მიბოძეთ, გაგიზიაროთ მხოლოდ რამდენიმე მოსაზრება.

ახლანდელი საერთაშორისო სიტუაციის მკაცრი სინამდვილე ისეთია, რომ, სამწუხაროდ, დიდია ბირთვული საფრთხე. მას ვერ დაემალები, ვერ გაამასხარავებ. ბირთვულ საფრთხეს აქტიურად და გამიზნულად უნდა ვებრძოლოთ. ჩვენ ასეც ვიქცევით.

უწინარეს ყოვლისა ამით განისაზღვრება შეერთებულ შტატებთან ურთიერთობისადმი ჩვენი მიდგომაც. ამ ურთიერთობის მდგომარეობაზე ხომ მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საქმის ვითარება საერთაშორისო ასპარეზზე. მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც ჩანს, ან არ სურთ ან ჯერ არ არიან მზად გაიგონ, რომ არ არის სხვა გონივრული გზა, ვიდრე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მოწესრიგება თანასწორობის, ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებზე.

იქონიო ჩვენს დღეებში მძლავრი ბირთვული პოტენციალი, უდიდესი ტვირთია. იმაზე არც კი ვლაპარაკობ, რა ძვირი ჯდება ეს. ვლაპარაკობ უდიდესი პასუხისმგებლობის ტვირთზე, რომელსაც ეს აკისრებს პოლიტიკურ მოღვაწეებს, მოითხოვს რა მათგან ომისა და მშვიდობის საკითხებისადმი, კონფლიქტური სიტუაციებისადმი უაღრესად სერიოზულ დამოკიდებულებას, სწორედ ამით ვხელმძღვანელობთ. ჩვენი მიზნები ცხადი და უცვლელია: კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ სამხედრო დარგში კონფრონტაციისა. ურყევად ვემხრობით გამალებული შეიარაღების რადიკალურ შეზღუდვასა და შემცირებას, ბირთვული იარაღის აკრძალვასა და სრულ ლიკვიდაციას.

ამავე მიზნებისათვის მოქმედებს დღეს საზღვარგარეთ სხვადასხვა შეხედულებისა და მრწამსის მილიონობით ადამიანი. მათი ერთობლივი მოქმედება შესამჩნევ გავლენას ახდენს ომის საწინააღმდეგო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია, ამხანაგებო, და აქ ბევრის გაკეთება შეუძლიათ ინტელიგენციას, კულტურის მოღვაწეებს. სწორედ ამიტომ დღეს ასე არნახულად შემაშფოთებლად და მომთხოვნელად გაისმის გორკის ცნობილი კითხვა-მოწოდება: „ვის მხარეზე ხართ, კულტურის ოსტატებო?“ და მთავარი, რა თქმა უნდა, მარტო ის კი არ არის, რომ უბრალოდ არჩევანი მოახდინო სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, როგორც ხშირად წარმოადგენენ ამას ანტიკომუნისტები. მთავარია არჩევანი მოახდინო ჩვენი ცივილიზაციის ყოფნა-არყოფნას შორის. აქ შეუძლებელია არც იქით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, არც აქეთ: ან იმათ მხარეზე ხარ, ვინც ომს ამზადებს, ან იმათ მხარეზე, ვინც უარყოფს იმპერიალიზმის ავანტიურისტულ პოლიტიკას, იბრძვის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, განიარაღებისათვის.

და ამიტომ ესოდენ საჭიროა, რომ ჩვენი შემოქმედი ინტელიგენცია ეხმარებოდეს თავის საზღვარგარეთელ კოლეგებს ასეთ არჩევანში. ამისა, სხვათა შორის, დასავლეთის მმართველ წრეებს ძალიან ეშინიათ. ისინი ცდილობენ თავიანთი ქვეყნის ინტელიგენციის თვალში სახელი გაუტეხონ სოციალიზმის იდეებსა და პრაქტიკას, წაჰკიდონ იგი სოციალისტურ სახელმწიფოთა შემოქმედ ინტელიგენციას. მშვიდობის მტრებს აშინებთ კულტურის ოსტატთა შეკავშირება, რომელთა ხმას ყურად იღებს მილიონობით ადამიანი.

ისე კი, დასავლეთში უყვართ მსჯელობა იდეებისა და შეხედულებების შეპირისპირების, ადამიანთა შორის კონტაქტების განვითარების სარგებლობის შესახებ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამის მომხრენი ვართ. მაგრამ რას ვაწყდებით პრაქტიკულად? ჩვენს საშინაო საქმეებში უბოდიშო ჩარევის ცდებს; ნამდვილ ფსიქოლოგიურ ომს. და მისი ერთ-ერთი მიზანია ოდნავ მაინც შეარყიოს პარტიასთან ჩვენი კულტურის მოღვაწეთა ერთიანობა.

ფანდებს, როგორც მოგეხსენებათ, პირდაპირ უნდა ვთქვათ, ინტელიგენტურს როდი მიმართავენ? ეს არის სიცრუე, ფაქტების გაყალბება, ცნებების აღრევა. ამბობენ, მაგალითად, სოციალიზმი „ვერ ურიგდებაო“ შემოქმედების თავისუფლებას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გზას უხშობსო მხატვრულ ძიებებს, „ერთფეროვნებას“ მოითხოვსო ლიტერატურასა და ხელოვნებაში. აქ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული. და, რა თქმა უნდა, ეს უვიცობით როდი მოსდით. ასე რომ, ჩვენი იდეური მოწინააღმდეგეების გადარწმუნება, რა თქმა უნდა, უიმედო საქმეა. მაგრამ დაუცხრომლად უნდა ვიცავდეთ და განვმარტავდეთ ჩვენს შეხედულებებს, მაშინვე ვამხილებდეთ ახალი წყობილების ბინძურ „კრიტიკოსებს“, აქტიურად ვაცნობდეთ ადამიანებს სიმართლეს სოციალიზმის შესახებ, ვზრდიდეთ საბჭოთა ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, კლასობრივი სიფხიზლის, ჩვენი დიადი სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით.

აი, რა მინდა კიდევ ვთქვა. იმედი გვაქვს, რომ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადების პერიოდში შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობა გამონახავს შესაძლებლობას, რომ ხელოვნების ოსტატთა ყურადღება კიდევ უფრო ღრმად მიაპყროს სამხედრო-პატრიოტულ თემას. დღეს ვერ ვიტყვით, თითქოს ცოტა იყოს ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები, რომლებსაც ოდითგანვე ღირსეული ადგილი ეკავათ ჩვენი კულტურის მოღვაწეთა შემოქმედებაში. მაგრამ გვინდა, რომ ასეთი ნაწარმოებების სულ უფრო ხშირი გამოჩენა ნამდვილი მოვლენა ხდებოდეს ქვეყნის მხატვრულ ცხოვრებაში. საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში.

ამხანაგებო! ჩვენი პარტია და სახელმწიფო ისეთ პირობებს ქმნიან, რომლებიც ეხმარებიან ტალანტს, გამოვლინდეს მთლიანად, ქმნიდეს ხალხის კეთილდღეობისათვის. ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ წვრილმან მეურვეობას შემოქმედებითი შრომის ადამიანებისადმი. შემოქმედება იმიტომაც არის შემოქმედება, რომ იგი თავისუფალია: ჯოხით ვერაფერს ნამდვილად ახალს, შესანიშნავს ვერ შევქმნი. ძველი ჭეშმარიტებაა, მისი მტკიცება წყლის ნაყვას ჰგავს.

მაგრამ შემოქმედების თავისუფლება რჩეულთა პრივილეგია როდია. პარტია ნიჭს სათუთად ეკიდება, იგი საზოგადოების უძვირფასეს კუთვნილებად მიაჩნია. მაგრამ ვერავინ და ვერაფერი ვერ გაათავისუფლებს ადამიანს საზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოების ყველასათვის სავალდებულო მოთხოვნებისაგან, მისი კანონებისაგან თავისუფალი. გულუბრყვილო იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს შეიძლება ჩირქი მოსცხო ჩვენი წყობილების ზნეობრივ-პოლიტიკურ საფუძვლებს და ამავე დროს ელოდო მისგან სიკეთესა და აღიარებას, და, რაღა თქმა უნდა, ხალხი არავის არ აპატიებს ჩვენი იდეური მოწინააღმდეგეების მხარეზე გადასვლას იმ უმწვავეს ბრძოლაში, რომელიც დღეს მსოფლიოში წარმოებს. აქ ორი აზრი არ არსებობს.

დიახ, ამხანაგებო, ბევრი უაზრობა, აშკარა სისულელე დაუწერიათ და უთქვამთ დასავლეთში, ოღონდ დაემახინჯებინათ ხელოვნებისადმი პარტიული მიდგომის თვით არსი. როგორ ხდება ხოლმე ზოგჯერ: იღებენ საბჭოთა ავტორის არცთუ კარგ ნაწარმოებს, სადაც ცხოვრების მხატვრული გამოკვლევა დეკლარაციულობით არის შეცვლილი. და არწმუნებენ ყველას: აი, რას აძალებს ეტალონად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ღრმა, როგორც იტყვიან, მწვავე წიგნს, რომელიც პარტიული პოზიციებიდან არის დაწერილი, „ნორმიდან გადახვევად“ მიიჩნევენ. ვფიქრობ, ნებას მომცემთ არ მოვიყვანო კონკრეტული მაგალითები: ამ დარბაზში მსხდომი ზოგიერთი ამხანაგი ყოფილა ამგვარი მანიპულაციების მსხვერპლი.

ღრმა იდეურობა, მოქალაქეობრიობა და მხატვრული ოსტატობის მაღალი დონე—ასეთია პარტიის, ხალხის მთავარი მოთხოვნა ხელოვნების მოღვაწეებისადმი. სწორედ ამას უსახავენ მიზნად ჩვენს შემოქმედ ინტელიგენციას ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანიც, და თქვენთვის ცნობილი ბოლო დროის მთელი რიგი დადგენილებანიც კულტურის საკითხებზე.

ჩვენს დიად საქმეს, ჩვენს ჰუმანისტურ მიზნებს არა სჭირდება განუსჯელი ქოტბა-დიდება ლექსად და პროზად. მხოლოდ დაცინვით თუ ვუწოდებთ მხატვრულს ნაწარმოებებს, რომლებშიც ორიგინალური, ახალი აზრი შეცვლილია, როგორც გესლიანად შენიშნა შჩედრინმა, „ანბანურ ჭეშმარიტებათა გულცივი გადამღერებით“. ცუდად დაწერილი წიგნები და ოპერები, პრიმიტიულად გადაღებული ტელე და კინოფილმები, ულაზათოდ შექმნილი ქანდაკებები და სურათები მარტო გემოვნებას როდი უფუჭებს მილიონობით ადამიანს, სახელს უტეხს თემებსა და იდეებს, რომლებსაც ხელს ჰკიდებენ მათი შემქმნელები. ასე რომ, ხელოვნებაში ულიმღამობისა და უსახურობის წინააღმდეგ მტკიცედ და პრინციპულად უნდა ვიბრძოდეთ და, რა თქმა უნდა, არავითარი შეღავათი არ ექნება უიდეობისა თუ მსოფლმხედველური განურჩევლობის გამოვლინებებს... სხვათა შორის, იქნებ ის არის ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსის უბედურება, რომ ისინი საქმეს ცალმხრივად უდგებიან ან კომპლიმენტებს არ იშურებენ სუსტი რომანის, სპექტაკლის, ფილმისათვის „თემის მნიშვნელობის“ გამო, ან ალტაცებას გამოთქვამენ იდეურად უსუსური ნაწარმოების „ესთეტიკურ მიგნებათა“ გამო?

არადა, ჩვენი, საბჭოური და მსოფლიო გამოცდილებაც მოწმობს, რომ დიდი ლიტერატურა, დიდი ხელოვნება ვერ იარსებებს, თუ არ იქნება მაღალპროფესიული, მოქალაქეობრივად პასუხისმგებელი კრიტიკა. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენი მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა მარტო ზუსტად როდი უნდა აფასებდეს ამა თუ იმ ნაწარმოებს. ჩვენ მხატვრული კრიტიკისაგან მეტს მოველით. მას უნდა შეეძლოს გააშუქოს პრობლემების სიღრმისეული საზოგადოებრივი აზრი, რომლებიც ნაწარმოებებშია აღძრული, მხარს უჭერდეს ავტორებს, თუ სწორად სვამენ მათ, დასაბუთებულად ეკამათებოდეს მათ, როცა ისინიც ცდებიან, ერთი სიტყვით, ჩვენი კრიტიკა ხელს უნდა უწყობდეს ხალხის სულიერი ცხოვრების წინსვლას. სწორედ ამიტომაც, როგორც ლენინს მიაჩნდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა, „რომ ლიტერატურული კრიტიკა უფრო **მჭიდროდ** დაუკავშირდეს პარტიულ მუშაობას“.

ყველა, ვისაც პარტიამ ანდო ხელოვნების სფეროში ლენინური გეზის გატარება, ამას უნდა შვრებოდეს გონივრულად, ინიციატივიანად. ეს კი ნიშნავს — გულახდილად, პრინციპულად ვესაუბრებოდეთ შემოქმედებითი შრომის ადამიანებს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვარიდებდეთ თავს მწვავე პრობლემებს, რომლებიც ხელოვანს აწუხებს. ნუ დავაკისრებთ მათ გადაწყვეტას ეგრეთწოდებულ ზემდგომ ინსტანციებს, შეგვეძლოს თანამოსაუბრის დარწმუნება, და თუ საჭიროა, გადარწმუნებაც. უამისოდ წარმოუდგენელია ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა. სწორედ ეს აქცევს მას, როგორც გორკიმ მოსწრებულად თქვა, „მორალურად ავტორიტეტულ ძალად“.

ამხანაგებო! შემოქმედებითი კავშირების პოლიტიკურ ბირთვს, დამმრავმველ ძალას მათში მომუშავე კომუნისტები წარმოადგენენ. ისინი თანამიმდევრულად უნდა ამკვიდრებდნენ პარტიულობის სულისკვეთებას შემოქმედთა წრეში, აქტიურად ახდენდნენ გავლენას შემოქმედების იდეურ მიმართულებაზე, ხელს უწყობდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისათვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩანერგვას, შემოქმედი ახალგაზრდობის ჩამოყალიბებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთმანეთისადმი ხელოვანთა მაღალი მომთხოვნელობისა და მომკითხველობის ატმოსფეროს განმტკიცებას, ეს სასარგებლოა როგორც თვით ხელოვანთათვის, ისე მთლიანად ხელოვნებისათვის.

საბჭოთა კულტურა დღეს წარმოგვიდგება, როგორც ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მიერ შექმნილ სულიერ ღირებულებათა ორგანული შენადნობი. და ამიტომაც სავსებით გასაგებია მწერლისა და ხელოვნის, მუსიკოსისა და არქიტექტორის მისწრაფება ეყრდნობოდეს თავისი ხალხის მრავალსაუკუნოვან კულტურულ ტრადიციებს, უფრო ღრმად და მკაფიოდ ასახავდეს თავისი რესპუბლიკის ცხოვრებას. ამავე დროს მხატვრული პრაქტიკა გვარწმუნებს: რაც უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული კულტურა სხვებთან, რაც უფრო ინტენსიურად ითვისებს მოძმე ხალხების სულიერი და მხატვრული გამოცდილების იმ თვისებებს, რომლებმაც ინტერნაციონალური მნიშვნელობა შეიძინეს, მით უფრო სწრაფად და ნაყოფიერად ვითარდება იგი, მით უფრო მეტი წვლილი შეაქვს მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი ჩვენი საზოგადოების სულიერი ცხოვრების გამდიდრებაში.

ძვირფასო ამხანაგებო! სანამ გამოსვლას დავამთავრებდე, მინდა გაცნობოთ ახალი ამბავი, რომელიც, ეჭვი არ მეპარება, ყველას გაგახარებთ, საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა მწერლების დიდი წვლილისათვის და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იგი ხალხთა მეგობრობის ორდენით დააჯილდოვა. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ახლა კი ნება მიბოძეთ, გისურვოთ ყველას ჯანმრთელობა, შემოქმედებითი წარმატებანი, და მწერალთა კავშირს გადავცე დამსახურებული საპატიო ჯილდო. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რევაზ მარგიანი

ცნობილ ქართველ პოეტს, ახალგაზრდობის დიდ მეგობარს, **რევაზ მარგიანს** აღარ დასცალდა თავისი დაბადების სამოცდამერვე წელს შეხვედროდა. ვბეჭდავთ მის ბოლოდროინდელ გამოუქვეყნებელ ლექსებს.

●

თუ მართლა გინდა იყო მესიტყვე
და გქონდეს ლექსი გულზე ნალესი,
გაეპასუხე კვნესას — კვნესვითვე,
გაეპასუხე ალერსს — ალერსით!

თუ გსურს დაგიდგეს ცხელი მკათათვე
და სიტყვა ბრძანო არც თუ ურიგო,
სხვა ყოველგვარი საქმე გადადე,
თუ გსურს ხალხს სიტყვა ჩამოურიგო.

მხოლოდ უგანე სიტყვებს ჭრელ-
ჭრელებს,
ხუჭუჭა ბგერებს, ტკბილ-ტკბილ
ასოებს,
დარჩი უბრალო სიტყვის შემყურე
და წრფელი სიტყვა ხალხს უსახსოვრე.

## საზღაური

საზღაური შენი სიკეთისა,
შენს მიერ შექმნილის საზღაური —
ეს არის სიმღერა დიდებისა,
ქვეყნისთვის შექმნილი სასწაულის.

საზღაური შენი ალამპრების —
და არა სიტყვის ნართაულის,
ეს არის სიმღერა განათების,
უებრო ოცნების საზღაური.

●

რამდენჯერ მოვიხიბლე შელამებით,
უცნაურ სიზმრებში გადავეშვი.
ამ ღვთიურ ყვავილებს ეხამება
ღრუბელი ენგურის სათავეში.

რამდენჯერ ჩავუვლი ნაწისქვილარს,
ყრმობაში ტივტივებს ხუბერი.
თანა მდევს თოთო და პაწაწინა
ფიჭვებზე შეხეული ღრუბელი.

რამდენჯერ უნდა მომაგონდეს,
რამდენჯერ უნდა დავტრიალდე,
რამდენჯერ უნდა ვქომაგობდე
ხევებში შეხიზნულ განთიადებს.

რამდენი ფიქრი და სინამდვილე
ფაქიზად, ფრთხილად და სათითაოდ
პირბასრი კალამი მიადვილებს
ქაღალდზე სიამით გადვიტანო.

რამდენჯერ უნდა გაგიხსენო,
თვალს ახელს ფრთაშავი გახსენებაც...
გამქრალო, ფერმკრთალო დაისებო,
თვით დღესაც თქვენგან არ მესვენება.

დაღამდა. წინ მიდგას საკარცხული,
მთვლემარე, სიზმრებში გადავეში.
და ღამე დაღლილი და დათალხული
ძლივს სუნთქავს ენგურის სათავეში.

●

თურმე სიმწიფის წლებიც მცილდება,
ხელში მადნება და ფერმკრთალდება.
დრო, რაც დავკარგე შთანთქეს ბინდებმა
და მხარზე მაწევს, როგორც ბრალდება.

მაგრამ ხომ ხედავ — ვიღაც მამხნევებს
და ჩემზე შესთხოვს დედა-ბუნებას.
დაეძებს გზებს და გადასახვევებს
იმ ოქროს წლების დასაბრუნებლად.

## ექო ძველთა ტკბილთა ხმათა

„...სამარხავი ჩემი და საძვალე შვილთა ჩემთა“...
უთქვამს დავითს. ექო ძველთა ტკბილთა ხმათა
ყურთ ჩამესმა და წარსული შემეფეთა.
ქრჟოლა ვიგრძენ ჩვენთა ძველთა კარიბჭეთა.

სალოცავი ჩემი მიწა გამინათდა!
გული შედგა, წამიერად გამიჩერდა.
შეიშმუშნა უძლეველი დროშის კალთა,
ქრჟოლა ვიგრძენ ჩვენთა ძველთა კარიბჭეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...სამარხავი ჩემი და საძვალე შვილთა ჩემთა...“
საერო და საგანგებო ხმა გაისმა, აჩახჩახდა.
მზე დაიძრა და მცხუნვარედ გელათს შედგა,
ხმა შემესმა ძველთა ჩვენთა ნატახტართა.

როდის იყო, როცა შეკრთა თვალთა გუგა,
როცა შენი ოცნებები გადიბუგა?
როდის იყო ჭრილობა რომ დაუამე
და მახვილით გადაფხრიწე მრუმე ღამე,

კვლავ შეჰყარე საქართველოს ერისკაცნი,
საუკუნოდ თან რომ გვდევდა — დარდი დასწვი!
ჭირთა მთმენო! ექო მესმის ძველთა ხმათა
და თვალები შენი შუქით გამინათდა.

უთქვამს დავითს და ხმა მესმის დიდი მამის:
„...სამარხავი ჩემი...
და საძვალე შვილთა ჩემთა...“ ამინ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ქარჩხაძე

# სოლომონიანი

მოთხრობა

ის დღე (ხუთშაბათი იყო, სრულიად ნეიტრალური დღე) ჩვეულებრივად გათენდა: გამჭვირვალე ჰაერში მოახლოებული სუსხის სუნი ტრიალებდა, ფოთლებშემოძარცულ ხეებზე ჩიტები გალობდნენ და აღმოსავლეთით შემოდგომის გრილი მზე ამოდიოდა. სოლომონს არც ცუდი სიზმარი უნახავს და არც ავი წინათგრძნობა გასჩენია. და თუ დღეები თავიანთ იდუმალ განზრახვას მართლა ამჟღავნებენ რაიმე ნიშნის მიხედვით, ამ ნიშნების ამოცნობას ალბათ უფრო ნატიფი და მგრძნობიარე სული სჭირდება.

ადგა, ხელ-პირი დაიბანა, ჩაი აიდუღა, ისაუზმა და, შინიდან რომ გავიდა, კარი ფრთხილად გაიხურა, რათა ოჯახის დანარჩენი წევრები, რომელთაც ჯერ ისევ ეძინათ, არ გაეღვიძებინა.

სოლომონი, რომელიც იმ წელიწადს სამოცდასამისა გახდა და სამოცდამეოთხეში გადადგა, კარგა მაღალი კაცი იყო, ძვალმსხვილი და ფერხორციანი. თავის დროზე ალბათ წარმოსადეგიც ეთქმოდა, მაგრამ, რაც ასაკში შევიდა, თანდათან ქონი მოიკიდა. იმგვარი ღიპი, ღვინის მსმელ ხალხს რომ ედება ხოლმე, არ დასდებია. უბრალოდ, წელის არეში გასქელდა, თანაბრად და ყოველ მხარეს, ხოლო რაკი მხრები იმთავითვე ცოტა ვიწრო და დამრეცი ჰქონდა, საბოლოოდ ისეთი ფორმის ტანი გაუხდა, რომელიც განსაკუთრებით გეცემათ თვალში, როდესაც კაცს მჭიდროდ შემოტმასნილი და ყველა ღილზე შეკრული ლაბადა აცვია. სოლომონს კი ადრე შემოდგომიდან გვიან გაზაფხულამდე სწორედ ასეთი ლაბადა ეცვა — მჭიდროდ შემოტმასნილი, ყველა ღილზე შეკრული, კრემისფერი, გაუგებარი სიგრძის ლაბადა, რომელიც ხან ზომაზე გრძელი გეჩვენებოდათ, ხან ზომაზე მოკლე, იმისდა მიხედვით, თუ რას მოითხოვდა მოდა, ხოლო თავად მოდას არასოდეს თანხმდებოდა. თავზე (უკან გადავარცხნილი, ჭაღარაშერთული თმა ჰქონდა) მუდამ რუხი ფერის შლაპა ეხურა. როდესაც ჩვენში შლაპა შემოვიდა, ეჭვი არაა, სათქმელიც შემოიტანა რაღაც, მაგრამ ეს სათქმელი ძალიან მალე ამოწურა და დეგრადაციის გზას დაადგა: ჯერ მოძველდა, მერე მოდიდან გამოვიდა, ერთი ხანობა ახირებად იქცა, მერე ანაქრონიზმად, საბოლოოდ კი პროვინციალობის მანიშნებელ მყარ სიმბოლოთა შორის დაიმკვიდრა ადგილი. მთელი ეს რთული გზა შლაპამ სოლომონის თავზე გაიარა. თუმცა, უნდა ითქვას, სოლომონი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მოდა მისთვის უცხო რამ მეცნიერება იყო, როგორც ჩინური გრამატიკა ან ველის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადი თეორია, რომელიც არსებობით არსებობდა, მაგრამ მასთან არაფერი ესაქმებოდა. ქორწილის დღესაც კი, როდესაც კაცი ცდილობ ამქვეყნად ყველაზე ლამაზი იყო, რაც ხელთ მოხვდა, ის ჩაიცვა, ისე რომ არც იცოდა, კარგად ეცვა თუ ცუდად. თუ ყოველივე იმას, რაც უკვე ითქვა, დავუმატებთ წითურ, ხორცსავსე სახეს, ჭროღა თვალების უმისამართოდ გულკეთილ მზერას და ხშირ, გრძელბეწვიან, ქერა წარბებს, მივიღებთ ისეთ ტიპიურ გარეგნობას, რომელშიაც ხშირად ზედმეტი სიცხადით ირეკლება წუთისოფლის წარმავლობა და ადამიანის გონებრივი ზღვარდადებულობა და ამის გამო, ადვილი შესაძლებელია, ავტობუსში ახალგაზრდა და მჭლე, მაგრამ თავდაჯერებულსა და აზროვნების ურთულეს ლაბირინთებში ოპტიმისტურად ჩაძირულ ინტელექტუალს მის დანახვაზე თვალი გაუშტერდეს, გულზე კოსმიური მელანქოლია შემოაწვეს და ანალიზის ძაფი გაუწყდეს. თუმცა პირადად სოლომონი ამგვარ ხიფათს იშვიათად ქმნიდა, რადგან ფეხით სიარული უყვარდა და ავტობუსში, როგორც წესი, არ ჯდებოდა. მით უმეტეს, რომ შეძლებისდაგვარად ყველაფერი აწყობილი და წინასწარ დაგეგმილი ჰქონდა და ამიტომ თითქმის არასოდეს ეჩქარებოდა. ხელებს, ჩვეულებისამებრ, ზურგსუკან დაიწყობდა, ტანსაც ოდნავ უკან გადაზნექდა, დადიოდა დინჯად, აუჩქარებლად, მძიმე-მძიმედ და, რაკი გარემოსთან შეგუების უნარი კარგად ჰქონდა განვითარებული და ისეთი ჯიშის ხალხს ეკუთვნოდა, რომლებიც ტყვიების ზუზუნს ყურადღებას არ აქცევენ და, სანამ თვითონ არ მოხვდებათ, არც სჯერათ, რომ სროლას შეიძლება მსხვერპლი მოყვეს, ცხოვრება იმაზე უკეთესი ეგონა, ვიდრე სინამდვილეშია.

სწორედ ამ მძიმე-მძიმე სიარულის გამო შეარქვეს ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში სოლომონ ბრძენი და, თუმცა სოლომონმა მშვენივრად იცოდა, რომ ეს სიტყვა სულაც არ ნიშნავდა ამ სიტყვას, ადამიანური სისუსტის წყალობით და ისეთი არაპირდაპირი, ბუნდოვანი მიზეზების გამო, როგორიცაა უეცარი გამოდარება, გემრიელი სადილი, მოულოდნელი განმარტოება, საკუთარი კეთილშობილური საქციელი და სხვა, ზოგჯერ ისე ჩაიხლართებოდა ყოველივე, ისე აირეოდა და აიჭრებოდა, წამით მოეჩვენებოდა, თითქოს ამ მეტსახელში ღრმად ჩამარხული, სხვათათვის უხილავი და თავად მეტსახელის შემრქმევთა მიერ გაუცნობიერებლად გამჟღავნებული სიმართლე იდო. საბედნიეროდ, ეს წამიერი სისუსტე, რომლისგანაც დაზღვეული არავინა ვართ და ამიტომ ღმერთიც იოლად გვპატიობს ხოლმე, მალევე ქრებოდა და მის ადგილს მყარი რეალობის ყოველდღიური და ნაცნობი გრძნობა იკავებდა. იმ დროს, როდესაც სოლომონს სოლომონ ბრძენი შეარქვეს, მის მძიმე, აუჩქარებელ სიარულს (და მძიმე, აუჩქარებელ ლაპარაკს), შესაძლებელია, ხელოვნურობის იერი დაჰკრავდა და ისეთი რამის ჩვენებას ლამობდა, რაც არ არსებობდა, მაგრამ მერე და მერე იგი ბუნებამ შეისისხლხორცა, საკუთარ ჩვევად აქცია და ისეთი ადგილი მიუჩინა თვისებათა ჭრელ ხალიჩაზე, ხელოვნური ახლა ის მოგეჩვენებოდათ, სოლომონი რომ უცებ აჩქარებული და ამჩატებული გენახათ.

გარეგნულად ასაკი არ ემჩნეოდა, არა თავშენახულობის გამო, არამედ იმის გამო, რომ იმგვარ ფიზიკურ ტიპს ეკუთვნოდა, ვისშიაც დაბერების პროცესი ფარულად მიედინება და ზედაპირზე გვიან გამოვა ხოლმე, გვიან და ერთბაშად, როგორც მოულოდნელი დასკვნა. თუმცა ვინც ფიზიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიპებში კარგად ერკვევა, ზოგიერთი არაპირდაპირი ნიშნის მიხედვით სოლომონის ასაკს მაინც იოლად გამოიცნობდა. პროფესიის გამოცნობა უფრო ძნელი იყო, რადგან ამგვარ გარეგნულ კონსტრუქციას ფართო დიაპაზონი აქვს და მრავალ განსხვავებულ ხასიათს, მრავალ ტიპოლოგიურ განშტოებასა და მრავალ პროფესიას ითავსებს. მაგალითად, ასეთი ბრგე, ფერხორციანი, ასაკის სიმსუქნეშეპარული, კრემისფერ ლაბადაში მჭიდროდ გამოკვართული, რუხშლაპიანი კაცი თავისუფლად შეიძლება იყოს ანტიკური ფილოლოგიის პროფესორიც, ვეტექიმიც, ხელმოცარული მუსიკოსიც, საფინანსო განყოფილების რევიზორ-ბუღალტერიც, ვეტერანი ფეხბურთელიც (უფრო ცენტრალური მცველი) და სხვა. სოლომონი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო. ასე იყო ოფიციალურად და ასე იყო ფაქტიურად. სულიერი მიდრეკილებითა და ემოციური დამოკიდებულებით, შესაძლებელია, მხოლოდ ლიტერატურის მასწავლებელი იყო, ვინაიდან გრამატიკა მაინცდამაინც არ უყვარდა. თუმცა ეს სუბიექტური მიდრეკილება ხელს არ უშლიდა იმაში, რომ გრამატიკასაც ისეთივე პროფესიული კეთილსინდისიერებით მოჰკიდებოდა, როგორც ლიტერატურას ეკიდებოდა.

სოლომონი ზურგზე ხელებდაწყობილი და ოდნავ უკან გადაზნექილი გამოვიდა შინიდან, გასცდა მაღალი სახლების ალყაში მოქცეულ ვიწრო ქუჩას, გადაჭრა მომცრო მრგვალი მოედანი, რომელიც დილის მზეს ისე თანაბრად ირეკლავდა, უძრავ ჰაერში გარინდებული კამკამა ტბა გეგონებოდათ, კიდევ ერთი, შედარებით ფართო ქუჩა გაიარა და პატარა ბაღს მიადგა. აქ გზიდან გადაუხვია და ბაღში შევიდა. არა იმიტომ, რომ გზა შეემოკლებინა, არამედ იმიტომ, რომ ეს ბაღი უყვარდა. იქნებ ბაღი კი არა, თავისი ჩვევა უყვარდა, არავინ იცის, ჩვენ ხომ საკუთარ გრძნობებში ცუდად ვერკვევით და ის, რაც სიყვარული გვგონია, ხშირად თანდაყოლილი სიზარმაცეა, რომელიც გვაიძულებს მუდამ გატკეპნილი, ნაჩვევი გზით ვიაროთ, მუდამ იოლი, ნაჩვევი საქმე ვაკეთოთ, მუდამ შაბლონური, ნაჩვევი ფრაზებით ვიაზროვნოთ, ხოლო იმისათვის, რომ მოსალოდნელი თვითმხილება და, აქედან გამომდინარე, სინდისის ქენჯნა ავირიდოთ, სიზარმაცეს სიყვარულის ყდაში ვსვამთ და ამით იოლად ვიტყუებთ თავს, რადგან იგივე სიზარმაცე საშუალებას გვაძლევს ტვინი არ ვიჭყლიტოთ და სიმართლე არ ვეძიოთ.

ასე იყო თუ ისე, სკოლაში რომ მიდიოდა და სკოლიდან რომ ბრუნდებოდა, სოლომონი ამ ბაღს თავისი დინჯი, დარბაისლური ნაბიჯით ყოველთვის თავით ბოლომდე გადაკვეთდა ხოლმე.

ბაღი ძალიან ძველი იყო (რაზედაც მეტყველებდა უზარმაზარი, საუკუნეს მიტანებული ხეები), მაგრამ სრულიად გაპარტახებული და ბედის ანაბარა მიტოვებული. ეტყობოდა, პატრონი არ ჰყავდა, ან თუ ჰყავდა, თავის მოვალეობას ცუდად ასრულებდა. თუმცაღა ბებერ ხეებს ალბათ არ სწყინდათ, პირიქით, უხაროდათ კიდეც, რომ ბაღს არავინ უვლიდა. მცენარეს ხომ, ისევე როგორც ცხოველს, ზრუნვა და დამცველი ზღუდე არც რგებს და არც სიამოვნებს, მას თავისუფლება უყვარს და ის ურჩევნია, თავისი წილი ჰაერი და საზრდო თვითონვე მოიპოვოს. ამიტომ დიდრონი ხეები მიტოვებულ ბაღში ლაღად იდგნენ, განიერი ტოტები ამაყად გადაეშალათ და მიწიდან ამოზრდილები, ცისკენ მიისწრაფოდნენ. სამაგიეროდ, რასაც ადამიანის ხელი სჭირდებოდა, ყველაფერი სავალალო მდგომარეობაში იყო. უკვე უხსოვარი დროიდან აქაურობას არავინ გვიდა, რის გამოც ყველაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დამპალი ნეშო, კონსერვის ცარიელი ქილები, დაჭმუჭნილი გაზეთები, სიგარეტის კოლოფები, სიგარეტის ნამწვი და სხვა — ერთმანეთში იყო არეული და მთელ ბაღში მიმოფანტული. ზოგიერთი ხის ძირას ჯერ კიდევ იდგა მორყეული, ნახევრად დამპალი მერხები, რომლებზედაც, თუ წინასწარ სიმაგრეს არ შეუმოწმებდით, დაჯდომა საშიში იყო და რომლებსაც, როგორც გაფცქვნილ თევზს ქერცლი, აქა-იქ შერჩენოდა საღებავის ნაშთი იმის ნიშნად, რომ ისინი ერთ დროს მწვანეები და, შესაძლოა, ლამაზებიც იყვნენ. შუაგულ ბაღში ერთი გაუქმებული აუზი იყო. ახლა ამ აუზის არსებობას მოწმობდა მხოლოდ ჩამოქცეული კედლები და ამ ჩამოქცეული კედლებიდან ამოშვერილი, ჟანგისაგან შეჭმული რკინის მილები, საიდანაც, ეჭვი არაა, ერთ დროს წყალი ამოჩქეფდა, თუმცა ახლა ალბათ ქალაქში ცოტაღა მოიძებნებოდა ისეთი კაცი, ეს რომ ხსომებოდა. აუზი ნაგვით იყო სავსე. აუზიდან ცოტა მოშორებით თაბაშირის ქანდაკება იდგა, რომელიც მოქანდაკეს ვიღაცის უკვდავსაყოფად აღემართა, რათა ამით საკუთარი უკვდავება უზრუნველეყო, მაგრამ ორივე მიზანი მიუღწეველი დარჩა, რადგან დღეს აღარც იმის სახელი იყო ცნობილი, ვინც აღმართეს, და აღარც იმისი, ვინც აღმართა. ქანდაკება ერთ დროს თეთრი იყო, ახლა კი ისე გაეყვითლებინა ნესტში ღრმად ჩამკვდარ ჭუჭყს, რომ სიყვითლისა და ჭუჭყის გარდა, სხვა შთაბეჭდილებას უკვე აღარ ტოვებდა. რომელიმე სუფთა და მოვლილი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად თანაბრად გაკრეჭილი სკვერი ასეთ ქანდაკებას იქნებ დაემახინჯებინა კიდეც, მაგრამ აქაურობას ვეღარაფერს აკლებდა, რადგან ბაღს იგი თავისი გაველურებული ბუნების ნაწილად ექცია და ჩიტებიც კი უკვე ისე ეპყრობოდნენ, როგორც დანარჩენ ხეებს. ბაღის სიღრმეში, სადაც ერთ დროს ღია ესტრადა იყო, ახლა მის მოსაგონებლად იდგა ქვის დაბალი სვეტები (რომლებსაც ცემენტი შემოცლოდათ და ამიტომ თავიანთ საიდუმლოს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ერთიანი სვეტები კი არ იყვნენ, არამედ ერთიმეორეზე დაწყობილი ბრტყელი და უთანაბრო ქვები, დაუფარავად ამჟღავნებდნენ), რკინის ჩონჩხი (რომელსაც ადრე იატაკი ეყრდნობოდა და რომელიც ახლაც პატიოსნად შეასრულებდა თავის მოვალეობას, იატაკი რომ არ დამპალიყო და ნაწილ-ნაწილ არ ჩაშლილიყო) და ესტრადაზე ამავალი ოთხსაფეხურიანი კიბე (რომელიც რაღაც მანქანებით ჯერ კიდევ იდგა, მაგრამ მის დგომაში უკვე უაზრობის კომიზმი იყო, რადგან, რაკი ფიცარნაგი აღარ არსებობდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს იგი ახლა არარაობაში მიდიოდა).

აუზი, ქანდაკება და ესტრადა ისე იყვნენ განლაგებული, რომ ტოლგვერდა სამკუთხედს ქმნიდნენ.

სოლომონს რაღაც ძალა ეწეოდა ამ ბაღისაკენ. ზოგჯერ სახლიდან განგებ ადრე წამოვიდოდა, აუზს, ქანდაკებასა და ესტრადას შორის, დიდი ცაცხვის ძირას, ერთი, შედარებით მყარი მერხი ჰქონდა ამოჩემებული, ჩამოჯდებოდა ამ მერხზე და ფიქრებში ჩაიძირებოდა. ამ ხეებს რომ შესცქეროდა, რომლებიც ჯერ კიდევ მაშინ იდგნენ აქ, როცა ქალაქის დღევანდელ მცხოვრებთაგან დაბადებულიც კი არავინ იყო, ეჩვენებოდა, თითქოს ძველსა და შორეულ, სევდიან სურნელს გრძნობდა, ისეთ სურნელს, როგორსაც, მთელი ქვეყანა რომ შემოგევლოთ, ვეღარსად წააწყდებოდით. რაც შეეხება მერხებს, მათი ახალგაზრდობა და სიმწვანე კარგად ახსოვდა და ახლა, მათ გაქუცულსა და წასაქცევად გამზადებულ სიბერეს რომ უყურებდა, ზოგჯერ თა-


საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი სიყმაწვილე აგონდებოდა, კერძოდ (ამის მიზეზს ვერ მიაკვლია, თუმცა რამდენჯერმე საგანგებოდ ჩაუღრმავდა), ის ხანა, მეზობლის გოგოებმა რომ პირველი კვირტები გამოიტანეს და ამის დანახვაზე ბიჭებს თავზე წინდაჩამოცმულებს ეძინათ, რათა ურჩი თმა მოერჯულებინათ და ისეთი მიმართულება მიეცათ, რომელიც, მათი აზრით, უფრო სოლიდურ შესახედაობას მიანიჭებდათ, ხოლო დილდილაობით, გაღვიძებისთანავე კედელთან დგებოდნენ, სადაც მათი გუშინდელი სიმაღლის აღმნიშვნელი ხაზი იყო გავლებული, და გულის ფანცქალით ეზომებოდნენ იმ იმედით, რომ წუხელ ერთი-ორ სანტიმეტრს კიდევ მოიმატებდნენ. ხანდახან სოლომონს სულ სხვა პრობლემები გაიტაცებდა, უფრო ზოგადსაკაცობრიო პრობლემები, და თავის დანიშნულებაზე დაიწყებდა ფიქრს, არა თავის, როგორც სოლომონის დანიშნულებაზე, არამედ სოლომონის, როგორც მთლიანი, განუყოფელი ადამიანის შემადგენელი ნაწილის დანიშნულებაზე. ასეთ დროს გაუვალ ლაბირინთებში იხლართებოდა, ძაფი უწყდებოდა, გზა ებნეოდა და გულში არარაობისა და მკვდარი სიცარიელის ტკივილი უჩნდებოდა, რომელიც მხოლოდ მას შემდეგ ქრებოდა, რაც სკოლაში მისული, ყოველდღიურსა და გადაუდებელ საქმეებში ჩაეფლობოდა. ზოგჯერ ისე იჯდა ხოლმე, ტყუილად, და არაფერზე არ ფიქრობდა. უფრო სწორად, ალბათ ფიქრობდა, მაგრამ, მერხიდან რომ წამოდგებოდა, უკვე აღარაფერი ახსოვდა, თითქოს ამ ხნის მანძილზე მის მაგივრად მერხზე სხვა ვიღაც იჯდა და ის სხვა ვიღაც ფიქრობდა.

სკოლაში ყოველთვის მიუხაროდა. როდესაც ადამიანის მიდრეკილება და საქმიანობა ერთმანეთს ემთხვევა, იტყვიან ხოლმე სამსახური მისთვის მეორე ოჯახიაო. ასეთი კაცისგან განსხვავებით, სკოლა სოლომონისათვის პირველი და გარკვეული აზრით, ერთადერთი ოჯახი იყო. ამგვარმა განცხადებამ შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს სკოლაში გულითადი მეგობრები ჰყავდა, რომელთა წრეში ტრიალი სულიერად ამდიდრებდა, მაგრამ ეს შთაბეჭდილება, მცდარი იქნება. მასწავლებლების ურთიერთდამოკიდებულება იშვიათი და დროებითი გამონაკლისების გარდა, საკმაოდ გულგრილი იყო და ფორმალური თავაზიანობის ზღვარს არ სცილდებოდა. და თუ სოლომონს მაინც მათთან ყოფნა ერჩივნა და კვირა დღე ჭირივით ეჯავრებოდა, ეს იმიტომ, რომ სამსახურსა და ოჯახს ჩვეულებრივ სხვადასხვაგვარ მოთხოვნებს ვუყენებთ და ზოგი წვრილმანი უსიამოვნება, რაზედაც სამსახურში იოლად ვხუჭავთ თვალს, ოჯახში გულსა გვტკენს და გუნებას გვიმღვრევს, თორემ შინ რომ ჩხუბი და აყალმაყალი ჰქონოდა და მუდმივ დაძაბულობაში ეცხოვრა, როგორც არა ერთი და ორი ცხოვრობს, სოლომონს ეყოფოდა გამბედაობა (ყოველ შემთხვევაში, საიმისოდ მაინც ჰყოფნიდა, რომ ასე ეფიქრა) სულ მიეტოვებინა ოჯახი და სადმე გადახვეწილიყო. საბედნიეროდ, ასე არ ყოფილა საქმე. ეგ არის მხოლოდ, რომ შინ აღარაფერს ეკითხებოდნენ და ამის გამო თავს, ცოტა არ იყოს, ზედმეტ ბარგად გრძნობდა. შესაძლოა, აზვიადებდა კიდეც. მაგალითად, ხმამაღლა რომ ეთქვა, არაფრად მაგდებთო, იოლად დაუმტკიცებდნენ, რომ ცდებოდა. ზოგჯერ თვითონაც ეჩვენებოდა, რომ აზვიადებდა. უფრო მეტად მაშინ, როცა რაიმე საქმის გამო ქალაქიდან მოუხდებოდა გამგზავრება. საკმარისი იყო ორი დღით მოშორებოდა სახლს, გულზე მძიმე სევდა შემოაწვებოდა, თვალზე ლამის ცრემლი მოერეოდა და ერთბაშად იგრძნობდა, თუ რა მწარედ ცდებოდა, როცა თავი ოჯახიდან გარიყული ეგონა. სახლ-კარს მოშორებული და მართლა მარტო დარჩენილი, შორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათლად ხედავდა, რომ იმ მოჩვენებითი მარტოობის უკან იდგა მყარი, მკვიდრი, მძლავრი ანდამატი, რომელიც თავგანწირულად იზიდავდა და სევდიანი, ცრემლმორევამდე სევდიანი ნატვრით უხმობდა, და მხოლოდ მაშინ, უკან რომ მობრუნდებოდა, შინ შევიდოდა, კედლებს შეხედავდა, ავეჯს შეხედავდა, ცოლ-შვილს შეხედავდა, ხვდებოდა, რომ თურმე ის „მყარი, მკვიდრი, მძლავრი ანდამატი“ საკუთარი ფანტაზიის ნაყოფი ყოფილა, ილუზია, მირაჟი, რომელიც გიზიდავს, მაგრამ არ არსებობს, და კვლავ გარიყულობის ნაცნობი გრძნობა ეუფლებოდა. ეს გაორებული დამოკიდებულება, თუმცა კი ხშირად გულზე უამურად უფხაჭუნებდა, ცხოვრების მთავარ კალაპოტს ვერ ამღვრევდა და ვერ აღელვებდა, გარიყულობისა და ზედმეტობის გრძნობაც ზედაპირზე დაცურავდა, გარედან, მხოლოდ კანზე ეხებოდა და, მართალია, ზოგჯერ მწვავე აფეთქებას იწვევდა, სულის ღრმა ფენებს, სადაც ჩვენი არსებობის ძირითადი ბირთვია მოთავსებული, ვერ წვდებოდა და ვერ აზიანებდა. ამის ერთი მიზეზი ის იყო, რომ სოლომონს მშვიდი ცხოვრება უყვარდა (ხოლო ვისაც მშვიდი ცხოვრება უყვარს, ის ახერხებს კიდეც მშვიდად იცხოვროს), მეორე ის, რომ ოჯახის სადავეები ერთბაშად კი არ გამოსცლია ხელიდან, ნელ-ნელა დაკარგა, თანდათან, შეუმჩნევლად, ამიტომ ოპტიმიზმი არ დაუკარგავს. მეხის გავარდნა ხომ თავისი მოულოდნელობით გვაკრთობს, თორემ ნელ-ნელა რომ მოდიოდეს და შეუმჩნევლად უმატებდეს ხმას, ისე გავარდებოდა, ვერც გავიგებდით, ან გავიგებდით, მაგრამ უკვე შეჩვეული ვიქნებოდით და ყურადღებას არ მივაქცევდით. და თუ სოლომონი თავის ცხოვრებას ბედნიერებას ვერ დაარქმევდა, ვერც უბედურებას დაარქმევდა, ეს კი რეალისტი კაცისთვის, ვისაც პატივმოყვარეობა არ ახრჩობს, სავსებით საკმარისია.

ცოლი ოცდახუთი წლისამ შეირთო. ნათესავებმა შეურჩიეს ქალი და ერთხელ, წვეულებაზე შეახვედრეს. ქალი შესახედავად დიდი ვერაფერი შვილი იყო. სამაგიეროდ სოლომონს ძალიან მოეწონა ის, რომ ერთთავად მორცხვად თავდახრილი იჯდა და თვალებში შემოხედვას ვერ უბედავდა. გარდა ამისა, მოეწონა სახელი — ასმათი, რომელიც სიყრმიდანვე, როდესაც პირველად წაიკითხა „ვეფხისტყაოსანი“, რჩეულ სახელთა ნუსხის თავში მოექცა. იმ დროს სოლომონი ახალბედა მასწავლებელი იყო, ხოლო ასმათი ქიმწმენდაში მუშაობდა ტექნოლოგად. რაც შემდეგ მოხდა, იმისთვის სოლომონს არც ერთი საყვედურის სიტყვა არ დასცდენია თავის შუამავალ ნათესავებთან, რადგან იმ ფსიქოლოგიურ ცვლილებებს, რომელთა მოწმეც მოგვიანებით შეიქნა და რომლებიც იქნებ იმთავითვე ეწერა შუბლზე ასმათს, სოლომონის უბირი ნათესავები, ცხადია, წინასწარ ვერ განჭვრეტდნენ. თავიდან ყველაფერი წესსა და რიგზე მიდიოდა, ასმათი მეოჯახე, მოსიყვარულე, ალერსიანი და ერთგული ქალი იყო და ცოლის ყველა მოვალეობას კარგად და გულმოდგინედ ასრულებდა. როდესაც საღამოობით სოლომონი თავის სასკოლო სიხარულსა და გულისტკივილს უზიარებდა ხოლმე, ასმათი ყურადღებით უსმენდა. მართალია, საკუთარ მოსაზრებებს იშვიათად გამოთქვამდა, მაგრამ ამაში ცუდი არაფერი იყო: კაცს ხომ მსმენელი გჭირდება და არა მოსაზრებები. განსაკუთრებით ტკბილად აგონდებოდა სოლომონს ღამეული საუბრები, რომლებიც ხმადაბლა, ნახევრად ჩურჩულით მიმდინარეობდა ლოგინში, ძილის წინ, როდესაც საერთო სარეცელი მთელი ცხოვრების მყარ, მტკიცე, ულალატო კალაპოტად იქცეოდა, რომელშიაც ცოლ-ქმრის სული და ხორცი ამ სარეცელივით ერთი და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუყოფელი იყო და რომელშიაც ცოტა ჭარბი გულახდილობა, ცოტა ჭარბი სიმხურვალე, ცოტა ჭარბი რომანტიზმი და ცოტა ჭარბი იდეალიზმი ისე უბრალოდ, ისე ბუნებრივად, ისე კარგად ისხდნენ თავ-თავიანთ ადგილას, თითქოს ცხოვრება სწორედ ასეთი ყოფილიყოს, ხოლო ის, რაც დღისით ეგონა ცხოვრება, ახლა მის მრუდე ანარეკლად ეჩვენებოდა.

ორი წლის შემდეგ ასმათი გაერთიანება „ოქროს საწმისში“ გადავიდა სამუშაოდ და მალე ცეცხლთან თამაში დაიწყო. „ოქროს საწმისი“ ჩვენი პატარა ქალაქის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო დაწესებულება იყო, რომელიც მოსახლეობას ამარაგებდა საკუთარ საამქროებში დამზადებული (მაგრამ უვარგისი) და გარედან შემოტანილი (მაგრამ ძნელად ხელმისაწვდომი) ისეთი აუცილებელი საქონლით, როგორიცაა კაფელის ფილები, აბაზანები, უნიტასები, ონკანები, ნიჟარები და სხვა. ასმათი ძველ სამსახურშიც გამოირჩეოდა სიყოჩაღითა და ენერგიით, მაგრამ „ოქროს საწმისში“ ისეთი ფხა გამოიჩინა, არა მარტო ბრწყინვალე კარიერა გაიკეთა, არამედ გზადაგზა კიდევ ერთხელ, საკუთარ მაგალითზე დაამტკიცა, თუ რაოდენ რთული მოვლენაა ადამიანი და რა სახიფათოა მისი დღევანდელი დღის მიხედვით მის ხვალინდელ დღეზე მსჯელობა. ჯერ წუნმდებელი იყო, მერე — ეკონომისტი, მერე უფროსი ეკონომისტი, მერე განყოფილების გამგე, ბოლოს კი დირექტორის მოადგილე გახდა. სულ რამდენიმე წელი დასჭირდა იმისათვის, რომ მორცხვი, უთქმელი, უპრეტენზიო ქალი პატივსაცემ, საქმიან, მკაცრ დირექტორის მოადგილედ ქცეულიყო, რომელსაც მანქანაც კი ემსახურებოდა. მართალია, ეს იყო იმ ტიპის „მოსკვიჩი“, უკან რომ ოთხკუთხა, დახურული, კიდობანის მაგვარი ძარა ადგას, მაგრამ მაინც მანქანა იყო, მძღოლი ჰყავდა, ბორბლები ჰქონდა და, რაც მანქანას მოეთხოვება ყველაფერს მშვენივრად აკეთებდა და თუ შესახედაობას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ მიაქცევდით, იმ სპეციფიკური დანიშნულებისათვის, რომელზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, შუშებით შემოღობილ, ღია, ყველა ცნობისმოყვარე თვალისთვის სააშკარაოზე მყოფ მანქანას ასეთი გაუმჭვირვალე კიდობანი სჯობდა.

ასმათი ჯერ მხოლოდ უფროსი ეკონომისტი იყო და თავისი კარიერის ბოლო პუნქტამდე კიდევ დიდი გზა ედო, როცა პირველად მოიტანა შინ რამდენიმე შეკვრა უცხოური კაფელი და ერთი უცხოური უნიტასი. სოლომონს გაუკვირდა. საქმე ისაა, რომ არც კაფელი ჰქონდათ გამოსაცვლელი და არც უნიტასი, ხოლო რაკი მთელი მისი არსება მშობლიური ლიტერატურის სიყვარულში იყო გახსნილი და ამის გამო პრაქტიკული აზროვნება ცოტა მოჩლუნგებული ჰქონდა, ერთბაშად ვერ მიხვდა, რისთვის დასჭირდა ცოლს ამ ნივთების მოზიდვა. როცა გაიგო, გასაყიდად მოეტანა, აღელდა. ოღონდ აქ ისიც უნდა ითქვას, რასაც, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს: სოლომონმა ყრუ ტკივილით იგრძნო, რომ მის არსებაში ღელავდა არა მარტო ზნეობრივი აღშფოთება, არამედ (იქნებ უფრო დიდი დოზითაც) შიში, შიში იმისა, რომ ვიღაც პასუხს მოსთხოვდა. თუმცა, როცა თავის აღელვებას გზა მისცა და სიტყვებად ჩამოყალიბებას შეუდგა, აქცენტი, რაღა თქმა უნდა, აღშფოთებაზე გადაიტანა, შიში კი მხოლოდ გაკვრით ახსენა (რაზედაც ასმათმა დამცინავად გაიღიმა). საერთოდ, სოლომონი ისე ვერ ღელავდა და ისე ვერ შფოთავდა, როგორც საჭირო იყო და როგორც აღელდებოდა და აღშფოთდებოდა კიდეც, კაფელი და უნიტასი რომ ცხვირწინ არ ჰქონოდა და საკითხი მხოლოდ თეორიულ პლანში ყოფილიყო გადასაწყვეტი. ალბათ ამანაც იმოქმედა, რომ ცოლ-ქმრის შეხლა-შემოხლა დიდხანს არ გაგრძელებულა. მას შემდეგ, რაც ერთმანეთს

რამდენიმე მოკლე ფრაზა სტყორცნეს, რომლებშიაც ემოცია მეტი იყო, ვიდრე აზრი და რომლებიც უმთავრესად ერთიმეორის სუბიექტურ დახასიათებას წარმოადგენდა, ასმათმა დონჯი მრისხანედ შემოიყარა და ამ მრისხანებასთან შეუთანხმებელი წყნარი, ჩუმი, ლამის საწყალობელი ხმით თქვა:

— ბატონი ბრძანდები. შენა ხარ ოჯახის უფროსი და, როგორც მეტყვი, ისე ვიზამ. ახლა რაღა ეშველება, ამ ერთ ღამეს გაუძელი და ხვალ მოვკიდებ ხელს და, საიდანაც მოვიტანე, ისევ იქ წავიღებ. — დონჯიც რომ არა, ასეთი დასკვნა ისედაც არ გამომდინარეობდა წინამავალი საუბრიდან, ამიტომ სოლომონი ცდუნებას არ აჰყოლია და თავისი გამარჯვება არ დაუჯერებია, მით უმეტეს, რომ გულის შორეულ სიღრმეში გრძნობდა, რომ გამარჯვების შანსი თითქმის არ ჰქონდა (რადგან კიდევ უფრო შორეულ სიღრმეში, ვინ იცის, ეგებ არც უნდოდა ჰქონოდა). მართლაც ასმათმა თავისი სიტყვა ასე დაასრულა: — სულ მივატოვებ ამ ოხერ სამსახურს, ბავშვებს მაინც მივხედავ (ამ დროს უკვე სამი შვილი ჰყავდათ). ქალი სახლში უნდა იჯდეს და შვილებს ზრდიდეს. ოჯახს კაცი უნდა არჩენდეს. — აქ წამით შეყოვნდა, თითქოს ვითარება აწონ-დაწონაო, მერე დაუმატა, — მე შენ გეტყვი, ვერ გვაცხოვრებ შენი ხელფასით!

სოლომონს ეს სიტყვები ემწარა, მაგრამ არც ისე, როგორც მოსალოდნელი იყო, რადგან ახლა იმასაც მიხვდა, რომ შვიდი წლის მანძილზე, რაც ერთად ცხოვრობდნენ, ამ სიტყვებს წინ უამრავი სხვა სიტყვა უძღოდა, რომლებისთვისაც აქამდე ყურადღება არ მიუქცევია და რომლებიც ამ უყურადღებობის წყალობით, კიდევ უფრო მუყაითად მუშაობდნენ და კიდევ უფრო ბეჯითად ამზადებდნენ საბოლოო სათქმელს. ამიტომ აღარც იმის განცდა გამოდგა ახლა ძალიან მწვავე, რომ სოლომონს, თურმე, რა ხანია უკვე ოჯახის უფროსობა ჩამორთმეული ჰქონდა, ეკონომიკის სადავეები ასმათს ეპყრა ხელთ და ახლა მხოლოდ იმაზედა იყო ლაპარაკი, რომ იდეოლოგიური სადავეებიც აეღო, რაც ეკონომიკურ ბატონობას ადრე თუ გვიან უეჭველად უნდა მოჰყოლოდა.

და სოლომონი გაჩუმდა, ხოლო რაკი სოლომონი გაჩუმდა, მშვიდობიანობაც ჩამოვარდა და ცოტა ხნის შემდეგ ასმათმა უკვე ტკბილად, დაყვავებით და დამაჯერებლად აუხსნა ქმარს, რომ მის საქციელში საძრახისი არაფერი იყო: როგორც ცნობილია, ადგილობრივი პროდუქცია ძნელად საღდება. ეს ამბავი, რაღა თქმა უნდა, ზემოთაც კარგად იციან. ამიტომ გეგმის შესასრულებლად გაერთიანებას დროდადრო უცხოურ საქონელს აწვდიან. ამ საქონელს, რომლის ეგრეთწოდებული „თავისი ფასი", დავუშვათ, ასი მანეთია (რეალური ფასები სოლომონის თავში მალე აირ-დაირია, ამიტომ მხოლოდ შეფარდებები დაიხსომა), რაღაც მანქანებით ხელთ იგდებს გადამყიდველი და ყიდის სამას მანეთად. საქონელზე მოთხოვნილება დიდია და მუშტარი, ოღონდაც იშოვოს და, სიამოვნებით იხდის ამ თანხას. ასეთ ვითარებაში ასმათი სრულიად კანონიერად და ოფიციალურად ყიდულობს ამ საქონელს თავისი გაერთიანების მაღაზიაში, იხდის ას მანეთს, მოაქვს შინ და რომელიმე თავის ახლობელს აძლევს ორას მანეთად. ამ უმტკივნეულო კომბინაციით არა მარტო ასმათი იგებს ას მანეთს, არამედ მუშტარიც. მას ხომ ორასი მანეთი დაუჯდა ის, რაშიც უყოყმანოდ გადაიხდიდა სამას მანეთს! განა ცუდია, ადამიანს, რომელსაც, ვინ იცის, როგორ უჭირს, ასი მანეთი გადაუნარჩუნო? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლაცაა, რამდენადაც შავ ბაზარზე ფასების დაცემას უწყობს ხელს. ერთი შეხედვით, თითქოს ამგვარ ოპერაციას

არც ისე კარგი სუნი უდის, მაგრამ, დავუშვათ, ასმათმა არ წამოიღო ეს საქონელი და სარეალიზაციოდ გაუშვა. რა მოხდება? იმდენი რომ იყოს, მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს, კაი დაგემართოს, ყველაფერი რიგზე იქნებოდა, მაგრამ ამდენი არ არის. ამიტომ იგი უეჭველად რომელიმე გადამყიდველს ჩაუვარდება ხელში და, ვისაც ასმათის წყალობით ორასი მანეთი დაუჯდებოდა, ახლა სამასი მანეთი დაუჯდება. ისიც, თუ იშოვა.

ასეთი აღმოჩნდა საქმის ვითარება. და თუმცა სოლომონი გრძნობდა, რომ ამ უცნაური ლოგიკის უკან რაღაც შეუსაბამობა იმალებოდა, მაგრამ ფიქრის დრო აღარ დარჩა, ვინაიდან რვეულები ჰქონდა გასასწორებელი.

იმ დღიდან მოყოლებული სოლომონის სახლში (ხოლო სამი წლის შემდეგ, უკვე ასმათის სახლში, რადგან ძველი ბინა ჩააბარეს, ხოლო ახალი, რომელშიაც ამჟამად ცხოვრობდნენ, ასმათმა მიიღო და, ცხადია, მის სახელზე გაფორმდა) უნიტასი ინტერიერის განუყოფელ ნაწილად იქცა. როდესაც ასმათმა ახლობლები და მეზობლები (ჯერ ძველ და მერე ახალ ბინაში) მოილია, იძულებული შეიქნა მოქმედების არე გაეფართოებინა. ამ მიზნით დაუკავშირდა ერთ მეზობელს, რომელიც ქვედა სართულზე ცხოვრობდა და სანეპიდსადგურში მსახურობდა მღრღნელებისა და ტარაკანისმაგვართა განყოფილებაში, შავი, პატარა ქალი იყო, გამხდარი, მოუსვენარი და მოძრავი. ერთთავად დარბოდა და დასუნსულებდა, თან სხეული ისე დაჰქონდა, გეგონებოდათ, ფართხალებსო. გაჩერებული რომ დაგენახათ, ვერც კი მოასწრებდით იმის შემჩნევას, რომ გაჩერებული იყო, თითქოს თქვენი გამოჩენის შეეშინდაო, ერთბაშად აკრეფდა სიჩქარეს და უეცრად გასუნსულდებოდა გაურკვეველი მიმართულებით. როცა მათსა ამოვიდოდა (ამოსვლით კი უკვე ხშირ-ხშირად ამოდიოდა), სოლომონს არაერთხელ წაუსწრია საკუთარი თავისთვის და გაკვირვებით გაუცნობიერებია, რომ თურმე, სულ იმის მოლოდინში იყო, ან ახლა შეძვრება კარნიზის ქვეშ და ან ახლაო. ეს ქალი ორი რამით იყო მეზობლებში ცნობილი: ერთი, სამსახურში საწამლავს იპარავდა და უბანში მცირე გასამრჯელოს ფასად კერძო ტარაკანებს სპობდა, და, მეორე, დროდადრო უცხო ქალაქებშიც დასუნსულებდა, რაღაც-რაღაცები ჩამოჰქონდა და ჰყიდდა. სახელად ლუბა ერქვა. ასმათის უნიტასებისათვის ახალი სავაჭრო გზების გაჭრა სიამოვნებით იკისრა. იკისრა და, როგორც იტყვიან, შეასრულა კიდეც. ასმათს თავის, პირობითად რომ ვთქვათ, ას მანეთს მუდამ პატიოსნად აბარებდა, თავად რამდენს იგებდა, არავინ იცის, ყოველ შემთხვევაში, ენთუზიაზმის გამო, ცხადია, ასეთ საქმეს ხელს არ მოჰკიდებდა.

ამის შემდეგ, როგორც ეს ხშირად ხდება, როცა ადამიანებს საერთო საიდუმლო დააკავშირებს, ლუბა, ეს პატარა მღრღნელი, ისე შეეჩვია და გაუშინაურდა ასმათისა და სოლომონის ოჯახს, რომ, უნიტასისა არ იყოს, მალე ინტერიერის შემადგენელი ნაწილი გახდა. დროს იშოვიდა თუ არა, მაშინვე ამოსუნსულდებოდა. ხან მურაბის რეცეპტი ამოჰქონდა, ხან მწნილის რეცეპტი მიჰქონდა, ხან ისე, სამუსაიფოდ ამოვიდოდა. თავიდან სოლომონი ვარაუდობდა, რომ ლუბა ტარაკანისგან უნდა ყოფილიყო წარმოშობილი, მაგრამ მერე, როცა თავად ლუბამ მისცა პირველი ბიძგი მისი სამი უმნიშვნელოვანესი დაკვირვებიდან ერთ-ერთს, კერძოდ იმას, რომელიც დარვინის მოძღვრებას ეხებოდა, სოლომონი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქმე პირიქით იყო, ტარაკანი წარმოიშვა ლუბასაგან და არა ლუბა ტარაკანისაგან. თვითონ სოლომონს რაც შეეხება, მართალია, იმ საუბრის მერე, რამაც საბოლოოდ მოჰფინა ნათელი მისი ეკონომიკური და შესაბამისად იდეოლოგიური დამოუკიდებლობის დაკარ-

გვას, პროტესტს ხმამაღლა ვეღარ გამოთქვამდა, მაგრამ თავის გულში ასმათის საქმიანობას არასოდეს შერიგებია. ერთი ხანობა გადაწყვიტა ბავშვები მაინც გაეზარდა ისე, რომ ამ მაცდურ ქსელში არ მოჰყოლილიყვნენ. მაგრამ ვერ მოახერხა. არა იმიტომ, რომ ასმათი იყო ამის წინააღმდეგი. პირიქით, ასმათი მოხარული იქნებოდა, სოლომონი თუ თავის გადაწყვეტილებას შეასრულებდა, რადგან ადამიანმა, რა გზასაც არ უნდა ადგეს, მშვენივრად იცის, კარგი რა არის და ცუდი რა არის (სხვათა შორის, სწორედ ესაა მათი აქილევსის ქუსლი და არა შიში, როგორც მიამიტურად ვფიქრობთ) და ასმათმა გულის სიღრმეში (ხოლო ნათელ წუთებში გულის ზედაპირზეც) იცოდა თავისი საქმიანობის ფასი და ერჩივნა შვილები მისი გავლენის არეში არ მოქცეულიყვნენ. მაგრამ საქმე ის იყო, რომ, როდესაც სოლომონმა გადაწყვიტა ბავშვები ისე გაეზარდა, ცუდ გზას არ დასდგომოდნენ, უბრალოდ არ იცოდა, კონკრეტულად რა შინაარსი იდო ამ ზოგად და გვარიანად ბუნდოვან სიტყვაში „ისე."

ცხოვრება კი ამასობაში ასმათის ხაზს მიჰყვებოდა. და თუმცა ხაზის დასაწყისში არავითარი საამისო ნიშანი არ ჩანდა და, ვინმეს რომ ეწინასწარმეტყველა, სოლომონი დიდად გაკვირვებული დარჩებოდა, ფაქტი ის არის, რომ ამ ხაზმა ერთ მშვენიერ დღეს კონსპირაციამდე მიიყვანა. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ, თუ დავუკვირდებით, ლოგიკის მრუდი, კერძოდ, ფსიქოლოგიური ლოგიკის მრუდი, სწორედ აქეთკენ მიდიოდა: სოლომონს, როგორც უკვე ითქვა, მთელი ქართული ლიტერატურა დიდი სიყვარულით უყვარდა. თუმცა რჩეულებიც ჰყავდა. რჩეულთა შორის რჩეული კი ილია ჭავჭავაძე იყო, ვინც თავგანწირვით იბრძოდა ყველა ეროვნულ ფრონტზე, თანაც, სოლომონის აზრით, მრავალთაგან განსხვავებით, იმიტომ კი არ იბრძოდა, რომ ერის წინამძღოლი გამხდარიყო, არამედ იმიტომ გახდა ერის წინამძღოლი, რომ იბრძოდა. რა თქმა უნდა, სოლომონს იმის პრეტენზია არა ჰქონია, ილია ჭავჭავაძის სიმაღლეებს შეჰპოტინებოდა, ან მასთან სულიერი კავშირი ეპოვა (და, საერთოდ, სოლომონი უპრეტენზიო კაცი იყო), უბრალოდ, ცდილობდა მისი ცხოვრების მაგალითზე საკუთარი გადაწყვეტილებანი და ნამოქმედარი შეემოწმებინა, რადგან ეს ცხოვრება ვეება სულიერი ეკრანი იყო და ყველა გადაწყვეტილება და ყველა მოქმედება იქ ჭეშმარიტ სახესა და ჭეშმარიტ ღირებულებას იძენდა. ამ მხრივ სოლომონი ზოგჯერ ცოტადაც შეტოპავდა ხოლმე. მაგალითად, როცა სახლში სანტექნიკური ბუმი დაიწყო, გვარიანად მკრეხელური, თუმცაღა სავსებით ბუნებრივი კითხვა დაებადა: ილია ჭავჭავაძე რომ მის დღეში ჩავარდნილიყო, რას იზამდა? ამ კითხვაზე სოლომონმა პასუხი ვერ იპოვა, რადგან ასეთი ვითარების წარმოდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა. შეუძლებელი აღმოჩნდა არა იმიტომ, რომ ის ილია ჭავჭავაძე იყო, არამედ სხვა, გაცილებით უფრო დიდი და ღრმა მიზეზის გამო, რომელსაც სოლომონი თუმცა კი გრძნობდა, მოხელთებასა და აზრად ჩამოსხმას ვერ უხერხებდა. ერთი სიტყვით, ილია ჭავჭავაძე რჩეულთა შორის რჩეული იყო. სოლომონს განსაკუთრებით მისი პუბლიცისტური წერილები უყვარდა. ბევრი მათგანი ზეპირად იცოდა, და ყველას, მათ შორის იმათაც, რომლებიც ზეპირად იცოდა, ჟამიდან ჟამზე, განსაკუთრებით ისეთ დროს, როცა ამა თუ იმ მიზეზის გამო ამბოხის გუნებაზე დგებოდა, მიუბრუნდებოდა და ისეთი ჯიბრიანი სიამოვნებით ჩაუღრმავდებოდა, თითქოს ვიღაცის ჯავრს იყრიდა ან ვიღაცას ნიშნს უგებდა. იმ დღეს სწორედ „ქუთაისის ბანკის საქმეს" კითხულობდა, როცა ასმათის

ფეხის ხმა მოესმა და ამ ხმის გაგონებაზე გადაშლილი რვეული, რომელიც იქვე ედო, გვერდით, სწრაფად დააფარა წიგნს, თან კალმისტარი მოიმარჯვა და ისეთი სახე მიიღო, თემების გასწორებისას რომ ჰქონდა ხოლმე. როგორც კი თავისი საქციელი გააცნობიერა, წამსვე მიხვდა, რომ რვეულიცა და კალმისტარიც წინდაწინ ჰქონდა მომზადებული და, საერთოდ, ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა ასმათის გამოჩენაზე რომ წიგნს მალავდა. სოლომონს ეს ამბავი ცოტა გაუკვირდა. იქნებ უნდა შემცბარიყო კიდეც, მაგრამ არ შემცბარა, რადგან ეს იგივე შენელებული მეხი იყო, რომელსაც ყური ვეღარ აღიქვამს. გაკვირვებითაც მხოლოდ იმიტომ გაუკვირდა, რომ ასმათს არასოდეს მისთვის წიგნის კითხვა არ აუკრძალავს. როგორც ჩანს, სოლომონს თავად გამოუტანია დასკვნა, რომ, იმ დროს, როდესაც ცოლი ოჯახზეა გადაგებული და ყველაფერი ოჯახის სამსხვერპლოზე მიაქვს, ქმრის მხრივ, მეტი რომ არა ვთქვათ, უხერხულია ისეთი რამის კეთება, რასაც უშუალო მატერიალური სარგებლობა არ მოჰყვება.

გაცნობიერებას შედეგი არ მოუტანია, არც ავი, არც კარგი. და სოლომონმა არალეგარული მუშაობა განაგრძო, რისთვისაც წარმატებით იყენებდა მოსწავლეების რვეულებს. რვეულების სწორების გამო, თუნდაც ამ საქმეში ღამეები ეტეხა, ვერავინ დაძრახავდა, დიდი-დიდი ასმათს ცოტა კომიკური მოჩვენებოდა შეფარდება შრომასა და ანაზღაურებას შორის და ამის თაობაზე რამე გესლიანი შენიშვნა გამოეთქვა.

საკვირველი კი იყო, მაგრამ ასმათი, რაც უფრო წინ მიიწევდა სამსახურებრივი კარიერის გზაზე, მით უფრო სანდომიანი ხდებოდა, თუმცა არავითარ პარფიუმერიასა და სხვა ხელოვნურ საშუალებებს არ იყენებდა. თითქოს უფრო მაღალი და ტანადიც კი გამოჩნდა. ამან სოლომონი იმ აზრამდე მიიყვანა, რომ თანამდებობა ადამიანს ალამაზებს. იქნებ ასეცაა (და, საერთოდ, ულამაზო ქალს ლამაზი ქალი ერჩივნა), მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ასმათის წინსვლისა და შესაბამისად გალამაზების კვალობაზე, რატომღაც თანდათან კნინდებოდა სოლომონის მამაკაცური გამბედაობა, რის გამოც ინიციატივამ ღამეულ საქმიანობაშიც ასმათის მხარეს გადაინაცვლა და სოლომონს ოდენ პასიური (ხანდახან გაბოროტებულად პასიური) მომლოდინის როლიღა შერჩა.

ხოლო თქმა იმისა, რომ თავის სასკოლო სიხარულსა და გულისტკივილს ცოლს უკვე ვერც დღე და ვერც ღამე ვეღარ უზიარებდა, ალბათ ზედმეტიც კია.

საბოლოოდ სოლომონი დაემსგავსა მდინარის ფსკერზე, თეთრი ლოდის ძირას ჩაგუბებულ პატარა მორევს, რომელიც ფორმალურადღაა მდინარის ნაწილი, რადგან, როდესაც მდინარე თავზე გადაუვლის და ხმაურით წავა, ამ დინებას არც აფერხებს და არც მიჰყვება, თავისთვისაა შეყუჟული ლოდქვეშ, ხვალდახუჭულია, გატრუნული და, თუ ზაფხულის თბილი ნეტარება ვეღარ ახარებს, ვეღარც ზამთრის სუსხიანი ტკივილი აღონებს, თუ ერთ ადგილზე დგომით ობს მოიკიდებს, ისე ნელ-ნელა მოიკიდებს, ვერც კი მიხვდება, რომ ობი მოიკიდა, თუ ცოტ-ცოტაობით თეთრ ლოდს ძირს უთხრის, ამას თავისდაუნებურად სჩადის და ამიტომ არც ეძრახვის და არც მოეკითხება.

ეს შედარება ეგებ ზედმეტად მძაფრია და, რახან სოციალურად შეზღუდულია, მაინცდამაინც ვერც სიზუსტეს დაიკვეხნის; სინამდვილეში, სანამ ცოცხალი ვართ, გვინდა თუ არა, ამ ფაქტს ანგარიში უნდა გავუწიოთ. ამიტომ, მას შემდეგ, რაც ოჯახის ძაფები დაუწყდა და შვილებისაკენ მიმავალი გზებიც დაკარგა, სოლომონმა მთავარი სასიცოცხლო აქცენტი სკოლაზე გადაიტანა.

როგორც უკვე ითქვა, სკოლაში (ცხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია, სკოლის გარეთაც) სოლომონს მეგობრები არა ჰყოლია. სამაგიეროდ სკოლაში მოქმედებდა ერთგვარი დაუწერელი ეთიკური კანონი, რომელიც მოითხოვდა, რომ მასწავლებლებს ერთიმეორის არსებობა ეღიარებინათ, ერთიმეორის რეპუტაციას მოფრთხილებოდნენ და ერთიმეორის მიმართ, რამდენადაც ამის საშუალებას ცხოვრება იძლეოდა, თავაზიანობის ნორმები დაეცვათ. მართალია, ეს კანონი, როგორც კანონის წესია, მხოლოდ ზედაპირს ეხებოდა და არა არსს, სოლომონს იგი მაინც სავსებით აკმაყოფილებდა. ცხოვრება ჭრელია და, რაღა თქმა უნდა, ეს სიჭრელე აქაც იჩენდა თავს, შეხლა-შემოხლაც იყო, ინტრიგებიც, აყალ-მაყალიც, მაგრამ მთავარი დოზაა, მაქსიმალისტური მოთხოვნები კი სოლომონს პრაქტიკული ცხოვრების მიმართ არასოდეს ჰქონია. სამასწავლებლოში ხშირად სულიერადაც ისვენებდა. აქ ხშირი იყო საუბარი საკაცობრიო საკითხებზე, მნიშვნელოვან თემებზე, სულზე, მაღალ მატერიებზე. ჭორაობაც კი აქ უფრო ნატიფი და სასიამოვნო მოსასმენი იყო. ამ მხრივ, ეჭვი არაა, სოლომონის კოლეგები გაცილებით სჯობდნენ „ოქროს საწმისის“ ხმაურიან და ტლუ თანამშრომლებს, რომლებსაც ასმათი ზოგჯერ წვეულებას გაუმართავდა ხოლმე და რომელთა ინტელექტუალური და სულიერი დონე სოლომონს ყოველთვის ნაღვლიან გუნებაზე აყენებდა. ლუბაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ლუბა ნაღვლიან გუნებაზე არ აყენებდა. ლუბა აღიზიანებდა. აღიზიანებდა არა იმიტომ, რომ ჩახლეჩილი, რაღაც უწმაწური ხმა ჰქონდა და ამ ხმით ხშირად უწმაწურ აზრებსაც გამოთქვამდა, არამედ იმიტომ, რომ საერთოდ ლაპარაკობდა. სოლომონს რატომღაც მიაჩნდა, რომ ლუბას მეტყველების უნარი არ უნდა ჰქონოდა, დარწმუნებული იყო, მისგან რომ მხოლოდ ღმუილი და დაუნაწევრებელი ბგერები მოესმინა, ასე არ გაღიზიანდებოდა.

მოსწავლეებთან ურთიერთობა წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა და უკვე რა ხანია საბოლოო, დასრულებული, ინერციული სახე მიიღო. პედაგოგის პირვანდელ თეორიულ მოდელში, რომელიც გაჟღენთილი იყო ახალგაზრდობისათვის (მაშინდელი ახალგაზრდობისათვის) დამახასიათებელი იდეალიზმით, ცხოვრებამ საჭირო ცვლილებები შეიტანა, ჭრელა-ჭრულა კვირტები მოაშორა, უნიადაგო იდეალიზმის მყიფე შრეები გამოაცალა, დაწნეხა და პრაქტიკული, გამოყენებითი სახე მისცა. ეს იყო ჩვეულებრივი და გავრცელებული, მაგრამ ამავე დროს, თუკი შეეგუებოდი და რაღაც ისეთს არ მოინდომებდი, რაც კოორდინატებში არ ეტევა, მყარი, უტყუარი და უღალატო მოდელი. სოლომონი შეეგუა, რადგან უკიდურესობას არც ერთ მხარეს არ ესწრაფოდა. იგი არ მიეკუთვნებოდა ეგრეთ წოდებული „საყვარელი მასწავლებლის“ კატეგორიას (თუკი ასეთი კატეგორია მართლა არსებობს და იგი პირველკლასელებს არ მოუგონიათ, რომელთაც დედა ენატრებათ და, ეს ნატვრა რომ ილუზიურად მაინც აიხდინონ, უნებურად ჩანაცვლების მეთოდს მიმართავენ), მაგრამ არც იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, სკოლაში რომ შემთხვევით აღმოჩნდება. სოლომონი ბუნებით პედაგოგი იყო. მშობლიური ლიტერატურა, გარდა იმისა, რომ ძალიან უყვარდა, კარგადაც იცოდა და ცდას არ აკლებდა, რომ მოსწავლეებისთვის თავისი ცოდნა გადაეცა და თავისი სიყვარული გადაედო. სიყვარულის გადადება, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ძნელდებოდა. ბავშვები იცვლებოდნენ. თაობები სოლომონის თვალწინ მიაბიჯებდნენ და სოლომონი ნათლად ხედავდა ცვლილებებს, რომლებიც უმთავრესად ინტელექტუალური და ფსიქოლოგიური ხასიათისა იყო. ერთი მხრივ, გაცილებით

უფრო გონიერი, უფრო ფხიზელი, უფრო მომწიფებული, უფრო ორიგინალური და ინდივიდუალური აზროვნების მქონე ბავშვები მოდიოდნენ, მეორე მხრივ (შესაძლებელია, სწორედ ამ მიზეზით), ძალიან ადრე იბერტყავდნენ რომანტიკულ ყვავილებს (რასაც ზოგჯერ რომანტიკულ ბურბუშელასაც ვუწოდებთ ხოლმე), უფრო რეალისტები ხდებოდნენ, უფრო სკეპტიკოსები, ავტორიტეტების ნაკლებად სწამდათ, მასწავლებლებს ბრმად აღარ ენდობოდნენ, ხშირად მათ ცოდნას და გემოვნებას კრიტიკულად ეპყრობოდნენ და საკუთარი საზომებით ამოწმებდნენ. დროდადრო ეს პროცესი იმდენად მძაფრი იყო, რომ სოლომონი, რომელიც თავისი საგნის მიხედვით მსჯელობდა, აშკარად და გარდაუვალად მოელოდა ლიტერატურულ ღირებულებათა გადაფასებას და მერე, წლები რომ მაშინდელ მოსწავლეებს მოწიფულ ხალხად აქცევდა და მოსალოდნელი გადაფასება კი არსად ჩანდა, უკვირდა და გულში ფიქრობდა, ნეტა ის ბავშვები რა იქნენ, რომ ხმას აღარ იღებენო.

მოსწავლეები არც სოლომონის დიდ სიყვარულს იზიარებდნენ და ზოგჯერ ისეთ სუსტ ადგილებს გაიხსენებდნენ მასწავლებლის სათაყვანებელ მწერალთა ნაწარმოებებიდან, რომლებიც, ერთი მხრივ, შეგნებულ სკეპტიციზმზე მიუთითებდა, საკუთარი შეხედულების გამართლებას რომ ყოველგვარი საშუალებით ცდილობს, მეორე მხრივ კი, მიზნად ისახავდა მასწავლებლის გამოცდას და შეძლებისდაგვარად „ჩაჭრასაც“, და ამ მიზნით, იმ დროს, როცა გაკვეთილი არ იცოდნენ, ციტატები ყველაზე ნაკლებ ცნობილი ნაწარმოებებიდან მოჰქონდათ. მადლობა ღმერთს, სოლომონი ზოგ-ზოგებს არ ჰგავდა, სასკოლო პროგრამის ფარგლებში რომ არიან გამომწყვდეულები. სოლომონმა საგანი ვრცლად და ღრმად იცოდა და მისი „ჩაჭრა“ იოლი არ იყო, თუმცაღა ვერც იმას დაიკვეხნიდა, თითქოს მოწაფეების სკეპტიციზმს შერყევას უხერხებდა.

ფარ-ხმალს მაინც არ ჰყრიდა, მაინც ცდილობდა მშობლიური მწერლობის სიყვარული გაეღვივებინა ბავშვებში, რადგან ამ სიყვარულის მართებულობა მისთვის წმინდა და შეუვალი ჭეშმარიტება იყო. ზოგჯერ, დამატებითი ბიძგების ძებნაში, საქართველოს ისტორიაზეც დაიწყებდა ხოლმე საუბარს, (რასაც ბავშვები კმაყოფილებით ხვდებოდნენ, რადგან ასეთ დროს სოლომონს ხშირად ახალი მასალის ახსნელად დრო აღარ რჩებოდა). ერთხელ გაბედული ექსპერიმენტი ჩაატარა, რომელიც კრახით დასრულდა: სოლომონმა ერთი ლექსი იცოდა, ბავშვობაში გაიგონა თავისი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისაგან და სამუდამოდ დაამახსოვრდა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ლექსი სადა იყო, ნათელი, ადვილი დასაზეპირებელი და სათქმელს ცხადად და მიუკიბავ-მოუკიბავად ამბობდა, არამედ იმიტომაც (ამას გვიან მიხვდა), რომ, იმ დროს, როცა მასწავლებელმა სოლომონსა და მის თანაკლასელებს ეს ლექსი უთხრა, მისი პათეტიკა სავსებით ბუნებრივი იყო და მის ეროვნულობას კოპწიაობის არავითარი დაღი არ ესვა, რადგან მთქმელიცა და მსმენელებიც ერთსა და იმავე განზომილებაში იმყოფებოდნენ. სოლომონს მთელი თავისი მასწავლებლობის მანძილზე, თითქოს ტანში ეშმაკი უზისო, არ ასვენებდა იმის სურვილი, რომ ეს სცენა გაემეორებინა. გრძნობდა, სხვა დრო იყო, და გაბედვა უჭირდა, მაგრამ უთქმელობაც აწვალებდა, ამიტომ გამუდმებით ემზადებოდა და ხელსაყრელ დროს ეძებდა. გასულ წელს ბოლოს და ბოლოს გაბედა, მაგრამ ამდენ ჭოჭმანსა და რჩევა-რჩევაში, როგორც ჩანს, საამისოდ ყველაზე ნაკლებ ხელსაყრელი დრო აირჩია. იმ დღეს მეცხრე კლასში ახალი ქართული სალიტერატურო ენის შესახებ ჰქონდა საუბარი. როდესაც ამ საქმეში ილია ჭავჭავაძისა და აკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი წერეთლის დამსახურებაზე ილაპარაკა, შეუმჩნევლად გასცდა საკითხის კონკრეტულ რკალს, ცოტა როლშიც შევიდა, შთაგონების მაგვარი რაღაც იგრძნო, უეცრად მიხვდა, რომ სწორედ ახლა იყო ის ხელსაყრელი დრო, რომელსაც თითქმის ორმოცი წელი ელოდა, აღელდა, გული აუძგერდა, თვალზე თხელი ბურუსი გადაეფარა (რის გამოც ფოკუსი აერია და კლასს ბუნდოვნადღა ხედავდა) და საუბარი ასე დაასრულა:

— ...მათი ღვაწლი განუზომელია არა მარტო ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებაში, არამედ საზოგადოდ ქართული კულტურის აღორძინებაში. ეს სახელები წმინდა სახელებია, ან, როგორც პოეტი იტყოდა:

ილია და აკაკი,
აკაკი და ილია,
ამისთანა სახელები
თაფლზე უფრო ტკბილია.

კლასში წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და სოლომონმა იგრძნო, რომ გულმაც ძგერა შეწყვიტა. ხოლო მეორე წამს ბოლო მერხიდან (მარცხენა რიგში), სადაც მსუქანი დათეშიძე იჯდა, მკაფიოდ, თითქმის დამარცვლით გაისმა საპასუხო ლექსი:

— სოლომონ ბრძენი
სუპერმენი!

სოლომონი ორივე ხელით დაეყრდნო ჭიებისგან დაჭმულ, დაფუტუროებულ მერხს, მძიმედ წამოდგა, ხელები ზურგსუკან დაიწყო, ტანიც ოდნავ უკან გადაზნიქა და დინჯი, დარბაისლური ნაბიჯით გაუდგა გზას. არავითარი წინათგრძნობა არა ჰქონია. საერთოდ, წინათგრძნობა მისთვის უცხო ხილი იყო: თვალით არ ენახა, ყურით არ გაეგონა, გემოთი არ გაესინჯა და, როგორც ჩვევია ხალხს, ვინც ასეთ საკითხებში მხოლოდ საკუთარ გამოცდილებას ეყრდნობა და საზომად მხოლოდ საკუთარ თავს იყენებს, არც სჯეროდა მისი არსებობა.

ზარს გასცდა, ქუჩა ჩაათავა და პატარა, ვიწრო ჩიხში შეუხვია, რომლის ბოლოშიაც სკოლა იდგა.

სკოლის დანახვაზე ისე აუჩქროლდებოდა ხოლმე გული, როგორც პაემანზე დაგვიანებულ ქალს შეიძლება აუჩქროლდეს შეყვარებულის დანახვაზე, რომელიც ნერვიულობს, ტუჩებს იკვნეტს, წამდაუწუმ საათზე იყურება, მაგრამ მაინც დგას და ელის. ამ ჩიხში რომ შემოუხვევია და ეს აგურით ნაგები, სამსართულიანი კოხტა შენობა დაუნახავს, რამდენჯერ დარდი გადაჰყრია და ამღვრეული გუნება დასწმენდია. სკოლა სოლომონისთვის ეკლესია იყო, რომელიც სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად არსებობდა და ამიტომ ასმათს მასთან ხელი არ ჰქონდა. ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ცოლი მის სასკოლო საქმეებში ჩაერია. ეს ამბავიც გასულ წელს მოხდა. ზამთრის პირი იყო. ასმათი სამსახურიდან უგუნებოდ დაბრუნდა. კარგა ხანს უმიზნოდ იწრიალა, როგორც გალიაში გამომწყვდეულმა ძუ ვეფხვმა, ბოლოს სოლომონს მიუახლოვდა და უთხრა, ერთი სათხოვარი მაქვს და უსიტყვოდ უნდა შემისრულოო. სოლომონს გულმა რეჩხი უყო. „ოქროს საწმისის" დირექტორის მოადგილე უმნიშვნელო საქმის გამო მის წინაშე თავს არ დაიმცირებდა და, საერთოდ, სოლომონს აღარც კი ახსოვდა, მას შემდეგ, რაც ბრძანების უფლება მოიპოვა, ასმათს მისთვის რამე ეთხოვოს. ასმათმა სოლომონს დამშვიდება აცალა, ამასობაში თვითონ, თავი მისცდებაო და, წამალი დალია და მერე სწრაფად, ერთბაშად, მოკვეთით უთხრა, შენს ერთ მოწაფეს ნიშანი უნდა აუწიოო. სოლომონმა შორს დაიჭირა, არც კი უკითხავს რომელ მოწაფეზე იყო ლაპარაკი. ასმათმა მაშინვე დაანება თავი, მაგრამ კვნესას უმატა. სოლომონი ვერ მიხვდა, კვნესა მეთოდი იყო თუ მართ-

ლა ასე აწუხებდა ტკივილი, ყოველ შემთხვევაში, არ დაუჯერებია, რომ იმას, რისთვისაც ქმრის წინაშე თავის დამცირება მოუხდა, ეგრე იოლად დათმობდა. ეჭვი სულ მალე გაუმართლდა. კვნესა მეთოდი გამოდგა, უფრო სწორად, შესავალსა და მეთოდს შორის გადებული ხიდი. თვითონ მეთოდი სწორხაზოვანი რისხვა იყო, რომელიც სოლომონს ირონიით შეზავებულ მეხად დაატყდა თავს (წმინდანი! მამა აბრამის ბატკანი! ქათქათა ხელები არ დაგილაქავდეს! მე ნემსის ყუნწში უნდა გავძვრე, ეკლებზე უნდა ვიარო და ათასი მამაძაღლობა ჩავიდინო, რომ ოჯახი შევინახო, არ მოგვშივდეს და არ მოგვწყურდეს, ეს კი ფეხიფეხშემოდებული უნდა იჯდეს, ხელში თავისი ქეციანი პატიოსნება ეჭიროს და მარაოსავით ინიავებდეს. მაგრა მოუჭი ხელი, არავინ მოგტაცოს! შენ იმას როგორ იკადრებ, მოწაფეს ერთი ნიშანი აუწიო! აბა მე კი არ მგევხარ! მე მიხარია ყოველ საღამოს ლუბასნაირ ვიგინდარებთან ჭუკჭუკი, უნიტასების თრევა და სირცხვილის ოფლის წურვა. ან როგორ ჩერდები ასეთ ქალთან! მე რომ შენს ადგილას ვიყო, ჩემისთანა ცოლს ერთს გემოზე გავასილაქებდი, რომ ჭკუა ესწავლა და თავის ტყავში დატეულიყო. მაგრამ შენ ამას არ იზამ. ეს რომ ქნა, მერე პატიოსნებას ვიღასი ფულით იყიდი!..)

— რა გვარია? — შეაწყვეტინა სოლომონმა, რომელმაც იგრძნო, რომ ცხრაკლიტულის საგულდაგულოდ ჩაურდულებული კარი იღებოდა, და იმის წარმოდგენაზე, თუ რა სანახაობა ელოდა ხახადაღებული უფსკრულის ძირას, ტანში გააცია.

— ყურაშვილი, — სწრაფად შეცვალა კილო ასმათმა, — ვარლამ ყურაშვილის გოგოა. მამამისი თავისი სარევიზიო ჯგუფით გუშინდლიდან „ოქროს საწმისში" გვიზის და გვამოწმებს. შესამოწმებელი რა გვჭირს, ყველაფერი აჟურში გვაქვს, მაგრამ ადამიანები ვართ, გამწარებულმა კაცმა თუ მოინდომა, ყოველთვის გამოძებნის ხელმოსაკიდს. არადა, ფრჩხილის ტოლიც თუ იპოვა რამე, შეიძლება ზედ იმხელა მთა დადგას, მთელი გაერთიანება ქვეშ მოიყოლოს. ერთი ნიშანი ყველაფერს წაღმა შემოაბრუნებს.

ყურაშვილის ბავშვმა საგანი გამართულ სამიანზე იცოდა. გამართულ სამიანსა და დამაღლებულ ოთხიანს შორის კი აბა რა ისეთი განსხვავებაა, ამდენ დავიდარაბად ღირებულიყო! ეგ კი არა, სოლომონი ზოგჯერ თავადაც ყოყმანობდა, ეგებ ჯობდეს, ოთხიანი დავუწერო. წახალისდება და უფრო ბეჯითად იმეცადინებსო.

ოპერაციამ მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით, რომ ამით დირექტორმა ისარგებლა და ერთი ნიშანი გიგიაძისთვისაც წაამატებინა. დირექტორმა ყურაშვილი ისე ახსენა, გაკვრით, რათა სოლომონისათვის ეგრძნობინებინა, საქმის კურსში ვარო, მოტივად კი ის გამოიყენა, რომ სკოლა სარემონტო იყო და ამ საქმეს გიგიაძის მამის დაუხმარებლად თავი არ მოებმებოდა.

სკოლას ირგვლივ დიდი ეზო ერტყა. წინ ნაძვნარი იყო, რომელსაც ჭიშკრიდან შენობის შესასვლელამდე მოკირწყლული ბილიკი გასდევდა, მარჯვნივ — კალათბურთის მოედანი, სადაც ყოველთვის ფეხბურთს თამაშობდნენ, უკან და მარცხნივ — ეგრეთ წოდებული „დამხმარე მეურნეობა", აქ უმთავრესად კარტოფილი და სიმინდი მოჰყავდათ. შენობა ეზოს შუაგულში იდგა.

სოლომონმა ნელა შეაღო მუხის დიდი, მძიმე კარი. სამივე სართულს ზუსტად ერთნაირი განლაგება ჰქონდა. შესასვლელთან, კიბის ძირას, ორი დერეფანი ემიჯნებოდა ერთმანეთს. ერთი, უფრო მოკლე, პირდაპირ მიდიოდა, მეორე, გრძელი და უფრო ნათელი, ხელმარცხნივ. მოკლე დერეფნების ბოლოში, პირველ სართულზე, ფიზკულტურის დარბაზი იყო, მეორეზე —

სამასწავლებლო და დირექტორისა და მისი მოადგილეების კაბინეტები, მესამეზე კლუბი. გრძელი დერეფნების გასწვრივ საკლასო ოთახები იყო ჩამწკრივებული. დერეფნების ორსავ მხარეს, კედლებზე, ისეთ სიმაღლეზე, რომ მოწაფეები ვერ მისწვდომოდნენ, ეკიდა გამოჩენილ მწერალთა, მეცნიერთა, ხელოვანთა, სპორტსმენთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა პორტრეტები. ზოგი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პორტრეტი, სამივე სართულზე მეორდებოდა. პირველი სართულიდან მეორე და მესამე სართულზე ქვის კიბე ადიოდა, დამრეცი, დაბალსაფეხურებიანი და სასიარულოდ მოხერხებული.

სოლომონი კიბეს შეუყვა. რამდენიმე საფეხური რომ აიარა, ზემოდან ჩქარი ნაბიჯით მომავალი ნუკრი ვაჩეიშვილი შეეფეთა, ფიზკულტურის მასწავლებელი და მთელი სკოლის მოსწავლეთა კერპი. ნუკრი ვაჩეიშვილმა მისალმების ნიშნად დიდი ხელი მსუბუქად შემოჰკრა მკლავზე, ბეჭის ძირას, და თვალებგაბრწყინებულმა უთხრა:

— ნახე, ვერნისაჟამ რა სახინკლე გახსნა? თუმცა შენ სად ნახავდი. ერთი თქვენი რესტორანიც და თქვენი კარგებიცო, თქვა და მიასნიკოვის და წულუკიძის კუთხეში სახინკლე გახსნა. ხომ იცი მერე, რა ჩალიჩა კაცია! თუმცა შენ საიდან გეცოდინება. ხინკალს აკეთებს, იმის დედა ვატირე! მიმქარავს ჯოკონდას ღიმილი! შეხედავ და ტანში გაგბურძგლავს. კოცნა თუ არ მინდოდეს, სანამ პირში ჩავიდებ, დედის სულს გეფიცები! ლუდიც მაგარი აქვს. ორმოცდაათი ცალი შევუკვეთე თორმეტი საათისთვის. ხომ არ წამოხვალ? თუმცა შენ რას წამოხვალ.

ეს ყველაფერი ერთი ამოსუნთქვით თქვა და ისევ ისეთი სწრაფი, ენერგიული ნაბიჯით განაგრძო გზა.

ნუკრი ვაჩეიშვილი თავის დროზე მძიმეწონოსანი მოკრივე იყო და იმ თორმეტ წელს, რომელიც აქტიურ სპორტს შესწირა, ყოველთვის მწარე სინანულით იგონებდა, რადგან, როგორც თვითონ ამბობდა, მაშინ, როცა ისა და სხვა მისი მსგავსი მძიმეწონოსნები ორთქლის აბანოში იხარშებოდნენ და ოფლში ცურავდნენ, რათა ზედმეტი გრამები დაეკლოთ და მერე, რინგზე, უმიზეზოდ და უსასყიდლოდ თავპირს ამტვრევდნენ ერთმანეთს, დანარჩენი საზოგადოება არხეინად შეექცეოდა ხინკალს და ზედ ცივ ლუდს აყოლებდა. ამიტომ, ვეტერანებში გადაინაცვლა თუ არა, მტკიცედ გადაწყვიტა ის გაცდენილი თორმეტი წელი აენაზღაურებინა და წინ წასულებს დასწეოდა, რისთვისაც ყოველ თავისუფალ წუთს სახინკლეში ატარებდა. მართლაც, არათუ დაეწია, მალე ყველა უკან მოიტოვა. ოღონდ იმის შიშით, რომ ამდენ ლუდსა და ხინკალს სპორტული აღნაგობისთვის არა ევნო რა, თითო კათხა ლუდში თითო ჭიქა არაყს ისხამდა ხოლმე. არავინ იცის, მართლა არაყი შველოდა თუ სხვა რამე საიდუმლო ჰქონდა, რომელსაც არ ამხელდა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ქონის ნასახი არ დასტყობოდა, ძველებურად ხმელი იყო, გამართული და სპორტული. ბავშვებს ისე უყვარდათ, სულში იძვრენდნენ. ზოგჯერ ისტორიიდან ან მათემატიკიდან გამოპარულები, იმის მაგივრად, რომ კინოში წასულიყვნენ, მის გაკვეთილს ესწრებოდნენ. ასეთ სიყვარულს სერიოზული მიზეზები ჰქონდა: ჯერ ერთი, ნუკრი ვაჩეიშვილი ძველებურად ფლობდა კრივის ილეთებს და სიამოვნებითაც ასწავლიდა ბავშვებს, მეორე, თავისი სპორტული წარსულიდან ხალისით ყვებოდა ისეთ ეპიზოდებს, რომლებიც რინგს გარეთ, კულისებში, უფრო ზუსტად, სასტუმროს ნომრებში ან მივლინებაში მყოფი ქმრების სახლებში ხდებოდა, და მესამეც, მეტყველებაში არავითარ პირობითობას არა ცნობდა, თანამოსაუბრეებს არასოდეს

ბიბლიოთეკა

ახარისხებდა სქესისა და ასაკის მიხედვით და ისეთ სიტყვებს ხმარობდა მეორე-მესამე კლასის მოსწავლეებთან, რომ ზოგი მათგანის მნიშვნელობის დადგენა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც კი ჭირდა.

სოლომონმა, კიბე რომ აათავა და მეორე სართულზე ავიდა, მარცხნივ, დერეფანში ნატალია დავიდოვნას მოჰკრა თვალი და წამით შეჩერდა, მაგრამ მაშინვე ისევ განაგრძო გზა, რადგან ნატალია დავიდოვნამ, უფრო სწორად, ნატალია დავიდოვნას პიჯაკმა და ქვედა კაბამ ერთი გაიელვა დერეფნის ბოლოში და მარჯვნივ გაუხვია.

იმ დღეს სოლომონს დილის ორი გაკვეთილი ჰქონდა, ერთი მეცხრე კლასში და ერთიც მეათეში, ამიტომ თერთმეტის ნახევარზე უკვე გათავისუფლდა და, რაკი ოთხ საათამდე თავისუფალი იყო, შინ წავიდა. არავითარი წინათგრძნობა არ გასჩენია. თუმცა, სანამ წავიდოდა, ერთი ისეთი ეპიზოდი მოხდა, რომ უფრო ფხიზელი და სკეპტიკური გონების კაცი იქნებ დაეჭვებულიყო კიდეც: სწორედ იმ დროს, როდესაც ლაბადის ღილების შეკვრა მოათავა და სამასწავლებლოდან გასვლა დააპირა, დირექტორმა თავისი კაბინეტიდან გამოსძახა:

— სოლომონ!

სოლომონი შეჩერდა და სანახევროდ მიტრიალდა. დირექტორი მას ხან სოლომონს ეძახდა, ხან სოლომონ ბატონს. ისე კი მუდამ შენობით ელაპარაკებოდა.

— არ დაიგვიანო, — უთხრა დირექტორმა, — ხომ იცი, განათლებიდან გვესწრებიან.

სოლომონმა უხმოდ დაუქნია თავი და სამასწავლებლოდან გამოვიდა. ეს დამატებითი გაფრთხილება სრულიად ზედმეტი იყო, რადგან სოლომონს თუ რამე სწამდა, პირველ რიგში მოვალეობა სწამდა და, საცა კი ოდესმე გამოსაცხადებელი ყოფილა, ყველგან ყოველთვის დაუგვიანებლად გამოცხადებულა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დირექტორის ნათქვამს მაინც არ დაუ[illegible]ვებია.

პედაგოგიური საბჭოს სხდომა ოთხი საათისთვის იყო დანიშნული. რა საკითხი უნდა განეხილათ, სოლომონმა არ იცოდა, რადგან დირექტორს დღის წესრიგი წინასწარ არ გამოუცხადებია. საკვირველი და დასაეჭვებელი არც ამაში ყოფილა რამე. თავისი ხანგრძლივი მასწავლებლობის მანძილზე სოლომონს ნაირ-ნაირი გარეგნობის, ნაირ-ნაირი ჭკუის, ნაირ-ნაირი ხასიათის დირექტორები ჰყავდა გამოცვლილი, მაგრამ, რაოდენ განსხვავებულიც არ უნდა ყოფილიყვნენ, ყველა მათგანს ჰქონდა რამდენიმე საერთო ნიშანი, რომლებიც, სოლომონის ვარაუდით, ცნება „დირექტორს“ ფორმას აძლევდა და კონკრეტულ სახეს ანიჭებდა. ერთი ამ ნიშანთაგანი იყო ერთგვარი არითმიის კანონიც, რომელიც მოითხოვდა, რომ თანამშრომლები ზედმეტად არ შეჩვეოდნენ დირექტორს, როგორც მდინარის პირას დასახლებული კაცი ეჩვევა წყლის მონოტონურ დუდუნს და ვეღარც კი ამჩნევს, მდინარის პირას თუ ცხოვრობს. მდინარეს შეუძლია ფუფუნების ნება მისცეს თავს, დირექტორს კი ამის უფლება არა აქვს, რადგან მისი ძალა, მდინარისაგან განსხვავებით, სწრაფწარმავალია და საყრდენი უმთავრესად გარეთა აქვს. ამიტომ იგი ხან აცხადებს წინასწარ პედსაბჭოს დღის წესრიგს და ხან არა. ახალბედა თანამშრომელს ხშირად აღიზიანებს დირექტორის ამგვარი ჩვევა, მასში უსამართლობას ხედავს და გულში ბუნტარული განწყობილებაც კი უჩნდება (რაც, როგორც წესი, გულის ფარგლებს არ სცილდება), მაგრამ მერე, კანონის ლოგიკას რომ იგრძნობს და მიზეზს დაინახავს, წყნარდება, რადგან ხელქვეითის გულისწყრომას იწვევს არა იმდენად უსამართლობა, რამდენადაც მოტივის უცოდინარობა. სოლომონის ამჟამინდელ დირექტორს, თუ მაინცდამაინც სასწორზე შევაგდებდით, კარგი უფრო ეთქმოდა, ვიდრე ცუდი. შესახედავად კარგი კი არა,

მშვენიერი იყო: ახალგაზრდა, ლამაზი, ელეგანტური, მუდამ გამოწკეპილი, სუფთად გაპარსული და სუფთად დავარცხნილი, ლაღი, თამამი, დარდიმანდი. ისე შეგაყვარებდათ თავს, ვერც კი გაიგებდით. განათლების განყოფილებაშიც შინაურ კაცად ითვლებოდა. რაღაც ჭორები კი დადიოდა ვითომც მედლებითა და ატესტატებით ვაჭრობის თაობაზე, მაგრამ ასეთი ჭორები ვისზე აღარ დადის! ხალხის ლაპარაკს რომ ყური უგდო, შეიძლება ადამიანის სახსენებელი შეგძულდეს. სოლომონი აფასებდა დირექტორს და ზომიერების ფარგლებში პატივსაც სცემდა, თუმცა ერთხელ კინაღამ ჩხუბი მოუვიდათ. ეს ამბავი შარშანწინ მოხდა. დირექტორმა სულ სხვა საქმეზე დაიბარა და მერე, იმ საქმეს რომ მორჩა, სასხვათაშორისოდ პენსიაზე ჩამოუგდო სიტყვა. პენსიის ხსენებაზე სოლომონი ის იყო უნდა აფეთქებულიყო, მაგრამ დირექტორმა სწრაფად და სიცილ-სიცილით უკან წაიღო თავისი ნათქვამი, საიდანაც სოლომონმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ დირექტორი ან მართლა შემთხვევით შეეხო ამ საკითხს, ან, თუ გამიზნულად წამოიწყო, მაშინ დამარცხდა და აღიარა კიდეც თავისი დამარცხება.

ძველ ბაღში სოლომონი კვლავ შეჩერდა, კვლავ ჩამოჯდა თავის ამორჩეულ მერხზე აუზს, ქანდაკებასა და ესტრადას შუა და კვლავ მიაჩერდა ბებერ ხეებს, რომელთაც სიბერე დარბაისლურ სილამაზეს ანიჭებდა და რომლებიც გვიანი შემოდგომის ამ მოყვითალო დღეს უკანასკნელ ფოთლებს ეთხოვებოდნენ, მაგრამ ამის გამო ემგვანებოდნენ არა გაძარცულებს, არამედ განწმენდილებს, ამიტომ ძველებურად ამაყად და მხნედ იდგნენ და მშვიდად, უდრტვინველად, დაჯერებულად უსწორებდნენ თვალს ზეცას. ეჭვი არ იყო, რომ ორი ათასი წლის დასასრულსაც ასე მხნედ შეხვდებოდნენ. სოლომონს თვითონაც უნდოდა ამ საოცარ წამს მოსწრებოდა. საერთოდ, სიცოცხლე უყვარდა და რაც უფრო დიდხანს იცოცხლებდა, ის ერჩივნა, მაგრამ ახალი ათასწლეულის საკუთარი თვალით ნახვა განსაკუთრებული ნატვრა იყო, რომელსაც ვერავის უზიარებდა (რადგან არ იცოდა, რომ ამ დღეს ასეთივე გულისფანცქალით და თუმცა არაერთგვაროვანი, მაგრამ რაღაცის ერთნაირად გაურკვეველი, იდუმალი მოლოდინით მოელის ყველა, ურწმუნოც, მორწმუნეც და ცრუმორწმუნეც). სოლომონს იმედი ჰქონდა, რომ რაღაც მოხდებოდა. რა, არ იცოდა, ისე კი ხან გლობალურ წარღვნას წარმოიდგენდა, ხან გლობალურ განახლებას (რაც, შესაძლებელია, სულაც ერთი და იგივეა).

როდესაც ამაზე ფიქრობდა, სოლომონი გონების თვალით ხედავდა ბუნდოვან კოსმიურ ძალას, რომელიც ცხოვრების მდინარეს კვლავ სათავეში აბრუნებდა და იმ მოუხელთებელ წამს, როცა ორი ათასი წელი უკვე დასრულდებოდა, ხოლო ორი ათას ერთი ჯერ კიდევ არ იქნებოდა დამდგარი, სამყარო ემგვანებოდა პირველი ხელმოცარვის შემდეგ ხელახლა მოზიდულ და გასატყორცნად გამზადებულ ისარს; ამ დროს სოლომონი აღარ იქნებოდა თავისი ოჯახის მამა, რომელსაც ოჯახში აღარაფერს ეკითხებიან, და თავისი მოსწავლეების მასწავლებელი, რომლის სიყვარულს არავინ იზიარებს. ეს იქნებოდა წამი, როცა ყველაფერი თავიდან იწყება, შეგიძლია შენი ცხოვრების გეზი ახალგაზრდობაშივე შეცვალო. მაგალითად, უარით გაისტუმრო შუამავალი ნათესავები და...

ნატალია დავიდოვნა სოლომონის პატარა საიდუმლო იყო, საიდუმლო, რომლის არსებობა სოლომონის გარდა, ქვეყნად არავინ იცოდა, მათ შორის არც თვითონ ნატალია დავიდოვნამ.

ეს ამბავი ოთხიოდე წლის წინ მოხდა. შუა აპრილი იდგა. ახლადგაღვიძებული ბუნება განახლების მწვანე სის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლად ჩაგუბებულიყო ხეთა ფოთლებსა და კვირტებში, იქიდან დამათრობელ სურნელად ჟონავდა' და ქალაქს სიმსუბუქისა და სტიქიური აღორძინების მაცდურ ქსელში ხვევდა, რომელიც მიზიდულობის ძალას ფეხისგულებში ულიტინებდა და საამოდ აფორიაქებდა. ნათელი დილა იდგა. მზე ახალი ამოსული იყო და აპრილის ხასხასა ფერებში გახვეული მისი სხივები ჰაერში ნეტარებით ცახცახებდნენ. სოლომონს, ჩვეულებისამებრ, ხელები ზურგსუკან დაეწყო და გაზაფხულის მძაფრი სუნთქვით ოდნავ გაბრუებული და ოდნავ მოთენთილი, დინჯად მიიკვლევდა გზას იასამნის სურნელოვან ბურუსში. იმ ქუჩაზე რომ გადაუხვია, რომელიც ბოლოში სკოლის ჩიხს უერთდებოდა, უეცრად წინ მიმავალი ნატალია დავიდოვნა დაინახა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ გვარიანად გრილოდა, ნატალია დავიდოვნას თხელი, უმკლავებო კაბა ეცვა, ერთიანი და მწვანე ფოთლებით მოხატული.

ეტყობა, სწორედ გაზაფხულის ბრალი იყო, რომ სოლომონს წამით თავბრუ დაეხვა და სამყარო უეცრად იქცა უსასრულო და ცარიელ სივრცედ. და ამ ცარიელ სივრცეში მხოლოდ ნატალია დავიდოვნა მოჩანდა, სავსე და მკვრივი, როგორც ბადრი მთვარე, მწვანეფოთლებიან კაბაში გამოწყობილი და არაამქვეყნიურად მშვენიერი. ნატალია დავიდოვნა თავად ილვრებოდა გაზაფხულის უცხო სილამაზედ, საკუთარი არსების ხატს, ნატალია დავიდოვნათა უსხეულო და უხილავ წყებას, სინათლის ტალღებად ასხივებდა ოთხსავ მხარეს, საკუთარი არსების წარმტაც სილამაზეში ახვევდა ყოველივეს და გაზაფხულის ნათელი და დამათრობელი ნეტარებაც სწორედ ეს იყო.

საბედნიეროდ, ხილვა დიდხანს არ გაგრძელებულა და სოლომონი მალევე მოეგო გონს. ისა და ნატალია დავიდოვნა მხოლოდ სალმით იცნობდნენ ერთმანეთს. ზოგჯერ, ვთქვათ, ახალი სასწავლო წლის დადგომისას, როდესაც მასწავლებლებს დიდი ხანია ერთმანეთი არ ენახათ, თანახმად ურთიერთობათა კოდექსის მოთხოვნისა, სალამს თავაზიანი „როგორ ბრძანდებით — გმადლობთ, კარგად—თქვენ როგორ“, მოჰყვებოდა, ამაზე შორს კი საქმე არასოდეს წასულა. ამიტომ, როგორც კი სოლომონი გონს მოეგო, შიში და შვება თითქმის ერთდროულად იგრძნო. შიში იმისა, რომ შეიძლებოდა ასე შორიდან კი არ დაენახა, არამედ შეჰფეთებოდა, და შვება იმისა, რომ, მადლობა ღმერთს, არ შეეფეთა. რომ შეჰფეთებოდა, კარგა მოზრდილი მონაკვეთი მასთან ერთად უნდა გაევლო, სოლომონმა კი არ იცოდა, რაზე ელაპარაკა, რადგან ნაცნობობის ფორმათა შორის ყველაზე მძიმე ის არის, როდესაც ადამიანს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოველდღე ხვდები, მაგრამ ეს შეხვედრები არასოდეს ოფიციალური მისალმების ჩარჩოს არ გასცდენია და მუდამ ერთი და იმავე სარიტუალო ფორმულის გამეორებას წარმოადგენს. ეს კი ურთიერთობას არათუ აღარ აღრმავებს და ავითარებს, სიცოცხლის იმ პატარა ნიშანსაც აცლის, რაც თავიდან ჰქონდა, და უაზრო ჩვევად აქცევს, გახევებულ წესად, ერთგვარ მაგნიტურ კარად, რომელიც ჩვენი მიახლოებისას ავტომატურად იღება და, როგორც კი გავივლით, ასევე ავტომატურად იხურება. ასეთი ნაცნობობა ფრიად სახიფათო რამ არის, რადგან ყოველ წუთასაა მოსალოდნელი, რომ ცხოვრების ჭირვეულმა ხლართებმა ისეთ დროს შეგვყაროს მარტო, როცა თავის დაკვრის მშრალი რიტუალი საკმარისი არ იქნება და ვითარება საუბრის გაბმას მოგვთხოვს, საუბრის გაბმა კი მით უფრო ძნელია, რაც უფრო ხანგრძლივი იყო ურთიერთობა მკვდარი ფორმულის გაქვავებულ ფარგლებში. ამიტომ სოლომონი, თუმცა ეს განწყობილების ქაოტური ბრუნვა იყო და არა გამოკვეთილი აზრი, გულში მადლობას სწირავდა უფალს, რომ მასა და ნატალია დავიდოვნას შორის საპატიო მანძილი

იდო და ეს მანძილი მათი სიარულის ტემპის სხვადასხვაობის გამო კიდევ უფრო იზრდებოდა. სოლომონს გაცილებით ერჩივნა ასე დინჯად მიჰყოლოდა შორიახლო და ასე დარბაისლურად ემზირა ნატალია დავიდოვნას სრული, მაგრამ ჯერ კიდევ მოქნილი და მოხდენილი სხეულისათვის, რადგან ეს საამოც იყო და არც არაფერს ავალდებულებდა. მაგრამ მოულოდნელად ნატალია დავიდოვნა შეჩერდა, ჩანთა, რომელიც აქამდე მარჯვენა ხელში ეჭირა, მარცხენაში გადაინაცვლა, გახსნა და შიგ რაღაცას დაუწყო ძებნა. სოლომონი შეკრთა, მაგრამ შეშფოთებით არ შეშფოთებულა: მანძილი დიდი იყო და იმედი ჰქონდა, რომ, სანამ ეს მანძილი იმ ზომამდე შემცირდებოდა, რომლის იქითაც უკვე ხიფათია მოსალოდნელი, ნატალია დავიდოვნა იპოვიდა, რასაც ეძებდა, და გზას განაგრძობდა. ეს იმედი (თუ მანძილს გავითვალისწინებთ, სავსებით საფუძვლიანი) ერთხანს მხნედ მიუძღოდა წინ, მაგრამ მალე დნობა დაიწყო, რადგან მანძილი თანდათან მოკლდებოდა, ნატალია დავიდოვნა კი ჯერ კიდევ საქმიანად ჩხრეკდა ჩანთას, სოლომონს მღელვარება მოეძალა, გულში შიშმა თვალი გაახილა. კანის ფორებში ოფლის წვეთები შეირხნენ და ასაგორებლად მოემზადნენ. თუ ნახევარ წუთში ნატალია დავიდოვნა ვერ იპოვიდა, რასაც ეძებდა (ასეთს რას ეძებდა?), ადვილი შესაძლებელია, მერე უკვე გვიანი ყოფილიყო. ნაბიჯის შემდგომი შენელება სოლომონს აღარ შეეძლო, რადგან ეს უკვე მოძრაობის სრული შეწყვეტა იქნებოდა, ამას კი ვერ გაბედავდა, რადგან, რომ გაჩერებულიყო, ისეთი სურათი წარმოიქმნებოდა, არ შეიძლებოდა გამვლელებს საეჭვო არ მოსჩვენებოდათ, და, გარდა ამისა, ერთიც ვნახოთ და, ნატალია დავიდოვნას მოეხედა, ხომ მთლად სულელურ ვითარებაში უნდა აღმოჩენილიყო, რომელსაც ვეღარაფრით ვეღარ გაამართლებდა. და სოლომონმა გზა განაგრძო. როდესაც მანძილი სულ რამდენიმე ნაბიჯამდე შემცირდა, უეცრად ნატალია დავიდოვნას შიშველ მკლავებზე ხორკლი დაინახა. ამ სანახაობამ რაღაც უცხო, მაგრამ ტკბილი, და გამაბრუებელი გრძნობა აამოძრავა და მღელვარებამ სხვა ძალით და სხვა მხრიდან შემოუტია. ეს თეთრი, მკვრივი და გრილი (თითქმის ცივი) მკლავი წამით თითქოს სოლომონის სულის სარკისებურ ზედაპირს შეეხო და თავისი ხორკლის შესაბამისად დაკეჭნა. სოლომონს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ამასობაში ის უკანასკნელი რამდენიმე ნაბიჯიც ამოიწურა და დადგა გარდაუვალი და გადამწყვეტი ჟამი, როცა სოლომონი მისალმების ფორმულის შემდეგ ჩვეულებისამებრ ვეღარ განაგრძობდა გზას, იძულებული გახდებოდა შეჩერებულიყო და ამით ერთგვარი შესავალი გაეკეთებინა იმ საუბრისათვის, რომლის გაბმასაც ვერ მოახერხებდა. მაგრამ ხსნა არსაით იყო და სოლომონი შეჩერდა.

— დილა მშვიდობისა, ნატალია დავიდოვნა.

— აა, ბატონო სოლომონ! — შემოსცინა ნატალია დავიდოვნამ, — დილა მშვიდობისა! — და (ეს საქციელი სოლომონისთვის გაუგებარი დარჩა). მაშინვე დაანება თავი იმის ძებნას, რასაც ეძებდა, ჩანთა დახურა და ისევ მარჯვენა ხელში დაიჭირა.

სოლომონმა ერთი პირობა დააპირა ეკითხა, ხომ არაფერი დაკარგეთო, მაგრამ წამსვე უარყო ეს განზრახვა, რადგან მოეჩვენა, რომ ეს სხვის პირად საქმეში უადგილო და უტაქტო ჩარევა იქნებოდა და, გარდა ამისა რა იცი, რას ეძებდა.

ახლა ისინი ერთად, წყვილად მიარღვევდნენ იასმინის სურნელის მსუბუქ ბურუსს და დუმდნენ. ხორკლებიც რომ არ ჰქონოდა ნატალია დავიდოვნას გრილ მკლავებზე, სოლომონს მაინც გაუჭირდებოდა საუბრის გაბმა, მაგრამ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორკლები (თუმცა, ალბათ იმაზე მეტს აბრალებდა, ვიდრე იმსახურებდა) მართლა ძალიან უშლიდა.

რაკი ნატალია დავიდოვნას გახსნილი ჩანთა საუბრის ამოსავალ წერტილად არ გამოდგა, სოლომონმა სხვა თემებს დაუწყო ძებნა და ვერ იპოვა. უფრო სწორად, პოვნით კი იპოვა — სათქმელის მეტი რა იყო — მაგრამ ისეთი ვერ იპოვა, რომ თქმად ღირებულიყო. მაგალითად, განა სისულელე არ იქნებოდა ეთქვა: „რა საამური დილაა, არა, ნატალია დავიდოვნა?“, როცა ნატალია დავიდოვნა თავადაც მშვენივრად ხედავდა, რომ საამური დილა იყო, ან იმის კითხვას რა აზრი ჰქონდა, დღეს რომელ კლასში გაქვს პირველი გაკვეთილიო. სულ ერთი არ არის, რომელ კლასში აქვს ადამიანს პირველი გაკვეთილი? სოლომონმა ნატალია დავიდოვნას პირადი ბიოგრაფიიდანაც იცოდა ზოგი რამ, მაგალითად, ის, რომ ნატალია დავიდოვნა ქვრივი იყო, რომ ქმარი დიდი ხნის წინ გარდაცვლოდა, რომ შვილი არ დარჩენოდა, რომ მოხუც დედასთან ერთად ცხოვრობდა სადღაც, აქვე, სკოლის მახლობლად. მაგრამ საუბრისთვის ეს ცნობები გამოუსადეგარი აღმოჩნდა. რაც იცოდა, იმას ხომ არ გამოკითხავდა? და რაც არ იცოდა... „დედათქვენი რამდენი წლისაა, ნატალია დავიდოვნა?“ სულელური ცნობისმოყვარეობაა და მეტი არაფერი. ან დაქვრივების დროსა და გარემოებაზე ხომ ვერ ჩამოუგდებდა სიტყვას: ჯერ ერთი, რა შენი საქმეა, და მერე მეორეც, ასეთ თემაზე ლაპარაკი ქალმა შეიძლება რაღაცის ქარაგმად მიიღოს და მთლად აირ-დაიროს ყველაფერი.

ახლა ისინი იასამნის სურნელის მსუბუქი ბურუსის გარდა, სიჩუმის მძიმე ტალღებსაც მიარღვევდნენ.

უცებ სოლომონის თვალწინ (არა გადატანითი მნიშვნელობით, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით თვალწინ, ზუსტად წარბების სიმაღლეზე, (ერთი ხელის დადების მოშორებით, იმდენად ნათლად, რომ ალბათ გარეშესაც თავისუფლად შეეძლო დაენახა) გაჩნდა სიტყვები, წვრილი, იისფერი მელნით დაწერილი სტრიქონი: „ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი ფრანციას“. სოლომონი თავის თავს შემოსწყრა, რა დროს ფრანციააო, წარმოსახვის ძალით მარჯვენა ხელი ასწია, სტრიქონი ორი თითით აიღო და ტროტუარზე მოისროლა, მაგრამ სტრიქონი ჭიაყელასავით დაიკლაკნა, ასხმარტალდა, მერე რაღაც მანქანებით ჰაერში აიჭრა და ისევ ისე გამაღიზიანებლად და გამომწვევად გაიშალა წარბების სიმაღლეზე. ეს სტრიქონი მოსწავლეებს რატომღაც სასაცილო ეჩვენებოდათ, სოლომონი ამას საგნის უპატივცემულობად თვლიდა და ბრაზობდა, თან ცდილობდა თვითონაც მოსწავლეების თვალით შეეხედა, რათა მიმხვდარიყო, მართლა იყო ამაში რამე სასაცილო თუ არა. სიჩუმე კი ამასობაში მძიმე ლოდად იქცა და, სანამ ამ ლოდის შესაკავებლად (ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი ფრანციას) კაპიტალურ ბოძებს დაამზადებდა, მანამ რომ რამე დროებითი საყრდენი მაინც შეედგა (ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი ფრანციას), თქვა:

— სხვა, როგორ ბრძანდებით, ნატალია დავიდოვნა?

— გმადლობთ, არა მიშავს, — გაიღიმა (რაზე გაიღიმა?) ნატალია დავიდოვნამ, — თქვენ როგორ გიკითხოთ?

— გახლავართ ასე, გვარიანად.

ნატალია დავიდოვნა, გვარად ჯორჯაძე, დედითაც და მამითაც ქართველი იყო, მაგრამ ბავშვობა და ახალგაზრდობა რუსეთში გაატარა და თუმცა ქართული ჩინებულად იცოდა (ამით ცოტ-ცოტას ამაყობდა კიდეც), ოდნავი, ძლივს შესამჩნევი აქცენტი მაინც დაჰკრავდა, რაც მოწაფეებს სავსებით ჰყოფნიდათ საიმისოდ, რომ ათასი მაიმუნობა მოეგონებინათ, სო-

ლომონს კი მიაჩნდა, რომ ეს ოდნავი აქცენტი, რომელიც თითქოს ნაზ, უცხო, ნახევრად გამჭვირვალე ქსოვილად ერტყა ირგვლივ (და ყოველდღიურობიდან გაქცევის სავსებით ადამიანურ ოცნებას რაღაც დამატებით საზრდოს აძლევდა), საყვარელი მიამიტობის გარდა, ძნელად განსასაზღვრ, მაგრამ ღრმა შინაგან მომხიბლაობას ანიჭებდა.

სოლომონი ერთბაშად მიხვდა, რომ საუბრის გაბმის საუკეთესო საშუალება გაუშვა ხელიდან. მართლაცდა, რა უნდა იყოს იმაზე ჩვეულებრივი და ბუნებრივი, ადამიანს ჰკითხო, ხომ არაფერი დაგიკარგავსო, როცა ხედავ, რომ ჩანთა გაუხსნია და შიგ რაღაცას ეძებს. ახლა ცხადზე უცხადესი იყო, რომ არავითარი უხერხულობა ამ შეკითხვას არ ახლდა, პირიქით, მოვალეც იყო ეკითხა· „დილა მშვიდობისა, ნატალია დავიდოვნა. რამე დაკარგეთ?“ „აა, დილა მშვიდობისა, ბატონო სოლომონ. დიახ... მგონი გასაღები დამრჩა სახლში“. „ოჰ, რას ბრძანებთ! ეს როგორ დაგემართათ! მერედა დედათქვენი შინ არ არის?“ „შინ არის, მაგრამ მამიდაჩემთან აპირებდა წასვლას და ვაითუ ჩემს იმედად იყოს და თავისი გასაღები თან არ წაიღოს“. „ეს ვერ იქნება კარგი საქმე... იცით რა? როგორც კი მივალთ სკოლაში, მაშინვე უნდა დაურეკოთ. გაქვთ ტელეფონი?“ „ეგ კარგი მითხარით. სწორედ ასე ვიზამ. ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ მეზობელთან შემიძლია დავრეკო“. „თუ დაირეკა (ირონიული ღიმილი)... ხომ მოგეხსენებათ ჩვენი ტელეფონების ამბავი... თუ არადა (მხნე კილო), შესვენებაზეც მოასწრებთ გადარბენას. მგონი სადღაც ახლო ცხოვრობთ“. „დიახ, აქვე ვცხოვრობ, კუთხეში. თავისუფლად მოვასწრებ შესვენებაზე გადარბენას“. და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ახლა რომ ეკითხა, წეღან რომ ჩანთაში რაღაცას ეძებდით, რას ეძებდით, ხომ არაფერი დაგიკარგავთო, ამ კითხვას უკვე დაინტერესების სუნი აუვიდოდა და ამიტომ საეჭვოც იქნებოდა და სულელურიც. და იმ დროს, როცა ბეჭებში ჭირის ოფლის მანქანა სრული ძალით ამუშავდა, ნაპოლეონმა უკანასკნელად გარდმოავლო თვალი ფრანციას და მისი ადგილი (საიდან სადაო!) ჯემს უატმა დაიჭირა, ოღონდ სოლომონმა ვეღარ მოიგონა, ჯემს უატი და პოლზუნოვი სხვადასხვა პიროვნება იყო თუ ერთი და იმავე პიროვნების სხვადასხვა გვარი, ნატალია დავიდოვნას კი ამას ვერ ჰკითხავდა, რადგან შეიძლება არ სცოდნოდა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო, ხოლო საერთო ნაცნობი, რომელიც უეჭველად წაგადგება თავს, როცა არაფერში გჭირდება, როცა გულით ნატრობ, არასოდეს გამოჩნდება.

იმ დღეს სოლომონი, საკუთარ თავზე ისე გაბრაზებული, როგორც სხვაზე გავბრაზდებით ხოლმე, მთელი დღე (განსაკუთრებით კი ღამე) გუნებამოშხამული იყო, მაგრამ მეორე დილით, როდესაც დერეფანში შეხვდა ნატალია დავიდოვნას, რომელმაც ის იყო გაკვეთილი დაამთავრა და, მოწაფეებთან ნაომარი, სახეაწითლებული გამოვიდა საკლასო ოთახიდან, უეცრად ნათლად იგრძნო, რომ მიუხედავად სამარცხვინო დუმილისა, მიუხედავად ნაპოლეონისა და ჯემს უატისა, გუშინდელ შეხვედრასა და ათიოდე წუთის უბრად, მაგრამ გვერდიგვერდ სიარულს (მკლავებზე ნატალია დავიდოვნას სიგრილის ხორკლები ეყარა) მისალმების გახევებული და გამომშრალი ფორმულისათვის თითქოს სასიცოცხლო ნამი ეპკურებინა და ურთიერთობაში ახალი (თუმცაღა ჯერ კიდევ სუსტი) ძაფი გაება.

მაგრამ სოლომონის საიდუმლო ეს არ ყოფილა.

სოლომონის საიდუმლო ის იყო,



ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ერთხელ ნატალია დავიდოვნას შინ ეწვია.

იმ ამბის შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა, ცხოვრება კვლავ ძველ, პირობითობის ფორმალურ კალაპოტს დაუბრუნდა და ურთიერთობის დამატებითი ძაფი, რაკი საყრდენი ვერ იპოვა და გვერდით სხვა ახალი ძაფები ვეღარ დაიგულა, ისევ გაწყდა.

მაგრამ ერთხელ, როდესაც სოლომონი, რომელსაც იმ დღეს თერთმეტის ნახევრიდან მოყოლებული ზედიზედ სამი გაკვეთილი ჰქონდა, სკოლაში მივიდა, აღმოჩნდა, რომ იმ სამი გაკვეთილიდან პირველი უცდებოდა, რადგან ქალაქში ვიღაც საპატიო სტუმრები ჩამოსულიყვნენ და განათლების განყოფილების განკარგულებით, მთელი სკოლის ბავშვები დილაადრიან შესახვედრად წაელალათ. მომდევნო გაკვეთილამდე ერთი საათიღა იყო დარჩენილი და, რაკი შინ წასვლას აზრი არ ჰქონდა, სოლომონი ეზოში ჩავიდა, ნაძვნარში მერხზე დაჯდა, ფიქრებში ჩაიძირა და მალე თვლემაც წამოეპარა. სწორედ ამ დროს მოესმა ნატალია დავიდოვნას ხმა:

— თქვენც გაგიცდათ გაკვეთილი, ბატონო სოლომონ?

ნატალია დავიდოვნას სირინოზის ხმა ჰქონდა (რაც ვარაუდი უფრო იყო, რადგან სოლომონს სირინოზის ხმა არასოდეს გაეგონა).

— დიახ, — გამოფხიზლდა სოლომონი და ზეზე წამოდგა. — მოვედი და არავინ დამხვდა. მეოთხე გაკვეთილისთვის დაბრუნდებიანო, დირექტორმა.

— მესამისთვის უნდა დაბრუნებულიყვნენ, — თქვა ნატალია დავიდოვნამ, — მე ორი გაკვეთილი უკვე გამიცდა. მესამისთვის დაბრუნდებიანო, მითხრეს და მოვედი, მაგრამ არ დაბრუნებულან და ესეც მიცდება.

— რას იზამთ, — უადგილოდ დაამშვიდა სოლომონმა.

— მთელი საათი აქ უნდა ელოდოთ? — ჰკითხა ნატალია დავიდოვნამ და, როცა პასუხად სოლომონმა დინჯად და უხმოდ აიჩეჩა მხრები, დაუმატა: — იცით, ჩემთან წამობრძანდით, იქ უკეთ დაისვენებთ. თან დედაჩემი საუცხოო ჩაით გაგვიმასპინძლდება.

ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ, სანამ სოლომონი გაარკვევდა, თუ რატომ შედგებოდა ის ელდა, რომელმაც მთელი მისი არსება შეარყია, ერთმანეთში გადახლართული შიშისა და სიხარულისაგან, ალბათ წუთზე მეტი გავიდა. შემდეგ, როდესაც ბურუსი გაიფანტა და ნაძვები, ეზო, სკოლა და ნატალია დავიდოვნა კვლავ თავ-თავიანთ ადგილს დაუბრუნდნენ, სოლომონის არსების რომელიღაც ნაწილმა, რომელიც ძალიან ფხიზელი და ძალიან გონიერი იყო, უარის თქმა დააპირა, რადგან, თუმცა დათანხმებაში არაფერი ისეთი არ იქნებოდა, რაც მორალური საზომით უნდა გაზომილიყო, რაღაც მოუხელთებელი კავშირით მაინც მორალს უკავშირდებოდა, მაგრამ სიხარულმა, უფრო სწორად, უცნაურმა გაბრუებამ, რომელიც, როცა დაიწმინდებოდა და საბოლოო სახეს მიიღებდა, არავინ იცის სიხარული იქნებოდა თუ არა, იძალა, სიფხიზლე და გონიერება ბნელ ხაროში გამოამწყვდია და საბოლოოდ, მთელი ამ შინაგანი ბრძოლის შემდეგ, სოლომონმა ასეთი მერყევი გადაწყვეტილება მიიღო:

— გმადლობთ, ნატალია დავიდოვნა, მაგრამ... უხერხულია... ვაითუ დედათქვენი შევაწუხო...

— არა, რას ბრძანებთ! პირიქით, დედაჩემს ძალიან გაეხარდება. სტუმარი ჩვენთვის დღესასწაულია. ჩვენ ხომ აქ სულ მარტონი ვართ. არც ნათესავები გვყავს და არც ახლობლები.

სოლომონმა კინაღამ ჰკითხა, როგორ, მამიდაო? კიდევ კარგი, უკანასკნელ წამს გაახსენდა, რომ ეს მამიდა მისი შარშანდელი ფანტაზიის

ნაყოფი იყო. მაშინ, ცოტა კიდევ, ამჯერად წმინდა ფორმალური თავაზიანობის გამო, იყოყმანა და, როცა ნატალია დავიდოვნამ ეს ყოყმანიც იოლად გაუფანტა, მორჩილად წაჰყვა. საუბრის გაბმასთან დაკავშირებული გაჭირვება უკვე აღარ დასდგომია, მეტიც, ერთი-ორჯერ სავსებით ბუნებრივი და საჭირო ფრაზაც მოუვიდა თავში, მაგრამ რად გინდა — ნატალია დავიდოვნას სწრაფი და უპაუზო ლაპარაკის მდინარეში, რომელიც სახლამდე სულ ჩუხჩუხით, შეუწყვეტლად დიოდა, ადგილი ვერ მოძებნა, რომ ჩაემატებინა. ნატალია დავიდოვნა ლაპარაკობდა თავის თავზე, დედაზე, ჩაის დაყენების მრავალრიცხოვან მეთოდზე, რასაც დედამისი ჩინებულად ფლობდა, რუსეთზე, სადაც ჰავა შედარებით მშრალია და ამიტომ ზამთრის სიცივეც ნაკლებშემაწუხებელია, სამოვარზე, მოწაფეებზე, რომლებიც ძალიან ანცები არიან, მაგრამ ანცები რომ არ იყვნენ, არც ასე საყვარლები იქნებოდნენ, და კიდევ ათას რამეზე.

ნატალია დავიდოვნას დედას სოლომონის სტუმრობა მართლა გაეხარდა. ამ სიხარულს ხშირ-ხშირად ამჟღავნებდა, ხან ქართულად და ხან რუსულად. დედა-შვილი ვიწროდ ცხოვრობდა, ერთ პატარა ოთახში. სამაგიეროდ ოთახი ვრცელ აივანზე გადიოდა, საიდანაც ლამაზი ხედი იშლებოდა. ჩაი სწორედ ამ აივანზე დალიეს და მართლა დიდებული რამ იყო. ნატალია დავიდოვნა სწრაფად, პატარა გოგოსავით მიდი-მოდიოდა და სუფრა უცებ და ლამაზად გაშალა. დედამისი ჩინებული ქალი გამოდგა. მართალია, სოლომონს ერთთავად საოპერო მუსიკაზე ელაპარაკებოდა, რაც სოლომონისთვის აქილევსის მრავალრიცხოვან ქუსლთა შორის, შესაძლოა, ყველაზე სუსტი ქუსლი იყო, მაგრამ ნატალია დავიდოვნას დედა როგორღაც ისე ახერხებდა ამ თემაზე საუბარს, რომ სოლომონს არც ერთხელ თავისი უვიცობა არ უგრძვნია და [illegible]რის ოფლის მოწმენდა არ დასჭირვებია. საბოლოოდ ისე მოიხიბლა, რომ, როდესაც წასვლის მწუხარე ჟამმა დაჰკრა (გულახდილად უნდა ითქვას, სოლომონს წასვლა უკვე აღარ უნდოდა), რაღაც უცხო და გაუგებარი ელექტრობიძგის წყალობით, გამოთხოვებისას ნატალია დავიდოვნას დედას (ნატალია დავიდოვნას არა) ხელზე აკოცა.

იმ დღეს სოლომონს ზეაწეული განწყობა არ მოშორებია და ამიტომ ერთთავად იმის ცდაში იყო, ლაგამი მუდამ მოზიდული ჰქონოდა და თავი ნებაზე არ მიეშვა, რათა ისე არ ამჩატებულიყო, რომ მისი ქცევა სასაცილო და საეჭვო გამოჩენილიყო. განსაკუთრებით სახლში ფრთხილობდა. შინ დაბრუნებულმა ასმათის დანახვაზე უეცრად იგრძნო, რომ მისი იდუმალი ვიზიტი იყო არა უწყინარი თვითნებობა, როგორც აქამდე ეგონა, არამედ ღალატი (მრისხანე სიტყვაა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ არც შემცდარა, ბოლოს და ბოლოს ღალატი მარტო ის ხომ არ არის, რაც ღალატია, ალბათ ისიც ღალატია, სხვასთან რომ უკეთ გრძნობ კაცი თავს, ვიდრე საკუთარ ცოლთან!).

ამის შემდეგ, თუმცა სოლომონისა და ნატალია დავიდოვნას შეხვედრები კვლავ ოფიციალური და თავაზიანი მისალმების ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა, სოლომონს ყოველთვის ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს, მისალმებისას რომ ერთმანეთს გაუღიმებდნენ, მათი ღიმილის უკან რაღაც საიდუმლო იმალებოდა, სხვათათვის გაუგებარი და მხოლოდ მათთვის ცნობილი, შორეული, მაგრამ მთრთოლვარე და რომანტიკული საიდუმლო, და ძველ ბაღშიც სოლომონის ფიქრთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჭიდრო ქარავანი დროდადრო გაიშლებოდა და თავისუფალ ადგილებში, რომლებიც ამ გაშლის შედეგად ჩნდებოდა, უხმაუროდ, ფრთხილად, შეკავებული მღელვარებით, როგორც იდუმალ და სახიფათო პაემანზე მიმავალი ქალი, შემოდიოდა ნატალია დავიდოვნა. შემოდიოდა და არა მხოლოდ ბუნებრივად და ლამაზად ეხამებოდა მისთვის ამ ახალ და უჩვევ ადგილს, არამედ ქარავანის თავდაპირველ სიმძიმეში სიმსუბუქე, სიხალისე და უცხო სიცოცხლე შემოჰქონდა. ასეთ დროს სოლომონს ზოგჯერ ახალგაზრდობა მოაგონდებოდა და (სულო ცოდვილო) წარმოიდგენდა, ვითომ მანამ, სანამ სულწასული ნათესავები ცოლს შერთავდნენ, შეხვდა ნატალია დავიდოვნას, რის გამოც ცხოვრება სულ სხვა გზით წავიდა და სამყარომ სულ სხვა სახე მიიღო. კერძოდ, რა გზით წავიდა და რა სახე მიიღო, ამას სოლომონის ფიქრები აღარ აზუსტებდნენ, რადგან ფიქრებს ბალღამივით თან მოჰყვებოდა დანაშაულის გრძნობა, რომელიც წარმოდგენას ზედმეტად ფრთების გაშლის ნებას არ აძლევდა.

შინიდან რომ წამოვიდა და კვლავ ბაღში შეუხვია (დღეს უკვე მესამედ), სოლომონი ამჯერად თავის საყვარელ მერხზე აღარ დამჯდარა, შეუჩერებლად, ოღონდ ჩვეული დინჯი და დარბაისლური ნაბიჯით, ჩაუარა ძველ აუზს, ძველ ესტრადას, ძველ ქანდაკებას, ბაღს გასცდა და სკოლის გზას დაადგა. როდესაც სამასწავლებლოში შევიდა და ლაბადის გახდა დაიწყო, ოთხს ჯერ კიდევ ათი წუთი აკლდა.

სხდომაზე მოწვეულთაგან ნაწილი, უმთავრესად ისინი, ვისაც გვიანობამდე ჰქონდა გაკვეთილები და ამიტომ შინ წასვლა ვეღარ მოასწრეს, სამასწავლებლოში ტრიალებდა. ბესარიონ ჭედია კუთხეში თავის მაგიდას უჯდა და, როგორც ყოველთვის, გამალებული ფხაჭაფხუჭით წერდა რაღაცას. ბატონი დიმიტრი ფანჯარასთან იდგა, ხელები მკერდზე დაეკრიბა, სივრცეს გასცქეროდა და ფიქრებში წასულიყო. ალბათ შვილებზე ფიქრობდა. ბატონ დიმიტრის ორი სახელოვანი ვაჟი ჰყავდა, რომლებიც თბილისში ცხოვრობდნენ. ერთი მწერალი იყო, მეორე — საზოგადო მოღვაწე, და ორივე მაღალ და თბილ თანამდებობაზე მუშაობდა, რაც მამას საშუალებას აძლევდა თავი იოლად არავისთვის გაეყადრებინა, დირექტორის მოადგილეები არად ჩაეგდო და ზოგჯერ თვით დირექტორისთვისაც კი თამამად შეებრუნებინა სიტყვა, რისთვისაც მხოლოდ ათასში ერთხელ თუ დასჭირდებოდა იმის ხმამაღლა თქმა, ვინ იყვნენ და რას წარმოადგენდნენ მისი ვაჟები. კატო მასწავლებელი, ჭაღარა და სანდომიანი, მშვიდი, საყვარელი ქალი, რომელიც დაწყებით კლასებს ასწავლიდა, სხდომის მოლოდინში დროს არ აცდენდა და თავისი ციცქნა მოწაფეების რვეულებს ჩაჰკირკიტებდა. ერთი გამოსვლა ეთერ გვალია გამოვიდა თავისი კაბინეტიდან და დირექტორის კაბინეტისაკენ გაეშურა, მაგრამ შუა გზაზე შეჩერდა, ცოტა ხანს ადგილზე იწრიალა და უკანვე დაბრუნდა, ეტყობა, დირექტორთან შესასვლელად დამაჯერებელი მიზეზი ვერ მოძებნა.

მალე ისინიც მოგროვდნენ, ვისაც შინ წასვლა და დასვენება მოესწრო. მათ შორის პირველი მოვიდა ნესტან ვაჩეიშვილი, ნუკრი ვაჩეიშვილის ალალი ბიძაშვილი, ქიმიის მასწავლებელი და მთელ სკოლაში (ზოგიერთების აზრით, მთელ ქალაქშიც) ულამაზესი ქალი, მაღალი, თხელი, ქანდაკებასავით ჩამოსხმული. შავი, სწორი თმა, რომელიც ისე ჰქონდა დავარცხნილი, რომ სანახევროდ ლოყებსაც უფარავდა, მხრებზე სცემდა. თვალ-წარბიც შავი ჰქონდა, ცხვირი — თხელი და სწორი, სახის ოვალი — მკაფიო და ნა-

ტიფი, მაღალი ყელი, მაღალი მკერდი, მაღალი თეძოები და მაღალი ფეხები. ნესტან ვაჩეიშვილის სილამაზე ადრე საკუთარ თავს თვითონვე შეჰხაროდა, უფრო ლაღი იყო, უფრო უშუალო და ახლობელი და ადიდებულ მდინარეს ჰგავდა, რომელსაც ჯებირები მოურღვევია, ნაპირები გადმოულახავს და, საცა კი გაივლის, ყველგან თავის კვალს ტოვებს. ამ დროს რომ მის გვერდით აღმოჩენილიყავით, თითქოს მისი სილამაზე გადმოგედოთო, თქვენი თავიც ლამაზი და მომხიბლავი მოგეჩვენებოდათ. რაც ასაკში შევიდა (უკვე ორმოცს იყო გადაცილებული), ძველებური სილაღე და სიგიჟმაჟე დაკარგა. ამის მიზეზი, ასაკს გარდა, ალბათ ისიც იყო, რომ ახლა ამ სილამაზის შესანარჩუნებლად საჭირო შეიქნა საგანგებო მოვლა და ყოველდღიური ზრუნვა. ნესტან ვაჩეიშვილიც ზრუნავდა. ამბობდნენ, საათობით შიშველი ზის აბაზანაში და სახისა და სხეულის მასაჟს იკეთებსო. რაღაც სპეციალური ვარჯიშიც სცოდნია· სიცილის დროს პირის ბოლომდე გახსნას უკვე ერიდებოდა, რათა ზედმეტი ნაოჭები არ გასჩენოდა. ნელსაცხებლებსა და სუნამოს, როგორც ირწმუნებოდნენ, თვითონვე ამზადებდა ეტყობა, კარგადაც ამზადებდა, ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ოსტატურად ხმარობდა, რადგან, რამდენიც არ უნდა გეცქირათ, მის სახეზე ფერ-უმარილის კვალს ვერ შეამჩნევდით. ასეთი მოვლისა და ყურადღების შედეგად ახლაც წინანდებურად ლამაზი იყო. მართალია, ამ სილამაზეს ძველებური გადამდები ძალა დაკარგული ჰქონდა, ცივი გამხდარიყო, შორეული და ცოტა ამპარტავნულიც, სამაგიეროდ უფრო დახვეწილი იყო, უფრო ჰარმონიული და უფრო მკაცრ ფორმაში მოქცეული. კოლეგები (ლაპარაკია, რა თქმა უნდა, ქალებზე) ზურგსუკან დასცინოდნენ და ზოგჯერ სოფლელი დედაკაცებივით ქოქოლასაც კი აყრიდნენ. ცხადია, მის უტყუარ სილამაზეში ეჭვს ვერ შეიტანდნენ. ეგ კი არა, თავის მოვლას რომ ამდენ დროს უთმობდა, ამაზეც ვერაფერს ამბობდნენ, რაკი შედეგი ასეთი განსაცვიფრებელი იყო. პირიქით, მისი გარეგნობის საქებრად იმაზე მეტსაც კი ლაპარაკობდნენ, ვიდრე გულში ფიქრობდნენ, რათა ამით უფრო გაესვათ ხაზი იმისთვის, რისკენაც მათი დაცინვის ისარი იყო მიმართული. ისარი კი მიმართული იყო ნესტან ვაჩეიშვილის სილამაზის უაზრობისაკენ. საქმე ის არის, რომ ნესტანი გაუთხოვარი იყო და არც არასოდეს საყვარელი ჰყოლია (რომ ჰყოლოდა, არ დაიმალებოდა). ამრიგად, მისი სილამაზე თითქოს უქმი, უსარგებლო და უაზრო იყო და ქალებმაც, რომელთაც კარგად ჰქონდათ შეგნებული თავიანთი შედარებითი შეუხედაობა, აქ იპოვეს ის სუსტი წერტილი, სადაც შეიძლებოდა ჭორისთვის დაცინვის სახე მიეცათ. სოლომონი, თუმცაღა ამ აზრს, ცხადია, ხმამაღლა არ გამოთქვამდა, ფიქრობდა, რომ ამ უაზრობაში შესაძლებელია ნამდვილი თავგანწირვა იმალებოდა. რაკი თავისი სილამაზე თვითონ არაფერს რგებდა, მაშასადამე, ნესტან ვაჩეიშვილი, ნებით თუ უნებლიედ, სხვებისთვის ზრუნავდა და სხვებისთვის ხარჯავდა იმ ძვირფას დროს, რასაც თავის გარეგნობას ანდომებდა· ვინ იცის, რამდენი დარდიანი კაცი ხასიათზე მოსულა და რამდენ გუნებამოშხამულს გულზე მოჰფონებია, ქუჩაში რომ ასხლეტილი და ყელმოღერებული, ჯიშიანი ცხენივით მიმავალი ნესტან ვაჩეიშვილი დაუნახავს. და ნესტან ვაჩეიშვილიც ცდილობდა, რაც შეიძლება დიდხანს ყოფილიყო ლამაზი, რათა რაც შეიძლება დიდხანს გაეცა ეს სილამაზე და უსასყიდლოდ დაერიგებინა ნაცნობებისთვის და უცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებისთვის, მეგობრებისთვის და ამხანაგებისთვის, გამვლელებისთვის და გამომვლელებისთვის.

ბოლოს (მაგრამ დაუგვიანებლად, ზუსტად ოთხ საათზე) გამოჩნდა განათლების განყოფილებაც, რომელიც ამჯერად ქალბატონი ცისანას სახით მოვიდა. ქალბატონი ცისანა სქელი და მოსული ქალი იყო, მაგრამ ასეთი ბრგე ტანის კვალობაზეც კი რაღაც უაზროდ დიდი გავა ჰქონდა, დიდი და ყველა ნიშნის მიხედვით (ეს ერთი თვალის შევლებითაც აშკარად ჩანდა), სატარებლად ძალიან მოუხერხებელი. გავა შორ მანძილზე იყო გაშვერილი და ვეება გორელიეფს ჰგავდა, ამიტომ სიმძიმის ცენტრს ტერფებიდან ქუსლებზე გადაენაცვლებინა და ქალბატონ ცისანას, სხეულის ფარული ძალები რომ გამოეთავისუფლებია და დაკარგული სიმძიმის ცენტრი უკან დაებრუნებინა, მკლავები გან-გან დაჰქონდა — როგორც კულტურისტს, რომელმაც აღარ იცის კუნთები სად დასტიოს — და სიარულის დროს ბეჭებს ღონივრად იქნევდა. ეს მძიმე შრომა იყო. ამიტომ სახე დაძაბული ჰქონდა, გამომეტყველება კუშტი და კონცენტრირებული, რის გამოც მეომარს უფრო ჰგავდა, ვიდრე განათლების განყოფილების წარმომადგენელს, და, ადვილი შესაძლებელია, გაგჩენოდათ უნებური სურვილი, გონების თვალით წარმოგედგინათ (რათა მერე შეგბრალებოდათ) მისი სავარაუდო ქმარი. ქალბატონმა ცისანამ უხმოდ დაუქნია თავი სამასწავლებლოში მყოფთ მისალმების ნიშნად და პირდაპირ დირექტორის კაბინეტში შევიდა. მალე დირექტორმა დანარჩენებიც იქ იხმო. ქალბატონი ცისანა დირექტორის კაბინეტში სრულიად შეცვლილი იყო. ჯერ ერთი, უკვე სათათბირო მაგიდას უჯდა და მხოლოდ წელზევით ჩანდა, რასაც თავისთავად საგრძნობი კორექტივი შეჰქონდა მის გარეგნობაში, გარდა ამისა, და სწორედ ამიტომ (არა იმიტომ, რომ მხოლოდ წელზევით ჩანდა, არამედ იმიტომ, რომ იჯდა), სახე დაამებოდა, დამშვიდებოდა, საომარი გამომეტყველება წაშლოდა. ახლა იგი ოჯახის დედას ჰგავდა, რომელსაც კარგად აღზრდილი შვილები ჰყავს, სანდომიანს, კეთილს, მზრუნველს, ქმრის ერთგულსა და ამ ერთგულებით ქმარზე მეტად კმაყოფილს. მრგვალი თავი ჰქონდა, თეთრი და სუფთა სახის კანი, ცისფერი თვალები, ძალიან ქერა თმა, ვიწრო, პატარა ტუჩები და იშვიათი სილამაზის, მოკლე ნატიფი ცხვირი, რომელიც იქნებ სხვა სახეზე უფრო მომგებიანი ყოფილიყო, მაგრამ ქალბატონ ცისანას სახესაც ძალიან შვენოდა. რაკი მჯდომარე ქალბატონი ცისანა ასე მკვეთრად განსხვავდებოდა მოსიარულე ქალბატონი ცისანასაგან, ახლა მთავარი როლი ხმას ეკისრებოდა, ხმა შეიძლებოდა გამომდგარიყო ის ოცდამეერთე კაცი, რომელზედაც გადასაჭრელი პრობლემის ბედი ჰკიდია, რადგან დანარჩენი ოციდან ათი მომხრე აღმოჩნდა და ათიც წინააღმდეგი. მაგრამ, სამწუხაროდ, სხდომა ისე დამთავრდა, ქალბატონ ცისანას ხმა არ ამოუღია. საქმე ისაა, რომ იგი აქ უფრო წონის გამო იყო, ჩარევა მხოლოდ იმ შემთხვევაში ევალებოდა, თუ უკიდურესი აუცილებლობა წარმოიშობოდა, უკიდურესი აუცილებლობა კი არ წარმოშობილა.

სხდომას სულ თორმეტი კაცი ესწრებოდა და საბოლოოდ, როცა თორმეტივემ თავ-თავისი ადგილი დაიკავა ვიწრო და მოგრძო სათათბირო მაგიდის ირგვლივ, რომელიც დირექტორის საწერი მაგიდიდან მოწყვეტილი იყო და ცალკე იდგა კაბინეტის შუაში, ასეთი სურათი წარმოიქმნა: თავში დირექტორი იჯდა, ბოლოში ნუკრი ვაჩეიშვილი, დანარჩენები მაგიდის გასწვრივ ისხდნენ, ხუთი ერთ მხარეს და ხუთი მეორე მხარეს. დირექტორის ხელმარცხნივ, მაგიდის დასაწყის-

ში, მოადგილეები ისხდნენ, ჯერ პირველი, მერე მეორე. პირველი ალექსანდრე ღუდუშაური იყო, წყნარი, ბუნჩულა და უპრეტენზიო კაცი, რომელიც, თუ ძალით არ ჩარევდნენ, თავისი ნებით არაფერში ერეოდა. საერთოდ, როგორც ცნობილია, თანამედროვე იერარქია მოითხოვს, რომ კიბის პირველი საფეხურის შემდეგ, სადაც დირექტორი დგას, მომდევნო რამდენიმე საფეხური ცარიელი იყოს და მხოლოდ კარგა ქვემოთ, ისეთ ადგილას, საიდანაც რიგითი თანამშრომლები უფრო ახლო არიან, ვიდრე დირექტორი, სხედან მოადგილეები და სხედან ძირითადად უსაქმოდ, რადგან დირექტორი მათ ნაკლებად ენდობა და ამიტომ ყველაფერს თვითონ აკეთებს. ზოგ მოადგილეს ასეთი საეჭვო მდგომარეობა არაფრად ეჭაშნიკება, ალექსანდრე ღუდუშაურს კი იგი სავსებით აკმაყოფილებდა და ის ერჩივნა, რაც ნაკლები თავსამტვრევი ექნებოდა. საერთოდ, უკვე ისეთ ასაკში იყო, როცა ცხოვრების საუკეთესო ნაწილი დიდი ხანია უკან დარჩა, ახალგაზრდობის იმედები და ოცნებები ნაწილი ასრულდა და ნაწილიც აუსრულებლად დაჭკნა, ისე რომ მშვიდი ინერციის მეტი წინ არაფერი ედო. ინერციას კი ალექსანდრე ღუდუშაური დიახაც რომ აფასებდა და, საერთოდ, მიაჩნდა, რომ ამ ფუნდამენტური ცნების მიმართ ადამიანების დამოკიდებულება სერიოზულ გადახედვას საჭიროებს. თუმცა ერთი ნატვრა მაინც შემორჩა, რომლის ასრულება, მისი აზრით, ჯერ კიდევ შეიძლებოდა: იგი ისტორიას ასწავლიდა და ძალიან უნდოდა მოსწავლეებს მისთვის ჰეროდოტე შეერქმიათ. ამ მიზნით ისტორიის მამას გაცილებით უფრო ხშირად (ზოგჯერ უადგილოდაც) ახსენებდა ხოლმე, ვიდრე მის შედარებით გვიანდელ კოლეგებს. მაგრამ მოსწავლეებმა, რომლებიც უტყუარი ალღოთი გრძნობდნენ, რა ურჩევნია მასწავლებელს და რა არა, მას აუსრულეს ნატვრა და არ შეარქვეს ჰეროდოტე. სამაგიეროდ შეარქვეს ჰეროდე, რაც სრულიად გაუგებარი იყო, რადგან ძნელი დასაჯერებელია ბავშვებს გაგონილი ჰქონოდათ შორეული, ბუნდოვანი და საეჭვო ლეგენდა სისხლის აღრევის თაობაზე, რაც თითქოსდა ალექსანდრე ღუდუშაურის ახალგაზრდობის წლებს ედო ლაქად. ალექსანდრე ღუდუშაურის გვერდით იჯდა ეთერ გვალია ანუ „შმაგი ეთერი“, როგორც ბავშვები ეძახდნენ, მეორე მოადგილე, რომლისაც მოწაფეებს ყველაზე მეტად, თვით დირექტორზე მეტადაც კი, ეშინოდათ. არა იმიტომ, რომ ქალი იყო, არამედ იმიტომ, რომ უიმედოდ შეყვარებული იყო და, ბუნებრივია, ჯავრს მოსწავლეებზე იყრიდა. სიყვარულით კი დირექტორი უყვარდა, რასაც, მართალია, სიტყვიერად არ ამხელდა, მაგრამ სხვა ყველა შესაძლებელი საშუალებით გამოხატავდა. თათბირებზე და სხდომებზე სევდიანად მიბნედილ თვალებს არ აშორებდა და ამ თვალებში არა მარტო დირექტორს, არამედ ყველას, ვისაც კი ამის სურვილი ჰქონდა, დაწვრილებით შეეძლო წაეკითხა, გულში რა ედო. დღე ერთი იყო და ათჯერ მაინც შეაკითხავდა კაბინეტში; თუ საქმე არაფერი ჰქონდა, რამეს მოიგონებდა. ორი საქმე თუ ჰქონდა, ორივეს ერთდროულად არ მოითავებდა, რათა ხელმეორედ შესვლისთვის საბაბი შემოენახა. მის ცალმხრივ სიყვარულს საუკეთესო წამები მაშინ უდგებოდა, როცა რაიმე ხელმოსაწერი ქაღალდი შეჰქონდა. ასეთ დროს წინიდან კი არ მივიდოდა მაგიდასთან, როგორც სხვები შერებოდნენ და როგორც, საერთოდ, წესია, გვერდიდან მიადგებოდა, ხელმოსაწერ ქაღალდს წინ დაუდებდა,

**ჯემალ ქარჩხაძე**
სოლომონიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონაც დაიხრებოდა, ისე რომ მისი სხეულის რომელიმე ნაწილი დირექტორის სხეულის რომელიმე ნაწილს შეხებოდა და თავის სხეულში დატრიალებული დენი დირექტორის სხეულისთვის გადაეცა, თან ამ დროს ჩქარ-ჩქარა და მძაფრად სუნთქავდა. დირექტორი, რომელსაც არავითარი სექსუალური გასაჭირი არ ადგა (ან კი რა სექსუალური გასაჭირი უნდა დადგომოდა მისი სილამაზისა და სითამამის პატრონს!), მოადგილის გრძნობებს არ იზიარებდა (თუმცა შეტყობით ატყობდა) და განუხრელად იცავდა დაუწერელ კანონს, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელი საკუთარ სამწყსოში სამიჯნურო ინტრიგებს უნდა ერიდოს, თორემ, ადვილი შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი ძმრად წამოსდინდეს. ასე რომ ეთერ გვალია, ვისაც ის კარი, რომლისკენაც დაუოკებლად მიილტვოდა, დაკეტილი დახვდა, ხოლო იმ კარისკენ, რომელიც ყურთამდე იყო ღია (რადგან შიგნით თვინიერი ქმარი ელოდებოდა), თავად აღარ მიუდიოდა გული, სულ მთლად მშრალზე დარჩა. ასეთ ვითარებაში კი არ შეიძლება არ დაგროვდეს ჭარბი მუხტები, რომლებიც ყველაზე იოლად მოსწავლეების თავზე ფეთქდება. ეთერ გვალიას შემდეგ მოდიოდნენ მათემატიკის მასწავლებელი, ჩუმი და უაღრესად თავაზიანი გურამ ხომერიკი, რომელიც ამავე დროს ქალაქის ჩემპიონიც იყო ასუჯრედიან შაშში, რითაც სკოლა ძლიერ ამაყობდა, ჩვენი სოლომონი და ნესტან ვაჩეიშვილი. მაგიდის მეორე მხარეს პირველი იჯდა ქალბატონი ცისანა, მერე ბატონი დიმიტრი, ბესარიონ ჭედია, ნატალია დავიდოვნა და კატო მასწავლებელი. ბოლოში, დირექტორის პირდაპირ, როგორც ითქვა, ნუკრი ვაჩეიშვილი იჯდა.

როდესაც მაგიდასთან ყველანი მოხერხებულად დასხდნენ და სკამების ხრიგინი მიწყდა, დირექტორმა მარჯვენა ხელით ჭრელი, ფოთლებიანი ჰალსტუხის სქელი ნასკვი შეისწორა, თუმცა ამის საჭიროება არ ყოფილა, რადგან ნასკვი მწვანედ მოელვარე პერანგის საყელოს ორივე წვეტიდან, რომლებზედაც უფუნქციო ღილები ისხდა, აბსოლუტურად თანაბარი მანძილით იყო დაშორებული (რის გამოც დირექტორის ჟესტსაც ფორმალური ხასიათი ჰქონდა: ცერითა და შუა თითით მან ოდნავ მისწი-მოსწია ჰალსტუხის ნასკვი, მერე ოდნავ ასწი-დასწია და საბოლოოდ იმავე ადგილას დატოვა, სადაც პროცედურის დასაწყისში იყო), და თქვა:

— ერთი საჭირბოროტო საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი და ამიტომ შეგკრიბეთ. იმდენად მძიმე საკითხია, რომ აგერ ქალბატონი ცისანას შეწუხებაც კი მოგვიხდა, — დირექტორმა ხელი წაიღო და ქალბატონ ცისანას მაჯას, რომელიც მაგიდაზე იდო, ოდნავ შეეხო, რათა ამით განათლების განყოფილებაში თავისი პოზიციის სიმტკიცისათვის კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი. ქალბატონმა ცისანამ პასუხად თვალები დახუჭა და გაახილა, ისე დახუჭა და გაახილა, თითქოს ორი პატარა, ოვალური, ოდნავ ნაოჭდაყრილი თეატრალური ფარდა ორ სცენაზე ერთდროულად დაეშვა და აიწია, ხოლო ეთერ გვალიას, რომელიც მარჯვენა ხელისგულს ნიკაპით დაყრდნობოდა და დირექტორს თვალმოუშორებლივ შესცქეროდა, სახეზე ტკივილმა და რისხვამ გადაუარა. დირექტორმა კი განაგრძო, — მშობელთა კოლექტიური განცხადებაა შემოსული. ორი დღის წინ გადმოგვიგზავნა განათლების განყოფილებამ. კიდევ გიმეორებთ: საკითხი რთულია, მძიმე და მტკივნეული. ამიტომ გთხოვთ გულდასმით მოისმინოთ და ყველამ მიიღოთ მონაწილეობა განხილვაში. აბა, ბესარიონ, წაიკითხე.

დირექტორი ქალბატონი ცისანასკენ გადაიხარა. ქალბატონმა ცისანამ,

ეს რომ შენიშნა, ყური მიუშვირა (პატარა და თხელი, თითქმის გამჭვირვალე ყურები ჰქონდა). დირექტორმა რაღაც ჩასჩურჩულა. ქალბატონმა ცისანამ თავი დაუქნია (მერეც, მთელი სხდომის განმავლობაში, დირექტორი დროდადრო გადაიხრებოდა და მოშვერილ ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა, რაზედაც ქალბატონი ცისანა თავს უქნევდა).

ბესარიონ ჭედიამ პიჯაკის ჯიბიდან პატარა, მრგვალშუშებიანი სათვალე ამოიღო, ცხვირსახოცით კარგად გაწმინდა, გაიკეთა და საქაღალდე გაშალა.

ბესარიონ ჭედია ყურცქვიტა კაცი იყო, ტანმორჩილი, გამხდარი და სულ მთლად ქაჩალი. სამაგიეროდ ულვაში ჰქონდა ძალიან გრძელი. ულვაში, ისევე როგორც ცხვირი, თითქმის ნიკაპამდე სწვდებოდა და სიარული იცოდა რაღაც უცნაური — ფიცხი და მუქარიანი. თქვენკენ მომავალს რომ დაინახავდით, განსაკუთრებით თუ ბინდი იყო და მაინცდამაინც არც სიმამაცით გამოირჩეოდით, გული შეგიქანდებოდათ და ადვილად შეიძლებოდა შეგქმნოდათ ცრუ შთაბეჭდილება, თითქოს ჯიბეში რევოლვერი ედო. სინამდვილეში უწყინარი კაცი იყო. წერა-კითხვა უყვარდა და ხმა ჰქონდა ისეთი ბოხი, მსუყე და სასიამოვნო, რომ დაგელაპარაკებოდათ, გეგონებოდათ, კი არ ლაპარაკობს, არამედ რაღაცას ძალიან გემრიელსა და სამარგებლოს ჭამსო. ამიტომ, თუკი სკოლაში რამე საჯარო წაკითხვას საჭიროებდა (საჩივრები, მადლობები, წინადადებები და სხვ.), ყველაფერს ის კითხულობდა. დაწერითაც ყველაფერს ის წერდა, მოყოლებული დირექტორის გამოსვლათა ტექსტებიდან და ნაირ-ნაირი საანგარიშო მოხსენებებიდან, დამთავრებული კოლეგების დახასიათებებით, შუამდგომლობებით, უბრალო განცხადებებით... ამაში არავითარ გასამრჯელოს არ იღებდა. მეტიც: მოცილე რომ გამოსჩენოდა, ალბათ იქით მისცემდა გასამრჯელოს, ოღონდაც თავიდან მოეშორებინა, ისე უყვარდა ეს საქმე. განსაკუთრებით წერა. უყვარდა და ემარჯვებოდა კიდეც. მართალია, შიგადაშიგ შეცდომებსაც უშვებდა, მაგრამ ეს შეცდომები უმნიშვნელო იყო და, საერთოდ, შეუმცდარი ვინ არის ამქვეყნად! მშობელთა კოლექტიური განცხადებაც, ჩვეულებისამებრ, ნელა წაიკითხა, გემრიელად, გამოთქმით, სასვენ ნიშნებთან ხანგრძლივად ჩერდებოდა და მსმენელებს საშუალებას აძლევდა უკვე წაკითხული აუჩქარებლად და გულდინჯად გადაემუშავებინათ. ეს იყო მხოლოდ, ცოტას კეკლუცობდა, რათა კოლეგები შეცდომაში შეეყვანა და თავის მსახიობურ ნიჭზე, რომელიც სინამდვილეში ჩანასახის სტადიაში იმყოფებოდა, მათთვის არასწორი წარმოდგენა შეექმნა, გარდა ამისა, კილო ჰქონდა ყალბად, სიტუაციისათვის შეუფერებლად და ცოტა ორჭოფულად საზეიმო, როგორც მხცოვან ოფიცერს, რომელიც თვითმოქმედების საღამოზე საკუთარ ლექსს კითხულობს, მაგრამ დანამდვილებით ჯერ კიდევ არ იცის, კარგია ლექსების წერა თუ ცუდი.

— „მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ი. ი. დიდიძეს. მე-4 საშ. სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეთა მშობლების კოლექტიური განცხადება. მოგახსენებთ, რომ ღრმად შეშფოთებულები ვართ ჩვენი შვილების ბედისა გამო, რაც, ბუნებრივია, თავის დაღს ასვამს აგრეთვე ჩვენი შრომის ეფექტიანობასა და ნაყოფიერებას. საქმე ეხება პედაგოგ სოლომონ იასონის ძე კიტარიძეს. შესაძლებელია, ზემოხსენებული ს. კიტარიძის პროფესიული დონე, განათლება, პედაგოგიური ალღო და მეთოდიკა თავის დროზე შეესაბამებოდა

ჯემალ ქარჩხაძე
სოლომონიანი

ეპოქას, არ ვიცით, მაგრამ დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს ნამდვილად ვეღარ პასუხობს. მისი მოწაფეები, როცა სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში მიდიან მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად, სერიოზულ კონკურენციას ვერ უწევენ იქაურ სულ სხვა პედაგოგიური წიაღიდან გამოსულ კადრებს. პლუს ამას გაკვეთილებისათვის განკუთვნილი დროის არადანიშნულებისამებრ გამოყენება. დღევანდელ რთულ ვითარებაში, როდესაც სასკოლო პროგრამა ისედაც გადატვირთულია და თითოეული მასწავლებლისგან მოითხოვს დაძაბულ შრომასა და ნამდვილ შემოქმედებით თავგანწირვას, ს. კიტარიძე თავის გაკვეთილებზე მოსწავლეებს საქართველოს ისტორიაზე ესაუბრება, მაშინ, როცა ისტორიისთვის ცალკე საათები და, რაც მთავარია, ცალკე პედაგოგიური კადრები არსებობს. პლუს ამას ზოგი აუხსნელი სტუმრობა მარტოხელა ქალთან, რასაც აქ გაკვრით შევეხებით და რაც კვალიფიცირებულ უნდა იქნას, როგორც მორალურად საეჭვო, რამდენადაც, ადვილი შესაძლებელია, ჩირქი მოსცხოს უდანაშაულო და პატიოსან ადამიანს. პლუს ამას ტენდენციურობა. ჩვენთვის ცნობილია, რომ გასულ სასწავლო წელს ს. კიტარიძემ დამამთავრებელი კლასის ორ მოწაფეს დაუმსახურებლად აუწია ნიშანი. ბუნებრივად ისმის კითხვა: უანგაროდ? დაე, ამ კითხვის პასუხი ს. კიტარიძის სინდისზე იყოს. დავუშვათ, უანგაროდ, მაგრამ ტენდენციურობას რაღა ვუყოთ? ყველა ყველა და, შეიძლება პედაგოგი ტენდენციური იყოს? ამით ხომ გამოუსწორებელ ფსიქოლოგიურ ტრამვას ვაყენებთ ბავშვის ფაქიზ სულს, რომელიც, როგორც ცნობილია, სუფთა ფურცელია და იგი ჩვენ უნდა შევავსოთ! განა პედაგოგი ის პიროვნება არ არის, ვინც საზოგადოებას ღირსეულ ცვლას უმზადებს? და რა ღირსეული ცვლა შეიძლება მოუმზადოს ჩვენს მოწინავე საზოგადოებას ისეთი ტენდენციური მიმდინარეობის პედაგოგმა, როგორიცაა ს. კიტარიძე? ჩვენ ვიცნობთ სკოლის დირექტორს ამხ. ჰ. თვალაბეიშვილს, როგორც პრინციპულ, მომთხოვნ და მაღალი ჰუმანური იდეების მატარებელ ხელმძღვანელ მუშაკს, და მიგვაჩნია, რომ იგი ალბათ კოლეგიალობის გრძნობისა და აგრეთვე პირადი სულგრძელობის გამო ითმენს ს. კიტარიძეს. მაგრამ ამჟამად ისეთი ვითარება შეიქმნა, როცა პირადული საზოგადოებრიულის სამსხვერპლოზე უნდა მივიტანოთ, ვინაიდან სასწორის პინაზე ჩვენი მომავალი დევს. ჩვენ ბევრი ვითმინეთ, მაგრამ მეტის მოთმენა უკვე შეუძლებელია და ამიტომ, გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, დაბეჯითებით მოვითხოვთ გადააყენოთ ს. კიტარიძე და მის ადგილას დაგვინიშნოთ ისეთი პედაგოგი, ვინც ცოდნას მისცემს ბავშვებს და ამ ცოდნის შესაფერის ნიშნებს დაუწერს, რათა ჩვენი შვილების მომავალი საიმედო ხელში იყოს და ჩვენც დაწყნარებულებმა მთელი ჩვენი ნიჭი და ენერგია საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას მოვახმაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული შევიქნებით ბოიკოტის სახით ბავშვები ს. კიტარიძის გაკვეთილებს არ დავასწროთ, რაც ისეთი მნიშვნელობის აქტია, რომ არც ჩვენთვის იქნება კარგი და არც თქვენთვის. იმედია, გულისხმიერად მოეკიდებით ჩვენს თხოვნას და დააკმაყოფილებთ მას. პატივისცემით". ოცდახუთი ხელმოწერა ახლავს ალფავიტზე გაწყობილი. წავიკითხო? და რეზოლუცია: „ამხ. ჰ. თვალაბეიშვილს. გთხოვთ გულდასმით განიხილოთ და მიღებული ზომების შესახებ მაცნობოთ. ი. დიდიძე."

როდესაც ბესარიონ ჭედიამ კითხვა დაამთავრა, სამასწავლებლოში უკვე კარგა ხანია მძიმე სიჩუმე იწვა. იმ წამს, რა წამსაც მან თავისი მსუყე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საამო ბანით წარმოთქვა ფრაზა, საქმე ეხება სოლომონ იასონის ძე კიტარიძესო, სოლომონის თავში ტკაცანი გაისმა, თითქოს მოკლე ჩართვა მოხდაო, და ვეება, ცარიელი სივრცე თეთრმა და არნახულად მძაფრმა, თვალისმომჭრელმა სინათლემ გაანათა. მაგრამ ეს დიდი სინათლე ანთებისთანავე ჩაქრა და ზემოდან სიბნელე დაეშვა. სიბნელე ეშვებოდა არა მსუბუქად და ნარნარად, როგორც შემოღამების წესია, არამედ მძიმედ, სწრაფად და სახიფათოდ, თითქოს განყენებული ფერი კი არა, სქელი, შედედებული კუპრი ყოფილიყოს. მოდიოდა მრისხანედ, გზადაგზა ყველაფერს იწოვდა და საბოლოოდ ყოველივე ბლანტ, გაუვალ წყვდიადად იქცა. სოლომონი ერთხანს უგონოდ იყო ამ წყვდიადში. მერე უეცრად შორეულმა ზარმა მწუხარე ხმაზე ჩამოჰკრა და სიბნელე გაიხსნა. ჯერ პატარა ნახვრეტი გაჩნდა შუაში, მერე ნახვრეტი თანდათან გაიზარდა. გაიზარდა, გაიზარდა, გაიზარდა და შავი წყვდიადის მიღმა უკიდეგანო ოკეანე გამოჩნდა, რომლის შუაგულში, შიშველი და გავარვარებული მზის ქვეშ, პაწაწკინტელა ალდოვან კუნძულზე ეული პალმა იდგა. პალმა მარტოდმარტო იყო. არათუ ხე, ირგვლივ, ბალახი რა არის, ბალახიც არ ჭაჭანებდა. ოთხივე მხარეს, სადამდეც კი თვალი წვდებოდა, ყვითელი წყალი ჩანდა, რომელსაც ბოლოში ცა ჩამომხობოდა და ყველა გასავლელს კეტავდა. მერე კუპრის შავმა კედელმა პირი ისევ შეიკრა, ყვითელი ოკეანე თანდათან გაქრა და სოლომონი კვლავ წყვდიადში მოექცა. მაგრამ ბოლოს — სოლომონი ვერ მიხვდა, თვალი შეაჩვია სიბნელეს თუ საიდანღაც სინათლის სხივი შემოიპარა — სამყარო ძველებური სახით აღდგა. ჯერ კედლებისა და ფანჯრების ბუნდოვანი მოხაზულობა შემოცურდა მხედველობის არეში, მერე ერთიმეორეში ათქვეფილი წვრილ-წვრილი საგნებიც დაცალკევდნენ და, თუმცა ჯერ კიდევ ყოველივე მსუბუქ ბურუსში იყო გახვეული, სოლომონს მხედველობა დაუბრუნდა.

მაგიდა ტორტმანებდა. ტორტმანებდა გამაღიზიანებლად, როგორც მოცეკვავე, რომელიც რიტმიდან ამოვარდა და ახლა სასოწარკვეთით ცდილობს კვლავ რიტმში მოექცეს, რითაც კიდევ უფრო გვაღიზიანებს, რადგან, როცა მისი განწირული ილეთები და მუსიკის დინება საერთო კალაპოტს მიადგება და იმედის ნაპერწკალი გაჩნდება, დაძაბული მოლოდინისაგან წამით გული გვიჩერდება, რაც მერე მწვავე ტკივილში გადადის, რაკიღა უკანასკნელ მომენტში მოცეკვავე და მუსიკა ისევ აცდებიან ერთმანეთს და თავ-თავიანთი გზით წავლენ.

კაბინეტში დუმილი იდგა და სოლომონი გრძნობდა, რომ, სანამ ეს დუმილი არ დაირღვეოდა, მაგიდა ტორტმანს არ შესწყვეტდა.

ბესარიონ ჭედიამ სათვალე მოიხსნა, მშობელთა კოლექტიურ განცხადებაზე დადო, რბილი სკამის საზურგეს მიაწვა, ხელები ვიწრო მკერდზე დაიკრიბა და ისეთი სახით მიაჩერდა მოპირდაპირე კედელს ეთერ გვალიასა და გურამ ხომერიკის თავებშუა, როგორც მსახიობი, რომელიც ჩუმი სიამაყით ცდილობს მოსალოდნელ აპლოდისმენტებს მშვიდად და ღირსეულად შეხვდეს.

ბოლოს, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, რომელსაც მხოლოდ ნუკრი ვაჩეიშვილის საჩვენებელ თითზე წამოცმული გასაღებების ასხმა არღვევდა, დირექტორი ქალბატონი ცისანასაკენ გადაიხარა, რაღაც წასჩურჩულა (რაზედაც ქალბატონმა ცისანამ თავი დაუქნია), ისევ გაიმართა, სხდომის მონაწილეებს ნელა, დაკვირვებით მოავლო თვალი (ოღონდ სოლომონს აარიდა მზერა, როგორც ჯიბის ფარ-

ნის შუქს ავარიდებთ ბნელ ოთახში რაიმე საგანს, რომლის დანახვა უსიამოვნო მოგონებებს აღგვიძრავს) და თქვა:

— შეკითხვა თუ გაქვთ ვინმეს?

ალექსანდრე ღუდუშაური მსუბუქად თვლემდა. ეთერ გვალიას ნიკაპი ხელისგულზე ჩამოეყრდნო და თვალებმოწკურული მისჩერებოდა დირექტორს. გურამ ხომერიკს თან მოტანილი ჟურნალი გადაეშალა და ბოლო გვერდზე ასუჯრედიანი შაშის ამოცანას ჩაღრმავებოდა. ნესტან ვაჩეიშვილს ყელი მოეღერებინა და სხდომას ალამაზებდა. ნუკრი ვაჩეიშვილი საჩვენებელ თითზე წამოცმულ გასაღებების ასხმას ზანტად ატრიალებდა და ისეთი სახე ჰქონდა, როგორიც შეიძლება ჰქონდეს მძიმეწონოსან მოკრივეს, რომელსაც ჩია, კაფანდარა კაცი დედას შეაგინებს. კატო მასწავლებელი მაგიდაზე დაწყობილ საკუთარ ხელებს დასცქეროდა და შიგადაშიგ თვალებს ახამხამებდა. ნატალია დავიდოვნას სახე ასწითლებოდა, რაც მშობელთა კოლექტიური ქარაგმის ბრალი არ უნდა ყოფილიყო, რადგან შეუძლებელია მისი მიამიტობის პატრონს ეს ქარაგმა გაეგო. ბესარიონ ჰედია განზე გადგმული იდაყვებით მაგიდას დამხობოდა, წინ ქაღალდის დასტა ედო და ფხაჰაფხუჰით წერდა სხდომის ოქმს. ბატონი დიმიტრი სივრცეს გასცქეროდა და წყნარად, თითქმის შეუმჩნევლად უღიმოდა თავის ფიქრებს. ქალბატონი ცისანა იჯდა.

— არავისა გაქვთ შეკითხვა? — გაიმეორა დირექტორმა.

ამჯერად სიჩუმე დაირღვა. სოლომონმა ხელი აიწია და თქვა:

— მე მაქვს.

ყველამ, ვინ ქურდულად და ვინ აშკარად, სოლომონს მოხედა.

— ბრძანე, სოლომონ ბატონო, — უთხრა დირექტორმა.

— ოცდახუთი ხელმოწერა თქვი მგონი, ბესარიონ, არა? — სოლომონს საკუთარი ხმა ისე მკაფიოდ ჩაესმოდა, ისე ცხადად და ამავე დროს ისე უცხოდ, თითქოს სხვა ლაპარაკობდა.

— კი, — მიუგო ბესარიონ ჰედიამ, — ოცდახუთი.

— მეათე კლასში ოცდაექვსი მოწაფე მყავს და, თუ კაცი ხარ, რომელია ოცდამეექვსე, ხელი რომ არ მოუწერია?

— ნამიჰეიშვილი, — სწრაფად მიუგო ბესარიონმა, რომელმაც ეჭვი არაა, საკითხი ღრმად იცოდა.

სოლომონის გონების თვალმა წამსვე გამოკვეთა სივრცეში ნამიჰეიშვილი, გამხდარი, სუსტი ბიჰი, რომელსაც ცნობისმოყვარე, ცოტა გაკვირვებული თვალები და სასაცილოდ (უფრო საყვარლად) მოპრუწული ტუჩები ჰქონდა. და უეცრად რაღაც თბილი, რაღაც საამო ნაკადი სამყაროს წვენივით გამოეყო, ყოველი მხრიდან დაიძრა და ნამიჰეიშვილის ირგვლივ იწყო თავმოყრა. ეს გრძნობიერი პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, როდესაც დირექტორმა თქვა:

— ნამიჰეიშვილის მშობლებს განცხადება აქვთ შემოტანილი. ბინა გამოიცვალეს და ბავშვი სხვა სკოლაში გადაჰყავთ.

ამის შემდეგ კვლავ დუმილი ჩამოვარდა, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ უკვე ნუკრი ვაჩეიშვილმა დაარღვია. მან საჩვენებელი თითი, რომელზედაც გასაღებების ასხმა ჰქონდა წამოცმული, ჰაერში გააშეშა და ბესარიონ ჰედიას მიუბრუნდა:

— მაშ, ოცდახუთი არა, ბესარიონ?

— ოცდახუთი, კაცო, მე მგონი გარკვევით ვთქვი! — ცოტა მოთმინებამ უღალატა ბესარიონ ჰედიას.

— მერე რა განერვიულებს, შე კაცო! — დაამშვიდა ნუკრი ვაჩეიშვილმა, — შენ ნუ იღელვებ და, ჩემდათავად მაგათ, ოცდახუთივეს, და იმასაც, ოცდამეექვსესაც...

საერთოდ დიდი ბედნიერებაა, კაცს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გვერდით ღვიძლი ბიძაშვილი გიზის, რომელსაც შეუძლია კრიტიკულ მომენტში მწარედ გიჩქმიტოს მკლავზე და სოლიდური სხდომა უწმაწური სიტყვებისაგან იხსნას, მაგრამ ამჯერად ნესტანს ალბათ მაინც დააგვიანდებოდა, ნუკრი ვაჩეიშვილს რომ ოცდამეექვსეზე არ გაემახვილებინა ყურადღება და ამის გამო ცოტა არ შეყოვნებულიყო. სწორედ ამ ოცდამეექვსემ უშველა საქმეს და ნესტანმა ჩქმეტა მოასწრო, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ნუკრი ვაჩეიშვილი მოულოდნელობისაგან შეკრთა, ბიძაშვილს მწყრალად მოხედა და, მის თვალებში რომ განათლების განყოფილების აჩრდილი აირეკლა, მთავარი სათქმელი უკვე ხმადაბლა, თითქმის თავისთვის წაიბურდღუნა, ისე რომ თავად ნესტანის, სოლომონის, კატო მასწავლებლისა და ნატალია დავიდოვნას გარდა, ალბათ არავის გაუგონია. მაგრამ ეს მაინც ფორმალური თავშეკავება იყო და მთლად უყურადღებოდ დატოვება არ ივარგებდა, ამიტომ დირექტორმა საჩვენებელი თითი სამჯერ მკაცრად დაჰკრა მაგიდას და ნუკრი ვაჩეიშვილს თვალები დაუბრიალა, რაც ამ უკანასკნელს აინუნშიაც არ ჩაუგდია.

აი, ამ დროს ნატალია დავიდოვნამ, რომელიც უკანასკნელ წამს კიდევ უფრო გაწითლდა, უეცრად სწრაფად, სხაპასხუპით, თითქოს ეშინოდა ვინმეს პირზე ხელი არ აეფარებინა, დაიწყო:

— ყველაფერი ეს ხომ სისულელეა და აშკარა ცილისწამება, — ოღონდ სიჩქარისა თუ მღელვარების გამო ისეთი შეცდომა დაუშვა, რომელსაც ჩვეულებრივ არ უშვებდა ხოლმე, კერძოდ, „ცილისწამების“ ნაცვლად თქვა „წილისცამება“. ამან ცოტა დააბნია, რაც იმაში გამოიხატა, რომ ხელი ისე აიქნია და დაიქნია, თითქოს თვალში ბოლი შეუვიდაო, მაგრამ მაინც სხაპასხუპით განაგრძო: — ჩვენ ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ ბატონი სოლომონი უმწიკვლო (უშეცდომოდ თქვა) და პატიოსანი კაცია. ძალიან კარგად იცის თავისი საგანი და მოსწავლეებიც...

— ნატალია დავიდოვნა, — უფლებამოსილი, მაგრამ ამავე დროს მოთმინებით სავსე კილოთი შეაწყვეტინა დირექტორმა, — ჯერ ერთი, მე ვთქვი, შეკითხვები თუ გაქვთ-მეთქი, სიტყვებზე ჯერ არ გადავსულვართ, და მეორეც, ისეთ შთაბეჭდილებას ნუ შექმნით, თითქოს მარტო თქვენ შეგტკივათ გული სოლომონზე, ჩვენ კი შორიდან ვუცქერით სეირს.

ნატალია დავიდოვნა სულ მთლად აირია, კიდევ მეტად გაწითლდა, რაღაც გაუგებრად წაიბუტბუტა, თავი ჩაღუნა და მაგიდას ჩააცქერდა.

— კიდევ აქვს ვინმეს შეკითხვა? — კვლავ გაიმეორა დირექტორმა, ერთხანს შეიცადა და, რაკი არავინ გამოეხმაურა, დაასკვნა, — არავის. კეთილი, მაშინ გადავიდეთ სიტყვებზე, — და ნატალია დავიდოვნას მიუბრუნდა: — ახლა ბრძანეთ, თუ რამე გაქვთ სათქმელი, — მაგრამ ნატალია დავიდოვნამ უხმოდ გაიქნია თავი უარის ნიშნად — ვინ დაიწყებს? — სხდომის მონაწილეები რომ ამ მოწოდებასაც დუმილით შეხვდნენ, განაგრძო, — კარგი, მე თვითონ დავიწყებ, მით უმეტეს, რომ ამ საკითხზე ბევრი ვიფიქრე და რაღაც მოსაზრებებიც მაქვს. მადა ჭამაში მოდისო და, — აქ კეთილმოსურნე ღიმილით გაიღიმა, — მერე იქნებ თქვენც აგეშალოთ ლაპარაკის საღეროღელი. ამგვარად, გვაქვს კოლექტიური განცხადება, კოლექტიური საჩივარი. კოლექტიურ საჩივარს კი, ჩემი სწავლება რად გინდათ, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. ოცდახუთი კაცი აწერს ხელს. ჯერ ერთი, იმას ხომ ვერ დავუშვებთ, რომ ოცდახუთი კაცი ტყუის და ერთი კაცია მართალი...

---

**ჯემალ ქარჩხაძე**
სოლომონიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ორმოცდაათი ვირიც მინახავს ერთად თავმოყრილი, — ჩაურთო მოულოდნელად ნუკრი ვაჩეიშვილმა.

— რაო? — ვერ გაიგო დირექტორმა.

— მე ორმოცდაათი ვირიც მინახავს-მეთქი ერთად თავმოყრილი, — გაიმეორა ნუკრი ვაჩეიშვილმა.

დირექტორმა ჯერ კბილი კბილს მაგრად დააჭირა, რის გამოც ლოყების ქვედა ნაწილი, ყბების არეში, თითქოს დაეწნეხა, კანი დაეჭიმა და შიგნიდან მოწოლილი ძვლების ფორმა მკაფიოდ დაემჩნია. მერე წყნარად თქვა:

— ჩემო ნუკრი, მე შეკითხვების საშუალებაც მოგეცით ყველას და აზრის გამოთქმისაც, მაგრამ არ მოისურვეთ. ახლა კეთილი ინებეთ და მე მომისმინეთ.

— კაი, კაი, — თქვა ნუკრი ვაჩეიშვილმა.

— მეორეც, — ზუსტად იქიდან განაგრძო დირექტორმა, სადაც შეწყვიტა, — გინდაც ოცდახუთივე ტყუოდეს, კოლექტიური განცხადება მაინც კოლექტიური განცხადებაა. არ დაგავიწყდეთ, ბოიკოტით გვემუქრებიან და, ღმერთმა ნუ ქნას და, რომ შეგვისრულონ, სკანდალს ვერ გადავრჩებით. მეორე მხრივ, ყველანი ვიცნობთ ჩვენს სოლომონს, ვაფასებთ და პატივს ვცემთ. ყოველთვის მართლები და ყოველთვის შეუმცდარები ანგელოზები არიან ცაში, — ისევ გაიღიმა დირექტორმა, — ჩვენ, ჩემო ბატონო, ადამიანები ვართ და ადამიანი რისი ადამიანი იქნება, ხანდახან შეცდომა თუ არ დაუშვა. დავიჯეროთ, ამ ოცდახუთი კაციდან, ვინც ამ განცხადებას ხელს აწერს, — საჩვენებელი თითი საქაღალდეს მიაშვირა, რომელიც ბესარიონ ჭედიას ედო წინ, — ერთი მაინც ურევია ისეთი, რომ თავის დღეში არ შემცდარიყოს?! სამწუხარო ის არის, რომ განცხადებაში მოტანილი რამდენიმე ფაქტი, თუმცა, მე თუ მკითხავთ, არც ისე მნიშვნელოვანი, სინამდვილეს შეეფერება. ყველას გვჭირს პატარ-პატარა სისუსტე. ხანდახან მეც წამოვიწყებ ხოლმე საქართველოს ისტორიაზე ლაპარაკს ისეთ ვითარებაში, სადაც არც დროა ამისი და არც ადგილი. მიყვარს ეს ოხერი და რა ვქნა! მაგრამ თავის მოთოკვაც უნდა ვიცოდეთ, მეტი გზა არ არის. რაც შეეხება ნიშნების აწევას, რაზედაც განცხადებაშია ლაპარაკი, ფაქტიურად, საქმე ეხება არა თითო ნიშნის წამატებას, არამედ უფრო ნახევარ-ნახევარი ნიშნის წარმატებას. ეს კი, კაცმა რომ თქვას...

— კაცმა რომ თქვას, — ისევ ჩაერია თავისი არხეინი კილოთი ნუკრი ვაჩეიშვილი, — არ ჯობია ამ კაცს პირდაპირ ვუთხრათ, რაზე უჩივიან, ნიშნებს რომ უმატებს, იმაზე თუ, ნიშნებს რომ არ უმატებს, იმაზე.

აქ დირექტორმა გაშლილი ხელისგული მაგიდას დაჰკრა, ფეხზე წამოდგა და დაიყვირა:

— ახლავე შეწყვიტე ეს დემაგოგია!
—მერე სრულ სიჩუმეში უკვე წყნარად, მაგრამ მკაცრი კილოთი დაუმატა, — თუ მოსმენა და თავის შეკავება არ შეგიძლია, მიბრძანდი აქედან!

სანამ დირექტორი ლაპარაკობდა, ნუკრი ვაჩეიშვილი მას უყურებდა. უყურებდა მშვიდად, აუღელვებლად. მერე, დირექტორმა რომ სათქმელი მოათავა, სოლომონს შეხედა. აქ, არავინ იცის ასეთი რა დაინახა სოლომონის სახეზე, უეცრად გაიღიმა, ხელი ჩაიქნია და თქვა:

— მართლა რას ვეჩრები სხვის საქმეში უტარო კოვზივით! ერთი თქვენი ყველასი, ბრალმდებლიან-ბრალდებულიანად...

ამ სიტყვებით წამოდგა და ისეთი ნელი ნაბიჯით, თითქმის სეირნობა-სეირნობით გაემართა კარისკენ, რომ სხდომის მონაწილეებს კარგა ხანს ედგათ თვალწინ მისი განიერი ბეჭები და ათლეტის ჩამოქნილი ტანი.

ნუკრი ვაჩეიშვილი რომ გავიდა, კა-

ბინეტში სიჩუმემ დაისადგურა, რომელიც დირექტორის მშვიდი თავდაჯერების მეოხებით სულ მალე დაირღვა. დირექტორს თავისი გონების საუფლოში, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, ერთი პატარა კუთხე მუდამ თავისუფალი ჰქონდა და იქ არავითარ საჭოჭმანო და თავსამტვრევ კითხვებს არ აჭაჭანებდა. ეს კუთხე მთლიანად და განუყოფლად ეკუთვნოდა ლაღსა და ამო აზრს იმის შესახებ, რომ ლამაზი იყო, წარმოსადეგი, ელეგანტური, ქალების ნებიერი, და განათლების განყოფილებაში მრავალი მეგობარი ჰყავდა. ამიტომ, რა რთული და მძიმე პრობლემაც არ უნდა გასჩენოდა, ამ კუთხეში ყოველთვის ეგულებოდა მკვიდრი საყრდენი ოპტიმიზმისა და თვითრწმენისათვის, რაც ყოველგვარი პრობლემის გადაჭრის უმთავრესი საწინდარია. ასე რომ, მცირე პაუზის შემდეგ იგი ქალბატონ ცისანასკენ გადაიხარა, თხელ ყურში რაღაც წასჩურჩულა და, ქალბატონმა ცისანამ რომ თავი დაუქნია, მშვიდად, დაჯერებულად, ცოტა ხაზგასმული სილაღითაც კი, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ვაჩეიშვილის პრობლემა დიდი ყურადღების ღირსი არ არის, მიმართა სხდომის მონაწილეებს:

— მაგას ცალკე მოველაპარაკები, ახლა კი ჩვენი საქმე განვაგრძოთ. ამგვარად, საკითხი ასე დგას: ერთი მხრივ, არავითარი უფლება არა გვაქვს რეაგირების გარეშე დავტოვოთ ასეთი განცხადება, ერთი კაცი რომ აწერდეს ხელს ან თუნდაც ორი კაცი, იცოცხლეთ, დავტოვებდი, მეორე მხრივ, სოლომონი ჩვენი კოლეგაა, საყვარელი და პატივსაცემი ადამიანი და მოვალეები ვართ მხარში ამოვუდგეთ და ვაგლახად არავის დავაჩაგვრინოთ. მე დიდხანს ვიფიქრე ამ საქმეზე, ყველაფერი ავწონ-დავწონე და გადავწყვიტე ერთი წინადადებით შემოვიდე თქვენს წინაშე. თუ თქვენც მხარს დამიჭერთ, ერთიანი ძალით გავიტანთ კიდეც ჩვენსას, გავიტანთ, თუნდაც ამის გამო განათლების განყოფილება, — აქ მარჯვენა ხელი ისევ წაიღო და ღიმილით დაადო ქალბატონი ცისანას მაჯას, რაზედაც ქალბატონმა ცისანამ ოვალური ფარდები დაუშვა და ასწია, — გაგვიჯავრდეს. ჩემი აზრით, ერთადერთი გამოსავალი, რომელიც საშუალებას მოგვცემს არც მწვადი დავწვათ და არც შამფური, პენსიაა. — აქ დირექტორი ცოტა ხანს შეყოვნდა, რათა მსმენლებისთვის საშუალება მიეცა თავიანთი შეფასება გამოემჟღავნებინათ. მართლაც სხდომის მონაწილეებმა შვებით ამოისუნთქეს, თითქოს მძიმე ტვირთი, რომელსაც თვითონ ვერაფერს უხერხებდნენ, ვიღაცამ მოხსნა, პირქუში განწყობილება მსწრაფლად გაიფანტა და აქა-იქ ხალისიანი ხმებიც გაისმა. მაშინ დირექტორმა განაგრძო: — საბედნიეროდ, სოლომონის საპატიო ასაკი ამის საშუალებას გვაძლევს· რაც შეეხება მომჩივნებს, ისინიც დაკმაყოფილებული იქნებიან; ბოლოს და ბოლოს მასწავლებლის შეცვლა უნდათ და არა ის, რომ ვინმე მოვხსნათ და გავაუბედუროთ. ჩვენში დარჩეს და, მეტიცა მაქვს ჩაფიქრებული, თუ, — აქ ღიმილით გადახედა ქალბატონ ცისანას, — ქალბატონი ცისანა არ გაგვთქვამს: ხანი რომ გამოხდება და ეს მითქმა-მოთქმა ჩაწყნარდება, სოლომონის სურათი საპატიო დაფაზე ჩამოვკიდოთ. რაც არ უნდა იყოს, ოცდათვრამეტი წელი იმუშავა კაცმა ამ სკოლაში და ერთი განცხადების გულისთვის ამდენ ღვაწლს წყალში ხომ არ გადავუყრით!

— ამ სიტყვებით დირექტორი სოლომონს მიუბრუნდა და ამის შემდეგ, სანამ სათქმელს არ მორჩა, სულ მას. მიმართავდა, — მე ვიცი, ჩემო სოლომონ ბატონო, რომ შენ ჯან-ღონით სავსე კაცი ხარ, მხნე და ყოჩაღი, და ჯერ

კიდევ ბევრის გაკეთება შეგიძლია, მაგრამ, რა ვუყოთ, რომ კოლექტიური საჩივრისაგან არავინა ვართ დაზღვეული ამ ცოდვილ მიწაზე. კიდევ გიმეორებ, ეს რომ ერთი კაცის განცხადება ყოფილიყო, რომ იტყვიან, სოლო განცხადება, კაცობას გეფიცები, ყურადღებას არ მივაქცევდი, — ეს „ყურადღებას არ მივაქცევდი“ დირექტორმა ისეთი დაღმავალი ტონით თქვა, რომ ეტყობა, ფიქრი სათქმელიდან აუსხლტა და მოულოდნელად სხვა საგნისკენ გაექცა. მერე, სანამ ახალ წინადადებაზე გადავიდოდა, ისეთი სახე მიიღო, როგორიც, სავარაუდოა, უნდა ჰქონოდა აბაზანაში ჩაძირულ არქიმედეს, როცა უეცრად იგრძნო, რომ მასზე მოქმედებდა ამომგდები ძალა, რომელიც უდრიდა მის მიერ გამოდევნილი წყლის წონას, და სახეგანათებულმა განაგრძო: — ასეა. კოლექტიურია საშიში, თორემ სოლო და მონო საჩივარი რას დაგვაკლებდა, ჩემო სოლომონო.

„ჩემო სოლომონო“ საერთო სიცილში ისე შთაინთქა, ძლივსღა გაისმა, დირექტორი თავადაც აჰყვა დამსწრეთა სიცილს, თუმცა, რაკი კალამბურის ავტორი თვითონ იყო, ცდილობდა ზედმეტი არ მოსვლოდა. ქალბატონმა ცისანამაც გაიცინა და წამით გაჩნდა შესაძლებლობა, რომ გარკვეულიყო, თუ როგორი ხმა ჰქონდა, მაგრამ მისი სიცილი დანარჩენების სიცილმა დაჰფარა და ჩაახშო. ნესტან ვაჩეიშვილი მოწამებრივი ძალით ცდილობდა პირი ბოლომდე არ გაეღო. ბესარიონ ჭედიამ მუშტები ერთმანეთზე დაალაგა, ზედ შუბლით ჩამოეყრდნო და ისე იცინოდა, თან ვიწრო ბეჭები ერთიანად უთახთახებდა. გურამ ხომერიკიც, ეტყობა, არც ისე ღრმად ყოფილა ჩაფლული ასუჯრედიანი შაშის ამოცანაში, რადგან იმანაც გულიანად იცინა.

დირექტორმა ხელი ასწია და სიჩუმე მოითხოვა (ოხუნჯობა გაცილებით მეტად დაგიფასდებათ და უფრო დიდხანსაც იცოცხლებს, თუ სიცილს მანამ შეაწყვეტინებთ ხალხს, სანამ თავისით შეწყდებოდეს). მერე განაგრძო:

— ასე და ამგვარად, მე ვფიქრობ, რომ საკითხი შეგვიძლია უკვე მოგვარებულად ჩავთვალოთ. იმედი მაქვს, განათლების განყოფილებაც დასტურს მოგვცემს.

აქ ქალბატონმა ცისანამ უეცრად, არა დასტურად, არამედ ისე, თავისდაუნებურად, დააბოყინა და ამით შემკრთალმა და შეშინებულმა, რაღაც დაბნეული და გაუგებარი მოძრაობა გააკეთა, თითქოს თავი მხრებში უნდა ჩამალოსო, მაგრამ მერე, რა დაინახა, რომ სხდომის მონაწილეებმა ისეთი სახე მიიღეს, ვითომ არაფერი გაეგონოთ, თავადაც ისეთი სახე მიიღო, ვითომ არაფერი ჩაედინოს, ხოლო დირექტორმა სწრაფად განაგრძო ლაპარაკი:

— ისე, კაცი თუ დაუკვირდები, მგონი სამაღარიჩო საქმე გაგიკეთეს, — უთხრა მან სოლომონს. — ნეტა მე ვიყო შენს ადგილას! დასვენებას და შენს ნებაზე ყოფნას რა სჯობს! შვილების პატრონი ხარ, ჩემო ბატონო, შვილიშვილების პატრონი ხარ! ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს და, სანამ იცოცხლებ, იყავი შენთვინ და იჩუჩუნე.

როდესაც დირექტორმა ლაპარაკი მოათავა და ამით ფაქტიურად სხდომაც დამთავრდა, კაბინეტში ისეთი ჟრიამული ატყდა, გეგონებოდათ, გაკვეთილი გამოვიდაო.

კოლეგები სოლომონს ულოცავდნენ, უცინოდნენ, ბეჭებზე ხელს ურტყამდნენ და გამამხნევებელ სიტყვებს ეუბნებოდნენ. ეს გამამხნევებელი სიტყვები საერთო ყაყანში არ ისმოდა, მაგრამ სამაგიეროდ მკაფიოდ იგრძნობოდა განწყობილება — ხალისიანი და ზეაწეული. განწყობილებას ხომ განსაზღვრავს არა იმდენად ობიექტური ვითარება, რამდენადაც წინამავალ

განწყობილებასთან დაპირისპირება. თავად სოლომონს ისეთი გრძნობა ჰქონდა, როგორიც შეიძლება სიზმარში გაგიჩნდეს კაცს, როცა ტრიალ მინდორში დგეხარ და გარდაუვალი მუქარით პირდაპირ შენკენ მოდის მეხი, რომელიც მხოლოდ სიზმრისთვის ნაცნობი და გასაგები მიზეზით ხილულია, ვეება და მკვიდრი, მომაკვდინებლად მკვიდრი; მოდის, საშინელი მუქარით გიახლოვდება, შენ კი ადგილიდან ფეხს ვერ იცვლი, ხედავ, რომ ხსნა არსაითაა და კოსმიური შიშით ელოდები სიკვდილს. მაგრამ უეცრად იმ წამს, როცა მეხი უკვე თავს დაგტრიალებს და საცაა მისი ელექტროსაცეცები შეგეხებიან, რათა აგაფეთქოს და გაგაცამტვეროს, ბუნების რომელიღაც გაუგებარი კანონის წყალობით, თითქოს შენმა სხეულმა განზიდვის აქამდე უცნობი ძალები წარმოშვა, ან არადა, თავზე უხილავი და უსხეულო მეხამრიდი ამოგივიდა, მეხი, იმის ნაცვლად, რომ საშინელი გრუხუნით გასკდეს, ჩუმი ფუილით დაიშლება შენს თავს ზემოთ და ჰაერში გაიფანტება. დილით რომ ეთქვათ სოლომონისთვის, პენსიაზე უნდა გახვიდეო, ეს ცნობა მეხივით გავარდებოდა, მაგრამ სიცოცხლე სწორედ იმითაა რთული და ალბათ საინტერესოც, რომ ის, რაც დილით მეხია, ნაშუადღევს შეიძლება მეხამრიდად იქცეს, რადგან ცხოვრება ყოველთვის კარგია, რაკილა ყოველთვის შეიძლება უარესი იყოს. სანამ თანამშრომლები, მისი გადარჩენით გახარებულები, ხმაურობდნენ, ლაღობდნენ და წელანდელი მძიმე განწყობილების ჯავრს იყრიდნენ, სოლომონი იმაზე ფიქრობდა, მადლობა ეთქვა თუ არა დირექტორისთვის. მართალია, გულში პატარა ხინჯი კი ჰქონდა იმის გამო, რომ დირექტორს გაკვრითაც არ უხსენებია თავისი მონაწილეობა იმ ორი წამატებული ნიშნიდან ერთ-ერთში, მაგრამ მაინც გრძნობდა, მადლობის თქმა საჭირო იყო, და თუ ვერ გადაეწყვიტა, მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც ბუნდოვანი და დაუზუსტებელი შიში ჰქონდა, ვაითუ ყალბად პათეტიკური და სასაცილო გამოვჩნდეო. ბოლოს, როდესაც დირექტორი თვითონ მოვიდა და ბეჭზე ხელი მოუთათუნა, გაბედა და უთხრა:

— დიდი მადლობელი ვარ. ეს რამხელა სირცხვილს გადამარჩინეთ!

— კარგი ერთი! — მეგობრული ღიმილითა და მეგობრული კილოთი მიუგო დირექტორმა. მერე ქალბატონ ცისანას მიუბრუნდა: — არ წახვიდეთ უჩემოდ, მანქანითა ვარ.

როდესაც ხმაურიანი ეპილოგიც მიწყდა, ყველანი წავიდ-წამოვიდნენ და სოლომონი, უკვე მარტო დარჩენილი, სკოლის ბაღში ნელი ნაბიჯით გაუყვა ნაძვნარს, მაშინღა გაახსენდა, რომ, მას შემდეგ, რაც სხდომის ასე ვთქვათ, ოფიციალური ნაწილი დამთავრდა, ნატალია დავიდოვნა აღარ დაუნახავს. სოლომონს ჯერ გაუკვირდა, მერე თავისთვის წყნარად გაეღიმა. დირექტორმა რომ შენიშვნა მისცა (კაცმა რომ თქვას, სამართლიანადაც), მას მერე ნატალია დავიდოვნას თავი აღარ აუღია. ეჰ, ნატალია დავიდოვნა, ნატალია დავიდოვნა! როგორ შეიძლება პაწაწკინტელა, უმნიშვნელო შენიშვნას კაცი ასე მწვავედ განიცდიდე! სოლომონს ცოტა გული დაწყდა. ახლა რომ ნატალია დავიდოვნა აქ ყოფილიყო და ჩაიზე დაეპატიჟა, სიამოვნებით გაჰყვებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ სოლომონმა კვლავ თავის საყვარელ ბაღში შეუხვია (დღეს უკვე მეოთხედ), ამჯერად ისევ შეჩერდა და ამოჩემებულ მერხზე ჩამოჯდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოლომონის სამი მნიშვნელოვანი დაკვირვება

## დაკვირვება პირველი

როდესაც ლუბასა და ტარაკანას ერთმანეთს შევადარებთ და დავინახავთ, რომ სასწორი აშკარად ტარაკანის მხარეს იხრება, რადგან სულიერად, პოლიტიკურად, ზნეობრივად და რელიგიურად (თუკი ლუბას ზნეობრიობაზე და რელიგიურობაზე საერთოდ შესაძლებელია ლაპარაკი) ტარაკანა გაცილებით უფრო პროგრესული მოვლენაა, ვიდრე ლუბა, ადვილი მოსალოდნელია, პრობლემამ სიღრმეებში შეგვიტყუოს და იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ, თუ დედამიწაზე სიცოცხლის განვითარების ფორმულა „მცენარე-ცხოველი-ადამიანი“ სწორია, მაშინ ეს განვითარება სულიერი თვალსაზრისით დაღმავალი ხაზია. მართალია, ძვალსა და რბილში საპირისპირო შეხედულება გვაქვს გამჯდარი, მაგრამ, ვინც ისტორიას გულდასმით გადაფურცლავს, არ შეიძლება არ აღმოაჩინოს, რომ ყველაზე დიდი და ხანგრძლივი შეცდომები სწორედ იქ მოგვდის, სადაც შეცდომა გამორიცხული გვგონია. როდესაც ბიოლოგია გვასწავლის, მარტივიდან რთულისკენ, სულიერ განვითარებას არ ითვალისწინებს, თორემ აქი ფილოსოფია იმას გვეუბნება, უმაღლესი ჭეშმარიტება მარტივიაო, და ისეთი კონკრეტული მეცნიერებაც კი, როგორიცაა ფიზიკა, ამავე აზრისაა. მართლაცდა, განა ცხადი არ არის, რომ ზნეობრივად (და, მაშასადამე, გონებრივადაც) მცენარე გაცილებით მაღლა საფეხურზე დგას, ვიდრე ადამიანი? მცენარეს არა აქვს პატივმოყვარეობა (ამ მხრივ ტარაკანამაც კი დიდად გაგვისწრო), არა აქვს ეგოიზმი, არავის ჩაგრავს, არავის ძარცვავს, არავინ სძულს, ამაო და უაზრო სურვილები არ აფორიაქებს და გუნებას არ უშხამავს. მცენარე უანგაროა. ნაყოფს ისე იძლევა, რომ დაწინაურებას არ ითხოვს. ერთი სიტყვით, მცენარეს აქვს ყველა ის ნიშანი, რაც დიდ ბრძენთა, დიდ ფილოსოფოსთა და დიდ სულიერ მამათა აზრით, უნდა შეიძინოს ადამიანმა, რათა განვითარების საბოლოო მიზანს მიაღწიოს და დანიშნულების ადგილას მივიდეს. მცენარის ამ უტყუარ უპირატესობას მრავალი მიზეზი ექნება, მაგრამ მათ შორის უმთავრესი ის უნდა იყოს, რომ იგი მხოლოდ ბიოლოგიურად მოძრაობს, რაც ბუნებრივი მოძრაობაა და ამიტომ შემოქმედის მიზანს ემსახურება, და არ მოძრაობს მექანიკურად, რაც ხელოვნური მოძრაობაა, რაკი გარეშე ძალაზეა დამოკიდებული, და ამიტომ შემოქმედის მიზანს ეურჩება. ადამიანს ფიზიკური გადაადგილების უნარი თავის უპირატესობად მიაჩნია, რაც, ცხადია, მცდარი აზრია. ამ შეცდომის სათავე იმაში მდგომარეობს, რომ ფიზიკური გადაადგილება მოთხოვნილებაა, ადამიანს კი გონებრივი სიზანტისა და სხვა უამრავი შინაგანი ნაკლულევანობის გამო ის, რაც მოთხოვნილებაა, უპირატესობა ჰგონია. სინამდვილეში, ვინც კარგად დაფიქრდება და ყველაფერს თვალნათლივ წარმოიდგენს, ადვილად დაინახავს, რომ სწორედ ფიზიკური გადაადგილებაა ყოველგვარი ბიწიერების მასაზრდოებელი წყარო.

(ეს დაკვირვება სოლომონს არავისთვის გაუზიარებია, რადგან სამართლიანად შიშობდა, რომ ადვილი შესაძლებელი იყო, ვინმეს გიჟად ჩაეთვალა).

## დაკვირვება მეორე

ქართული მწერლობის შვიდი ვარსკვლავიდან, ოთხი მეცხრამეტე საუკუნის ცაზე კიაფობდა. ეს ფაქტი საინტერესოც არის და დამაფიქრებელიც. შვიდი კაცი თხუთმეტი საუკუნის მანძილზე ნიშნავს საშუალოდ ორ საუკუნეში ერთ კაცს. რა თქმა უნდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისულელეა ასეთ საკითხში მკაცრი თანაფარდობა და ზუსტი განაწილება მოითხოვო, მაგრამ ერთ საუკუნეზე ოთხი კაცი და დანარჩენ თოთხმეტზე — სამი, მაინც ისეთი შეუსაბამობაა, ალბათობის ყველა საზღვარს სცილდება და რაღაც იდუმალ კანონზე ან, ყოველ შემთხვევაში, შენიღბულ ბერკეტზე მიუთითებს, მით უფრო, რომ ეს საუკუნე იყო არა მეთერთმეტე ან მეთორმეტე (ამას კიდევ მოეძებნებოდა რაიმე ბუნებრივი გამართლება), არამედ მეცხრამეტე.

(სოლომონს არც ეს დაკვირვება გაუზიარებია ვინმესთვის, რადგან აქ ისეთ სიმებს უნდა შეხებოდა, რომელთა შეხება არ იცოდა, შეიძლებოდა თუ არა. სამაგიეროდ ის იცოდა კარგად, რომ, თუ არ იცი, გირჩევნია ფრთხილად იყო და პირში წყალი ჩაიგუბო)

## დაკვირვება მესამე

ქართულ ლიტერატურას უნდა ვასწავლიდეთ არა მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული მეოცე საუკუნემდე, არამედ მეოცე საკუნიდან მოყოლებული მეხუთე საუკუნემდე.

ჩვენი ბავშვები ისე ამთავრებენ სკოლას, რომ არც ცურტაველი აქვთ წაკითხული, არც მერჩულე და, ასე გასინჯეთ, არც რუსთაველი. ეს არცაა გასაკვირი. როდესაც მერვეკლასელ ბავშვს, რომელიც მხოლოდ თანამედროვე სალიტერატურო სფეროში ტრიალებს და არათუ ენის სიღრმეში არ ჩაუხედავს, ჯერ არც კი იცის ენას თუ რამე განსაკუთრებული სიღრმე და სირთულე აქვს, პირდაპირ „შუშანიკის წამებას“ შევაჩეჩებთ, რა თქმა უნდა, შეშინდება და პირველივე აბზაციდან მიანებებს თავს. ეს ხომ იგივეა, მათემატიკის სწავლება სამუცნობიანი განტოლებებიდან დავიწყოთ და გამრავლების ტაბულას მეათე კლასშიღა მივაღწიოთ. ცხადია, ამ დროს მასწავლებელიც უძლურია. უკეთესი, რაც მას შეუძლია გააკეთოს, შინაარსი უამბოს (თუკი თვითონ წაკითხული აქვს) და, თუ მაინცდამაინც, საზეპირო ადგილები გააზუთხინოს. განა უმჯობესი არ არის, გამრავლების ტაბულიდან დავიწყოთ, როგორც ამას უმარტივესი გონივრულობა და ყოვლდღიური გამოცდილება გვასწავლის, და სამუცნობიან განტოლებებს ბოლოს მივადგეთ? თანამედროვე მწერლობიდან რომ მივყვეთ და ნელ-ნელა წავიდეთ უკან, ისე მივაღწევთ ცურტაველს და ისე ისწავლის ბავშვი ძველ ქართულს, ვერც კი გაიგებს, თუ რაიმე სირთულე გამოიარა. მაშინ მოგვიანებით, როცა ამ ბავშვების ნაწილი სახარების წაკითხვას დააპირებს, ბიბლიის წაკითხვას დააპირებს, ღმერთმა ხელი მოუმართოთ და, ფსევდო დიონისე არეოპაგელის წაკითხვას დააპირებს, ვინ იცის, იქნებ აღარც კი დასჭირდეთ ქართული ტექსტის გვერდით რუსული ტექსტის დადება და რუსულის მეშვეობით ქართულის გაგება.

(თუ პირველი დაკვირვება უფრო ფანტასტიკის სფეროსკენ იხრებოდა, მეორე დაკვირვებასაც მრავალი ბუნდოვანი კითხვის ნიშანი უტრიალებდა ირგვლივ, ეს მესამე დაკვირვება, სოლომონის აზრით, სრულიად ეჭვმიუტანელი იყო, მაგრამ არც ეს დაკვირვება გაუზიარებია ვინმესთვის. ვინ მიაქცევდა ყურადღებას სოლომონის ლაპარაკს! ვინ დაშლიდა დალაგებულ პროგრამას და დალაგებულ კადრებს, ვინ დაიწყებდა ყველაფერს თავიდან, ვინ აიბურდავდა აწყობილ ცხოვრებას, ვინ აიტკიებდა აუტკივარ თავს, ვინ მოჰკიდებდა ხელს ამოდენა საქმეს იმის გულისთვის, რომ ბავშვებს „შუშანიკის წამება“ წაეკითხათ! ან რა სოლომონის საქმე იყო სწავლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდებისა და სისტემების მოწესრიგება! სოლომონს თავისი პატარა საქმე ჰქონდა და, ავად იყო თუ კარგად, თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებდა. ასეთი პრობლემები ილია ჭავჭავაძის პრობლემებია და, თუ სადმე კიდევაა ილია ჭავჭავაძე, იმან იმტვრიოს თავი!)

ახლა, როდესაც ჩვენი სცენიდან გასვლის ჟამმა დაჰკრა, სოლომონი ისევ თავის საყვარელ მერხზე ზის ბაღში და იცის, რომ ცხოვრება ყოველთვის კარგია, რაკიღა ყოველთვის შეიძლება უარესი იყოს. ირგვლივ დიდრონი ხეები დგანან და განიერი ტოტები ისე გადაუშლიათ, თითქოს სოლომონს რაღაცისგან იცავენო. ეს ხეები აქ იდგნენ სოლომონის დაბადებამდე და აქ იდგებიან ორი ათასი წლის დასასრულსაც. სოლომონი კი...

სოლომონს უეცრად ელვასავით ნათლად და ცხადად წარმოუდგა თვალწინ ის მოუხელთებელი წამი, დასასრულისა და დასაწყისის შემაერთებელი არარსებული წამი, და დაინახა, რომ არც სოლომონი იყო სოლომონი, არც ასმათი იყო ასმათი, არც ქალბატონი ცისანა იყო ქალბატონი ცისანა, ყველანი ერთნაირები იყვნენ, როგორც დაუთესავი მარცვლები, და ახალი გამოსვლის ცნობისმოყვარე მოლოდინში დახურული ფარდის უკან დედიშობილები ისხდნენ, რადგან თეატრის ადმინისტრაციას ძველი ტანსაცმელი უკვე ცეცხლისთვის მიეცა, ახალი კი ჯერ არ დაერიგებინა.

სოლომონი გაკვირვებული ჩასცქეროდა საკუთარ თავს და სწორედ იმის გამო, რომ იცოდა, ცხოვრება ყოველთვის კარგია, რაკიღა ყოველთვის შეიძლება უარესი იყოს, ვერ გაეგო, მაშ რატომ ეჩვენებოდა, თითქოს ეს-ეს არის ზღვიდან ამოვიდა და შიშველ სხეულზე მედუზები ასხდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია სტურუა

## მორბენალთა სახელით

მე მორბენალი ვარ, ერთი მრავალთაგანი,
ჩვენ ყველანი თითო ცოდვით
მძიმე ან მსუბუქი ვართ ერთმანეთზე,
მაგრამ მე ერთი ნაბიჯით წინ გავრბივარ,
რადგან ჩემს ტანში
ნალველი კი არ იფურჩქნება ჩაის ვარდივით,
არამედ ზამბარები დგებიან ყალყზე
და მიბიძგებენ პირველობისკენ.
ეს მე ვქმნი შთაბეჭდილებას,
რომ მთელი ქალაქი დარბის.
სულ ბოლოს ქალები მორბიან,
ისინი, წესით, მყარად უნდა იდგნენ მიწაზე,
მაგრამ ქარში თავს აიწყვეტენ და დარბიან
ერთი მათგანი მე მომდევს
მწითური, როგორც შემოდგომის ნეშო,
რომელიც ფეხქვეშ გაგებული,
ხალიჩას გავს, ან ჩამქრალ კოცონს,
და ერთადერთი ნეტარებაა
გრძელ დისტანციაზე მორბენალისთვის...
მაგრამ როცა მას ქარი მოაფრიალებს ისე,
რომ გეგონება, ხანძარია ქალაქში,
ან დროშები გამოფინეს,
მდევარს ვხედავ,
რადგან ბუნებით დევნილი ვარ,
მორბენალი ვარ...
ამასვე ხედავენ სანახაობაზე ხარბი
დამწყები მორბენლებიც,
ჩემს მომდევნოებს პირველობა უნდათ
და ცდილობენ თავიდან მომიცილონ,
აივნებზე და ფანჯრებში გამოფენილ ხალხს კი
(ხალხს იმათ ვეძახი, ვინც ასაკის გამო
სირბილს თავი დაანება,
უმოძრაონი მზემ გააზანტა,
წვიმამ თბილი ხელი შუბლზე მიადო
და ჩააფიქრა)
ამ ხალხს აინტერესებს,
შეუძლია თუ არა ვინმეს ჩემი თაობიდან,
რომელიც სირბილში ახერხებს
ანბანის სწავლას და გამრავლებას,
ერთი წუთით შეჩერდეს,
კედლების თეთრ, ჩლუნგ სახეებს მოწყვიტოს თვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაიხსენოს რომელიმე დავიწყებული სიტყვა,
მაგალითად „ამაღლება“, საჩოთირო სიტყვა,
თუ მისი ლურსმნებივით ბგერებიდან
სისხლი არ წვეთავს...
რა ვიცი, შემიძლია?
ჩემზე ერთი ნაბიჯით უკან მყოფნი მეწევიან,
მათი მოზეიმე სახეები ისე პრიალებენ,
როგორც პირველობის სიმბოლო ჩემს მკერდზე,
ან როგორც სპილენძის უხმარი ტაშტები,
რომლებიც უკვდავებას ეთამაშებიან.
ვინ შეგარჩენს მოსეირნე ნაბიჯის ფუფუნებას...
და მე ვეწევი საკუთარ სიმბოლოს,
უკან ვიტოვებ გაბრაზებას, აღტაცებას, ბოღმას,
ქანცგაწყვეტილი ქალი ავტობუსში ადის,
თითქოს უფსკრულში გადავარდა...
მე კი ვიცი, რა ცეცხლით სუნთქავდა
იმ ქალის თმა,
რომელზედაც ასე დაუფიქრებლად გავიარე,
მაგრამ ამის სათქმელად
ჯერ სიტყვები უნდა მოვძებნო,
მერე ამ სიტყვებში შაქრის ნაშთი შევინარჩუნო
და მე ხომ პოეტი არა ვარ,
მე მორბენალი ვარ,
უკან უამრავი ხალხი მომდევს.
აბა დაუყენეთ რაგინდარა ცხენს
შუაგზაზე ცეცხლწაკიდებული ადამიანი,
გაგიჟდება ცხენი და გადაიჩეხება
და, შეიძლება, მთელი ჯოგი თან გადაიყოლიოს...

●

როგორ შეგიცვლია ცხოვრების წირი...
მოგბეზრდა ხეტიალი,
შეგიყვარდა ფუფუნება
მკვიდრი და მსუყე,
როგორც ქაფქაფა რძის თავზე
პირშეკრული ნაღები...
გახსოვს, როგორ იცინოდი
ხორხამდე ჩახსნილი ყელით,
იქიდან კი სპილენძის მადანი ასხივებდა —
პოტენციური სასულე ორკესტრი.
ან როგორი სიყვარული იცოდი —
ხელისგული რომ მიაფარო შუადღეს,
თაფლი სდის რომელსაც
და ფუტკრების ცხელი შხეფები დაგასხდნენ ტანზე...
ან რა დღეში გაგდებდა ერთი უხიაგი სიტყვა,
თითქოს ჭინჭრის ბუჩქებში ჩავარდი...
ახლა კი საკუთარ შვილებს

მშობლიური იმპერატივის სუსხი დაატეხე თავზე,
გეგონა,
ნაღების ფითქინა კარავს შეეფარებოდნენ,
ისინი კი პირდაპირ ქუჩის ყბაში ჩავარდნენ
(ჯოჯოხეთის ნულოვანი გარსი,
საიდანაც სიცოცხლის ათვლა იწყება)
და ვინც გმირად ჩაიფიქრა შემოქმედმა,
ცოცხალი და ცხრაწრეგამოვლილი დაბრუნდება,
დანარჩენი კი ოთახის შპალერს აეწებება
უმწიფარი ნაყოფი, ქოსა, ბერწი,
ფუფუნების მემკვიდრეობით მიმღები,
თავის დროზე რომ შეგეცოდა მცხუნვარე ტკივილისთვის
და დახოცილი ფუტკრების ნატზე დაატარებდი,
ამიტომ იმ ყელის ჩამხევი სიცილითაც ვერ გაიცინა,
რომლის ფსკერზე
ცის ლურჯი ჭუჭრუტანაა დატანებული...
იქნებ, შენ მაინც გაიხსენო წარსული,
ხელები აიქნიო,
ოდნავ შეთხელებულ თმაში ქარი შეუშვა და...
ლურჯი ჭუჭრუტანა ან გაიწელება და ცად იქცევა,
ან ერთ წერტილად შეიკვრება და ქვად...
ქუჩაში შეკრებილი ხალხისთვის
უბედური კაცი იქნები, ფანჯრიდან გადმომხტარი,
შენი ნებიერი შვილებისთვის კი —
რძეში ჩავარდნილი ქვა...

## იუდას ხე

ღმერთო, რა მშვენიერია
გაფითრებულ, ცარცისსახიან ქალაქში აყვავებული ხე,
რომელსაც არც სახელი აქვს, არც ნაყოფი,
ისე უმიზეზოდ ყვავის, როგორც ბავშვს უხარია,
მანამ სიცოცხლე მისთვის ნიჭია და არა ვალი,
როცა გაფიქრებულად და კანონზომიერად
იწყებს არსებობას
პურისთვის, შვილისთვის, ლექსისთვის...
— რა მშვენიერია — ამბობს უმრავლესობა,
უმცირესობას ეცინება
და მაგიდისხელა ეზოებში ვაშლის ხეებს რგავს,
მე კი ვფიქრობ: — რა მკაფიოდ საბრალოა იგი!
ისევე საბრალო, როგორც ყველა ჩვენგანი,
გაგიჟებული ერთი ჩასუნთქვა ჰაერისთვის,
რომელიც კრიალა ცით ბოლოვდება,
მაგრამ ჩვენ თანდათან ტყუპებივით
ვემგვანებით ერთმანეთს
და ისე შევდივართ ცარცის ყალიბში,
როგორც ეკლესიაში
უამრავი კითხვის ნიშანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმწიფარი აზრების ბოლოში
და რადგან ერთნიშნა და გარკვეული პასუხი არ ჩანს,
შეკითხვას საძირკველი უნდა მოვუძებნოთ,
ძახილის ნიშნის სიმყარისკენ გადავიხაროთ,
სახლის კედლებში ჩავიტანიოთ თავი,
რადგან სალკლდოვანი და საიმედოა
ქვამარილის და შაქრის თეთრი ბლოკების სიმტკიცე.
დედა ბევრს ტირის, მამა ბევრს სვამს,
ჩალურჯებული მზერით გვაშტერდება
სუფრის ერთ დროს ქათქათა ტანი
ბიბლიაში სანიშნი დევს ზუსტად იმ ადგილას,
სადაც პილატე სისხლიან ხელებს იბანს,
მაგრამ თავი ისე ტკივა,
თითქოს იერუსალიმის საძულველ მზეზე
უნდა იმშობიაროს...
და სწორედ მისი ტვინიდან

გამოდის სრულიად გამართული კაცი
რომელსაც ერთი რამ აკლია —
კითხვის ნიშნის სიმრგვალე
და ამიტომ შემრიგებელია და შემგუებელი,
იმ გამძლეთა ჯიშიდან,
მაგიდისხელა ეზოებში ვაშლი რომ მოყავთ...
და მის ფონზე რა მკაფიოდ საბრალოა
ეს მყვირალა და უაზრო ფერის ხე,
რომელიც ისეთი მოზეიმე და გამომწვევი დგას,
თითქოს კი არ დგას, არამედ მორბის
ან, იქნებ, მართლაც მორბის იმ უბედური კაცისკენ,
რომელსაც ათი იუდა უზის გვამში,
მაგრამ ისეა მიტყუპებული მთელ ქალაქთან,
რომ თავსაც ვერ მოიკლავს,
ყველას თუ არ შეეკითხა
და ივლის ასე, ცას გამოკერებული მტკივანი სინდისით,
ერთ მშვენიერ დღეს ქუჩამ რომ არ შემოაგებოს ხე,
უმიზეზოდ აყვავებული და იმედის მომცემი,
რომ მისთვისაც არსებობს
ბუნების ბოლო სიჩვილე — მონანიება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ენვერ ნიჟარაძე

## თბილ ქვეყნებისკენ

წავიდეთ იქით,
ერთხელ მაინც
წავიდეთ იქით,
სადაც ჩიტები
მიფრინავენ
ხოლმე ზამთრობით.
თბილ ქვეყნებისკენ
წავიდეთ ერთად.
გავაღოთ ჩვენი
გაყინული
გულების სევდა
და გაზაფხულზე
დავბრუნდეთ უკან.

## მეტროში

რა ხანია არ ვყოფილვარ მეტროში.
უნდა ჩავიდე აუცილებლად.
თუმც ჩემი სახლი
მეტროს ხაზიდან განზე მდებარეობს.
მაინც უნდა ჩავიდე.
მომენატრა ცისფერი ვაგონები
აღმა-დაღმა რომ დაჰქრიან გვირაბებში.
ესკალატორზე ჩადიხარ და
ათვალიერებ შემხვდურთა სახეებს.
ყველანი წყნარად დგანან.
შეიძლება ვინმემ შემოგღიმოს,
შენც გაუღიმებ,
მაგრამ შენ ქვემოთ მიდიხარ,
ის კი ზევით.
(ერთმანეთს შორდებით)
შედიხარ ვაგონში, კარი ჯახუნით იკეტება.
ფანჯრიდან ხედავ საპირისპირო მხარეს
ბაქანზე შენი ნაცნობი დგას.
გინდა გადმოხვიდე ვაგონიდან,
მაგრამ უკვე გვიანაა.
მატარებელი გვირაბისკენ მიჰქრის
და თქვენ ერთმანეთს შორდებით.
მეტროში სიტუაციები ხშირად მეორდება.
ერთი და იმავე კაცს,
ვისი ნახვაც შენთვის სულერთია,

შეგიძლია ასჯერ შეხვდე,
ხოლო ის, ვინც ძალიან გინდა ნახო,
კიდეც რომ იცოდე, რომ მეტროთი დადის
ასი წელი რომ გავიდეს, ერთხელაც არ შეგხვდება.
ასეთია მეტრო,
მიწისქვეშ ჩაკეტილი სივრცე.
დაჰქრიან ვაგონები საპირისპირო მიმართულებით
დააქვთ ვნებები, სიხარული თუ საწუხარი
ათასი კაცის, ქალის თუ ბავშვის.
და ალბათ სადღაც,
რომელიღაც სადგურზე,
ცისფერ ვაგონში ჯდება ქალი,
რომელიც შენ გეძებს.
გეძებს თავგამოდებით,
გეძებს, მაგრამ ვერ უპოვიხარ.
რადგან ასეთია მეტრო,
ერთსა და იმავე კაცს,
ვისი ნახვაც მისთვის სულერთია,
შეუძლია ასჯერ შეხვდეს.
ხოლო, ის ვისი ნახვაც, მას ძალიან უნდა
ასი წელი რომ გავიდეს
ერთხელაც ვერ შეხვდება.

## სიყვარულის გამოსაფხიზლებლად

გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე დავდივარ ფეხით,
არ ვიცი, არა, ასე რისთვის გამწირა ღმერთმა.
არ ჯობდა, ცივი ბუნაგი რომ მეპოვა სადმე,
რუხი მგელივით მენადირა, ხოლო ნადავლი
ბასრი კბილებით მიმეთრია გამოქვაბულში.
რატომ ვეჩრები ჩემი ნებით მე იქ ყოველთვის,
სადაც ჩარევა ჩემთვის არვის არ უთხოვია.
ამ გულის გარდა და სინდისის გარდა მარტოდენ.
ბასრ ეკალივით ამოსული რომ ჰყავის სულში;
რომ მჩხვლეტს და მშვიდად არასოდეს რომ არ მასვენებს.
კაცი რომ კაცს კლავს, ან ატყუებს მთლად უმოწყალოდ,
მითხარით ჩემი გასარჩევი რად არის საქმე.
რითი ვარ მათზე უკეთესი, ვერ გამიგია.
განა მეც იმავ თიხისაგან არ ვარ შექმნილი
მაღალმა ღმერთმა ერთხელ კაცი რომ გამოძერწა?
მაგრამ ეს გული ასე რად ძგერს, რად არ მასვენებს,
და განუწყვეტლივ რად მახსენებს, რომ ვარ აბელის
შთამომავალი და არ უნდა, რომ კაენივით
საკუთარი ძმა მოვაკვდინო შეუბრალებლად.
რომ მე დაჩაგრულს მუდამ უნდა გამოვესარჩლო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნდა ვებრძოლო ბოროტებას და ამ ბრძოლაში
ერთ მშვენიერ დღეს ალბათ ზურგში ჩამცემენ დანას.
მაგრამ მანამდე ნაკვერჩხლებზე უნდა ვიარო
ქვლავ ფეხშიშველმა და ვიკივლო ტკივილებისგან,
რომ დაბანგული სიყვარული გამოვაფხიზლო.

## ერთგული მეგობარი

ყველაფერი რომ წამართვან,
მარტოობა დარჩება ჩემთან,
მასზე ერთგული მეგობარი
ჯერ არ მყოლია.

## აღარ მოგწყინდა?

აღარ მოგწყინდა
ყველაფერში იყო მართალი?
არ გინდა
ერთხელ მაინც შეცდე
და საკუთარ თავს გამოუტყდე,
რომ აქომამდე
ვერ მიაგენ ჭეშმარიტებას?

## ბავშვობა

ჩვენ სამოთხეში უკვე ვიყავით.
აწ იქ არავინ
      არასოდეს
აღარ შეგვიშვებს.

## მზე დამიბრუნე!

მოქუფრულია
ირგვლივ ყოველი.
გემუდარები,
მაგ თვალებში
ჩარჩენილი
მზე დამიბრუნე.

## ზღვასთან შესაერთებლად

მე ვეთხოვები წარსულს, როგორც
მთის ნაკადული ველურ ყვავილებს,
და მივქრი ზღვასთან შესაერთებლად.

## მინდა იცოდე ჩემი სახელი

მინდა იცოდე ჩემი სახელი
ამ ლექსს რომ ვაწერ,
როგორც მეგობრის, ანდა ახლობლის.
მე ტკივილების გრძელი კიბით
დიდხანს ვიარე.
შენ ახლა იწყებ
და ჯერ არ იცი რარიგ ძნელია
განსაცდელთან
მარტოდ დარჩენა.
გახსენ ეს წიგნი
და იმავ წამს გავჩნდები შენთან,
ორნი ტკივილებს
უფრო უკეთ გავუმკლავდებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თაფლო თანდაშვილი

# ბაცანა

— წნორი მომეცით, — ბაცანამ სადგურის მოლარეს ფული გადააწოდა და თან მოშორებით დახვავებულ ბარგს გადახედა, სადაც მებარგული თასმას იხსნიდა და ჩემოდნების გასაკრავად ემზადებოდა.

— წნორი გითხარით, — გაუმეორა მოლარე ქალს, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, რომელი სადგური უთხრეს და კითხვით მისჩერებოდა.

— მატარებელი გურჯაანამდე მიდის, — ოფიციალური ტონით ესროლა მოლარემ, როცა მიხვდა, რაშიც იყო საქმე და შემდეგი მგზავრის ფულს მისწვდა.

— როგორ თუ გურჯაანამდე? — ყურს არ დაუჯერა ბაცანამ, თუმცა მაშინვე იაზრა, რაც მოხდა, რადგან წინათგრძნობა ადრევე აწუხებდა.

— მატარებელი მხოლოდ გურჯაანამდე მიდის, — ტონშეუცვლელად გაიმეორა მოლარემ და მგზავრისათვის გადასაცემად ხურდას შერჩევა დაუწყო.

ბაცანამ თვალები დააჭყიტა, ქალაქში ჩამოსვლა ისედაც არ უყვარდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კახეთის გზაზე ელმავალი გაუშვეს და მიმოსვლის დროც შეცვალეს, მგზავრობა სამუდამოდ შესძაგდა. ახლაც მაჭანკლებმა ბაკურციხეში ვიღაც ქალი აუჩინეს და სახლის შესაკეთებლად ზოგი რამ სჭირდებოდა, თორემ ქალაქში ჩამოსვლას არც იფიქრებდა, თუმცა, რადგან ჩამოვიდა — თანასოფლელთა შესაფერ საჩუქრებს თვალი მოჰკრა, გვერდი ვეღარ აუარა და ტომარა დატენა. დრო რომ არ დაჰკარგოდა და სადგურში ბარგით რამდენიმე საათს არ დალოდებოდა იმ მატარებელს, რომელიც პირდაპირ წნორში მიდიოდა, ბაცანამ ადრევე მიმართა ქალაქის სადგურის ცნობათა ბიუროს... მიღებული პასუხით შემცბარმა, ახლა კი ერთბაშად იფეთქა.

— კაცო, ვიდრე ელმავალს გზას გაუყენებდნენ, ჯერ ცნობათა ბიუროს არ უნდა სცოდნოდა მიმოსვლის დრო, რომ ხალხს სწორი პასუხი მიეღო? — ბაცანა ახლა რიგში მყოფ ხალხს მიუბრუნდა. — მე, როგორც მგზავრს, ელმავალს ისევ ორთქლმავალი არ მერჩივნა თუ ეგეთი აბდაუბდა დატრიალდებოდა? ეხლა, მინდა თუ არ მინდა, გურჯაანის მატარებელს უნდა გავყვე და იქ, წნორისაკენ მიმავალ მანქანებს ავეტორღიალო, ბარგი მაინც არა მქონდეს, კაცო?

დოინჯშემოყრილი ისევ მოლარეს მიაჩერდა:

— ცნობათა ბიურომ თუ არ იცის მატარებლების განრიგი, მაშინ ვინ ეშმაკმა უნდა იცოდეს... გეკითხები, ვინ უნდა იცოდეს?!

— მე რას მერჩი. შე კაცო...

— შენ კი რა დამიშავე, მაგრამ, — დაშოშმინდა ბაცანა და ერთმანეთზე მოწყობილ ბარგს გადახედა, რომლის დანახვაზე კვლავ ბრაზი წაეკიდა.

— გურჯაანში რომელ მებარგულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გავატანინო, მე ამისი... ბოლო სიტყვები ხმადაბლა ჩაიდუდუნა. — ერთი ჩამაგდებინა ის ქალი ხელში და მერე მე ვიცი... მუშტი მომუჭა ბაცანამ და აჩქარებული ნაბიჯით ბარგს მიაშურა. მებარგული შესხნილ ქამარს მხარზე იტყაპუნებდა და ვერ გადაეწყვიტა, დატვირთულიყო თუ პატრონისათვის დაეცადა, როცა ბაცანა ჩემოდნებისაკენ დაიხარა, მაშინ მიხვდა, ბაქანზე უნდა გასულიყვნენ, თვალის დახამხამებაში ბარგი თასმით გაკრა, ზურგზე მოიგდო და ადგილს მოსწყდა.

— მე იმისი გამჩენის...

ბრაზისაგან ტუჩებს აცმაცუნებს მიმავალი ბაცანა, რადგან ამოდენა ხალხში გულიანად ვერ იგინება, ქალაქის ცნობათა ბიუროში მყოფი ქალის გახსენება კი მეტისმეტად აღიზიანებს.

— არა, თანაც რა დაბეჯითებით მარწმუნებდა: „ეს ის მატარებელია, რომელიც პირდაპირ წნორში მიდის", — გამოაჯავრა ქალს, რომლის ცხვირამდე პომადაწაცხებული ზედა ტუჩის თავისებური მოძრაობა არ ავიწყდებოდა.

— ოჰ, მე...

ხმამაღლა აღმოხდა ბაცანას და როცა იქვე ჯგუფად მდგარმა ქალებმა ერთდროულად მოიხედეს, სათქმელი აღარ დაასრულა.

„სახეზე კი შევატყვე თავისი სიტყვებისა არა სჯეროდა იმ ჩემი ცოდვით სავსესა... — გააგრძელა ფიქრი, როცა თავი დაიმარტოხელა. — კითხვა გავუმეორე, იქნებ გონს მოვიდეს-მეთქი და თავი საქმის მცოდნედ რომ მოეჩვენებინა, აკი მომატყუა კიდეც..."

იგინებოდა გუნებაში ბაცანა. გაოფლიანებული დროდადრო ჩემოდნებს დადგამდა, ჯიბიდან ცხვირსახოცს ამოიღებდა და პირისახიდან ჩამოღვენთილ წვეთებს უხეშად იწმენდდა, მერე მებარგულს გადახედა, რომელიც ისე შორს წასულიყო, თუ მისი წითელი წინდები არა, მოკლე, მოლურჯო მონაცრისფერო შარვლიდან რომ მოუჩანდა, სხვა მებარგულეებისაგან ვერ გაარჩევდა.

— უუ თქვენი!..

გაუთანაბრა სართულიანი გინება ტვირთის სიმძიმისაგან არეულ ნაბიჯებს, როცა მატარებელი შორს დაინახა.

— არა მე ამათი...

ახლა რკინიგზელთა შემკობას შეუდგა ბაცანა.

— რომელი მატარებელი გინდა, პირველ ლიანდაგზე, ზედ სადგურთან არა ჩერდება, ჩვენმა მხარემ რა დააშავა, კაცო, რაღა მაინცდამაინც კახეთს იბრიყვებენ, — იფეთქა „პატრიოტულმა" გრძნობამ ბაცანას სულში. — ჯერ არი და, ამდენი ბარგით ოცდაათი საფეხური მაინც უნდა აიარო, ამოხვალ ბაქანზე და სული გიგუბდება, როცა იცი, მატარებელი რა ტიალ ადგილზედა დგა. გადაივლი ამ ვერანა ლიანდაგების მწკრივს, გახედავ მატარებელს, იქნებ ცოტა ახლო დგაო და უფრო შორ კი დაუყენებიათ, მიდიხარ, მიდიხარ და ველარ აღწევ! ვიფიქრე, დიდი ხანია ქალაქ არა ვყოფილვარ, იქნებ შევიდნენ ხალხის მდგომარეობაში, ცოტა ახლოს ჩამოსწიეს-მეთქი და აგე, სადა დგა. წერტილივით კი მოჩანს... მაგათი...

ტომარაში ჩაგდებული რაღაც ნივთი ბაცანას ზურგზე ნემსივით ჩხვლეტდა, ვერ გადაეწყვიტა შეჩერებულიყო და გაესწორებინა თუ მოეთმინა. მატარებელს გახედა, იქნებ ახლოს ვარო, მაგრამ საკმაოდ შორს რომ დალანდა, სიბრაზისაგან ჭარხალივით გამუქდა, ფეხები ერთმანეთში გაეხლართა და ისე წაიბორძიკა, თუ მძიმე ჩემოდნები არა, რომლებსაც ზედ დაეყრდნო, ასფალტზე ცხვირით დაერჭობოდა. ეხლა კი თვალებში შავი ლანდი აუთამაშდა, ჩემოდნებს ხელი უშვა და მუშტმოღერებული, სადგურის შენობისაკენ ისე შებზრიალდა, თითქოს ზურგზე ტვირთი კი არა, ბუმბულის პარკი ეკიდა. ის იყო პირი გახსნა სართულების ჩა-

მოსათვლელად, რომ სიტყვა პირზე შეაშრა...

ლამაზი პირისახის, კოხტად ჩაცმული ქალის პირისპირ აღმოჩნდა. ქალს ხელში გაზეთით თავგადახურული კალათი და ხელჩანთა ეჭირა,მაღალ წვრილქუსლა ფეხსაცმელებზე შემდგარი, ლამაზად მოაბიჯებდა. ბაცანამ მუშტი გაშალა, თვალები მოიჩრდილა და შორს გაიხედა. თითქოს ვინმეს ელოდა. როცა ქალმა სანდომიანი ღიმილით გვერდით ჩაუარა. ბაცანა ჩემოდნებს ანგარიშმიუცემლად დასწვდა და თვალმოუშორებლად უკან მიჰყვა, მისი ყურადღება ქალის ლამაზად მოყვანილმა ფეხებმა მიიპყრო, რატომღაც ფეხის კუნთების თანაბარ თამაშს მიაჩერდა, მერე ზევით აჰყვა, ჭრელ კაბაში მრგვალად გამოკვეთილმა თეძოებმა, მომრგვალებულმა მხრებმა, სასიამოვნო მოგონებებში ჩაფლა. ვიღაც ყმაწვილი, რომელსაც მხარზე ბავშვის დაკეცილი საწოლი გაედო, წამოეწია, გაუსწრო და ბაცანასა და ქალს შორის ჩადგა. ბაცანა ცდილობდა, ქალისთვის თვალი მიეწვდინა. მაგრამ მარჯვნივ უკვე ვაგონებთან ჩამდგარ მგზავრებს ედებოდა, მეორე მხარეს კი ტროტუარი ლიანდაგიდან ნახევარი მეტრის სიმაღლემდე მაინც აწეულიყო, რადგან ქალი ვეღარ დაინახა, ბაცანას ნერვები დაასკდა.

— შენი გამჩენის... — ჩამოფარებული ყმაწვილი დედაბუდიანად გადმოატრიალა. ბიჭი მესამე ვაგონის კიბეს დაეკიდა. ბაცანამ შვებით ამოისუნთქა, ნაბიჯს მოუჩქარა, წინ მიმავალ ქალს დაეწია და გულში ათასგვარი სასიყვარულო სიტყვებით შეამკო.

ეს ოხერი, შორ კი ჩანდა ე მატარებელი და რა მალე მოვედით — გაიფიქრა ბაცანამ და თვალი შეავლო ქალის ლამაზ კისერს, რომელსაც ჩამოცურებული თმის სარჭი სერავდა. ძარღვებში სისხლი უბჟუოდა, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა და ტვირთის სიმძიმეს ვეღარც კი გრძნობდა.

— სადღა მიდიხარ, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი! — გულში შეეხმიანა ქალს.

იცის, დატვირთული მგზავრები უახლოეს ვაგონებს ეტანებიან, ცხადია, წინ წასვლა გვირჩევნია, უფრო ხალვათად ვიქნებით! — თვითონვე უპასუხა თავისსავე კითხვას. — მეც მივყვები რა, ფეხმძიმედა ვარ თუ რა! — წახალისდა ბაცანა, ჩემოდანი შეათამაშა, რომ სახელურზე ხელი მოენაცვლებინა, მერე ოდნავ მოიქნია და რკინიგზელმა, რომელსაც მარცხენა ფეხი ვაგონის პირველ კიბეზე ედგა, შეჰყვირა, დაბლა ჩამოვიდა და ცალ ფეხზე კინკილით მარჯვენა მუხლი დაისრისა, როცა სული მოითქვა, ბაცანას გაუგონარი გინება მიაყოლა. ბაცანა მიტრიალდა რამოდენიმე ხანს ისეთი გამომეტყველებით უყურებდა დაზარალებულს, თითქოს ბრალს იქით სდებსო, რის გამო, ვაგონგამცილებელმა სართულებს უფრო წაამატა. სწორედ ამ დროს მის წინ ბავშვიანი ქალი გაჩნდა, რომელიც რაღაცას ეკითხებოდა. ვაგონგამცილებელს ბაცანა დაავიწყდა. ბაცანამ ისევ ქალს გახედა, რომელიც საკმაო მანძილით დაშორებოდა და ნაბიჯს აუჩქარა. ახლა მარჯვენა ხელისგულზე ჩემოდნის სახელურით მიძეწკილმა კორძებმა შეაწუხა. ბაცანამ ჩემოდანი ძირზე ქუსლის მიჭერით შეიმსუბუქა და ის იყო, სახელური ხელში უნდა შეეთამაშებინა, რომ ხელი აუცდა, ჩემოდანი ცუსხლტა და ყრუ ხმით ასფალტს დაენარცხა. ბაცანამ მიმავალ ქალს გახედა, არ უნდოდა ეს მეორე მარცხი მასაც დაენახა, მაგრამ ქალმა თავი ოდნავ მოიბრუნა რადგან სწორედ ამ დროს კისერზე დაცურებული თმის სამაგრი ჩამოუვარდა. კალათი ძირს დადგა და ასაღებად დახრილმა, ბაცანას თითქოს გაუცინა. კაცს თავგზა აებნა, ქალმა თმაზე ხელი გადაისვა, თმის სამაგრს ადგილი მოუძებნა, კალთას დასწვდა, გზიდან გადაუხვია და ლიანდაგი გადაჭრა. ქალის მიმართულებამ ბაცანა საგონებელში ჩააგდო: — „ბუნების შვილნი ვართ, ქალია, რა იცი, რა უნდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალის ასარიდებლად ბაცანა სახელურს დასწვდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ წასძლია და ირიბად გაიხედა. ქალმა სადგურის გალავნის ნანგრევებს ფრთხილად აუარა გვერდი და ქუჩას აჩქარებული გაუყვა. ბაცანა მიხვდა, რომ ქალმა გზის სიმოკლისათვის, სადგურის გადაჭრა ამჯობინა. გული როგორღაც დაუმძიმდა, ზურგი გაითავისუფლა, ღრმად ამოისუნთქა და შარვლიდან ამოჩეჩილი ზოლიანი ხალათი გულმოდგინედ გაისწორა;

— სად დაგარგე, გაცო, მე შენ უცდი, აქ სად არი, მეტი საქმე არა აქ მარტო შენ? — გაწყრა მებარგული და ბარგი ბუმბულივით აიტაცა. ბაცანა დამნაშავესავით გაჰყვა. ვაგონში სულ ხუთმეტიოდე მგზავრი იჯდა; ბაცანამ იქ მყოფნი შეათვალიერა. ჯიბიდან ორი მანეთი ამოიღო და მებარგულს გაუწოდა.

— მაიტა, გასო, ერთი, თითქო მარტო შენ მეტი საქმე არა აქ, — დაადანაშაულა მებარგულმა, ხურდის დასაბრუნებლად დრო არ დაუკარგავს. ბაცანამ ჯიბეები მოისინჯა, კოლოფიდან ერთი პაპიროსი ენის წვერით ამოაძრო, ასანთი მოიძია, პაპიროსს მოუკიდა და ბოლი მთელი გულმკერდით შეისუნთქა, მერე ცალი ფეხი სკამზე შედგა და ჩემოდნები თაროზე შეაწყო.

მოტრიალდა თუ არა, კართან თანასოფლელი დაინახა, რომელსაც ცალ ხელში მუთაქასავით გამოკრული საქრავი ეჭირა, მეორეში ჯოხი და კაკუნით გზას მოიკვლევდა. ბაცანა მიესალმა, ხელი მიაშველა და სკამზე დასვა. გასასვლელში დარჩენილი ბარგი სკამების ქვეშ მიალაგა და ფანჯარასთან ჩამოჯდა. თვალი იმ მიმართულებით გაექცა, სადაც ქალი ნანგრევებიდან ქვაფენილზე გადავიდა. სწორედ იმ ადგილას მატარებელი ჩამომდგარიყო და ნანგრევს მთელ სიგრძეზე ფარავდა.

— შენი დამტარებლის...

ნერვებმა უმტყუნა ბაცანას, როცა მატარებელი უკან გამოზოზინდა.

— იჯექ აქ, სად მიხვალ ალექს. — გაახსენდა ბაცანას, როცა მისი თანასოფლელი წამოდგა.

— ბაცანა, შენა, კაცო!

ეხლაღა იცნო ალექსამ და უსინათლო თვალები სწრაფად აახამხამა. ალექსა მთელი ხნის განმავლობაში ჩუმად იჯდა და იმას ფიქრობდა, იქნებ კიდევ დაილაპარაკოს, რომ მივხვდე, ეს ნაცნობი ხმა ვის ეკუთვნოდაო, მოპირდაპირე კი უბრად იჯდა და ალექსას მოეწყინა.

— ვაგონებს ჩამოვივლი და მოვალ! დააიმედა უკვე მიმავალმა და გასიპული ჯოხი აკაკუნა.

ბაცანას თვალი ისევ გალავნის ნანგრევისაკენ გაექცა.

— ვიღაცას კი მაგონებს, აი...

გული შეუქანდა და სადღაც ჩაწყვეტილმა სიმმა შეაწუხა. დიდხანს იჯდა ნანგრევებისაკენ თვალებმიპყრობილი, მერე გამოერკვა. „წავიდეს ერთი... ვინ ოხერია...“ თავის გულში ათასგვარად დაამცირა ქალი და მტანჯველი ფიქრი რომ გაეფრთხო, ფანჯარაში გაიხედა. ფანჯრის ქვეშ ფეხშიშველა ბიჭმა გაირბინა, რომლის თვალები ბაცანას შეხვდა, ბიჭი უკან გაბრუნდა და სადგურის მიმართულებით ვიღაცას რაღაც ანიშნა, ისევ ბაცანას შეხედა და მკვირცხლად შეტრიალდა. ბიჭი თითქოს სადღაც ენახა. ვიღაცამ აკვანში ცხვირწინ გაუტარა. ბაცანამ ჩურჩულით დალოცა. ბავშვები ძალიან უყვარდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვენახში სათოხნელად წასულ მეზობლის ქვრივ მელანას, აკვანში ჩაკრული, უპატრონოდ მიტოვებული ციცქნა მიხა არტახებიდან ამოიყვანა, შიმშილისაგან ტირილით ჩაბჟირებულს ძონძები მიაფარა. გვერდით მიუჯდა, მატყუარა მაწოვარა პირში ჩაუჩარა, დამშეული ჩვილის ხარბად მოცმაცუნე ნამცეცა ტუჩებს სიბრალულით თვალი აადევნა, ამასობაში აქოშინებულმა მელანომაც მოირბინა, ჯერ კოკურა

აარაკრაკა, მერე ხელი დაისველა და ბაცანასაკენ ზურგშექცეულმა გულზე გადაისვა, მიხა კი თითქოს დედის იქ ყოფნა იგრძნოო, უფრო ჩაბჟირდა, არ იცოდა თავისი საქციელით ბაცანას ვაჟკაცურ გულს რომ უსევდიანებდა, ის კი ბოხი ხმით აწყნარებდა, ეფერებოდა და ხეშეშ ხელს ლოყაზე უხერხულად უსვამდა, რითაც პატარას უფრო აბრაზებდა, მელანა გამოქანდა, ბავშვი კალთაში მოხდენილად ჩაისვა და ლურჯი ზოლებით დაძარღული სავსე მკერდი პირში ჩასჩარა, მიხა კი მაინც ტიროდა. როცა ცოტათი კუჭი მოისწორა, აღუღუნდა, დედას მკერდზე პატარა თითები აუცაცუნა. ბაცანას ამ სანახაობისათვის თვალის მოწყვეტა არ უნდოდა, მაგრამ მელანამ ისე დაირცხვინა, იძულებული იყო, იქაურობას გასცლოდა. მეორე დილას სათოხნელად მიმავალ მელანას ბაცანამ საჩეხიდან გასძახა: „უკვე გათოხნილია, შენ ბაღლს მიხედეო. მელანა გაქვავდა, იცოდა, ბაცანა ტყუილად არას იტყოდა, და სამუშაოდ მიმავალს მანამდე უცქირა, ვიდრე თვალს არ მიეფარა, მერე ღიმილით მიაჩერდა მის დაცარიელებულ სახლს, რომლის ეზოს ერთადერთი კრუხი აცოცხლებდა. მუჭისოდენა ორმოში ფრთებს აფართხუნებდა და გულმკერდზე ბუმბულს იპტკვნიდა. მელანამ დაიცადა და როცა კრუხმა საბუდარში მოიკალათა, მარანში შევიდა. გოგროხაში დაგროვილი კვერცხები ამოარჩია და კრუხს ფრთების ქვეშ შეუცურა. ბაცანას კრუხი მაშინ გაახსენდა, როცა წალდისათვის დახრილს, კრიახით მიახტა, ჯერ დაფიქრდა, კრუხი იცნო და ყვითელ წიწილებს თვალი რომ მოჰკრა, გაეღიმა, თანაც მელანას ოდისაკენ თვალი გააპარა, სადაც აკვანში ხელებგანთავისუფლებული მიხა ცხვირწინ დაკიდული მძივების ხელში მოგდებას ცდილობდა.

ბაცანაზე თვალი ბევრ ქვრივს ეჭირა, მაგრამ თვითონ ბაცანა უკარება იყო. მეზობლის ქვრივზე რაიმეს გულში გავლებაც კი უდიდეს ცოდვად მიაჩნდა.

რაც ოცდაათ წელს გადააცილა, ბაცანა გულჩათხრობილი გახდა, მკვახე სიტყვა-პასუხი იცოდა, მაგრამ სამართლიანი იყო, მისი სიმართლის ისე სჯეროდათ, ხშირად ვენახში წასულს თოხს გააგდებინებდნენ და საქმის გასარჩევად წაიყვანდნენ. ბაცანა ორივე მხარეს გულდასმით მოუსმენდა და სათქმელს დინჯად იტყოდა, თუ რომელიმე გაჯიუტდებოდა, საკმაო სართულებს მიაყოლებდა. თუ ჩემი არ გჯეროდათ, საქმეს რაღაზე მომაცდინეთო და ლანძღვა-გინებით, სამი დღის სათოხნს ნახევარ დღეში მოათავებდა.

მეორე დღეს ბაცანა ეზოს არ გასცილდებოდა. საშინაო საქმეებს მორჩებოდა, მერე კიბესთან მხართეძოზე წამოწვებოდა და თვალს მოატყუებდა, მაგრამ კრუხი არ ასვენებდა, მის ტანსაცმელზე რაღაც ასაკენკს ყოველთვის გამონახავდა, ხოლო წიწილები ლოყებზე და საფეთქელზე შენიშნულ ხალებს ისეთი ყოფით უკაკუნებდნენ, გამწარებული ბაცანა ჯოხით თუ დაიფრენდა, თორემ მარტო ხელის აქნევით ვერაფერს გახდებოდა, მერე, გამოფხიზლებული, ეზოში მოთიბულ გამხმარ ბალახს — აბულბულებულ თივას ორკაპით ზევიდან დააგებდა, თვითონაც ზედ დაემხობოდა და ხარბად ყნოსავდა თივის სურნელს. გამხმარი ბალახის სუნი იმიტომ უყვარდა, რომ ბავშვობის უდარდელ დღეებს აგონებდა, როცა თბილისელ ნუციკოსთან ერთად ვენახში, კაკლის ხიდან თივაზე ხტებოდნენ, ვიდრე ერთხელ მამამ არ დაუშალა: თივა სარზეა შედგმული და ზედ არ დაეგოთო. მერე თივის ირგვლივ დარბოდნენ, ისეც მოხდებოდა, ორივენი თივის ზვინზე ამოჩნდებოდნენ. დაჭერობანსაც თამაშობდნენ ხოლმე, ხან, ერთი იჭერდა, ხან მეორე, ერთმანეთს ხელს არ უშვებდნენ და უკანასკნელად ხელდამრტყმელი გაქცევას ვერ ახერხებდა, მერე უცებ სიცილი და დავა შეწყდებოდა და ისეთი უხერხული დუ-

მილი ჩამოვარდებოდა, ერთმანეთის გულის ფეთქვა ნათლად ესმოდათ. ბოლოს ნუციკო ზვინიდან ისკუპებდა და სოფლისაკენ ისეთი ყოფით გაჰკურცხლავდა, დაბნეულობით დაყოვნებულ ბაცანას უკან დადევნება უიმედოდ მიაჩნდა, ზვინზე დაჩოქილი გაქცეულს მანამდე უყურებდა, ვიდრე თვალს მიეფარებოდა, მერე გულაღმა გადაეშვებოდა, ხელებს თავქვეშ ამოიდებდა, ნაადრევად აციმციმებულ ვარსკვლავს მიაჩერდებოდა და ნუციკოს ფეხის ხმაურზე აყეფებული ძაღლების ხმაზე ადგენდა გოგონას სამყოფელ ადგილს. მოგვიანებით, მეურმის სიმღერით გონს მოსული გადმოიჭრებოდა ზვინიდან. ცოტა ხანს შეიცდიდა და თვითონ დატვირთულ ურემს უკან გაჰყვებოდა. ბალახის სურნელით გაბრუებული, ჭიშკართან დადგებოდა და აქეთ-იქით იყურებოდა, ყველგან წითელი ბაფთები ელანდებოდა და სახლში შესვლა ვერ გადაეწყვიტა. წითელი სოფელში არავის ეცვა. არც ნუციკოსავით პრიალა ბაფთები ექეთა ვინმეს, არც ისეთი მოძრავი ფეხის კუნთები ჰქონდათ, როგორც ნუციკოს, არც ნუციკოსავით ლამაზი იყო ვინმე. ნუციკო ერთადერთი იყო, რომელთანაც თამაში შეეძლო. როცა ნუციკოს უყურებდა, კაკლის ხის ძირას აბულულებულ თივას ხედავდა, როცა თივას უყურებდა, ნუციკოს ხედავდა. ნუციკოსა და თივას ერთდროულად ხედავდა. ნუციკო მის წარმოდგენაში გაიზარდა, ისეთი ტანადი გახდა, როგორც ციცინოს ქორწილში გურჯაანიდან ჩამოსული თინა, რომელმაც საცეკვაო წრეს თეძოების რხევით ისე ჩაუსრიალა, ყველას ოცნება გახდა. ბაცანამ წითელი კაბა გადააცვა, პრიალა ბაფთები მოხსნა და ოცნებაში ასე აგრძელებდა ნუციკოსთან თამაშს, თუმცა ხანდახან თინასავით ცისფერ გამჭირვალე კაბაში ხედავდა, მაგრამ ამას არად აგდებდა, რადგან სახელი მაინც ნუციკო ერქვა. ეხლაც, რაღამოღაც, თივა გაახსენდა, ხოლო ნუციკოს ჭრელი კაბა გადააცვა. ის იყო ნუციკომ ჯადოსნური კაბიანი ქალის ღიმილით შეხედა, რომ ვიღაცის ძახილმა გამოარკვია.

ბაცანა რომელია? — მეორედ, ზომაზე მეტად იყვირა ათი-თერთმეტი წლის ბიჭმა, რომელიც ოთხად გაკეცილ ქაღალდს ატრიალებდა, ნელ-ნელა, წინ მოიწევდა და თან დაფეთებული კარისკენ იყურებოდა, მატარებელი არ დაიძრას და თან არ გამიყოლიოსო. ბაცანამ ფანჯრის ძირში მყოფი ბიჭი იცნო.

— ერთი მე ვარ და რა ვიცი... ძლივს გასაგონად წაილუღლუღა ბაცანამ. მხრები აიჩეჩა და იქ მყოფთ უხერხულად გადახედა, მატარებელი დაიძრა, ბიჭმა ქაღალდი ბაცანას ესროლა და გასასვლელში გაქრა. ფანჯრის მახლობლად სკამზე დავარდნილი ქაღალდი ბაცანამ მაშინ აიღო, როცა დარწმუნდა, ყურადღებას არავინ აქცევდა, ჯერ ხელში შეათამაშა, ეგონა ბავშვები რაღაცას ეთამაშებოდნენ და ქაღალდს უნდოდ უყურებდა, მაგრამ როცა ქაღალდი ოდნავ გაიხსნა და რაღაც ნაწერს თვალი მოჰკრა, თვალებთან ახლოს მიიტანა და ფანქრით ნაჩქარევად გაფხაჭნილს დააკვირდა.

„ბაცან! მაპატიე, რომ ბავშვობის სახელით მოგმართავ. ბავშვობის მერე ერთმანეთი აღარ გვინახავს, ერთხელ დაბადების დღეზე ამხანაგს ვესტუმრე. მეზობლის აივანზე არსენას მსგავსი ვაჟკაცი გამოდგა, იქ მყოფი ქალიშვილები ფანჯრებს მიაწყდნენ; მასპინძელმა გვითხრა, ეგ ყმაწვილი მეზობლის სტუმარია, ქიზიყელი, სანდრო ჰქვია, მაგრამ ბაცანასაც ეძახიანო. დიდხანს გიყურე, პატარა ბაცანა ცხვირითა და თვალებით ვიცანი. შენ კი დღეს ვერ მიცანი, რას მიცნობდი, მაშინ ცამეტი წლისა ვიყავი, გამხდარი, უფერული, თბილისში არაფერს გაჭმევენო და ცხელ შოთებს მომირბენინებდი, კახური პური გაგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუქებსო... მე კი შორიდანვე გიცანი, ეხლა იმიტომ შეგაწუხე, რომ ხიმშიაანთ ბაბალეს რძალს უთხრა, რომელიც ერთი წელია თქვენს სოფელში გამოთხოვდა, ხვალ დილას სადგურში დამხვდეს, „ნუციკო".

როცა ბაცანამ უკანასკნელი წინადადება ამოიკითხა, მატარებელი უკვე საგარეჯოდან გადიოდა, მაგრამ ყოველი სიტყვა გონების კუნჭულში განძივით ჩაეჭედა. ბაცანა ფანჯარას მიეკრა, ხეები, სოფლები, მინდვრები, მთები სწრაფად გარბოდნენ, მისი თვალები ყველაფერს სწვდებოდა, და ყველგან ჭრელკაბიანები გარბოდნენ.

ბაცანა აფორიაქდა, სახეზე ღიმი გაეკრა, ნუციკოს უიღბლო გათხოვების ამბავი ყურმოკრული ჰქონდა და სადღაც იმედის შუქი უნათებდა

— რა მიხარია ეს ოხერი ესა, მე რა, რა...

გაღვივებულ გრძნობაზე წყლის გადასხმა სცადა ბაცანამ. ძვირფას წერილს ადგილი ვერ მოუნახა, ისევ გაშალა და წარსულში გადაიჭრა.

ნუციკო მწვანეში ყაყაჩოსავით ანათებს, როგორც უცხო ფრინველს, ისე მისჩერებიან თანატოლები, ვაზებს ჩაუქროლა, მტევნების მოზრდილ, თვალშესულ მარცვლებს დაერია, ყლაპა და ყლაპა... რამდენიმე დღე უხალისოდ შეიქნა, მერე აღარც უნახავს, ბებიაც ქალაქში გადასახლდა, სახლი კი გაყიდეს. ბაცანამ თვალი ფანჯარას მიაპყრო, ყაყაჩოები ყანაში სისხლივით ჩაღვრილა, წელს ყაყაჩოები ძალიან მომრავლდა, გაჭრილმა ბორცვებმა ჩამოაბნელეს, მერე კი ყველაფერი გონების კუნჭულში მილაგდა და გაქრა. კაკუნმა გამოაფხიზლა, ალექსა მგზავრებს ჩაუჯდა და საკრავი მოიმარჯვა. ბაცანა ალექსას დააკვირდა, მისი საკრავი დღეს რაღაცნაირი განსაკუთრებული გრძნობით აჟღერდა.

„არა, დღეს მაინც ძალიან ბედნიერი ვარ... რა მიხარიან, ჰა?.. რა მიხარიან... როგორც უსიტყვოდ დავეძებდი და რა დროსა ვნახე... ამ ტიალმა გულმა როგორ იგრძნო, ჰა..." თავს იქნევს ბაცანა და სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებს.

„რა არის ცხოვრება... ვინ იცის, ვის რა აწუხებს, ვის რა ახარებს..."

ბაცანამ მგზავრებს გადახედა, ალექსასათვის გასამრჯელოს არავინ იშურებდა.

„საწყალი ალექსა, მთელი სიცოცხლე გრძნობითა და სმენით იხედება, დაბერდა ალექსა, ახალგაზრდები კი დასცინიან, ვინ რა იცის, ვის რა აწუხებს, ყველას ჰგონია მე, მე ვარო... ცუდიც და კარგიც ყველა რომ ადამიანია, ეს ვერ გაგვიგია. სხვისი ტირილი ჩემი ტირილია, სხვისი სიხარული ჩემი სიხარულია. ჩემი თავი ყველასათვის მინდა და ყველას რომ მე ვუნდოდე, ამაზე ბედნიერება სხვა რაღაა. ეხლა... გიგაანთ ქვრივს რო თავშალს ჩავუტან, დაბახმელაანთ ჩამოძონძილ გოგო-ბიჭებს რო საცვლებს ჩავაცმევ, ნუცა ძალოს ობოლ მარინეს წითელი კაბით რო გავახარებ და მელანოს მიხას საფენებს მივუმარჯვებ, იმათი სიხარული ჩემი სიხარული არ იქნება? ვაჰ, გაიხარებენ... მერე რა დამიჯდა... სულ თხუთმეტი მანეთი... აბა, თხუთმეტი მანეთი რა არის და იმისი დაზოგვა რა უნდა იყოს. იმათი სიხარული მეტი არა ღირს? უსწავლელი კაცი ვარ, მაგრამ იმდენი არ უნდა ვიცოდე რო ამქვეყნად ბევრი ქვრივ-ობოლია, აგე ნოქარი გოგია... ჰაიჰარა მანქანა იყიდა, ჰოდა, რად უნდოდა. მაღაზიის პირდაპირ სახლი აქვს, ეზოდან გამოიყვანს და მაღაზიის წინ გააჩერებს, ვითომ, დაინახეთ, რა მარიფათიანი კაცი ვარო, აბა მაღაზიიდან რომელიმე ქვრივს ან ობოლს უფასოდ კაპიკიანი რამ გაატანოს, პირიქით, ატყუებს კიდეც, იმათაგან მოგება რჩება; რო ტრაბახობს კიდეც, უმაღლესი ცოდნა მაქვსო. მიმიფურთხებია იმის უმაღლესისათვის და ადამიანობისთვისაც... კულტურული კაცივით შლაპასაც დაიხურავს, აგე ამ შლაპიანისა არ იყოს, სცივა თუ, ქარი უბერავს, ვერ მოიხადა?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორივით გადახედა ბაცანამ პირდაპირ მჯდომ ლოყებჩამრგვალებულ შუახნის კაცს, რომელსაც შლაპა უკან გადაეწია, სათვალე ცხვირის წვეროზე დაეკიდებინა და გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა გაზეთს.

„ბედნიერი კაცი. რით ხარ ბედნიერი... იმით, რომ საკუთარი ქერქი გაგისივებია და ხალხი კი გუნებაში გლანძღავს. ჭკუა არა გაქვს და იყავი, ეგე... მე კი გული მაქვს ალალი და ბედნიერი, ისეთი ბედნიერი რომა, აი შენ, ისეთი ბედნიერი ერთ დღესაც არა ყოფილხარ, იჰ, რა გესმის შენი...“

ვინ იცის, ვისი მისამართით იგინება ბაცანა და თავისი უდანაშაულობის შეგნებით გაამაყებული, ღიმილით მისჩერებია ალექსას, ვისი ხელოვნება ზოგს საცინლად გაუხდია, მას კი აღაფრთოვანებდა, თუმცა გულგარეშე ისმენდა. ისევ ნუციკო გაახსენდა და გული სიამით გადაუქანდა, თითქოს ფრთები შეესხა, აამჩატა. მარტოობით გამოწვეული გულისტკივილი, რაღაცნაირი ტკბილი და საამო ფართხალით შეეცვალა და ბაცანას ქვეყანა თავისი ეგონა.

— დაუკარ ალექს... დაუკარ!.. გულიდან ამოსკდა იმედით ზეშთაგონებულ ბაცანას და იქ მყოფნი გამოაფხიზლა, თვითონაც გამოერკვა და ჰაერში შერჩენილი ხელი ნელ-ნელა დაუშვა. ბაცანა მგზავრთა მიპყრობილ თვალებს გაექცა, ლოყები აუღადღადდა. „ამათ ალბათ შერეკილი ვგონივარ,“ — წუთით დაირცხვინა.

„იჰ... რაც უნდათ იფიქრონ“ — გადაწყვიტა ბოლოს. ჯიბიდან წითელი ათმანეთიანი ამოაძვრინა, ხელები შექეიფიანებულივით გაშალა და ფული ალექსას გულის ჯიბეში ჩაუჩურთა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თამაზ ბაძაღუა

●

დღეიდან ზღაპრებს ვერ მოგიყვები,
ჩვენი ტყაშმაფა გაეხვია მწუხრის სველ თმებში,
თუთარჩელას თეთრ სიწყნარეში
და ოჩოკოჩსაც გზა აერია
და ქაჯ-ეშმაკნიც მეჩხერ ტყეებს დაუყვნენ დაღმა.
ჩვენი კეთილი მეზღაპრეც მოკვდა,
იმისი ხმა კი ვარსკვლავების წკრიალს შეერთო.
დღეიდან ზღაპრებს ვერ მოგიყვები,
რადგან მე სიტყვებს კი არ ვამბობ, არამედ ქვებს,
რომლებიც ტუჩებს მიხეთქავენ.
რადგან მე სიტყვებს კი არ ვამბობ, არამედ სისხლს,
რომელიც მწარედ ეწებება შენს წამწამებზე.
ეს იმას ნიშნავს, რომ კი არ ცხოვრობ,
არამედ როგორც აბეზარ ბუზს, იგერიებ ცხოვრების ღიტინს.
დღეიდან ზღაპრებს ვერ მოგიყვები,
ხავსმა დაფარა ის წარწერაც და ის ნუგეშიც:
მარცხნივ — სიკვდილი, მარჯვნივ — სიცოცხლე,
და მე არ ვიცი, რომელ ლოდზე მეჭიროს თვალი,
ეს ის გზა არის, საიდანაც არ ბრუნდებიან.

●

რად მწუხარე ხარ, ჩემო ფასკუნჯო,
რა სიზმრებმა გამოგრიყეს ამ ფანჯარასთან,
და ჩამავალი ღამის ჩუხჩუხში რა იმედებს ეპოტინები.
რად არ გასვენებს წყეული ფიქრი, უიმედობის და გულგრილობის
შავ ვარსკვლავებთან ჩახუტებული.
        რომელ მთვარეს გამოასწარი,
        რომელი საუკუნის ქარიდან მოფრინდი,
        რომელი სივრცის ნაპირიდან გამოაღწიე,
        რომ სველ რაფაზე ჩამოგეწყო
        ეს დაჩაგრული ფრთები და კლანჭი.
ვეღარ გეხები და ცრემლითაც ვეღარ გაგათბობ,
და სულსაც ვეღარ შეგიბერავ ჭრილობაზე
და ჰარილსაც ვეღარ დაგაყრი,
ჩვენ ხომ მარტო ვართ —
მე და ჩემი საწყალი ფიქრი,
ერთმანეთში გვაქვს თავი ჩარგული,
ერთმანეთის სისხლით ვსაზრდოობთ
და საკუთარი თავის დედაც თვითონ ჩვენა ვართ.
        შენ ვერ გაიგებ: გამოფხიზლებაც რომ გვეზარება,
        და თვალებში
        გაურკვეველი შიში ლუღლუღებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქ არაფერი არ დაგვრჩენია —
ამ ნიაღვარებში დამწყვდეული გუგუნი ხომ გესმოდა უკვე,
ათიათასი ღამის უკან, სხვა ტალღების ფეხისგულებთან,
ამ სიზმარშიც ხომ ვიყავით უკვე,
  ამ ქალთანაც ხომ ვიწექით უკვე,
  შეუმჩნევლად რომ უკანკალებს ტუჩზე ღიმილი.
ის ვერასოდეს ვერ გაიგებს, რატომ დავტოვეთ,
და მხრებზე რატომ წავაფარეთ თბილი საბანი,
რატომ მოვუშვით ონკანში წყალი,
რატომ გავაღეთ ყველა ფანჯარა
და რატომ, რატომ გადავფრინდით მეორე დროში.
    თუ დაიღალე, თუკი სუნთქვა გეკვრება უკვე,
    აჰა, ჩემი მოთიმთიმე და ტკბილი ხორცი,
    გადაყლაპე და ღონივრად მოუსვი ფრთები,
    და ღონივრად დაჰყივლე ქარებს,
    რომ გავაღწიოთ ამ ხრიოკიდან
    და აბრეშუმის ჰაის პარკივით
    საკუთარი თავიდან გავფრინდეთ მერე.

## შესაძლებლობა

ნუთუ ოდესმე გათენდება — რომ წყვდიადში დაბეგვილი შენი სხეული
გახარებული ბავშვივით მიაჩერდეს სარკმელს
და იმ სარკმლიდან ოქროს ძაფებით
ნაქსოვმა ხმებმა შემოირბინონ.
შენ რაზე მღერი, რას იხეთქავ გულს, გულწითელავ,
შენი ხმები რას გამოაღწევს შუაღამის სიმარტოვიდან.

ნუ მეუბნებით, ნუ მატყუებთ, რომ ოდესმე ვარსკვლავები ჩაეხვევიან
ჩვენს ნაფეხურებს და ზეცისკენ გაგვიტაცებენ.
ნუ მეუბნებით, ნუ მატყუებთ რომ ოდესმე გაიფოთლება
სიყვარულის ბერწი მცენარე...
ის უკვე ნაყოფს კი არ მოისხამს
არამედ ცივ და შხამიან ეკლებს,
და იმ ეკლიდან ჩვენს სამსხვერპლო ჯვარს გამოთლიან.

ნუ მეუბნებით, ნუ მატყუებთ, რომ ამ ზამთრიდან
გადამფრენი ფრინველებივით ზაფხულის მლვივან სინათლეში გადავინაცვლებთ.

ნუთუ ოდესმე გათენდება — ისე სუფთად და ისე წყნარად
რომ სიხარულით გაგისკდეს გული.

●

რა უნდა გითხრა ხმელო ფოთოლო,
რით განუგეშო, ცისკრის ვარსკვლავო,
თქვენი ჩურჩული უხმაუროდ ჩასულა ტანში
და მკვდარ ტბასავით შეგუბებულა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცავ, უნაყოფოვ, რა სიზმრებით უნდა მაცდუნო,
ღამევ, ბებერო, რა ზღაპრებით უნდა გამართო,
მივეხეტები ცარიელ ველზე
და არავინ დგას ქარების ბოლოს...

●

უკვე მშვიდად ხარ და ელოდები:
შენს ცაზე ერთი მთვარე იგვიანებს,
შენს დროში ერთი გაზაფხული იგვიანებს,
შენს გულზე ერთი ცრემლი იგვიანებს,
შენს საფლავზე ერთი ბალახი იგვიანებს.

●

ის ნაკვალევი შემოდგომის მდინარეებმა დაინაწილეს,
ის სუნთქვა ზამთრის ქარიშხლებმა თან წაიყოლეს,
აღარაფერი დარჩენილა — თებერვლის სუსხში.
მოწყენილ ბაღთან სამასი წლის ყვავი ყრანტალებს.
ზამთარი მოდის მეგობარო, გრძელი და ცივი,
და ერთი ლუკმა სითბო მაინც შევთხოვოთ გამჩენს,
ყვავი გაფრინდა,
მშვენიერი ყვავი გაფრინდა
სიცივეების წმინდა მხარეში,
ხოლო იმ წუხილს ვარსკვლავები მოგიყვებიან,
ოღონდ ახედე და იფიქრე გზის დასასრულზე,
და ქვაფენილიც ის გაშლილი ხელისგულია,
სადაც ვკითხულობ ჩვენს დამარცხებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავთანდილ გურგენიძე

არა,
ამა ქვეყნიდან
არაფრის ვარ წამღები,
აქვე უნდა დავტოვო
ქუდია თუ წაღები.
ყველაფერი,
რაცა მაქვს უხილავი, ხილული,
ჩემი გულის სითბო და
ჩემი გულის ყინული.

დიახ, პატივცემულო,
ქალბატონო, ბატონო,
ნემსია თუ აქლემი
აქვე უნდა დავტოვო.
დავრჩებოდი თვითონაც,
ასე, ...დედიშობილა,
მაგრამ წასვლა ყოველი
კაცის ბედი ყოფილა.

ამიტომაც რომ წავალ,
არაფრის ვარ წამღები,
თქვენთან ჩემი ქუდიც და
თქვენთან — ჩემი წაღებიც,
თქვენთან ნედლი ლექსები,
ჩემი გულის მალამო,
ღმერთი, რჯული!
გიტოვებთ,
მე არაფერს ვმალავო...

თქვენი იყოს მამული,
ხილული და მალული,
ჩემგან ენით უთქმელი
მტანჯველი სიყვარული,
თქვენი იყოს, იხარეთ
ამ მზითა და ამ მთვარით,
თქვენი იყოს, იყავით
ხან ფხიზელი, ხან — მთვრალი.

სულ ყველაფერს გიტოვებთ...
სურვილების მატებით...
უფრო გავმწარდები და
უფრო მომენატრებით.
ისე მომენატრება,
გზები სწორე და მრუდე, —
იქნებ,
(ეშმაკს არ სძინავს!..)
იქნებ... კიდეც დავბრუნდე!

## ვითომ

ვითომ ცივა, ვითომ ცეცხლზე
ვითომ ხელებს ითბობ,
ვითომ წინ ხარ, ვითომ ექებ,
ვითომ... ვითომ... ვითომ...

ვითომ ცაზე ვითომ მზეა,
ვითომ გწყალობს ხვითო.
ვითომ მწვანე მინდორზეა
ვითომ ქალი... ვითომ.

ვითომ წყალი, ვითომ ღვინო
ვითომ შესვი თვითონ.
ვითომ უნდა იღიღინო,
ვითომ... ვითომ... ვითომ...

ვითომ ტირი, ვითომ მღერი,
თავსაც ვითომ ირთობ.
ვითომ სანთლის თითო ღერი
გზას გინათებს ვითომ.

და ეს ლექსიც... ვითომ ლექსი
ვითომ გულში იდო.
ვერ გაიგე? მით უარესი, —
ვერ გაიგე ვითომ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოფელში, გზაზე...

რა არნახულად ჰყვავიან ხენი,
როგორ ტკარცალებს
რტოზე ყვავილი,
აღემატება სიხარულს ბევრად —
განცდა,
როდესაც აქეთ ჩაივლი.
და
სიჩუმეში ვიღაცა ყივის
და
უჩინარი მიტყდება ხიდი...
ეს
თავდაყირა აყენებს ყოველს —
წარწერა:
„სახლ-კარს სასწრაფოდ ვყიდი!“

●

მე რად მინდა მარტო რითმა,
მე რად მინდა ლექსი ძნებად...
ქართვქლებით გატენილი
საქართველო მესიზმრება.

მე რად მინდა მარტო სიტყვა,
თუ ძველ-ძველა ფესვი ზრება...
რუსთველი და თამარ მეფე
სულ ცოცხალი მესიზმრება.

მე რად მინდა მარტო მინდი,
თუ წამგლიჯეს თესლი სხვებმა.
ცოტნესი და პაატასი
ნასიზმრალი მესიზმრება.

მე რად მინდა ერთის ლექსი,
ერთის ცეკვა და სიმღერა.
მე ხორუმის მოცეკვავე
საქართველო მესიზმრება...

იმედი და სასოება —
ნუ მოგვშლოდეს ეს ღირსება...
ღმერთო, ყველას დაასიზმრე,
რაც მე ახლა მესიზმრება.

## შაბურა არაბული

### ძმისშვილს

ვწერ, მაგიდაზე მთვარე მინთია,
თვალწინ მიდგახარ ციცქნა მინდია...

ანგელოზივით რომ იღიმები,
ვწერ, ჩამოდიან ფეხად წვიმები...

შენი სახელი დამიკვეხნია
გველის მჭამელის ციდა სეხნიავ...

მისებრ წუხილი შეგიპყრობს შენაც,
როცა გაიგებ ყვავილთა ენას.

რომ მიყვარს, სწორედ ის ამინდია,
ვწერ. მაგიდაზე მთვარე მინთია.

●

ვახსოვარ ქალაქს? მახსოვს ქალაქი,
როგორც სახლი და ძვალთშესალაგი.

გინდა, წყურვილით მომკლა არაგვის
და თან პასუხიც გსურს რომ არ აგო?

მასველებს წვიმა, ლეშხი და თქეში
თავგზადაკარგულს მთებში და ტყეში.

●

მე გოგონას ვუყურებ, გოგონა კი —
სხვას,
ამნაირად იქმნება ღია სამკუთხედი.
გადაშლილა ჩემს თვალწინ
მოლივლივე ზღვა,
რა კარგია აქედან საქართველოს ხედი...
სულ სხვაგან იყურება ბედნიერი „ის,"
ვეცოდები ქვეყანას უბედური „მე".
რა კარგია, ცისფერ ცხენზე
ქალიშვილი ზის,
ღამდება და მწვერვალებს ეფარება
მზე...

### ნათია

ვწერ... შუადღეა... ოთახში
მწველი მზის ათინათია...
ნეტავი ახლა სადაა
ნატვრისთვალივით ნათია?

ალბათ გათხოვდა ნათია,
ალბათ ღუღუნებს აკვანთან,
მზემ დევებივით ჩრდილები
თბილქალაქს გადაახატა...
მხოლოდ იგი თუ გამიგებს,
ვინც ღამე ლექსზე ათია...
ვწერ... გაზაფხულის დილაა,
საათს ვუყურებ: ათია...

ნეტავი ახლა სადაა
ნატვრისთვალივით ნათია?..

●

გამომელევა სამელნეში ერთხელ
მელანი
და საკუთარი სისხლით დავწერ,
ალბათ, ბოლო ლექსს.
სიცოცხლისა და სიხარულის ვარ
მომღერალი,
საქმე არ მაქვს და ვუსმენ ოლოლებს.
გაზაფხულია და ტყე მოჩანს
უალუბალო,
ესეც საქმეა, ვაქართულებ ჩიტების
ჭიკჭიკს.
მადლობელი ვარ შენი, უფალო,
რადგან მიბოძე სხვის წუხილზე
წუხილის ნიჭი...

# ომარ დოხნაძე

## დაბრუნება

ბევრი ტანჯვის და წვალების შემდეგ
და უგზო-უკვლოდ წანწალის შემდეგ.
ვიპოვე ქოხი, რომელშიც ვიშვი,
და შუაცეცხლთან დაღლილი შევდექ.
დიოდა კვამლის და მჭვარტლის სუნი,
უხმოდ ტიროდა ჩამქრალი ალი,
ვიდექი როგორც ბებერი ცხენი
და ვაცეცებდი გამომშრალ თვალებს.

დაქცეული რძის პატარა გუბე
გაყოფილიყო ექვსად თუ შვიდად,
კუთხეში იდგა ყვითელი კუბო
და შიგ დედაჩემს ეძინა მშვიდად.
და სოხანეზე ლადარი წუხდა,
ენატრებოდა სინათლე მკრთალი
მე მოვიყარე მოღლილი მუხლი
და გავაღვივე გამქრალი ალი.

## სახლი

სახლი, რომელშიც დავიბადე,
უკვე აიღეს,
ახლა ამბობენ
ისიც უნდა დაანგრიონო,
რომელშიც ვცხოვრობ.

# გივი გოგნაძე

●

ვნებადდამცხრალი მშვიდი ძილით
სძინავთ ვულკანებს
და კრატერები მდუმარენი
ხრჩოლავენ უხმოდ.
დავიწყებია იტალიას
პომპეის ცრემლი,
დავიწყებია ჩიკაგოსაც
ხანძრის ლვედები...
მაგრამ ნაგასაკს,
ხიროსიმას,
კაცობრიობას
რამ დაავიწყოს კლოდ იზერლი —
„შეშლილი კაცი“!
...რადიაციის ნაკვალევზე
თამაშობს ბავშვი —
დაბადებიდან
მახინჯი ბავშვი.

●

დაეცლებოდა ნუგეშის ხარო—
მოგაშურებდა მაშინვე, ბარო.
შეაგებებდა ვეება პეშვებს
გზად მიმავალი წინწკილა წყაროს.

შენში ხედავდა იმედის ლაჟვარდს —
ზურგის ქარივით შველოდი მაშვრალს.
მოიჩქაროდა, თან მთის ვარამით
სავსე ხურჯინი მოჰქონდა ვაჟას.

## ნანა გოგიჩაშვილი

●

სავსე დღეების ჰორიზონტიდან
გამოჩნდა შენი თვალების ფერი
და უშენობა სულს მიკორტნიდა,
ეს იყო მხოლოდ, სხვა არაფერი.

ეჭვებს მოსწყინდათ ერთ-ურთს
ქირდვა,
გალაღდა ვერხვი ცად ანაფრენი,
მე ახლა შენთან ყოფნა რომ მინდა,
ეს არის მხოლოდ, სხვა არაფერი.

წვიმა არ იყო, მარტოდენ სცრიდა,
ხარობდა მდელო მწვანედ ნაფენი,
მე ახლა შენი ნახვა რომ მინდა,
ეს არის მხოლოდ, სხვა არაფერი.

ფურისულები გართხმულან მოლზე,
თავბრუს მახვევენ ეს ქარაფები.
და ჯერაც რომ ვერ მოვსულვარ გონზე,
ეს არის მხოლოდ, სხვა არაფერი.

●

დღეს წვიმდა ისე თავგამოდებით,
თითქოს არ ჰქონდა
წვიმას ხვალაც მოსვლის უფლება.
თითქოსდა ვიღაც გააუქმებდა
წვიმიან დღეებს, კვირეებს, თუ
თვეებს უკლებლად.
მე წვიმის მოსვლა
შენს თავს მახსენებს
და ამას წვიმა ხვდება უთქმელად,

მან იცის როგორ მიხარია,
ჩემი ცის კალთას
წვიმის ღრუბელი როცა უხდება
და როგორ მიყვარს
ცაზე მეხის გადაქუხება...
დღეს წვიმდა ისე თავგამოდებით,
თითქოს არ ჰქონდა
წვიმას ხვალაც მოსვლის უფლება.

●

რაც შენ წახვედი
დამეტყო დაღლა,
დამეტყო დაღლა,
დაუძლურება,
მე შენი დარდი
მაწუხებს ახლაც,
შენი დარდი და
არდაბრუნება,

მაგრამ იმედით
აგებულ ტაძარს
ჯერ ნელი სიო
ესალბუნება...
და ველი, როდის
გამიჩენ ხანძარს,
რომ ვიგიზგიზო
დაუსრულებლად.

●

მუხლებზე დაეცა ჩემი გაზაფხული
და ფურირემივით შეჰბღავლა
ქარაფებს, —
არაფერს არა გთხოვთ,
გარდა პატიების,
არაფერს არა გთხოვთ,
არაფერს.

სულის წაწყმედამდე მიყვარდა,
მიყვარდა
და მაინც რაღაცამ დამშრიტა, გამლია
და ჩემი ბრალია,
თუ არ მეპატია,
თუ არ მეპატია,
ჰო, ჩემი ბრალია.
მუხლებზე დაეცა ჩემი გაზაფხული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ყურაშვილი

# ცოდვილთა დღესასწაული

რომანი

თუთია განა ღელის პირზე არ მივატოვეთ? ახლაც იქ არის. ჰო, ეგერ ბრტყელ ლოდზე ჩამომჯდარა, წვივები ხელებით შემოუსალტავს, ნიკაპით მუხლებს ჩამოყრდნობია, წაბლისყვავილა თმა ძირს ჩასცურებია და წყალში ანკესებივით ჩაცვენილა... „რატომ იგვიანებს, დღეს ხომ ბატას ჯერი იყო, ხომ არ დაავიწყდა ნეტავი...“ — გული უკვნესოდა შიშით.

უკვე მესამე წელიწადია, ამ ღელეს დააქვს მათი წერილები, ღელეა მათი საიდუმლო ფოსტის დამტარებელი. ჩააგდებს ბატა ყვავილების ერთ შეკვრას ღელეში, თუთია დახვდება დათქმულ ადგილზე. აი, იქ, სადაც ახლა დგას და ელოდება „ფოსტის“ გამოჩენას. ამოიღებს ყვავილების თაიგულს, ექვსი ცალი ყვავილია თაიგულში, არა?! მაშ, ექვსი საათისთვის უნდა შეხვდნენ ერთმანეთს; შვიდი ყვავილია? მაშინ — შვიდზე... ყვავილების დრო გადავა?! რამ გამოლია წიფლისა და თხმელის, შინდისა და თხილის და სხვათა და სხვათა ტოტ-ფოთოლი; იონჯის ყვავილი იყო? შეხვედრის ადგილი სათიბია, წიფლის ტოტები? მაშინ, წიფლნარში გიხაროდეს; შინდის წკეპლებია? წყაროსთან, კლდეტინების უკან... მოკლედ, ისინი ათასჯერ უფრო მოქნილად და უკეთ აგებინებდნენ ერთმანეთს, ვიდრე ჩვენ, დღესაც რომ ვცოდვილობთ და თავს ვიკლავთ ამ დაწყევლილ ტელეფონებთან.

ერთხელ ბატა რომ დაუნიშნავდა შეხვედრის ადგილს, მეორედ თუთია იბარებდა პაემანზე, ასე მორიგეობდნენ შეყვარებული გოგო და ბიჭი, ასე უცვლიდნენ ერთმანეთს საიდუმლო ნიშანწერილებს... ერთ დღესაც თუთიას ჯერი იყო. მიელის ბატა ღელის ფოსტის ჩამოტარებას, როგორც იქნა, გამოჩნდა „წერილი“ — წიფლის ათი პატარა ცქიფი შეეკრა თუთიას...

ერთი გაკვირვება კი გაუკვირდა ბიჭს, საღამოს ათ საათზე ამ ულრან ტყეში რომ მიბარებს, რა ჭკუაზეაო ეს გოგო. ცოტა შიშიც კი შეეპარა გულში, მაგრამ, როცა გიყვარს, შიში ყოველთვის უკან იხევს.

„ჯუბასთან გადავდივარ, მალე დავბრუნდები!“ — შინ დაიბარა ბატამ და წიფლნარისკენ მოკურცხლა. ბოგირს რომ მიუახლოვდა, ტანში გაბურძგლა, თეთრად ჩაცმული ქალი იდგა და ხელები გამოეწვდინა. თმა კოჭებამდე ჩასდევდა, ოდნავ ირწეოდა, თითქოს ბიჯის გადმოდგმას ეპირებოდა. წამოიღებდა კიდეც ფეხს, მაგრამ გადაიფიქრებდა, ისევ უკან მიჰქონდა. წამოიღებდა, ეს-ეს არის, გამართავსო ნაბიჯს და ერთ ადგილს ტკეპნიდა კვლავ. ბატა გახევებული იდგა, რაც ძალა და ღო-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 8, 9, 10.

ნე ჰქონდა ყვიროდა, მშველელს უხმობდა, ვაგიგონია? ჩამიჩუმი ტრსაიდან ისმოდა... ბატას ხმა ყელს ზემოთ არ გადმოსდიოდა, ხორხში იგუდებოდა. ბიჭს კი ეგონა, მთელი ხმით ვყვირიო. ამ დროს ერთი წამოუბერა ზენამ, მაყვლის ბუჩქს ის თეთრი კაბა შემოახია და შუკის მეორე მხარეზე ღობეს ააფარა. „ფუი ეშმაკს, გაზეთის ქაღალდი ყოფილა, გული კი გადამიტრიალა!" ბატამ გზა გააგრძელა, მაგრამ უკან გამოვლა არ გინდოდა?! ეს ადგილი ნაძრახი ადგილიაო, ადამა ხეცურიანს აქ ხომ ჭინკა შემოხტომია ცხენზე და ხანჯალი რომ არ დაეძრო, არავინ იცის, როგორ წავიდოდა მისი საქმე. ხანჯლის ეშინია თურმე, ჩამოსაჯდომ ადგილს ვერ პოულობს ხანჯლის პირზე... „ჯვარი უნდა გადაისახო!" — გაახსენდა ბაბილო რომ, ასწავლიდა. ოდნავ დამშვიდდა ბატა, თუმცა ამ ხერხისა მაინცდამაინც არა სჯეროდა: „ხანჯალი რომ მომცა, კიდევ ჰო!.. სად ჯვარი და სად ხანჯალი", — წუხდა ბიჭი. როგორც იყო, ბოგირს გადასცდა, ფეხს აუჩქარა, მაგრამ ნაძრახზე ფიქრი ვერა და ვერ მოიცილა გულიდან; ისევ ის ადამა ხეცურიანი გაახსენდა:

„მონადირე კაცი იყო, — უყვებოდა ბაბილო, — ერთი პატარა ფაქუტა ჰქონდა, წყლის ქალს ჰყვარობდა და წყალშიც დაიღუპა ის ნათელდამდგარი". მაგრამ მანამდე ნადირობდა თურმე და ნანადირევით გაჰქონდა თავი, ლეტიბაჩისა და ნადეშტურას ტყეები სულ ფეხიფეხზე ჰქონია შემოვლილი. ერთ საღამოს, მწვადის შეწვას რომ ეპირებოდა, მზე უკვე კარგა ხნის ჩაბრძანებული ყოფილა, ამ დროს ჭინკა გამოსულა ტყიდან, თავით-ფეხამდე გრძელი და ბნელი ჯაგარა თმა ესხა. მივიდა და მიუჯდა ადამას. კაცს წარბიც არ შეეხარა, ცეცხლი გააჩაღა და მწვადი ააშიშხინა. ჭინკას ნერწყვი მოადგა პირზე და ადამასეუბნება:

„მწვადი მომითალე ერთი!"

„გწყალობდეს ჩვენი ღმერთი!" — უთხრა ადამამ.

„მომითალე ორი!"

„ვინემ მყავდა ღორი, არცა მაკლდა ღორი, არცა მისი ქონი!" — არ შეაწია ადამამ სიტყვა.

„მომითალე სამი!"

„სამი ისარი ავაგდე, დევის ყურები ავაგე!"

„მომითალე ოთხი, ვერა ხედავ, ველი?"

„ოთხი ფარა ცხვარი მყავდა, არც მატყლ-ნაპარსავი მაკლდა, არცა მისი ყველი!" — გაელექსა ადამა.

„მომითალე ხუთი!"

„ხუთი ძმაკაცი რომ სახლში იქნება, იმათ რა გაუჭირდება".

„მომითალე ექვსი!"

„ექვსი უღელი ხარი მყავდა, ვხნავდი, ვფარცხავდი, ცოლსა და შვილს კარგად ვინახავდი".

„მომითალე შვიდი!"

„მოვმართე მშვილდი..."

„მომითალე რვა!"

„ტყეში მტრედი მოვკალი, მოვიტანე და დავიწყე ბდღვნა".

„მომითალე ცხრა!"

„აბა, ხელისგულები მომეცი, ჯერ მარილი დაგაყარო ზედა!"

ჭინკამ ხელები გამოუწოდა, ადამამ საპირწამლე გახსნა, ჭინკას თოფისწამლით აუვსო ტოში, ზედ ნაკვერჩხალი დაუგდო და ავარდა მარა, რა ავარდა ალი, ცეცხლწაკიდებული ჭინკა წივილ-კივილით გაიქცა ტყისკენ... მიხვდა ადამა, ის წყეული დიდხანს რომ არ შეარჩენდა ამ ამბავს, ფიჩხი და ჩინჩხვარი მოზიდა, ცეცხლი დაანთო, ხანჯალი ქარქაშიდან ამოიღო, კოცონთან მივიდა, მიწაში ტარით ჩაავო და მაღლიდან ნაბადი წააფარა. თვითონ ჩეზე ახოხდა, ბორჯოყში დაიმალა. ცოტა ხანს ასე განაბული ელოდა, როდის გამოჩნდებოდა ის ავსული. მერე, ეგრე დახვედრაც რა ვაჟკაცობა არისო, გაფიქრება და ხიდან ჩამოცურება ერთი ქნა. ცეცხლის პირას გულაღმა წამოწვა, გა-

---

**ავთანდილ ჟურაშვილი**
ცთომილთა დღესასწაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტენილი თოფი გვერდზე მოიდო, ნაბადი გადაიხურა და ხანჯალიც ორივე ხელით ნაბდის ქვემოდან დაიჭირა. შუაღამეს რომ გადასცდა, ის ჭინკაც მოვიდა, სიხარულისაგან ხელები გაშალა: „ადამას სძინავს, თავზე დავახტები და მოვკლავ!“ ასეც მოიქცა, აღარ დაუხანებია, ისკუპა და ხანჯალზე გულით დაეგო. გამწარებულმა ჭინკამ ერთი სახარლად იკივლა, წამოვარდა ზეზე, ხანჯალი მკერდიდან გამოიძრო და შორს მოისროლა. ამ დროს ადამამ აღარ დააცალა, სასხლეტს თითი გამოჰკრა და ბეჭსა და ბეჭს შუა დაახალა ტყვია. „ერთი კიდევ დამარტყი!“ — შესძახა სასოწარკვეთილმა ჭინკამ.

„ჩემგან ეგ ერთიც გეყოფა, ერთსაც უფალი დაგარტყამს!“ — არ შეიცოდა ადამამ.

ჭინკა ბარბაც-ბარბაცით მდინარისაკენ წავიდა და ქარაფიდან წყალში გადაეშვა... ადამაც იმ მდინარის ოქროსთმიანმა ქალმა წაიყვანაო თავის ყინულის სამეფოში...

ბატამ შიში დასძლია, როგორც იყო, ბოგირისკენ მიიხედა, წამით შეჩერდა, შედგა ჭინკების ლაშქარიც; ფეხი ააჩქარა, ისინიც კვალში ჩაუდგნენ. გულზე ალი დაეხვია ბიჭს, — ტყეს ფოთლად გადასწვდებოდნენ, იმდენი ჩანდნენ ღამებნელში, მიწაზე ფეხის დასადგამი ადგილი რომ არ ჰქონდათ, ერთიერთმანეთს მხრებზე ასხდნენ. ზოგი ღობე-ღობე მოსდევდა და მოჰყვებოდა, ძირიდან ცამდე აზიდული სივრცე ჭინკებს გამოევსო... შორით მოჰკიდა თვალი, წიფლნარის ტყეში სინათლე ბჟუტავდა:

არ დამინახია-მეთქი, ვერ ვიტყვი, დავინახე და ვიცანი კიდეც, — სინათლის ერთ მხარეს დარუხან-ცისკაცი იჯდა, მეორე მხარეს კი, დღემუდამ ქრიალ-ქრიალი ვის არ გამოღლის და, დაღლილ-დაქანცული ნიავწვრილი იჯდა, თვალები მიეხუჭა, ხანდახან ისე წაუვინთავდა, ხორცშესხმული რომ ყოფილიყო, უსათუოდ მიწაზე მოიღებდა ზღართანს. დარუხან-ცისკაცი დუმდა, როგორც ჩანს, სანიავწვრილო ძილისპირული უკვე მოითავა და ახლა მთვარე ამოიაღმართებსო, მნათის ამოსვლას მიელოდა...

ესენი რომ ამ ყოფაში იყვნენ და მე თვალს ვასეირებდი, ბატა ბნელში გამომეკარგა, ხელიდან გამომიქრა სადღაც. ნამდვილად გამექცა ამბის ბოლომეთქი, გავიფიქრე და ტყეში შევაბიჯე, რომ უმალ ვიგრძენი, თმა ზევით-ზევით წავიდა და თმის სრბოლამ მეც ამიტაცა ცისკენ... ვითომ შეთანხმებულები არიანო, ვხედავ, ტყის ერთი მხრიდან რაღაც უშველებელი ნადირი — ნამდვილად ნაბდები ჰქონდა ფეხებზე ამოკრული — იმ განათებული წაბლისაკენ მოდიოდა; ტყის მეორე მხრიდანაც ერთი ნადირი მოიწევდა ფრთხილ-ფრთხილი ნაბიჯებით. წაბლის ხეს მოუახლოვდნენ თუ არა, ერთმაც და მეორემაც ისეთი ბურდღუნი და ფიჩხის ლაწალუწი ატეხა, შიშისგან თავქუდმოგლეჯილი გამოვვარდი ტყიდან. მე რომ მეგონა, ქარივით მივქრივარ-მეთქი, სად გძინავს, შვილო! ტყის ერთი მხრიდან ცა და ქვეყანა რომ მოჰქონდა, მთასა და ბარს რომ აერთიანებდა, გლიჯინგლიჯინით, ბატა გარბოდა სოფლისაკენ; მეორე მხრიდან, თითქოს ორივე ფეხები — კოჭლიც და საღიც — მხრებზე გაეწყო, მიწას ფეხს არ აკარებდა, უკანმოუხედავად ერეკებოდა და ერეკებოდა ბატას ბიძაშვილი ჯუმბერა. ახლა კი ამოვისუნთქე, ის წეღანდელი შიშ-ელდა ქატოსავით გამომებნა, მიწაზე დავვარდი, ვიცინე და ვიცინე, კისრის ძარღვები ლამის დამაწყდა, იმდენი ვიხვიხვინე. როცა დავწყნარდი და გონზე მოვეგე, მივხვდი, რაც მოხდა...

ჯუმბერა, თუთია და ბატა ხომ ერთი ჯგუფისანი იყვნენ. ჯუმბერას რას გამოაპარებდი, ბატასა და თუთიას ამბავი ყველაფერი ხუთი თითივით იცოდა... ერთხელაც სიანცემ მოუარა, მაგათ თუ სეირი არ ვუჩვენეო. თუთიას გამოგზავნილ იმ ექვსწიფლისტოტა წერილს გზა გადაუჭრა, ღელიდან ამოიღო, ოთხი თავად წაუმატა, ესეც ათი ტოტი, —

ათი საათიო და ისევ ჩააგდო წყალში...

ექვსი საათისთვის თავად დახვდა თუთიას წიფლნარში, ისეთი ბრდღვენა და ფიჩხის მტვრევა-ლაწანი ატეხა, საწყალმა გოგომ სული ძლივს ჩაიტანა სახლში. ახლა ბატასაც მოუნდომა შიშის ზარი... მაგრამ, არც ბატას ეძინა, იფიქრა, მოდი, თუთიას შევაშინებო და დათვობა მოიგონა, ამ ხუმრობიდან რა გამოვიდა, თავადაც დაინახეთ, — იმ ნაძრახ ბოგირზეც ისე შიშის ქარით შევარდნენ ერთი სამხრეთის, ხოლო მეორე ჩრდილოეთის მხრიდან, ლამის შუბლები დაუხეთქეს ერთიმეორეს...

— ჯუმბერა, შენ, ბიჭო?!

— ბატა, შენ, კაცო?!

„ჯუმბერ", „ბატა", „შენ ბიჭო?!" „შენ კაცო?!" — სხვარიგად ენას ვეღარ იბრუნებდნენ ბიჭები, ემუჯლუგუნებოდნენ და ხელებს უტყაპუნებდნენ მხარ-მკლავებზე ერთმანეთს. მერე ბატა ბოგირის იქითა მხარიდან ჩამოჯდა, ჯუმბერა — ბოგირის აქეთა მხარიდან და პირმოუკვრელი სიცილი აუვარდათ... თეთრად ჩაცმული ქალი ახლა ტყემლის ძირას იდგა და ხელები გამოეწვდინა, ძნა-ძნად დაყრილი წაბლისყვავილა თმა კოჭებამდე ჩასდევდა, ოდნავ ირწეოდა, თითქოს ბიჯის გადმოდგმას ეპირებოდა, წამოიღებდა კიდეც ფეხს, მაგრამ გადაიფიქრებდა, ისევ უკან მიჭქონდა. წამოიღებდა, ეს-ეს არის გამართავსო ნაბიჯს და ერთ ადგილს ტკეპნიდა კვლავ...

ბიჭებს თეთრი ქალისა აღარ ეშინოდათ, ბიჭებს დათვის შიში ეჭამათ და სიცილ-ხარხარში ახლა ელდის ზაფრას ინელებდნენ, — თეთრი ქალისა აღარ ეშინოდათ ნაძრახი ადგილისა აღარ ეშინოდათ, ერთად იყვნენ და აღარ ეშინოდათ... ნამდვილი თუ გინდათ, ის თეთრი ქალი, გაზეთის ქაღალდი კი არა, ტყემლის ძირში საცოდავად შეყუჟული თუთია იყო, ბიჭების ეგრე დალაღების მიზეზი რომ ვერაფრით ამოეხსნა და თვალსამზერზე გამოსვლაც ერცხვინებოდა. არადა, როდის დაძირწვერდებოდნენ ეს ონავარი ბიჭები, კაცმა არ იცოდა.

როგორც იქნა, დადგნენ და დაშოშმინდნენ.

— ე მანდ, ტყემლის ძირში ვიღაცა ზის, მგონი! — უთხრა ჯუმბერამ ბატას.

თუთიამ თვალები დააელვა, ვაიო, აკივლდა გულში და ფერფური დაკარგა...

— არა, კაცო! გაზეთის ქაღალდია, გვერდი გადაუქცევია, იქით გადუგდია ქარს. წეღან მეც ალქაჯი მეგონა და სული ძლივს ამოვიტანე ტყემდე, — არაფრად ჩაუგდო ბატამ. ერთიც არ დაუკვლევია, თვალი არ დაუტანებია, ისე შებრუნდა. „იცოდე, ოდესმე მეც გადაგიხდი, ახლა კი ძილი ნებისა", — ჯერ დაექადნა, შემდეგ კი კეთილი სურვილი დაუტოვა ბიძაშვილს.

— აბა, შენ იცი, რამეფრად არ დაგავიწყდეს! — ხმა მიადევნა ჯუმბერამ და ღიღინ-ღიღინით ორღობეს გაჰყვა.

„ჩემი დღე-წერაც ეგრე ყოფილა!" — ჩაიჩურჩულა გოგომ და ჩრდილოდან გზაზე გამოვიდა.

დასართავად გამზადებულ მატყლის ფთილასავით მსუბუქი და ქუნქულა თუთია ორღობეში ჩაწოლილ სიბნელეში მარდად გადააქროლა სანთლის ალივით ავარდნილმა თხელმა ფეხებმა. ვიდრე ჭიშკარი არ შეაღო და თვალს არ მიეფარა, ღვიღვინებდა და ღვიღვინებდა წყვდიადში გოგო — დასართავად გამზადებულ მატყლის ფთილასავით ქუნქულა და მსუბუქი, სანთლის ალისებრ ავარდნილ თხელ-სუსტ ფეხებზე შემდგარი თუთია!..

ბატა სამზადის კართან მივიდა, ზღურბლზე აღარ გადააბიჯა, ბაბილინე კერიასთან იჯდა და ყველი ამოჭცავდა. იქვე ჯუმბერასა და ბატას დიდედა, ას წელიწადს გადაშორებული მელანო დასკუპულიყო ჯორკოზე და მუსაიფობდა:

...— ხო, ტყე ყოფილა მაშინ. სა-

**ავთანდილ ჟურაშვილი**
ცთომილთა დღესასწაული

ნადიროდ წამოსულა და მოსწონებია დასადგომად, ზოგან ვაკე, ზოგან მაღალი, ზოგან ფერდი, საკალოეც და რა ვიცი. ეხლა, წისქვილი სად ავაბრუნოთო, უფიქრია, წისქვილი! წამოსულა ეგრე, ფარს რომ ვეძახით, ლახამეილაშისაკენ და წყალს არ უჩქეფნია, ჩქამი არ გავარდნილა წყლისა?! დაჰყოლია იმ წყლის ხმას, დაჰყოლია ეს მონადირე და აგერ არ ჩამოსულა? ჰო, აქ საწისქვილოც კარგი იქნებაო, უანგარიშნია და გაუმართავს კიდეც წისქვილი. დამდგარან მერმე აქა. მიმატებიან და მიმატებიან, სხვა ხალხიც, აბა?!..

იმას გიყვებოდი, არა, ბიჭილა არ იყო, არც შოშიტა, გოგიჩა?! ვერ კი ვიგონებ, აბა რა ვიცი, ვინ იქნებოდა...

ჰო, კაცინაანთ თავბედო იყო. ცეცხლი მენთო და ზედ კეცები მქონდა მორქმეული, ცოტა-ცოტა შეშას წავახმარდი. თავბედო შინ შემოვიდა. ვზივარ და შეშას ვუკეთებ, ვუნთებ ცეცხლსა, წამომიფრინდა, დამტაცა აქა, მკერდზედა, თეძოებიც ეგეთი მქონდა, ბატის ღუნღლისა, ამისვ-და-მისვა ლოყა ლოყაზე, მკოცნიდა და მკოცნიდა. რკინის კაკუჭანა მეჭირა, იმ ცეცხლს აკი გულს ვუღებდი. ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი. ვზუნზლე და ვზუნზლე ზურგსა და ბეჭის ფრთაზე. გამექცა... მე გადავასწარ, მივურეჯგვე კარი. ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი, დავბელთე და გავზურგე კარგად. გამიშვიო, მეხვეწა, არა, ჯერ ჩემი ქმარი მოვიდეს და იმან გაგიშვას-მეთქი. მაინც შემეცოდა, გავუშვი მერმე.

ჰო, მერმე გავუშვი, კარგა რომ დავზილე იმ რკინის კაკუჭანათი, გემოზე რომ დავაძვალბილე, რომ ვგვემე ძალიანა. ზურგზედაც, მხრებზედაც, მკლავებზედაც, სუყველგან ვურტყი, შეეშინდა კიდეც, არ შემომაკვდეს-მეთქი, ეს ოჯახქორი, გამექცა მარა, კართან მივუსწარ, მივუკეტე, მოვიმწყვდიე, შინ არ გაგიშობო, ვექადნე, მანამ, კაცი არ მომივა...

არ მოვიდა, არ მობრძანდა. საღამოზე, ძალიან საღამოზედღა შემოვიდა სახლში. რადა სცემეო, გამიბრაზდა, იმ მამაძაღლს რადა სცემეო.

— გამაჯავრა და იმადა ვცემე, — ვუთხარ. არ კი დავუმალე, ეგრე იყო და ეგრე-მეთქი, პირწმინდადა ჩავუკაკლე.

განა კი შეგჭამდაო, ახლა მე რომ გკოცნი, რისთვის არ მითავაზებო! რომ აღარა მყავ, სულ იმასა ვფიქრობ, ახი არ იყო, ქალო?!. რავი, როდის მომიკვდა, დამავიწყდა კაცი, ვერც კი ვიცნობ, რომ მოხდეს და... აბა, რა ვიცი, ეხლა მატყლი უნდა გავრეცხოთ, გავაშროთ და მერმე გავჩეჩოთ, მერმე ფარტენა გავაკეთოთ, დავსთავთ, დავძახავთ, მერმე წვერებსა შევყრით, კვლავაც დავძახავთ და მოვქსოვთ წინდასა... — ცოტა ხანს შეჩერდა, თითქოს რაღაც მოიგონაო...

— ახი არ იყო, ქალო?!... — დაეკითხა მერმე ბაბილინეს.

. — აგერ საჩეჩელი, დიდედო! — საჩეჩელი გაუწოდა ბაბილინემ დიდედოს, შემდეგ უპასუხა, — აბა, არ იყო?!

დიდედოს თითქოს გული დასწყვიტაო ამ სიტყვებმა, ნაღვლიანად გაიმეორა:

— განა ასე არ მითხრა: „ახლა მე რომ გკოცნი, რისთვის არ მითავაზებო?!“

ბაბილინეს საჩეჩელი ჩამოართვა, ჭანიაში კრუსუნ-კრუსუნით გავიდა: „რავი, როდის მოკვდა, დამავიწყდა კაცი!..“

საბიჯელაზე რომ გადადგა ცალი ფეხი, კვლავ შემოუბრუნდა ბაბილოს, ჭრაქი პირისახესთან მიუახლოვა.

— ბაბილო, ახი არ იყო, ქალო?!..

ბაბილოს გაეღიმა:

— განა ასე არ გითხრა, დიდედო! „ახლა მე რომ გკოცნი, რისთვის არ მითავაზებო?!“

მელანომ მეორე ფეხიც გადაიტანა საბიჯელაზე. ცალი ხელით საჩეჩელი მიეხუტებინა მკერდზე, მეორე ხელში ჭრაქი ეჭირა და ორღობეში მიტუსტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებდა. ჭრიჭინობელების გაბმულ საზაფხულო კვნესას ასი წლის მელანოს მილეული, ბებრული პუტუნი ძალიან უხდებაო, რატომღაც ასე მოეჩვენა ბატას და მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაებეჭდა საუკუნეს გადაცილებული ქალის ერთი მოურჩენელი სატკივარი:

„შენი ჭირი ჩემს თვალებს, რავი, როდის მოკვდა, დამავიწყდა კაცი! ახი არ იყო, ქალო?!..“

26. იმ ღამეს ტკბილად ეძინა სოფელს. მამლების მესამე ყივილიდან მოკიდებული, ამოისუნთქა თუ არა ხაბარულამ, სოფელმა ნელ-ნელა იწყო ფეხზე დადგომა: მზემ კარგად მიიარ-მოიარა და, როგორც ერთი კაცი, მთელი სოფელი უკვე ფეხზე იყო — ვინ ვენახში, ვინ სამწყესურში, ვინ ყანაში, ვინ სკოლაში, ვინ კიდევ აკვანში იწვა და სატყუარათი იქცევდა თავს...

მოხდა ერთი გაუგონარი ამბავი, — გიორგობიანების დიდ ოჯახში მთელი საუკუნე ისე შემოიდნო, კაციშვილს არ ახსოვდა, დიდედო მელანოს ასე გაგრძელებული ძილი. დღეს კი რატომღაც იგვიანებს... არადა, ქანდარებიდან ჩამოყრილი წვრილ-წვრილი ფრინველი ჭანიასთან შექუჩებულა და ქათმური მოთმინებით ელის, როდის გადმოეცლებათ თავზე დიდედოს მადლიანი კალთა. ირევა წვრილფრინველი, კაკანებენ დედლები და ვარიკები, ქოთქოთებენ მამლები და ყვინჩილები... გაწყდა ქათმური მოთმინების ძაფი, აკრიახდა და ადუღდა მთელი საქათმეთი: „გათენდა, დიდედო მელანო! მარცვალი გამოიტა და გადმოგვაპნიე თავზე“. არ გამოდის დიდედო, ჯიბრზე არ გამოდის გარეთ: ქვეყანას შემოწყრა, მზეს დაეჭბურა დიდედო მელანო! წუხელი შუაღამისას გამოუტყდა მთვარეს, ყელზე ხელები შემოხვია და სამუდამოდ გადაჰყვა ცისიერს. სოფელს კი ერთი ამოუხსნელი საიდუმლო დაუტოვა.

როცა მიცვალებულის გაპატიოსნება გახდა საჭირო და ლურჯი სატინის თხელი საბანი გადახადეს, მეზობლებმა თვალებს არ დაუჯერეს, ლოგინში ასი წლის გადალძუებული დედაბერი კი არა, ასაყვავებლად სულგანაბული ატმის ტოტივით იწვა დიდედო მელანო. სიკვდილის მოახლოება რომ გაეგო, ყველაფერი გამოეცვალა, — „სუფთა და ქათქათა დავხვდები ჩემს ნეფიონს!“ თითქოს სადედოფლოდ გამზადებული მელანო, სადედოფლოდ გაწყობილ სარეცელზე იწვაო. ეს იყო, მკერდზე, გულის კოვზს ქვემოთ, მეშის ქმრის სიფართე თეთრი ნაჭერი შემოეკრა და ზურგს უკან ჩაემარყუჟებინა.

ასეთ დროს მიცვალებულის განბანა წყალში გაპატიოსნების კოდექსში შემავალი ერთ-ერთი უცილობელი და მთავარი პირობაა. ვერც სხეულის სიქორფემ და სილამაზემ უშველა დიდედა მელანოს, ვერც ქათქათა საცვლისა და ლოგინ-საწოლის სისპეტაკემ. ალუმინის უშველებელი ტაშტი შემოატანეს, თბილი წყლით გაავსეს, ტაშტში ჩამდგარ წყალს ბარე სამგზის გადასწერეს ჯვარი, დიდედოს სამოსი შემოაძარცვეს, ქმრის სიფართე ის თეთრი ზონარიც რომ შემოხსნეს, ნახეს, მიცვალებულს ერთი ფრჩხილის დადება წითელი რგოლი შემოსდევდა მთელ ტანზე. რა წყალი არ ასხეს, რა საპნით არ რეცხეს, როგორ არ წმინდეს და ხეხეს ქვალორუბელათი, ვერა და ვერ ამოაცილეს ის სისხლისფერი წრექვალა...

ასი წელია, ამ რგოლს ატარებდა დიდედო მელანო, სოფელს კი სიკვდილის ერთ დილას უნდოდა ჩამოერეცხა მთელი საუკუნის ნათრევი საიდუმლო...

მერე შვილებს დაუძახეს, შვილები უბრალოდ შეხვდნენ ამ საოცრების ცხადად ხილვას. ანდა რა უნდა ეთქვათ, — მელანოს თხუთმეტი ვაჟი და მთელი მათი დიდი მონაგარი, გულის კოვზს ქვემოთ, ყველა ასეთი წითელი რგოლით იყო შემოსალტული... ჯუმბერასაც ასეთი რგოლი ერტყა, ბატასაც ეს რგოლი შემოვლებოდა ტანზე; ერთი კი იყო, ეს წითელი რგოლი მარჯვენა მხარის

გულის კოვზიდან ეწყებოდა ბატას, იღლიას გაივლიდა, ზურგს შემოწერდა, მარცხენა მხარის იღლიის ქვეშ გამოძვრებოდა და იქვე ჩერდებოდა, — რგოლი მთლიან წრედ აღარ ერტყმოდა ბატას მკერდს. თუმცა, ბანაობისას თვალი შევასწარ, არც ჯუმბერას ეკრა მთლიანი წრე, მარცხენა მხარეზე ოდნავ ჩაწყვეტილი იყო ისიც. ამ ბიჭების რგოლწითელების საიდუმლო ჩვენში დარჩეს, მელანოს ამბავი კი დღესაც არ დავიწყნია სოფელს. ვფიქრობ, არც დაავიწყდება, იგი თაობიდან თაობას გადაეცემა, თუმცა, ვინ იცის, ყველაფერი მოსალოდნელია, სიბერემდე სიქაჩლეს მოელოდეო... ჩვენც დაველოდოთ სიქაჩლეს, არა, კაცო! მოვლენების განვითარებას დაველოდოთ.

ხომ ასეთი უცნაური ნიშანი ჰქონდა, ხომ ასეთი ნაწილიანი ქალი გამოდგა დიდედო მელანო, სამარე მაინც არ ევიწროვა, თქვენ წარმოიდგინეთ, მართლა არ ევიწროვა. მეორე დღესაც ვნახე მისი სამარის ბორცვი, მესამე დღესაც ვინახულე, ერთი წლის შემდეგაც მოვინახულე, სამი წლის შემდეგაც... ძველებურად ისე ლამაზად მომრგვალებულ-ამობურცული გახლდათ ის საფლავი; მხოლოდ ერთი იყო, ახლად შემოკვერცხილი ბალახის მწვანე ხავერდი გადაჰფენოდა ზემოდან...

თურმე ერთ ბევრმეტყველ კაცს სთხოვეს, რამე ისეთი გვითხარიო... იმან მიუგო, რა უნდა გითხრათ, თქმით ბევრჯერ მინანია, უთქმელობით კი არაო. საშველი რომ აღარ დააყენეს, მაშინ არაკს გეტყვითო, დათანხმდა შეღონებული კაცი: ერთი ვინმე ქურდი იყო, პარვა-ძარცვაში ათენებდა და აღამებდა. უშლიდა მშობელი მამა, — კაცმა თავისი ნაწვავ-ნადაგი უნდა ჭამოს და არა სხვისი ოფლით მოყვანილიო. შვილმა ყურად რომ არ იღო მამის დარიგება, გულმოკლულმა მშობელმა დაუჩოქა და სთხოვა შვილს, — შვილო, ღვთის გულისათვის, ერთი მაინც გამიგონე, წადი და ის სამი მთა გადაიარე, რომელმა რა გითხრას, დაიმახსოვრე, უკან რომ მობრუნდები, მიამბეო. გაუგონა შვილმა და როდესაც უკან შემოიქცა, მამას ეს ამბავი მოუტანა: მესამე მთამ მითხრა, წადი და მოგეწევიო! თუ გიყვარდე, მამი, ამიხსენი, რას ნიშნავს ეგეთი სიტყვაო, შეევედრა შვილი მშობელს.

შენი ავკაცობისთვის არც შენ მოგეკითხება, არც შენ შვილსაო, შვილიშვილს კი უეჭველად გარდახდებაო, იყო მამის პასუხი.

„სიმართლე შვილისშვილამდინაო“, სოფელში ყველამ იცოდა ეს იგავი, ახლა დროება შეიცვალა და შვილიშვილისშვილამდინაცაო, — ხუმრობდნენ თუ მართლა ამბობდნენ, ვეღარ გაიგებდა სოფელი კაცის ამბავს...

ადვილი მისახვედრია, რამ გაახსენა სოფელს ეს წვერებიანი იგავი. დიდედო მელანოს ის წითელი რგოლი კარგა ხანს დაგორავდა სოფლის ერთი თავიდან მეორე თავში. ცოტა დროს რომ მოათევინებდნენ, მერე გამეტებით ჰკრავდნენ ფეხს და ისევ უკან გადმოვარდებოდა: მოგორავდა სახლიდან სახლში, ორღობიდან ორღობეში, ყანიდან ყანაში, ბოსლიდან ბოსელში, კალოდან კალოზე, სანამ სულ არ ამოიგვარგვნა და გაილაფა, სანამ სულ არ დაეკარგა ფერი, არ გამოხუნდა, არ გამოიტეტკა, არ განაცრდა, და ნავლწაყრილი ღადარივით არ გაიტრუნა საკუთარ წიაღში. ღადარივით-მეთქი, იმიტომა ვთქვი, ერთი სულის შებერვაა საჭირო, რომ ზარმაცად დაყრილი ღადარიდან ყოვლისმომსვრელი ცეცხლი აიმართოს; იმ წითელ რგოლსაც რა დიდი ძალა სჭიროდა, ენის ერთი უცები ბიძგი და ისევ აგორდებოდა სოფლის გაუმართავ აღმართ-დაღმართებში...

კარიდან კარში, წეროსავით რომ დალახლახობდა, იმ ძველი ენაფხანიობის დროს ისეთი რამე გავიგონე, ახლაც გავიხსენე თუ არა, ტანზე ბალანი ამეშალა. მელანოს მთელ მონაგარს სულ წითელი რგოლებით აქვსო მოხატული მკერდი, რომ ამბობდნენ და ჩემი ყურით მოვისმინე, ეგ არაფერი; არაფერი იმიტომ, სოფელი მართალი იყო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის გუმანიც სიმართლესა კარნახობდა პირში ვერდატეულ ენას; არც იგი მიმაჩნია რამედ, ზოგ-ზოგები რომ გაიძახოდნენ: „მელანოს მონაგარს კი არა, სოფელში ყოველ მეორე ოჯახს ამდაგვარი წრექვალათი აქვსო მკერდი დამშვენებული“. არც იგი, ამ ცხვარივით უწყინარ ქალზე ხმა რომ დაჰყარეს, ავსული იყო და ავსულობის დაღის დამალვა ქვეყნად არავის უხერხდება, სიკვდილში იქნება თუ სიცოცხლეში ა, ბატონო, თუ არ გაიგებაო, ერთიც თქვეს კიდევ და ის ერთი სოფელში ორ კაცს თუ ახსოვდა მხოლოდ. იმ ორიდან ერთ-ერთი ახლა მე ვარ. ვიცი, მაინც წამომცდება, სადღაც იქნება გავამხელ და ბარემ ისა სჯობია, აქვე გიამბოთ, თქვენც დამიმადლით და მეც მოვისვენებ, იმის შიში მაინც არ მექნება, სადმე უადგილო ადგილას არ წამომცდეს-მეთქი...

მთელ დუნიაზე განა მართლა ერთადერთი იყო სევერიანე თეთროვანი და ყოვლის წამლეკავმა ძალამ, იმის მოსპობით, განა სხვა სევერიანეებიც მოსპო და გადაიყოლა?! არა, ჩემო კეთილო! სევერიანე სოკოსავით ამოდის ყველა დიდი და პატარა სოფლის შუაგულში. აქედან გამომდინარე, რადგან სოფელი იყო, რადგან სოფელი არის, სევერიანეც იყო და სევერიანეც არის, სხვანაირად არც შეიძლება. ესეც განვითარების დიალექტიკით არის შეპირობებული და ზოგადი კანონიც ასე გამოიყვანება: ყველა სოფელს თავისი საკუთარი სევერიანე თეთროვანი ჰყავს და გამონაკილისი ვერც ჩვენი სოფელი დარჩებოდა... მათემატიკოსები ამბობენ, — ნულიდან ერთამდე იმდენი წერტილია, რამდენი წერტილიც ერთიდან უსასრულობამდე არისო... ეს დიდ-პატარა აურაცხელი სევერიანეებიც, დაახლოებით, ასეთი განზომილების თეთროვანები იყვნენ სოფლისა და ქვეყნის თვალში. ამიტომაც ყველა ხმალი და ხანჯალი, რაც კი მათთვის დაუკრავთ, ყველა თოფი და დამბაჩა, რაც მათთვის დაუხლიათ, ყველა ყულფი და მარყუჟი, რაც მათ კისერზე გამოუნასკვავთ, ყველა ეშაფოტი და აუტოდაფე, რაც მათთვის გაუმართავთ, ახი, ახი და ასგზის ახია!

თავის დროზე ერთი ასეთი სევერიანე თეთროვანი გადმოაყუდეს თურმე ოქროს მაღალი ტახტიდან. როცა სევერიანეს თოფი დაუმიზნეს მეამბოხეებმა, მკერდზე სამი წლის შვილი ჰყოლია ატატებული. სევერიანე სევერიანეა, მაგრამ ისიც ღვთის გაჩენილია, ჯიგარი იმასაც აქვს და ხორცის ტკივილი ჩვეულებრივი კაცივით იმასაც აწუხებს. „გევედრები, შვილო! — მიუბრუნდა იმ ახალგაზრდა კაცს, თოფს რომ უმიზნებდა, ეს ბალღი მაინც შეიბრალე, აქედან გამაშორე და შენს ხელში არა ვარ, განა!“ იმ ახალგაზრდა კაცმა, ყანთარი რომ ერქვა სახელად, ჩახმახი დაუშვა და მამა-შვილი შეუბრალებლად დაცხრილა. იმ უმანკო ბავშვის სისხლის წვეთია, ყანთარს მკერდზე რომ შემოესკვნა და შემოერკალა, ყანთარის ერთადერთი შვილიშვილი მელანოც ასე გახდა ნაწილიანი, ასე გადადისო თავისუფლებისათვის მებრძოლი ყანთარის შეუბრალებლობით დაღდასმული სისხლი თაობიდან თაობაზე...

ერთმა ისიც კი მითხრა, მასე კი არა, ეს ამბავი პირიქით მოხდაო. იმ მეამბოხე ყანთარს სევერიანე თეთროვანის თოფის კაცები გამოსდევნებიან უკან. ყანთარი უიარაღოდ ყოფილა და სახლში შევარდნილა, მთავრობის კაცები წამოსწევიან, თოფები დაუხლიათ და მომაკვდავი კაცი ზედ მელანოს აკვანზე გადაქცეულა. ყანთარის სისხლში ამოლუმპული ბავშვი რომ გაუბანიათ, ეს წითელი წრე-კვალა ვერა ღონით ვერ ამოუშორებიათ. ამბობენ, შურისძიებისა არის ის მოუბანელი სისხლი, ყანთარის შთამომავლობას რომ გადაეცემაო“. „შურისძიების არისო“, რომ ამბობენ, შურისძიების სისხლი ისევ სისხლით თუ მოიბანება, ხოლო ცოდვის სისხლი დიდი შრომითა და ლოცვა-მარხულობი

თაო?“ — მითხრა ბოლოს ჩემმა იდუმალმა მოსაუბრემ, ქუდი დაიხურა, თავი დამიკრა, მშვიდობა დამიტოვა და შარაგზას დაადგა.

მე დიდხანს გავსცქეროდი გზაზე ხანხალით მიმავალ იმ კაცს და საბოლოოდ თვალს რომ მიეფარა, უნებურად წამომცდა:

როცა მიწაზე ღმერთი არა ჩანს, სიტყვა ბაგეთა შენთა ეფინება და აკვნესებს მიწას;

როცა მიწაზე ღმერთი არა ჩანს, სიტყვა ბაგეთა შენთა ეფინება და საგალობელს ამღერებს მიწას;

როცა მიწაზე ღმერთი არა ჩანს, სიტყვა ბაგეთა შენთა ეფინება და თვალშეუდგამი სილამაზით ააყვავებს ზესკნელს...

...სიტყვა ბაგეთა შენთა თუთიას ამოაღებინებს იმ გიჟმაჟი ღელიდან შინდი ყვავილით დამშვენებულ ინჯის პატარა თაიგულს და მეტი დროც აღარ აქვს გოგოს, სათიბებისაკენ უნდა მოკურცხლოს, ცოდვაა ბატა, ლოდინით გულს ვერ მოუკლავს. მირბის თუთია, მისდევს ნიავს აყოლილი ზანდურის ყანა, მირბის თუთია, მისდევს ნიავს აყოლილი ყანა პურისა და ღომის; შრიალებს სიმინდები, კისრებს აკანტურებს შეწითლებული მაყვლები, კონწიალობს ნეკერჩხლებიდან გადმოცვენილი ციცაბარდები და სერზე, ზურგას რომ ეძახიან აქაურები, ვნებიანად ხვიხვინებს ყალყზე შემდგარი, ყელი-ყელგადაჭდობილი ორი ლამაზი ცხენი... მირბის თუთია, წაბლის ყვავილა თმა ფაფარივით გაშლია და ამ თმის შრიალს მიჰყვება და მისდევს ყველაფერი: ტყე, ყანა, კორდი, ჭალა; აჰა, ზვინებიც გამოჩნდა, აჰა სათიბებიც და...

27. ვენახები გადმოიარა ბატამ და ასწლოვანი კაკლის ხეების ყელს ზემოთ მინდორი გადაჭრა, — ნობის საძოვრებისაკენ წავიდა. საქონელს თავი დაუარა და ხარ-ძროხა ქვემოთ, სოფლის ახლოს ჩამორეკა. აქედან პირუტყვი უკვე არ დაიზარებდა შინ წასვლას, გარეთაც მინდორში აღარ დარჩებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცოტა სული მოვითქვა!“ — ბატა აქლემის კუზივით აზნექილ სერზე წამოგორდა. აქედან ხელისგულივით მოჩანდა მთელი სოფელი, კარგად თუ დააკვირდებოდი, ჭიანჭველა რომ ჭიანჭველაა, იმასაც დაინახავდი, თორემ ორღობეში თუ კი ვინმე ფეხს გამოდგამდა, იგი ნამდვილად ვერ დაემალებოდა ამ სიმაღლიდან დადარაჯებულ თვალს...

ვიდრე თუთია არ გამოჩენილა, ბატას დრო აქვს, იფიქროს დღევანდელ სიხარულზე, „თუმცა რა სიხარული, — გულში ამბობდა ბიჭი, — მე ქალაქში, თუთია — სოფელში, ჯუმბერა მაინც მოდიოდეს, არ მინდა მათი აკადემია, ბატონო!“ თითქოს ვიღაცას გაუცხარდაო, „ბატონო“ ხმამაღლა წამოსცდა ბატას და გაეღიმა კიდეც, ასე მოულოდნელად წამოსროლილ თავისივე ნათქვამ სიტყვაზე.

ადრე უნდა მეთქვა და გულზე გადამავარდა, ბატა უგამოცდელოდ ჩაირიცხა სამხატვრო აკადემიაში. მის ფერწერულ ნამუშევრებს სკოლის დირექციის შუამდგომლობა რომ ერთვოდა თან, გულისყურიანად მოეკიდა აკადემიის რექტორატი. დასრულებული მხატვრის ნამუშევარიაო, თქვეს იმ სურათის გამო, „მონობა“ რომ წაეწერა ქვემოდან ავტორს — ბატა გიორგობიანს. რადგან სურათის ხილვის საშუალებას მოკლებულები ვართ, უნდა მენდოთ, ძვირფასო მკითხველო! შევეცდები, ისე აგიწეროთ, სულ მცირედი წარმოდგენა რომ მაინც შეგექმნათ, თუნდაც მის შინაარსობრივ მხარეზე:

ყინულის ვეება ლოდები გაეწყოთ ზურგზე მწკრივში და მწკრივში ფეხჩადგმულ ადამიანებს, მოდიოდნენ და წელში გადრეკილ-გატეხილებს, ისეთი უსიცოცხლო შესახედაობა ჰქონდათ, ისეთი მშვიდი, აუღელვებელი, უკუნთო და უძალო პირისახე უჩანდათ, რომ ამ თავისი უნიათო გამომეტყველებით გეუბნებოდნენ და გაჯერებდნენ — „ჩვენ ამ ყინულის მთებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად დავიბადენით, ჩვენთვის ეს მთები ბუმბულის თეთრი ბალიშებია და არა სხვა სატანჯველი რამე!“ მოდიოდნენ მშვიდად, მშვიდად მოდიოდნენ წელში გადრეკილი ადამიანები, ისეთი საშინელი და მომტანჯავი დაჟინებით მოიწევდნენ წინ, იფიქრებდით, ლამისაა კედლიდან გამოვლენ და სინამდვილეში გააგრძელებენო გზას. ზევითაა ვთქვით, „მონობა“ ერქვა ამ ტილოს, და მთელი ეს მონური ძალა სიჯიუტედ ქცეულიყო, ისეთ შეუპოვარ და უენო სიჯიუტედ, დამანგრეველი სტრიქონის აშკარა საიდუმლოებას რომ იმარხავდა ერთი შეხედვით მოჩვენებით უდარდელობაში. მოჰქონდათ, მშვიდად ეზიდებოდნენ ყინულის გორებს ადამიანები და ამ სიმშვიდეში უნდა დაენახათ გონიერ ხელისუფალთ ის ყოვლისწამლეკავი ძალა, მონური ერთგულებით მოტანილ ამ ყინულის გალღობას რომ უნდა მოჰყოლოდა ოდესმე...

ბატამ სიყვარულით მიატარ-მოატარა თვალი სოფლის ველ-მინდვრებზე — აგერ ხუნდერა — ვაშნარის კლდისთავიდან რომ იწყება, სულ სახნავი და სათესი მინდვრებია; აქეთ, გადმოღმა ტიხორიაჩი — სასაძოვრე და სასათიბე, ვაშლის ბაღებით გადაქარგული; იმის იქით აგამია; ცოტა იქით ლაცფერია, — სულ მიმდგარი წიფლის ტყეა; იმათ ყელზე კიბორჩია, მერე ლეტიბაჩის წაბლიანი, ქვემოთ შკედიში, ციხისძირი, ფარის ვენახები, ლაღუაში, საჩიტია, ლახვეტიაჩი; იქით, გადაღმა — საჯიმიხეს მივარდნილი წაბლნართხმელნარი; აქეთ ყორანას მთა და მთის უკანა მხარეს ლემუსადეგის ბაღები; მთის ძირს ჩამოსდევს და მის ფეხებთან გართხმულა ლავალიაშის სათიბები; წიფლნარის გორას გადაივლი და ლაშარეშის სათიბებია; მერე გორიყანა, ნობი, ძუნელა, უსულიაში, სუნელა, ზურგა, ლახამეილაში, მუჯურა, ნავანიოში და ნაკარეში, ცივწყალა და კოდისწყალი, ხარკალია და წყალკურდღელა, წყალმაჭარა და ღარისწყალა, ლაშილელე და... აგერ თუთია არ [illegible] და წყალს არ ჩასჩერებია?!. ბიჭი უცებ წამოხტა ფეხზე და ღელისაკენ გაიქცა...

ურწმუნო ბევრია ამ ქვეყანაზე და ზოგი ურწმუნო თომა იტყვის, და სამართლიანადაც იტყვის — კი მაგრამ, ან ეკალს არ წამოედო ის თაიგული, ან ქვა-ლოდი არ დახვდა წინ და არ გააჩერა? ბოლოს და ბოლოს, მართლა ფოსტალიონი ხომ არ არის, ერთი ჩვეულებრივი და უბრალო ღელეაო...

არა, არ შეცდეთ, მეგობრებო! არ იფიქროთ, მართლა უბრალო ღელეაო, იგი ხომ სინათლის მდინარეა!

...როგორ და, ცისაკენ რტოფოთოლგანფენილი ხეები თუ გინახავთ, ჰოდა, ისრუტავენ თუ არა მზისა და მთვარის სინათლეს? ისრუტავენ თუ არამეთქი! „ვთქვათ, ისრუტავენ!“ ვთქვათ კი არა, ნამდვილად ისრუტავენ და ამ ნათლის შუქს ფესვებისაკენ აგზავნიან. ფესვები კიდევ წვეთწვეთობით სწურავს და აგროვებს მიწის გულში. ხოლო დედამიწა კი, რისი დედაა და მიწა მშობელი თუ თავისათვის ჩაიგუბებს და შეინახავს — გვიგზავნის და გვიგზავნის მზისა და მთვარის ამ ნაჟურს, მადლობა მუხის ფესვებს, მადლობა შინდის ფესვებს, მადლობა და მადლობა ფესვებს... ფესვებს... ფესვებს...

„და ღელეს თუ მაინც შეეშალა ხელი, ლიჭი ან ეკალი ჩაუსაფრდა რომელიმე მოსახვევთან და გზა უყელა იმ წერილს?!“ მაშინ მე რაღას ვაკეთებ ამ ქვეყანაზე! მთავარია, ჯუმბერა არ ჩამენაცვლოს სადმე, თუმცა ასეთ საქმეს ჯუმბერას უწყინარი ეშმაკობაც ძალიან უხდება და ალამაზებს. ყოველ შემთხვევისათვის, ჯუმბერა წინასწარ მყავს გაფრთხილებული, მართალია, მეასედ მაინც მიხდება ასეთი გაფრთხილების მიკერება, მაგრამ ისიც გემახსოვრებათ, საჩინომ სამასსამოცდაცხრაჯერ რომ გააფრთხილა აშაკო, — ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლებში ნუ დაძვრები და ჩემს ცაზე ნუ ფუნჩხალობო. მე რომ მკითხო, ჩხუბსა და აყალმაყალს მაინც შეფრთხილება სჯობია, თორემ მაშინ რომ მუშტი-კრივი გაემართათ იმ ყაძახებს და ერთმანეთისათვის ცხვირ-პირი დაემტვრიათ, ახლა კუდით კუდზე გადაფსკვნილები რომ დაიჯგიმებიან აქეთ-იქით და თხილის გულს ინაწილებენ, ასე იქნებოდა?! ჭკუაა, ჩემო შვილო და ძმაო, საჭირო, ჭკუა! და განა რა შეატყვეთო ბატას უჭკუობისა, მეტყვით... არაფერი, არაფერი! პირიქით, -- „წერილი“ ჩააბარა „ფოსტალიონს“ და თავად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სათიბებისაკენ მოკურცხლა. მიწაზე დადკმულ თივის ზვინს ქოშინ-ქოშინით ამოეფარა და გაიტრუნა თუთიას მოლოდინში...

28. ლევანამ პირუტყვს საჩიხეს კარი გაუღო. საქონელი საჩიხეში შელაგდა. თეთრფერდელა უშადი ლევანასთან მივიდა, ხელების ლოკვა დაუწყო, ბატას ჰყოლოდა მიჩვეული მარილზე. ლევანამ მარილის კვნიხი მოიფათურა ჯიბეში, ხარებისთვის იცოდა ხოლმე მიგებება, ამიტომ ყოველთვის ქვამარილის კვნიხები შაქარყინულივით ეყარა გალიფე შარვლის განიერ და ღრმად ჩაჭრილ ჯიბეებში. ამჯერადაც ამოჰყვა ხელს ერთი ნამლევა ნატეხი და თეთრფარდელას გაუწოდა კვანჩხით. უშადმა თბილი, ხაოიანი ენა გარეთ გამოჰყო და წამში გალოკა ქვამარილი. „ახლა წყალი მოგესურვა, არა, გოგოცუნა?!“ — მოუფერა ლევანამ და სამზადისაკენ წავიდა. ფიფინა გამოუტანა უშობელს, თავად შორიახლო გაუჩერდა, დანარჩენებს უგერიებდა. მერე, უშადმა კარგად რომ ამოსლიქა ფსკერი, ლევანამ გუნებაში გაიფიქრა — „ამათ რაღა დააშავეს, ამათაც თუ არ მივუგებე, სულის მეტი წაწყმედა რაღა იქნებაო“. ხელახლა შებრუნდა სამზადში, ერთ მოზრდილა ხის კასრში ქატო ჩაყარა, ცოტა მარილი შეამატა, ზემოდან წყალი დაასხა, ჯოხით კარგად აურ-დაურია და ფიფინა უკვე მზად იყო. გაუჭირდა კასრის გადატანა ლევანას. „ნამდვილად წელში გავწყდები!“ შუა ეზოში შეისვენა, კვლავ წაეტანა, ძლივს გამართა მუხლი და რის ვაივაგლახით მიათრია საჩიხემდე ჭურჭელი. იქ როფზე წამოაქცია, პირუტყვიც აქეთ-იქიდან შემოესია სალაფავს და მადიანი სლაქასლუქი აუტეხეს როფის ფსკერსა და კედლებს. საჩიხეს ღობეზე მიყრდნობილი ლევანა სიყვარულით შესცქეროდა — ნალისი უკვე დაეყარა პირუტყვს. ჩამავალი მზის შუქზე სანდომიანი ბზინვა-ლაპლაპი გაჰქონდა მათ ზურგებს და ღონიერ თავქედს. მერე თოკი მოიძია, თეთრფერდელა უშადს რქებში ჩააბა, საჩეხიდან გადმოიყვანა და ეზობოლოს, მოფარებულ ადგილას გამოაბა ღობის სარზე...

„ნეტა რა იქნა ის ბიჭი“, — ჰკითხა ბაბილომ უკან მიბრუნებულ ლევანას.

„რავი, კაცო! თეთრფერდელა უშადი არ მოჰყოლია საქონელს, ალბათ ავარდნილია ის სამგლე და მოზვრისათვის გადავარდა. ატეხილ პირუტყვს ასე იოლად სად მოძებნი“.

ბაბილინემ პირფართო ქოთანში შემთბარი წყალი ჩაასხა, საჩიხეში გავიდა, ძროხას ცური ჩამობანა, მერე სუფთა ჭინჭით გამოუმშრალა, ძუძუები რძის ცხიმით დაუზილა და სულ მალე ისეთი სასიამო შხაპუნ-ჩხრიალი ამოვარდა საჩიხედან, სამზადის წინ ჯორკოზე ჩამომჯდარი ლევანა ლამის ძილმა წაიყოლა. ცოტაც და, პირზე ღიმილი გაეშალა, ამ ხნის კაცისთვის უჩვეულოდ ცქვიტად წამოხტა და კიბეზე მარდად აირბინა, აივანზე სკამი გამოიტანა, ჭოგრიტს მიუჯდა და ველმინდვრებისაკენ მიუმარჯვდა: აგერ ზანდურის ყანა, იქით პურის ყანა იტალღება; ბაღებიც მწვანე-მწვანედ ჩატბორილან; ცოტა იქეთ, ორ ღელეს შუა შემდგარ გორაზე ცხენები აილანდა, ცხენებს გასცდა და... თუთია გარბის, გარბის, გარბის... აგერ, ა! მისი თმის ქარი სადაცაა ჭოგრიტს ამოაბრუნებს; აცმუკდა ამ ხნის კაცი, მირბის გოგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისდევს ლევანა ჭოგრიტით; მირბის და მისდევს. სათიბები გამოჩნდა, ლაღად გასრიალდა ნორჩ ბალახზე ფეხშიშველი თუთია. აგერ ზვინებიც, ერთი, მეორე, მესამე, მეექვსესაც ჩასცდა, უცებ თვალები დახუჭა ლევანამ, კარგა ხანს ეგრე იყო, მერე ჭოგრიტისათვის ხელი არ უხლია, ისე სათიბებისაკენ დამიზნებული მიატოვა და კვლავ სამზადისაკენ ჩაბრუნდა კაცი...

სამზადის კედელზე ჩამოკიდებული აკვნიდან იმთვარებოდა ბატა. წუთიც და, ხელები ამოიშვა, არტახები შემოიწყვიტა, სიხარულით ცას ეწია და საყვარლად აჭყლოპინდა; მერე ტანი აიქნია, აკვნიდან გადმოვიდა, კედელს ჩამოჰყვა, ძირს ჩამობაჯბაჯდა, ლევანას მუხლებზე შესკუპდა. ეს ვაშლი უნდა ამოგართვაო, ბაბუ! ბუნჩულა ხელები ყანყრატოზე წაატანა კაცს; მუხლებზეც მოიწყინა ბიჭმა; ახლა სოხანეზე პატარა საგორიალო ურემს მიჰყვება და მოჰყვება; ურემიც გვერდზე მიაგდო; ბლის ხეზე აცოცდა, წვეროზე მოევლო და „ყუნწულებს ჩამოგიტან, ბაბუ!“ — ეძახის და ჰპირდება. ეზოც ევიწროვა, საქონელს გამოუდგა ტევრებში... წიგნი და რვეული აიღო ხელში... უგრძელებს და უგრძელებს ლევანა ბაწარს, მეტი და მეტიო, ითხოვს შვილიშვილი; უგრძელებს და უგრძელებს ლევანა ბაწარს, მეტი და მეტი სივრცეო, არ სჯერდება ბატა. გათავდა! თოკის ბოლო წვერიც გაცურდა ლევანას ხელიდან და თივის ზვინს ამოფარებული ბატა ერთი ნახტომით მისწვდება, კაბის ბოლოზე ჩასტაცებს ხელს ქარივით მიმქროლავ თუთიას...

ერთბაშად დაქაჩულმა კაბამ მხრებზე დაჰკრა, გოგო ადგილზევე მოწყვეტით დადგა. ბიჭმა თავი ვეღარ შეიმაგრა, ის იყო ცხვირ-პირი მიწაში უნდა წაერგო, მოასწრო, ჰაერში მარჯვედ გადატრიალდა, ზურგით ბალახში დაეცა, ოდნავ წაცურდა კიდეც დაცემისას და ზედ გოგოს ფეხებთან შეჩერდა, ფეხებთან კი არა, კოჭსა და კოჭს შუა შერგო თავი...

— თუ-თი!..

ჩითის კაბის ქვეშ ადუნდგულებულ თეთრ-თეთრ ღრუბლებში შეისროლა ბიჭმა ხელები. შოშიამაც, როგორც, საერთოდ, შოშიებმა იციან, ერთი დაიჭახჭახა და ის სადარო ღრუბლები ზედ ბატას თავზე ჩამოიქცა.

ღრუბლები წვიმით არის სავსეო, ღრუბლები სველი და გრილიაო, ასე ასწავლიდნენ ბატას, თუმცა სწავლაც რაღ უნდოდა, განა ცოტა წყალი ჩამოუქცევიათ ღრუბლებს ბატას თვალსა და ხელს შუა?! მაგრამ ამ ღრუბლებს რა ცეცხლი წაეკიდა?! ეს ღრუბლები თონესავით ვარვარა თეთრი ღრუბლები იყო, ცეცხლითა და სიმხურვალით სავსე ღრუბლები...

კაბაც რომ ცხვირ-პირზე გადაეფარა, ლამის სუნთქვა შეკვროდა ბიჭს. მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, ძლივს ამოართვა ხელები ღრუბლებს და იმდენი იმარჯვა, პირისახიდან კაბის კალთა გადაიშორა, ღრუბლებიდან ოდნავ წამოსწია თავი, რომ თუთიას წაბლისყვავილა თმა ზემოდან ჩამოეშალა და, წაართვა თვალები. ისევ ჩავარდა და ჩაიძირა ღრუბლებში ბიჭი...

— თუთი! თუთი!.. — როგორც ელვა გაიკლაკნება და ჩატყდება ღრუბლოვანებში, ისე ემსხვრეოდა და ეკვეთებოდა ბატა ტანღრუბელა თუთიას... ბოლოს, ღონეწართმეული და არაქათგამოცლილი გოგო-ბიჭი აქეთ-იქით დაცვივდა.

ცას საბურველი გადაეძრო და სავსე გულისპირი უანგარიშოდ გადმოეყარა. წაწვეტილი და ცისკენ ასავარდნად გამზადებული თივის ზვინები ვერა და ვერ ააწყდნენ მიწას. არადა, ასეც სანამდე შეიძლებოდა გეთმინა კაცს...

დალანდა თუ არა ჭანიაში შემოსული ბატა, სამზადში ფეხის შედგმა აღარ დააცალა, იქედანვე გამოსძახა ლევანამ:

— ნახე, ბიჭო, ის ფერდელა უშადი?!

ბატა უცებ შეცბა, რა ეთქვა, აღარ იცოდა. როცა ლევანამ ხელახლა გაუმეორა, რამ გამოგაყრუა, კაცო, ნახე თუ არა ის სამგლე უშადიო, მიხვდა ლევანას ეშმაკობას, თავი მოიმკვდარუნა და ისე გატანჯულად უთხრა: ხომ ხედავ, ხმის ამოღება აღარ შემიძლია, ფეხზე ძლივს ვდგავარ შიმშილისგან, ჯერ მაჭამეთ რამე და მერე მელაპარაკეთო. ლევანას კინაღამ ეჭვი შეეპარა, მაგრამ თავის ხელით რომ დააბა ის თეთრფარდელა, ძალიან კარგად ახსოვდა. „შეხედე ერთი ამ ოხრახინას, მართლა არ შეიშნო და აქით არ დავადო ვალი?!"

„შენი ჭირი შენს ბებიას, აგერ, შვილო, საჭმელი!" — სავახშმოდ გაწყობილი სუფრა ხელდაუცენცებლად ელაგა, ბატას გარეშე ლუკმა არ გადასდიოდა ბაბილოს ყელში. ბებია მოუკვდეს, ბიჭი მშიერ-მწყურვალი დალაყუნობს მინდორ-მინდორ, უიმისოდ ლუკმა როგორ გადამცდებაო...

ლევანამ კი იცოდა, რა პასუხი უნდა გაეცა ცოლისათვის, მაგრამ ხომ არ გადარევდა ქალს, თანაც იმ კაცურ საიდუმლოს როგორ გათქვამდა კერიის დედაბერთან: „რაღამც ბაბილინე უძლებს და უცდის ბატას მობრძანებას, როგორმე მეც გავუძლებ ამ მუცლის გვრემას!" — და აკი ელოდა კიდეც... ბატა ტაბლასთან ჩამოჯდა, საჭმელს ხარბად დაავლო ხელი და გოროიან ლუკმებს იყრიდა პირში, მადიანად შეექცეოდა. აქედან ბაბილო მისცეცებოდა, იქიდან ლევანა. „მოგიკვდეს, შვილო, ბებიაშენი, არ წავწყდებოდი, ლევანა?!" — წუხდა ბაბილო.

ბატამ სული რომ მოიბრუნა, ახლა გაახსენდა მოხუცებულები.

— თქვენ რა, ჩემი პურობა გეყოფათ თუ?! აბა, მომიჯექით აქეთ-იქიდან, მარდად, ბავშვებო! — გაეხუმრა ბატა მოხუცებს...

— მომკლა, ბებია, იმ შენმა უშობელმა, სად არ ვეძიე, დავლიტე ყველაფერი, ტყე არ დამიტოვებია და მინდორი, ფეხი-ფეხზე დავიარე. მთელის მიხეილას საჩიხეში მივაგენი, ერთი პატარა მოზვერი ჰყავს და იმას შეჭყოლია. ძლივს გადმოვირეკე, არაფრით არ მომყვებოდა, ახლაც ეგერ მივატოვე, — ბატა ცოტა ხანს შეჩერდა, ლევანას ქვეშ-ქვეშ გახედა.

— არა უშავს, ბაბუს ჭირიმე, მოითავე ხელი და ორივე ხომ მოვერევით იმ დალოცვილს... მაგრამ ერთი ეს მითხარი, ხვალინდელ პირობაზე როგორა ხარ, ბიჭო!

— როგორც შევთანხმდით, ამხანაგო ლევან, ვემსახურები საბჭოთა კავშირს, მოგყვები წისქვილის მშენებლობაზე, ისე, ხომ არ წაგვეძლევანა ერთიორი მეზობელი, რას იტყვი, ა! ბებო, ახლა ბაბილოს გადახედა ბატამ.

— შენი სამასხრო კბილები კარგა ხანია მოვიცვალე მე! ე მაგას ეღლიცინე, მასე გაგზარდა და მეტის ღირსი არც არის, მაგ უბედური.

— კარგი ახლა, ქალბატონო ბაბილო, ნუ წაგვამწარებ ამ შაქარივით პურმარილს, — ხუმრობის ხმა-კილოდან მაინც არ ჩამოხტა ბატა, — რას უფრთხილდებით ამ ლევარსამას, რა იქნება, ღმერთი ხომ არ უწყენს, ხელი რომ წაგვაშველოს, ა, ბებო!..

— ილიასა და ლევარსამას გაკეთებული საქმე ვინ ნახა, გაგვაცდენენ, კაცო! მაგენის საქმე სიმღერაა და იმ წისქვილს რომ გავმართავთ, მაშინ კი მართლა დავუძახებ, დავაგუგუნოთ გემოზე...

29. კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ერთი პატარა მთის ძირას ლევანამ საწისქვილე ადგილი ამოირჩია. ორსამ წელიწადში წისქვილის ფიცრული კედლები კოროლის სახურავქვეშ მოაქცია, ბორბალიც დააყენა ფეხზე, ლამაქანიაც მოამარჯვა — ასწევდი, დაღერღავდა სიმინდს, დასწევდი — წმინდად ჩამოგიფქვავდა. ბორბლის საყუდარა ვირიხიდაც რკინის კიბორჩხალით საიმედოდ ჩაამაგრა; სახრილე-სამთეურაც კოხტად შემოაყოლა დოლაბს;

ხვიმირა იმ ზომისა ჩამოჰკიდა, სამიოთხი ფოხალი თავისუფლად ჩაეტეოდა; ხვიმირაზე ისე ლამაზად გამოთლილი ლაკორელა და რიკრიკა გამობა, თვალი ზედ დაგრჩებოდა. ძნელი წარმოსადგენი არაა, როგორ სასიამოდ არიკრიკდებოდა სარეკელა, როგორი წკაპა-წკუპით წამოვიდოდა მარცვალი ლაკორელას ყბიდან და ქვის გუგულადან ზეამოწვდილ ხოპეში გადაეშვებოდა ჩხრიალ-ჩხრიალით, ქვემოთ ხომ პირდაფჩენილი ჩიბე-ალათა ელოდა; იქვე, ჩიბის ერთ კუთხეში, ჩოტილა ჰყუდია და ფრინველის ნაკრტენით შეკრული საფოთარა გადახრილა ცალ გვერდზე... წყალსადინარი ღაროშაპიც გაეჭრა და მოემზადებია ლევანას, ალაგ-ალაგ რიყისა და კასალი ქვის ნარევი კედელი ამოეყვანა სარუეს, ალიზით მტკიცედ შეკრა და გამოლესა ორივე მხრიდან. სათავეში ფაცერი ჩადგა, წყლის გადასაშვები ღარის საგდულაც მზად იყო...

მოკლედ, ლევანას სანატრელი წისქვილი კარგა ხანია რაც ფეხზე იდგა, ერთი ღარი აკლდა და აკვინტრიშდებოდა კიდეც, მაგრამ ღარის დაგება ვეღარ მოახერხა, ხან რა საქმე წამოეწია და გადაასწრო წისქვილისას წინ, ხან რა. ჩვეულებრივ ღარზე არ უნდოდა გაემართა, რადგან ახალ გამოზაფხულზე კი იბზრიალებდა ხის ფრთიანი ქვედა ბორბალი და ზევითა ქვაც გაფრინდებოდა, მაგრამ გვალვასა და ზამთრის ამინდებში წყალი რას ეყოფოდა. ეს ამბავი რომ კარგად იცოდა ლევანამ, ამიტომ იყო, სულ მუდამ ჩასჩიჩინებდა ბაბილოს: „თუ გინდა წელიწადის ყოველ დროს და ყოველგვარ ამინდში იღიღინოსო წისქვილმა, ჩვეულებრივის მაგივრად, გვიმის ღარი უნდა დავუგოო“.

გვიმის ღარი გამოღრუტნულ-გამოხახანიკებული ქვის მრგვალი ნაჭრებისაგან კეთდება. თითო ასეთი ქვის სიმაღლე ერთი წყრთა თუ იქნება. გვიმს ექვსი-შვიდი ლამაზად გამოყვანილ-გამოკოპიტებული ქვა მაინც სჭირდება. საგანგებოდ მოზიდულ საგვიმე მასალას, ბაღდადის ქვას რომ ეძახდნენ, ამაურები, ჯერ საკალატოზო რკინას დაჰკრავდნენ, შემდეგ ტარალს გადაატარებდნენ, შიმშა-თარაზოში გამოსწონიდნენ, თუ სწორი კუთხე სჭირდებოდა, გონიოს მოიშველიებდნენ; თუ ბლაგვი გამოჰყავდათ — გოიბურს; გვიმის დასამზადებლად კი ყველაზე მეტად გოიბური სახელობდა. გვიმის საძირე ქვა, საფშტვირე რომ ჰქონდა ამოტეხილი და ტირიფისაგან გამოთლილ ფშტვირს აგებდნენ ზედ, ოცი სანტიმეტრის სიგანისა თუ იქნებოდა. სიმაღლის მატებასთან ერთად, გვიმი თანდათან სიგანესაც იმატებდა და მისი სიფართე ერთ მეტრს უსწორდებოდა თავში. ქვას ქვაზე ისე ოსტატურად მიადგამდნენ, ერთი კვირა-ჟამის გამოხდომა და წვეთი წყალი რაა, გვიმიდან იგიც ვერ გაჟონავდა. თავფართო და ბოლოწვრილი, — ძაბრისებურად აგებული გვიმ-ღარი წელიწადის ყოველ დროს, ციბრუტივით დააბრუნებდა და დაატრიალებდა, აფქვევინებდა და აფქვევინებდა წისქვილს...

მამლის მესამე ყივილზე ლევანა ფეხზე იდგა. ურემი გამოაგორა ჭიშკართან, უღელი გაწმინდა, ტაბიკ-აპეური მოარგო; ჯამბარა გასინჯა, ურმის ღერძს საპონი წაუმატა; საჩიხეში გადავალო, გადავიდა და ხარებს დახედა, იწვნენ და ნებივრად იცოხნებოდნენ ხარები; მერე მარანში შევიდა, წერაქვი და ძალაყინი გამოიტანა; ბარ-ნიჩაბი და თოხი მოიძია; სამზადის კედლიდან წალდი ჩამოიღო; ურემზე ჩელტის პატარა ძარი დააკრა და ყველაფერი ზედ დაალაგა. ცოტა ხანს ურმის ფალანგაზე ჩამოისვენა და, ვიდრე ბატა გაიღვიძებდა, ერთი პირობა კი გაიფიქრა, მოდი ილიას და ლევარსამას დავუძახებ, უარს არ მეტყვიან, ხელს წამიკრავენო. მაგრამ მათი ენისა და ყელის ამბავი რომ გაიხსენა, მათი ცალ-ცალი ხეფეხის ჩაკაჩუკი რომ წარმოიდგინა, უმალ გადაიფიქრა.

---

**ავთანდილ ყურაშვილი**
ცთომილთა დღესასწაული

ილიას მარჯვენა ფეხი ჰქონდა ხისა, ლევარსამას — მარცხენა. ნიკოლოზის საჩუქარიაო, ახარბებდნენ სოფელს. იმ რკინის ჯვარს, ფეხების სანაცვლოდ რომ ჩამოიყოლეს სახლში და კარგა ხანს შიშით რომ ვერ აჩენდნენ ქუჩაში, ახლა ნელ-ნელა დაუწყეს გამომზეურება, ერთიორჯერ სოფლის ცენტრშიც გაიარ-გამოიარეს, კაციშვილს რომ არაფერი უთქვამს, არჩევნებზეც ასე გამოკლიპულები არ მივიდნენ?

— თქვენ რა, დეპუტატის არჩევნებზე მოხვედით თუ მთავარმართებელს ხვდებით! — დაიფრინა საბჭოს მდივანმა. რომელი რომელს ასწრებდა, თვალს ვერ მოჰკრავდი... მაშინ იყო, ლევარსამა რომ მიუბრუნდა ილიას და ამ ალაია ხალხში გადასძახა თურმე; ო, შენი მარჯვენა ფეხი მომცა, ან შენ მოგცა ჩემი მარცხენა და მეტი არაფერი მინდაო.

— რაღა ამ ხის ფეხს ნატრულობ, რაში გამოგადგება, შე ღანჭო, შენა!

— იმე, კაცო, — გაიკვირვა ლევარსამამ, — ძაღლი მე ვერ მიკბენს და... — სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, საბჭოს მდივნის თვალებს გადააწყდა. — მაყვლის საკრეფად იქნებოდა მისწრება! გველი გიკბენს, ეკალი შეგერჭობა თუ სისხლი მოგეწამლება, უკეთესი რაღა გინდა, ცხონებულო! — მაშინვე გადააკეთა თურმე... მერე კი, მდივანი შორს რომ დაიგულა: — ვაი, იმათი ბრალი, ვის ოჯახშიც ეგ შაპრანა შევა, ენით ხომ ნაკვერჩხალს იღებს, ქვა ქვაა და ესეც ქვაა, ვერაფერს შეასმენ და ვერაფერს გააგონებ! — მოუთავა ხელი გასათხოვარ ქალს...

„ნიკოლოზას არის თუ პეტრიასი ეს ჯვარი, ჩვენი ქვეყნისათვის ბრძოლაში ხომ გვიშოვნია, კაცო, აბა რა ცოფი ეტაკა, ამ მამაგანათლებულიშვილს!“ — უკვირდათ ილიას და ლევარსამას. ჯვრები ჩამოიხსნეს, ცხვირსახოცში სათუთად გამოკრეს და გულის ჯიბეში ჩაიდეს; კენჭიც ერთხმად, ფანქრის გადაუსმელად ჩააცურეს საარჩევნო ყუთში და მთელი თავიანთი ხმა ახალ დეპუტატს შეაწიეს...

„საბჭოს თავმჯდომარე გეძახით!“ — უთხრა რომელიღაცა გლეხმა, ხმის მისაცემი ოთახიდან გამოსულ ილიას და ლევარსამას. ფერიფური წაუვიდათ კაცებს, გულისჯიბე გარედან მოისინჯეს და ერთმანეთს გადახედეს. მერე ლევარსამამ ის დახვეული ცხვირსახოცი ამოაძვრინა უბიდან და ილიას გაუწოდა:

— დაიჭი, ყაძახო, ჯერ მე შევალ და, თუ გამოვედი, მერე შენ შებრძანდი!

ლევარსამა თავმჯდომარესთან შევიდა და ზურგს უკან კარი მიიხურა.

— გაგიმარჯოს, ამხანაგო ლევარსამ, მრავალ დღეის დღეს დასწრებოდე! — მიულოცა თავმჯდომარემ.

შვებით ამოისუნთქა შეშინებულმა რკინის ჯვრის კავალერმა, — „თქვენიანად, ამხანაგო ანდრო!“ — თავის მხრივ ლოცვა არ დააკლო ლევარსამამ.

ილია სადღაა, კაცო!.

— ამ წუთში შემოვიყვან, პატივცემულო, გარეთ იცდის.

— კარგი, კარგი, იყოს! ერთი თხოვნა მაქვს ახლა...

— ბრძანეთ, პატივცემულო ანდრო, ორი იყოს! — შეთამამდა ლევარსამა.

— ბევრი ვიფიქრე და თქვენზე საპატიო კაცებს სად გამოვძებნიდი, ნამარი ხალხი რომც არ იყოთ, თქვენი ხმატკბილობის ამბავი ვინ არ იცის ჩვენს არემარეზე, ერთი სიტყვით, სანდო და პირმტკიცე ადამიანებად მიმაჩნიხართ ორივენი...

— პატივცემულო ანდრო, ბოდიშს კი მოვიხდი, მარა, შემოვიყვან და ილიასთან რომ მითხრა ესეთები, არა სჯობია?!

ანდროს გაეღიმა.

— დაუძახე, კაცო, თუ ეგრეა საქმე... სოფელში უნდა გახვიდეთ, ეს დალუქული წითელი ყუთი უნდა წაიღოთ და ერისტოს სიდედრს კენჭი უნდა ჩააგდებინოთ, დახუკულია ქალი, სიარულით ვერ დადის, ვერ ლაპარაკობს, თურმე და, მგონი, ყურშიც აღარ ეყურება, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ამ კამპანიის გარეშე ვერაფრით დავტოვებთ, ჩვენი მდივანი გამოგყვებათ.

— ასპირო! — დაუძახა თავმჯდომარემ გვერდითა ოთახში წამოსკუპებულ მდივანს.

ასპირო თავმჯდომარესთან შემოვიდა.

— აგერ საპატიო ხალხი, ჩაუდექი შუაში და ერისტოს სიდედრსაც გამოართვით ხმა...

ერისტოს სიდედრი — ოთხმოც წელს მიტანებული სალომე ჩხეტიანი მართლა ისეთი ავადმყოფი გამოდგა, როგორადაც თავმჯდომარემ აუწერა ილიასა და ლევარსამას, მაგრამ ის კი აღარ სცოდნოდა, სულ-ხორცის გარჩევის საზღვარზე თუ იდო და საბრინჯედ და სალობიედ ამზადებდა კუთხე-მეზობელს.

სალომეს წაუკითხეს დეპუტატის ვინაობა, გააცნეს მისი დამსახურება ქვეყნისა და ხალხის წინაშე, მისცეს კენჭი ხელში:

— აბა, რას იზამ, მოგწონს თუ არა ეს კაცი! — ჩასძახა ლევარსამამ ყურში და ცხვირ-პირი ისე ახლოს მიუტანა ამომრჩეველს, მისმა ხეშეშა ულვაშებმა, ეტყობა ყურის ბიბილოსთან გვარიანად შეუღიტინა, რადგან იქით ქვეყანაში გასამგზავრებლად მოწყობილ დედაბერს პირზე ღიმილი მოეფინა, კენჭი ყუთში ჩაუშვა თუ არა, ბალიშზე მოწყვეტით დაუვარდა თავი. ის ღიმილი კი ისევე ცოცხლად შერჩა პირისახეზე დაფენილი.

— რა ქნა ამ ცხონებულმა, წასვლა ვერ გვაცალა?! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ასპირომ.

— რავა, ხმის მიცემად არ ჩაეთვლება თუ?! — ფერი ეცვალა ილიას.

— აპ-აპაა?! ამისთანა არაფერი მომსწრებია! — იძახოდა ლევარსამა.

დალუქული წითელი ყუთი კი ტაატით დაუყვა ორღობეს... სალომე ჩხეტიანის ხმაც და სულიც ახალ დეპუტატს ეკუთვნოდა.

მთელი გაღმა-გამოღმა სოფელი ზეიმობდა იმ დღეს და ვინ ეშმაკი შეიცხადებდა სალომეს. ამიტომაც ასე ღიმილგადაფენილი, მედიდურად იწვა სარეცელზე და ამ ვარდისფერი ღიმილით უკანასკნელად ხარობდა მთელი სოფლის სიხარულით...

— ლევარსამა! — მიუბრუნდა საბჭოს ეზოში თავმოყრილ ხალხში ლევარსამას და ეუბნება ილია, — ხომ გახსოვს, კაცო, შარშან ამ დროს ლაზარია ირემაძემ გვითხრა, იმისთანა ღვინო აქვს, რომ მოინდომო, დანით ვერ გაჭრი და მესტუმრეთ, როცა გინდოდეთო. ჰოდა, აგერ ხუთი-ექვსი ჩვენისთანა კოხტა ბიჭი და დროც შესაფერისია, მივადგეთ ახლა. ოღონდ ჩემს ჭიშკართან უნდა გამიჩერდეთ, შევირბენ და ნაჯახს გამოვიტან.

„იქნება არ იქნებას“ ძახილში შვიდი კაცი მაინც შეგროვდა... რა თქმა უნდა, ილიას ჭიშკართან შეჩერდნენ და ნაჯახის გამოტანამდე დაელოდნენ ქეიფის მოთავეს...

ილიამ ცალი ხელით გულთან მიიკრა ნაჯახის ტარი, საღერღელაშლილ „ბიჭებს“ წინ გაუძღვა და ლაზარია ირემაძის ჭიშკარს მიადგნენ.

— მაინძელო! — ერთი დაძახება კი მოასწრო ილიამ და ლაზარიამაც სამზადიდან თავი გამოყო, მერე კარის ნაგერაზე გადმოაბიჯა, წინსაფრის ბერტყვა-ბერტყვით ჭიშკრისაკენ წამოვიდა. ამდენი ხალხი რომ დაინახა, თავზე ნაბდის ქუდი გაისწორა და გაოცებულმა იკითხა, რაშია, ბიჭებო, საქმე, ხომ მშვიდობა არისო.

— აკი შარშან დაგვპატიჟე მე და ლევარსამა, ისიც ხომ დაატანე, ღვინო მაქვს, დანით ვერ გაჭრითო.

— მობრძანდით, მობრძანდით, ჭიშკარში ჩამოდით, მეზობლებო! მაგრამ ეს ნაჯახი რა ეშმაკად მოგქონდა, კაცო.

— ნაჯახი მაგიტომ წამოვიღე, დანით თუ არ გაიჭრება ის შენი ღვინო, ნაჯახით მაინც გავჩეხავთ-მეთქი!.. — ყველას მაგივრად უპასუხა ილიამ.

— არიქა, მარგალიტა! ის პირშილილობიო, ყველი, პური და მწვანილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვიტანე! — გასძახა ცოლს ლაზარიამ და თვითონ მარნისაკენ გაიქცა... სამზადში, კარგად მოტკიცებულ სოხანეზე ჩამოდგეს სუფრა და შემოუსხდნენ ირგვლივ. მარგალიტა თავზე ადგა და წარამარა ბოდიშობდა, ასე მცირე პურ-მარილით როგორ გისტუმრებთო...

ორი-სამი სადღეგრძელო რომ თქვეს, ლევარსამამ შეატყო, მასპინძელი ახალს რომ არაფერს შემოუმატებდა სუფრას. იფიქრა, რაცა გვაქვს, ესეც უცებ არ შემოგვეჭამოსო და ამბავი წამოიწყო, თავიდან არაფერი შვილი იყო, ამიტომაც არ ჩავიწერე, ბოლო კი დაახლოებით ასე მთავრდებოდა: ...გადმოვიღე თოფი და, მაშინ ტყვიას ნემსის ყუნწში ვაძვრენდი, ვბრეგე და ძირს გავაგორე დათვი.

— მაგ ერთი გასროლით დათვს ვერ მოკლავდი, რაღაცას იტყუილებ შენ! — არ იჯერებდა ლაზარია.

— კაცო, თოფი მე ვბრიგე და შენ მასწავლი, მოვკალი თუ არა? მიკვირს სწორედ! — გააბაჯაჯგინა ფეხები ლევარსამამ.

— კარგი, თუ მასეა, ის მაინც მითხარი, რა მანძილიდან ესროლე და ხელად დავამტკიცებ შენს სიმართლეს! — არ ისვენებდა ლაზარია ირემაძე.

ლევარსამამ კარგად მიიხედ-მოიხედა სამზადში. იმდენი ატრიალა თავ-კისერი, ვიდრე ყველა არ აჰყვა მის აქეთიქით ციმცამს. მერე ხელი შუაცეცხლის თავზე აცმა-აცმად ჩამოკიდებულ კუპატებისაკენ გაიშვირა და თქვა:

— აი, ბატონო, აქედან რომ იმ კუპატებამდე მანძილია, ამაზე მეტი, ჩემს ღმერთს ვფიცავარ, არ იქნებოდა...

ყველას ხარხარი აუვარდა. ვერც ლაზარიამ შეიკავა სიცილი. გული რომ იჯერა, მარგალიტაო, დაუძახა ცოლს, ჩამოიღე ის ოხერი კუპატები, ალალია ამგენზეო და სიმღერა წამოიწყო:

ეო, მეო, შენი ჭირიმეო,
დღეს აჭანე ვიქეიფოთ,
ხვალე — იქინეო...

„ხვალე — იქინეო...“ — ერთხმად დააგუგუნა მთელმა სუფრამ და კუპატიც აშიშხინდა ცეცხლზე შემოდგმულ ტაფაზე...

30. ბატა თვალების ფშვნეტით გადმოდგა აივანზე. ლევანა რომ ურმის ფალანგზე ჩამომჯდარი დაინახა, უცებ ჩავარდა ეზოში. თავ-პირზე წყალი შეისხა. მარდად შეიმშრალა პირისახე და მკლავები. „ნამეტანი ხომ არ მომივიდა ძილი!“ — შეეკითხა ლევანას.

— ღმერთმა შეგარგოს, შვილო! ძილი ახალგაზრდის არის, თორემ მე საძილე ძარღვები აღარც კი მექნება შემორჩენილი, — გაუღიმა ლევანამ შვილიშვილს.

ქანიაში სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე წაიხემსეს. ბაბილომ საგზალი ჩაულაგათ კალათაში. ხარები უღელში შეაბეს და წისქვილისაკენ გაირეკეს ხარ-ურემი.

— ბატა, ა! ბატა, — შორიდან ეძახის ლევანა, — წყალს გაღმა ერთი ქვა არის, ავწიე და ძვრა ვერ ვუყავი, აბა, რკინის კეტი წამოიღე, როგორმე ბუდიდან თუ ამოვაგდეთ, გვიმის საყუდარად მისწრება იქნება...

ახლოს რომ მივიდა ბატა, ლევანამ ბეჭზე ხელი დაადო, ქვაზე მიუთითა და ეკითხება:

— ლიბოს მაგივრობას გასწევს, ა! ბატა.

— მოდი, ცოტა კიდევ მივათვალიერ-მოვათვალიეროთ, თუ უკეთესი არ იქნა, ამას რაღა დაუდგება წინ.

აჰყვნენ ღელეს ზემოთ, ჩამოჰყვნენ ისევ ქვემოთ და უკეთესი ქვა მართლა ვერ იპოვეს.

— მომეცი წალდი, ეკალბარდი შემოვუკაფოთ, — უთხრა ბატამ ლევანას და წალდი გამოართვა, რკინა მარჯვედ მოიქნია და სულ ცოტა ხანში ქვასთან მისასვლელი ადგილი ჯაგებისაგან გაწმინდა. ამასობაში ლევანამ ხარ-ურემი მოიყვანა...

დაეჭიდა ბაბუა და შვილიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდს და, როგორც იქნა, ბუდიდან ამოაგდეს.

— მთავარი საქმე გავაკეთეთ! — თქვა ლევანმა, — ახლა ერთი გაბრძოლება და, ურემზეც თუ დავუდეთ, მორჩა, საათივით ავეწყობით.

— ერთი, ორი და სამი! — დაიძახა ბატამ და ქვა ნელ-ნელა ურმისაკენ წამოაგორეს, მერე ქვა ბრტყელ გვერდზე დაეცა და ისევ გათვლა დასჭირდათ.

— ერთი, ორი და... — რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ლოდს აწვებოდა ბატა, რომ ლევანმა წამოიძახა:

— ა ბეჩა, გამაგრდი; ე, მანდ ზიანი არა ჰქნა, ბიჭო!..

ბატას გაეცინა.

— რა გაცინებს, არ გადამრიო! — ვეღარ მოვითმინეო ვითომ, დაუყვირა ლევანმა. — „ფიცხი ყოფილხარ, ზოლიანო!“ რა ზარალისა გეშინია, შარვალს ხომ არ გაარღვევს, კაცო...

ახლა ლევანასაც გაეცინა:

— მეშინია, წისქვილი არ დამინგრიოო...

მეორე დღეს საღამო ჟამს დააყენეს გვიმი ფეხზე. სულ რბოლით დაკრიფა ბატამ გვიმის თავიდან რუს ყელამდე სავალი მანძილი და ღარაშოპში გადმოაგდო ღელე.

მზე დასავალზე იდგა, ნიავი საამურად დაჰქროლა, ააროკა ტყე და ფოთოლი, აახუჭუჭა ღელის წყალი და წისქვილის ღირღიტი, თვალზე რულს რომ მოგგვრიდა კაცს, სოფლის თავში გაიტანა. იქიდან კი მინდორ-მინდორ წაიღო და ფანტავდა...

ჰა და ჰა, სადაც იყო, მზე მთებს იქით ჩავარდებოდა, როცა ლევანა და ბატა შინ დაბრუნდნენ... ლევანამ იარაღის ოთახში შეიყვანა ბიჭი. „აი, ვენახში რომ შეგპირდი, ის ჩემი საჩუქარი!“ — უთხრა და ფარდაგზე ლამაზად გამოფენილ იარაღზე მიუთითა. ბატამ ერთხანს ხმა ვერ ამოიღო, უყურებდა ვერცხლით მოსევადებულ-მოზარნიშებულ ქამარ-ხანჯლებს, თოფ-დამბაჩებსა და სიათებს, ხმლებსა და ნაირნაირ ლეკურებს, ვერცხლის ბალთა-რთულებით აწყობილსა და მოხატულ ლაგამ-უნაგირს, ღვედებსა და მოსართავებს; შავ ნაბადს, ფარდაგის ცალ მხარეს, ოთახის ერთ კუთხეში რომ ეყუდა, მხარზე თეთრი ყაბალახი ეფინა, თეთრ ნაბადს, ფარდაგის მეორე მხარეს, ოთახის მეორე კუთხეში რომ ეყუდა, მხარზე იმასაც ყაბალახი ეფინა, მხოლოდ ღამისფერი ყაბალახი. ფარდაგის შუაგულში, თითქოს შავი მზე ყოფილიყოს, ხუჭუჭა, ბანჯგვლიანი ბოხოხი ეკიდა...

— სულ ჩემია, ბაბუ? — ძლივს მოიბრუნა ბიჭმა ენა.

— შენია, შვილო! — ოდნავ სევდიან კილოზე თქვა ლევანმა, — შენია, შვილო, — ისევ გაიმეორა, — ოღონდ ერთი გახსოვდეს: ვიდრე არ შემოგიქნიოს, არ შემოჰკრა, თუმცა ისიც უნდა იცოდე, სისხლი სისხლით არ მოიბანება... ახლა კი გარეთ გავიდეთ... ეს საიდან გაჩნდაო აქ, იკითხა აივანზე გამოსულმა ბატამ და ჭოგრიტთან მივიდა, — რა კარგია, სკოლას გადავცემ!.. — გაიხარა ბიჭმა.

— იმ სკოლაში მანდ ჩამხედავი კაცი თქვენ არ გყავთ და, როცა გეყოლებათ, მაშინ აჩუქე! — უთხრა ლევანმა და თავისი ბატისფეხურით დაწერილი ქაღალდი მიაწოდა... — ეს კი ნამდვილად ზეპირად უნდა ისწავლო, თუ ჩემი ხათრი და სიყვარული გაქვს, შვილო! მე ასე მოვიტანე შენამდე, შენ კი ამის შემდეგ, როგორც გულმა გითხრას, ისე ჰქმენ!...

ბატამ ფურცელი გამოართვა, ჯერ თვალი ააყოლ-ჩააყოლა, მერე კი ხმამაღლა წაიკითხა.

„ვარსკვლავთა, ანუ ცთომილთა დღესასწაული, საკვირველი თვალისეირი, ბიბინა ლაჟვარდ ცაზე ოქროსფერი მყივარი ფრინველების გუნდის და გუნდის გადაფრენის სახილველზე უფრო ზეალმტაცი სახილველი, კაცის თვალით იშვიათად დანახული, ცათა შიგან მდგომთა ზარისა და ზეიმის გამომხატველი,

---

ქვეყანაზე მობრუნვდების წელიწადსა ათას რვაას ორმოცდახუთსა და წელიწადსა ათას ცხრაას ოთხმოცდაორსა, იქნება წყალრღვნით, იქნება ცეცხლითა და ცეცხლის ტალახით, იქნება გვალვითა და მიწის ვარდნებით...“

ბატა ჭოგრიტს მიუჯდა, შიგ ჩაიხედა და სკამიდან ლამის გადმოვარდა, სათიბებში, თივის ზვინებთან თუთია იჯდა...

ლევანას არ გამოჰპარვია შვილიშვილის პირის კანის უცები ცვლილება, ბატას მიუბრუნდა და უთხრა: — ჯუმბერამ დაგიძახა, ჩემთან გაჩნდეს, აუცილებელი საქმე მაქვსო, წეღან დამავიწყდა, რომ მეთქვა, აბა, მარდად, დანარჩენს ამაღამ გიამბობ...

31. — ლევანა, მოდი აქ, კაცო, — სამზადიდან ასძახა ბაბილინემ აივანზე გადმომდგარ ქმარს. ისეთი აკვნესებული ხმა ჰქონდა ბაბილოს, ლევანა მაშინვე ძირს ჩავიდა...

— ახლოს მოდი, კაცო! შენს გვერდში დასაწოლად მე აღარ ვარგივარ, და ეგეთების თავი, ჩემი შეტყობით, არც შენ გექნება, ბიჭო. ამდენი ხანი არ გიმხელდი, ახლა რომ დაგიმალო, აბა, რიღასთვის დაგიმალო, მოიტა აქეთ ხელი!

ბაბილინემ თავად აიღო ლევანას ხელი და გულის უბისაკენ წაიღო. ახლა არ მითხრა, აღარ ვარგივარო! — მაინც უკუღმართულად, საეშმაკოდ გაუხტა აზრი ლევანას და უცბად შეინანა ასეთი ფიქრი, მკერდზე ფრჩხილის სიმაღლე ეკლები გამობუსხვოდა ბაბილოს. და განა მარტო მკერდზე, მთელ ტანზე ასეთი ეკლებით იყო მოფენილი ქალი. დაცდილი ჰქონდა, რაღაც უბედურება უნდა მომხდარიყო ამ ორ-სამ დღეში, როგორც კი მოსახდენი მოხდებოდა, ეს რკინის ეკლები ჩამოეყრებოდა ტანიდან და რჩებოდა ატკივებული ნაეკლარი წყლულები, ერთ კვირაზე მეტი სჭირდებოდა დაჩხვლეტილი კანის მორჩენას და მორჯულებას, — თაფლსა და გადამდნარ ღორის ქონში აზელილ ბალახბულახის მალამოს ხმარობდა ბაბილო...

სულ პირველად რომ გამოაყარა ის რკინის ეკლები, სწორედ მესამე დღეს ჩამოწვა და ჩამოზვავდა სოფლის ერთ თავში მეწყერი. არ გაამხილა ქალმა. გაუმხელლობით რას შველოდა, გამხელით რას უშველიდა... ტანი ატყობინებდა, რაღაც უბედურება მოხდებაო, სახელდობრ, რა უნდა მომხდარიყო, ციდან დაატყდებოდა თუ ზღვიდან, მიწიდან თუ კაციდან, სოფლის ჭირად მოვიდოდა თუ ოჯახის რისხვად, უკვე აღარ იცოდა და სატანჯველად ეგეც ყოფნიდა — უბედურება ესწრაფვოდა, არ იცოდა კი, რით მოდიოდა, საიდან მოდიოდა, როგორ დახვედროდა და გამკლავებოდა, შესაწირად გამზადებული კრავივით იდგა და ელოდა დანის ხელში გამოსმას...

ერთხელაც მაშინ გამოასხა რკინის ქიცვები, სოფლის მეორე თავში რომ ჩავარდა მიწა და ორი ძვირფასი კუბოც გაიყოლია მათი ეზოდან. არც მაშინ გაუმხელია ბაბილოს, ებრალებოდა ლევანა, დაზოგა და ბოლომდე ამიტომ ვეღარ გაენდო კაცს.

— ამ ორ-სამ დღეში რაღაც უნდა მოხდეს, ნეტავ, ბიჭს არაფერი აუტყდეს, ნეტავ, ბიჭს არაფერი აუტყდეს! — ჩურჩულებდა ბაბილო და ერთ ადგილზე ვეღარ ისვენებდა.

— რა უნდა აუტყდეს, ნუ გეშინია, დედაკაცო! გვერდიდან არ მოვიცილებ, მაგრამ შენ მაინც რა გჭირს, გამაგებინე, ექიმს მოგიყვან.

— რად მინდა, კაცო, ექიმი! ორი დღეც და თავად ჩამომცვივა, მერე მალამო და კან-ხორცი პირს შეიკრავს, ბიჭს მიხედე, ლევანა, ოღონდაც მაგი გადამირჩეს... ღმერთო, მშვიდობით დაალამე და მშვიდობით გაათენე, — პირჯვარი გადაისახა ბაბილომ და საწოლი ოთახისკენ წავიდა, თუმცა მისი ეკლების შემხედვარი ზეზეურად თუ ჩამოიძინებდა მხოლოდ... ქალი რკინის საწოლთან მივიდა, საბანს ცალი ყური გადაუწია, ლოგინის კუთხეში ჩამოჯდა და საწოლის თავს მხრით მიეყრდნო. ეკლები, წელზემოთ, კიპკიპამდე გამოაყრიდა ხოლმე, ფეხები, მკლავები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავ-პირი და საჯდომი ამ საოცრებისაგან თავისუფალი ჰქონდა. ერთხელ ის ჩამოცვენილი ეკლები მოხვეტა და ცეცხლში ჩაყარა, შენც არ მომიკვდე, როგორც რკინამ იცის ქურაში, — გავარვარდა, გავარვარდა, ვიდრე ნაკვერჩხალი ღუოდა, ისიც წითლად იხედებოდა, ჩანელდა ცეცხლი თუ არა, ნარისფერი აიკრიფა და გალურჯდა, თავისი პირველი სახე დაიბრუნა, ვითომ ნაღვერდალში კი არა, ალმასის წყალში ამოევლოს ვინმე საქმეშემოლეულს. ცეცხლი რომ ვერაფერს აკლებდა, ამის გამო იყო, ბაბილო რკინის ეკლებს რომ ეძახდა, რკინისა და კაჟის ნარევ ბუნების ამ საოცრებას.

ახლა, საწოლის კიდეზე ცენცად ჩამომჯდარი ქალი, რა მოსალოდნელ საფრთხესა და უბედურებაზე არ ფიქრობდა; რა მეწყერზე, რა წყალრღვნაზე, რა მეზობლურ ჩხუბსა და დავიდარაბაზე, რა ცოფსა და ჭირზე.. ყველაფერი მაინც რომ ბატას ირგვლივ ჯგუფდებოდა, ყველაფერი ბატას ირგვლივ იყრიდა თავს, ყველაფერი თითქოს ბატას უნდა დასტყდომოდა და გადამსხვრეოდა ზედ.

ტკივილი არ აწუხებდა ქალს, ასეთ დროს ტკივილები არა ჰქონდა, ხორცის წუხილი ამ რკინა-ეკლების ჩამოყრის დროს ეწყებოდა და იმ ტკივილსაც ადვილად იტანდა. მხოლოდ ეს გულისწურვა, საშინელების მოლოდინის ამ სამი დღის გათრევა ჭირდა, წელში რომ წყვეტდა და მიწასთან ასწორებდა,

განა ამაზე დიდი უბადრუკობა იქნება რამე? ადამიანმა იცოდე, ხვალ თუ ზეგ მიწა გასკდება, ცა ჩამოგენგრევა, ღვარცოფა გადაგივლის, ცა და მიწა ერთმანეთს შეემღვრევა და შეემუქრება, სიკვდილის ცელი გამოვარდება, გაგივლის და გადაგსხიპავს, შენ კი უღონო, უსუსური და არაფრის შემძლე, გულხელდაკრეფილი უნდა იდგე და ელოდე განგების განჩინების აღსრულებას; ეს არის ჩვენი სიცოცხლე და ეს არის შენი მოზომილი წუთისოფელი, უფალო! ჭიაყელებივით ვიწმარწნებით ამ ორი დღის სავალზე — ჭირი და ათასი სნეულება, შიმშილი და წყურვილი, აუხდენელი ნატვრა და ჩამქრალი ოცნებები, გაუთავებელი მწუხარება და მოურჩენელი წყლულები, მტრობა, შური, ავკაცობა, ხოცვა და ჟლეტა, სისხლი და სისხლი, შიში, შიში, შიში... დაუსრულებელი შიში და კანკალი. განა ღირდა ამ ცეცხლისკიდებაში მოსვლა, უფალო, ასეთი ორი დღისათვის?! „განა ღირდა?!“ — თავის თავს შეეკითხა თუ მართლა უფალს მოსთხოვა პასუხი, აღარ ახსოვს ბაბილოს... ის კი კარგად გაიგონა და ეცნო, მშობელი დედის ხმა რეკდა ყურებში:

„განა ღირდა? განა ღირდა, ასეთი ორი დღისათვის მოსვლა, უფალო?“

**32.** ბაბილოს დედა, თიამულა ხელოისანი თავისი მშობლების ნებიერი ქალიშვილი გახლდათ. თიამულას სილამაზე სოფლის ოთხივე მხარის ასავალ-დასავალს შუქად ადგებოდა-მეთქი, რომ ვთქვა, ძალიან ცოტა იქნება, მისმა შუქ-ნათელმა ვარსკვლავებს რომ ცა გამოაჭრევინა და იმ ვარსკვლავებს დღესაც აწამებს, ეგეც არაფერი, იმასთან შედარებით, რაც აქაურ ყმაწვილ კაცებს დაატეხა თავზე. ფეხკავშა ცხენებზე ამხედრებული სოფლის რჩეულრჩეული ბიჭები გათენებიდან დაღამებამდე დაჯირითობდნენ ხელოისანების შუკის აყოლება-ჩამოყოლებაზე, იქნება ერთხელ მაინც მოვკრა თვალი, იქნება ცა გამეხსნას და თიამულამ გამიღიმოსო. სამწუხაროდ, მისთვის ყველა სულიერი ერთი იყო, ყველას ერთნაირად უღიმოდა და უჟუჟუნებდა თვალებს; ეს მათი გაუთავებელი ჯირითი და შეძახილ-შემოძახილი ღმრთით დაკანონებული რჯული და წესი ეგონა; „სოფლის ყველა კუთხე-კუნჭულში ალბათ ასე ხდება!“ — ფიქრობდა გოგო, უფრო სწორად, მე ვფიქრობ ასე, თორემ ასეთებზე ფიქრით თავს როდი იწუხებდა ქალი. ჯერ კიდევ არ გასჩენოდა თია-

მულას საფიქრალ-საწუხარი, ჯერ კიდევ არ დაფრენოდა გულის კოვზზე მინდვრის ქარს შემოყოლილი ის ნაზი პეპელა, ფრთების შეწყობილი და მსუბუქი რხევა-ღიტინით ვნების ცეცხლს რომ უკიდებს ყმაწვილი ქალის მკერდქვეშ განაბულ პატარა ჩიტუნას...

უნუგეშოდ შეყვარებული სოფლის ყმაწვილკაცების დღესასწაული მაშინ იწყებოდა, ცა რომ მოიგუნებებდა და შხაპუნა წვიმას გადმოუშვებდა. გახურებული მიწიდან ავარდნილ თბილსა და მომთენთავ ოხშივარში, სახლის წინ, კალოზე გამოვარდებოდა თიამულა, თავს უკან, მხრებზე გადაიგდებდა, მაცოცხლებელ წვეთებს შეუშვერდა ანგელოზის პირისახეს და ხელებს გაშლიდა, — ციბრუტივით ტრიალებდა და ტრიალებდა ფეხშიშველა, კოჭმაღალი ბროლიქალი. ხამის თხელი ქსოვილისაგან შილიფად შეკერილ კაბას ნელ-ნელა შემოსწურავდა, შემოატეხავდა და შემოადგამდა თიამულას მკერდს, სავსე თეძოსა და წვივ-ბარკალს წვიმის მოქნილი, გრილი თითები... უკლებლივ ყველა წვიმად ქცევას ნატრობდა და განა ამად არ ღირდა თიამულას ბროლის ქედზე ჩაღვარღვარება და ბაბუაწვერასავით გაქუნქულებულ მკერდში ჩავლა-ჩადნობა?! უფალმა უფრო კარგად იცოდა, რასაც იქმოდა, ამიტომაც მათი ნატვრა მარტოოდენ ნატვრად რჩებოდა; ღობის იქიდან მოციცინებულები შესცქეროდნენ ქალის ამ ჯადოსნურ როკვას და ყოველი მათგანი თუ გინდა ხატზე შემოგფიცებდა, ქალის თავზემოთ, გაშლილი ხელებიდან ნატვრის თვალი ხტოდა და ელავდაო. ის კი, წვიმაში მოცეკვავე თიამულა, ამ წუთში ყველას ეკუთვნოდა, ხარბად შესეოდნენ, კრეფდნენ და კრეფდნენ ამ რთველდაუმდგარ ვენახს, შეუბრალებლად ჭყლეტდნენ და სწურავდნენ, შეუნელებლად ისხამდნენ ხახაში დაუდუღარ ყურძნის ტკბილს და ეს ამბავი საბედისწეროც გამოდგა, მანამდე კი... თიამულა უკვე ჩვიდმეტი წლის ქალი იყო, მისი ტოლ-სწორები სარკესთან ათენ-აღამებდნენ, ირთვებოდნენ და იპრანჭებოდნენ, ოღონდ შარვლიანი დაენახათ და იყო ერთი ფრონცქვა-გრეხა და კეკლუცობა, ეს ამჟავებული სიტყვები სრულად ვერ გადმოგვცემს და გამოხატავს ვნებაგადაღვრილ, ლამის საკუთარი კანიდან გამომსხლტარი მათი ტან-ხორცის მთელ შინაარსს... თიამულა ბროლის ჭურჭელივით შუქსა და სილამაზეს აფრქვევდა, შენ გიკიდებდა ვნების ცეცხლს, თორემ, თვითონ იმ ბროლის ჭურჭელივით საკუთარ თავში თრთოდა და ასხივებდა ჯერაც უვნებო სილამაზით.

წუხდა სოფელი. ყველა უცოლო ვაჟი-კაცი თიამულასთან ჯვარის გაფსკვნის მოლოდინში იყო. აგერ უკვე რამდენი ხანი გავიდა, სოფელში მაყრული არ დარხეულა, თოფის სროლა და შელდუხი არ ავარდნილა ცაში... ამ მოსიყვარულე ჭაბუკებმაც თვალების ბრიალი დაუწყეს ერთმანეთს, — შურს, მტრობას, მესისხლეობასა და ძვირცუდობას გაუხსნეს გულისკარი. აშკარად თუ ვერ ამხელდნენ, ფიქრში მაინც რამდენჯერ დაუკლავთ და დაუკაწრავთ ერთმანეთი, ცხენის ძუაზე გამოუბამთ და შეუბრალებლად უთრევიათ აღმა-დაღმა, ხელი უკრავთ და მუხანათურად უფსკრულებში გადაუჩეხიათ, ჩასაფრებულან და ზურგში ტყვია დაუხლიათ...

სოფელი ამჩნევდა ყოველივე ამას და სოფელიც მოსალოდნელი უბედურების წინაშე თრთოლვას ატანდა, საშველი კი არსაიდან ჩანდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თიამულა, უეჭველად, ვინმეს უნდა გაჰყოლოდა, ვისიმე ცოლი უნდა გამხდარიყო, ვიღაც უნდა დაჰპატრონებოდა ამ ანგელოზს, მაშინ კი ყველა მოისვენებდა.

მოისვენებდა კი?!

მაგრამ ყოველივე ეს თიამულას გულისა და გონების მიღმა ტრიალებდა — იგი იმ ბალახივით ლაღი და სუფთა იყო, დილის მზეს რომ შეჰხაროდა და ნიავის ფრთებზე ნანაობდა; იგი, მზის სხივივით უშუალო და უანგარო, იმ

მზის სხივივით უგონოდ ელამუნებოდა და ეფინებოდა ყველას და ყველაფერს. იგი ღამის ცასავით შემოიხსნიდა ყოვალგვარ საბურველს და ისე შიშველი და უანგარიშო ჩადიოდა თხმელის ბუჩქებში ჩავარდნილ მდინარის ჩქერებში, თითქოს მართლა ვარსკვლავიანი ცა ყოფილიყო, მსხმოიარე და დახუნძლული ცა!

და განა არ იყო ვარსკვლავიანი და მსხმოიარე?!.

„იყოო!“ — ლომინა ამბობს, ამ სოფელში ყველაზე შეუხედავი, ყველასაგან ხელწამოსაკრავი, დაბეჩავებულ-დაბრიყვებული, უპატრონო და სადაგდიად გაზრდილი ბიჭი. ცხენს ვინ მიაშავებდა, ღორის ჯაგარგადავლილ, შუბლნაჯახა და მხრებში კისერჩავარდნილ საცოდაობას, რომ თავის ტოლსწორებს არ ჩამორჩენოდა და მასაც ეგელვებია თიამულას კეთილი თვალის დასაჭერად თეთრონი, სამაგიეროდ, უფალმა უფრო დიდი ჯილდო გამოიმეტა მისთვის, ამ მუჩუჩი და გაზღარბული ბიჭისათვის...

ლომინამ თხმელის ბუჩქიდან ამოყო თავი. ვინმეს რომ შეეხედა, ვერც იფიქრებდა, ადამიანიაო, ნამდვილად მაჩვზღარბა იყო, თუ ვინმეს გინახავთ, უკანა ფეხებზე დამდგარი და წინა თათებით ჰაერს შეტოტებული მაჩვ-ზღარბა...

თიამულა წყალში სრიალებდა. ხან თავქვე გადავარდებოდა, ფსკერისაკენ წავიდოდა, ფეხებს ერთს გაასხმარტალებდა ჰაერში, თითქოს კალმახმა გაიელვაო და უცებ ჩასჭრიდა და ჩაკაფავდა მორევს; წყალშივე გადაბრუნდებოდა, ზევით-ზევით წამოვიდოდა, თავთხელისაკენ განარავდა. წელქვემოთ გამჭვირვალე წყალში ჩამდგარი, თმას ორივე ხელში მოწურავდა, მერე გაიქნევდა, თმა შავი ჩანჩქერივით ზურგზე გადაეღვრებოდა და თეძოებთან, წყალში გაადენდა ჩქაფანს. თეძო-ბარკალის ირგვლივ მოტრიალე რგოლები გაიშლებოდნენ, ნაპირისაკენ გარბოდნენ; „აბა-და-ჰა! შენ იცი, ბიჭო, გაუძელ, ე მაგრე, ცოტაც გაბედე, ჩამავლე ხელი და წამში თიამულასთან გაგაჩენ!“

მაგრამ სად იყო, სად ჰქონდა ლომინას გამბედაობა, იგი ბურთივით გაჩურთვოდა ყელში, ნერწყვის გადაყლაპას ველარ ახერხებდა და ლამის მოეხრჩო ბიჭი. გოგომ კი დამწვარზე მდუღარე გადაასხა. ახლა ორივე ხელი იმ თოვლივით მკერდზე შემოიჭდო, ყვითელ-ყვითელ ნისკარტებს ლომინას რომ უმზადებდა და იქიდან ჩამოწურა წყალი. მერე ხელები გაშალა, ვიფიქრე, ისევ მორევში აპირებდა შეცურებას, რომ გაოცებული შედგა და თხმელის ბუჩქს მიაცქერდა:

— ლომინა, შე მოსასპობო, მანდ ვის ემალები, რატომ არ ჩამოხველ, ჩემთან არ იბანავებ! — გასძახა რიხრახდაბნეულ ბიჭს. თუმცა მისი ერთი შემოხედვა რა ნაღველ-ჭირს გადაუყრიდა ჭკუათმყოფელ კაცს. ლომინამ უკან მოუხედავად მოკურცხლა, ისე დაიკარგა, ვერსად ვერ მივაგენი; მიწამ პირი უყო თუ რა მოხდა, ვერაფერი გავუგე, ერთადერთი ბურტყუნილა მესმოდა, ვტრიალებდი და თვალი ვერა და ვერ წავკარი; ის ბურტყუნი კი ახლაც ყურებში მიტრიალებს: „თვალს ვერ ვუძლებდი, კაცად როდილა ჩამაგდო...“

ახლა ვფიქრობ, კი არ ბურტყუნებდა, ტიროდა ის საცოდავი ბიჭი და მისი ზლუქუნი იმ წუთში მეც, თვალებდამდგარს, ბურტყუნად მეჩვენებოდა...

თიამულა ჩქაფაჩქუფით გამოვიდა მორევიდან, ცოტა ხანს ეგრე დედაშობილა იდგა მზისგულზე, მერე ხამის კაბაში შეძვრა და სახლისაკენ წავიდა... ეს ამოდენა გოგო ისევ ბავშვივით გულუბრყვილო დარჩა, ბიჭებს კი ლამის ერთმანეთი ამოეხოცათ, ძაღლებივით კუდში მისდევ-მოსდევდნენ და ყარაულობდნენ ურთიერთს. როგორც კი რომელიმე მათგანი ცხენს ააჩქამებდა, მეორე უკან გამოედევნებოდა, მეორეს მესამე გამოენთებოდა, მესამეს... და ატყდებოდა ფლოქვების თქარათქური

ცხენების ჭიხვინ-ხვიხვინი და ძაღლების გაუთავებელი ყეფა-გნიასი. მზეთუნახავი თიამულა კი აივანზე იჯდა და ხელის ლამაზი რხევით აცილებდა მისი ღიმილის მაძებარ ამვლელ-ჩამომვლელ ცხენოსნებს...

ერთ დღესაც სოფლის ყველაზე საპატიო უხუცესები შეიკრიბნენ და კარებზე მოადგნენ თიამულას დედ-მამას — ჩიტოლია და ქაფქემო ხელოსანებს: ყველაზე გამორჩეული და შეძლებული ოჯახის პატრონი ჭაბუკი, ვინაც კი მოგეწონებათ და ვისაც თიამულა ხელს დაადებს, ამ წუთში თქვენი სიძე შეიქნებაო.

ბარემ ძალიან უნდოდა ქაფქემო ხელოსანს ქალი პატრონისათვის ჩაებარებინა და თვითონაც დაესვენა, იმის შიში მაინც აღარ ექნებოდა, ვინმე ოხერი არ გადაეკიდოს და სირცხვილი არ მიჭმიოსო გოგოს. მაგრამ იგიც იცოდა ქაფქეფომ, ქაფქემოზე უფრო კი ჩიტოლიას მოეხსენებოდა თავის ქალიშვილის ამბავი: რა გასათხოვარიც ჰყავდათ. ეს აყვავებული ნუშის ყვავილი მხოლოდ ყვავილი გახლდათ და მეტი არაფერი, ის წვენი და მიწის ძალა, ნაყოფად რომ აქცევს ხოლმე საამოდ გაშლილ ასეთ კოკობს, ჯერ კიდევ ფესვებში იდგა და სრულიადაც არ აპირებდა სანაყოფედ აფეთქებას; განა ყველა ყვავილი ნაყოფად იქცევა ხოლმე?! უარის თქმაც აღარ შეიძლებოდა.

„უნდა გაგათხოვოთ, კარგ ბიჭს უნდა გაგატანოთ ცოლად!“ — უთხრეს თიამულას.

„მერე რა უნდა გავაკეთო, კარგ ბიჭთან რა უნდა ვითამაშო!“ — იკითხა გოგომ.

ქაფქემოს გაეღიმა, ჩიტოლიამაც ვერ შეიკავა სიცილი და ატკარცალდა. სოფლის უხუცესებმა ამოიოხრეს, რა დროს ამის გათხოვებააო, მაგრამ სხვა გამოსავალიც რომ არა ჩანდა, გასწირეს მშვენიერი თიამულა უღელში შესაბმელად...

დაინიშნა ქორწილის დღე და, როცა ყველაფერი მზად იყო საქორწილოდ, სოფლის მეორე კუთხიდან ქაფქემოს ამბავი გამოუტანეს, შენი სასიძო ეზოში, თავლასთან იპოვესო თავგაჩეხილი...

„ამას ჰქვია კარგი ბიჭი, ქმარი და გათხოვება?!“ — იკითხა თიამულამ, როცა ის ლამაზი საქორწინო კაბა შავად გაუღებეს და მიცვალებულის კუბოსთან, ჭირისუფალთა შორის მიუჩინეს ადგილი. ეს კითხვა მაშინაც გაიმეორა, ქაფქეფომ მკაცრად და გადაწყვეტილად რომ გამოუცხადა:

— მდინარეზე წამდაუწუმ სიარული არ შეეფერება საქმროდაღუპულ ქალს. ჩვენი მღვდელი ეგრე არ წირავს!

ეს კითხვა ერთხელ კიდევ გაიმეორა თიამულამ, როდესაც ჩიტოლიამ თვალები დაუბრიალა: დედაკაცს თავისი ნაგრილის უნდა ეშინოდეს, შენ კი თავს მჭრი და ოჯახს მირცხვენ, საზედო მკვდარი ქალი აივანზე გადმომდგარხარ და მთელი სოფლის თვალწინ გამვლელ-გამომვლელს ეჟუჟუნებიო...

ორმოცი დღე და ღამე ძლივს გააჩერეს სიცოცხლეს მოწყურებული გოგო. მომწყინდა, ბატონო, გათხოვება-ქვრივობანას თამაში; თუ ეგრე ძალიან მოგწონთ და გიხარიათ, თქვენ თვითონ ითამაშეთო! ხამის ის ძველი კაბა გამოძებნა და ზაფხულის ერთ მდუღარე დღეს ციდან წამოსულ შხაპუნა წვიმაში გაშალა ხელები.

ისევ მიაშურა მორევად ჩამდგარ მდინარის წყალს; ლომინაც ძველებურად თავაწეული დახვდა თხმელის იმ ბუჩქებში და კვლავ მოუხმო გოგოს.

ლომინა, შე მოსასპობო, მანდ რას უდგეხარ, რატომ არ ჩამოხვალ, ჩემთან არ იბანავებო...“

„კაცად როდი ჩამაგდო, რა ყელთაწევა გამიმართო!“ — ბურტყუნ-ბურტყუნით გარბოდა ბოღმაატანილი ბიჭი ნაპირ-ნაპირ, მდინარის ჩაყოლებაზე. შურისძიების ცეცხლი თანდათან იპყრობდა და თანგავდა მის შეძრულ არსებას...

გულუბრყვილო თიამულა-გოგო კი ალალად უწვდიდა ხელებს და მოუხმობდა: ჩამოდი, ერთად ვიბანავოთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიამულას ხელის მაძიებელმა ბიჭებმაც მალე გამოიგლოვეს თავიანთი უბედური ამხანაგი და სოფლის შუკაც კვლავინდებურად აჩქამდა და აჭიხვინდა, აყეფდა და აგნიასდა. ის საპატიო მოხუცებიც კვლავ ჩამოსხდნენ ჩიტოლიასა და ქაფქემოს კერიის პირას, კვლავ გამოურჩიეს საბედო თიამულას... არ მინდა ის შავი კაბა. ამ ბანზე, ამ ეზოში ყოფნა, მორევში ცურვა-ტრიალი მირჩევნია, დამაყენეთ, რას გიშავებთო... მაგრამ — „გოგო, რახან შებილბილდება, მერე ცოტა ძალის დატანება და მეტი აღარ უნდა, თავის ნებით დაყაბულდება ბიჭსა...“ — ითქვა და გადაწყდა... საქორწილოდ გამოაწყვეს თიამულა· გაახურეს დაირა და აალუღუნეს ფანდური. სადაც იყო მახარობელი გამოჩნდებოდა და მაშხალები გამოიტანეს გოგო-ბიჭებმა ასანთებად, რომ მაცნე მოვარდა: სასიძო ლაგამუნაგირის გამოსატანად რომ შევიდა თავლაში, იქიდან ცოცხალი აღარ გამობრუნებულა, თავგაპობილი აგდია და ახლაც საკუთარ სისხლში ცურავსო...

თავიდან განმეორდა ყველაფერი, ახლა უფრო მკაცრად მოეკიდნენ ამ უიღბლო გოგოს. ერთი ხმა ისიც გამოვარდა, ნაძრახთან წილნაყარიაო ეს ქალი..

სულ ცოტა ხნით შეწყდა სასიძოების ჯირითი, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია, კვლავ ახმაურდა, სიცოცხლითა და ხალისით აივსო თიამულას ორღობე...

სამჯერ კიდევ დაინიშნა და სადედლოფლოდ გაემზადა თიამულა-გოგო... სამჯერვე იდუმალი მკვლელის ხელმა შეიწირა ის მშვენიერი ვაჟიკაცები.

„ნაძრახი ქალია, ალი და ეშმაკი უზის მუცელში, საქმროებს თვითონ კლავს და უსწორდებაო!“ — საბოლოოდ დაირხა ხმა... ჩამოეხსნენ შეშინებული სასიძოები. თიამულამაც დაისვენა, ხელფეხი გაეხსნა, რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა, როგორც უნდოდა, ისე ჩამოჯდებოდა; ისე დაწვებოდა. ცურვას მოიგუნებებდა? ცურავდა. ხეზე აცოცება სურდა? ხეზე აცოცდებოდა. კენჭობანას გაიხსენებდა? კენჭობანას ეთამაშებოდა პატარა გოგონებს. ერთადერთი, რაც აწუხებდა ეს ამბავიც ახლა შეამჩნია, რომ ნამდვილად წუხდა და ვერ კი აეხსნა, რა იყო ამაში ასეთი შემაწუხებელი, ლომინას ჩრდილი გახლდათ, ნაბიჯი ვერ გადაედგა, ლომინა თან რომ არ ასდევნებოდა ლანდივით.

ერთ დღესაც ყოველმხრივ ბედგადაკეტილ ქალს (ასე ამბობდნენ თიამულას მშობლები) გაპარსულ-გამოკოპწიავებული ლომინა ეახლა: „გამარჯობა, თიამულა!“ — უთხრა და მარჯვენა გაუწოდა ქალს. ისეთი ცივი, გალიპული და ლორწოვანი ხელი ჰქონდა, ეგონა, ლოკოკინა თუ შემომაჩეჩაო და ცოტა დააკლდა, კინაღამ შეჰკივლა გოგომ. სად იყო და სად არა, ეზოში ქაფქემო გამოჩნდა, მეუღლეს ჩიტოლიაც გამოჰყვა, ჩამოსხდნენ ეზოში, ბებერი კაკლის ძირას გამართულ ქვის სკამზე და მიიკითხ-მოიკითხეს ერთმანეთი. ბოლოს, რისთვის გარჯილხარო, ლომინა! — ჩაეძიენ მასპინძლები. ლომინას ბევრი გლეჯა-გრეხა აღარ დაუწყია: „თიამულას ხელი მითხოვია!“ — პირდაპირ ასე გამოუცხადა ქაფქემო და ჩიტოლია ხელოისანებს...

„ამას რას მოვესწარით!“ — თავისთვის გაიფიქრა ქაფქემომ და ჩიტოლიას გადახედა, მეუღლეს ეშმაკური ღიმილი ეხატა პირისახეზე, ქაფქემო დააკვირდა, დააკვირდა ცოლის ღიმილგადაფენილ პირს და უცებ თვითონაც ჭინკებით აევსო თვალები...

— დავსიტყვდეთ, შაბათ საღამოს გელით, სიძე ბატონო! — მხარზე ხელი დაჰკრა ქაფქეფომ და ლომინა ჭიშკარს გადაღმა გადააცილა. ეზოში შემობრუნებული ქაფქემო სინდისის ქენჯნამ შეაწუხა, სინანულმა შეიპყრო, რას ვერჩოდი ამ უბედურს, ის ვიღაცაა ამასაც გაუხეთქავს თავს და საცოდაობას სადღა წაუვალო.

ქაფქემო შებრუნდა, ეზოდან გადასვლა და უკან გამოდევნება გადაწყ-

ვიტა, ყველაფერი ხუმრობაა და მეტი არაფერი, გამოვუტყდებიო, მაგრამ ჩიტოლიამ შეაჩერა:

— მოკლე ჭკუა გაქვს, ქაფქემო, მოკლე ჭკუა! — შუბლზე მიადო ხელი ქალმა. — ჯერ ერთი, მაგ მურთხზე ხელს ვინ შეისვრის, კაცო! მეორეც, თავს თუ წაალციან, სწორედ რომ ახია, არ უნდა იცოდეს თავისი ტოლ-სწორი და შესაფერისი?! მესამეც, ღმერთო, შეგცოდე და, ავი ყურით ნუ გამიგებ, მორჩება და მოისვენებს. რა გასაჩენი მაგი იყო ამ ქვეყანაზე!..

ქაფქემოს იმდენი ჭკუა-გონება სად ჰქონდა, ცოლის ნათქვამს მჩხრეკელი თვალით ჩაჰყოლოდა... ბოლომდე უკრიტიკოდ მიიღო იგი. ამ ერთს კი ვერ დავუკარგავ, ხმადაბლა მაინც ჩაილაპარაკა, თუმცა შეუძლებელია, ჩიტოლიას არ გაეგონა: „რაც უნდა იყოს, ღვთის გაჩენილია, ცოდვაა სასიკვდილოდ!..

აკი გითხარით, შეუძლებელია, არ გაეგონა-მეთქი:

— ის ქენი, ის! — შეუღრინა ჩიტოლიამ, გვერდებში მუჯლუგუნი ჰკრა და ეზოდან სამზადისაკენ გააგდო კაცი...

შაბათიც მალე მოვიდა. ლომინას დაუხვევია ხელი სოფლის უხუცესებისათვის და კარზე ჩამოადგა სასიდედრსასიმამროს.

ქაფქემო და ჩიტოლია ერთი შეხტომა კი შეხტნენ ქანდარაზე, მაგრამ სოფლის უხუცესებმა ტუტუჩზე ხელი დააფარეს, „პირი-პირია, ქვაბის ძირი ხომ არ არის, რაღამც შეჰპირდით, ქალი უნდა მისცეთ, ღმერთის გმობას თავი დაანებეთ, ხომ ხედავთ, სხვა მაინც აღარავინ ჰკიდებს ხელს; ქალის გაუთხოვრობა კი ვის გაუგონია, ადრე თუ გვიან თავისას მაინც იზამს და მთელ სოფელს აგვიმყრალებს, — ხელიდან წავა, კაცო!“ — ეს უკანასკნელი სიტყვები ყურში ჩასჩურჩულეს ქაფქემოს...

ვინ დაუდგებოდა ამ წყალგაუვალ მტკიცებას. თუმცა, ასეთი უხორცო შეხედულებების უკუგდება ჩიტოლიასა და ქაფქემოს ადვილად შეეძლოთ, საბოლოოდ ერთ იმედს რომ არ ჩამოეჭკიდებოდა ცოლ-ქმარი: როგორც ქორწილის დღეს დავთქვამთ, და მთელი ქვეყანა გაიგებს თიამულას წინდავენო, ქორწილს ვინ დააცლის, სულს ნიშნობამდე ამოაძრობენ, ის საბედისწერო ნაჯახი უეჭველად თავისას გააკეთებსო. ამიტომაც იყო, რომ დაესიტყვნენ უხუცესებს — იმ შაბათს ნიშნობა გადავიხადოთ და ქორწილის დღეც ლხინის სუფრაზე გამოვირჩიოთო...

მთელმა კვირამ გამოიარა. დაწინდვის დათქმული ვადაც მალე დადგა, მაგრამ იმ საბედისწერო ნაჯახს ჩამიჩუმი არ გაუღია.

„ალბათ, ჩვეულებრივ, ქორწილის დღეს მოხდება მოსახდენი!“ — იმედს არ ჰკარგავდნენ ქაფქემო და ჩიტოლია ხელოისანები...

საქორწილო ტრიალ-ტრიალიც მალე ატყდა სოფელში. მოახლოვდა ჟამი... ქინქლილები გამოაძვრინეს სოფლის გოგო-ბიჭებმა, ერთბაშად ააბრიალეს და ათასი მაშხალის მოცეკვავე ალის ნათელზე ერთი უშველებელი მხიარული ყიჟინა ავარდა:

— სიძე მოდის, სიძე მოდის!..

ისე ჩაილია ქორწილის ღამე, ქორწილის მეორე დღის სუფრაც ისე გაიკრიბა, ნამცეცობაც ისე ჩატარდა და ჩაიფარცხა, ის საბედისწერო ნაჯახი არავის აღუმართავს სიძებატონის თავზე...

ქაფქემო-ჩიტოლიას ამ უხეირო ხუმრობამ უსურვილო ცოლ-ქმრული რკინის უღელი გამოუჭედა თიამულას და საბოლოოდ დაადგა იმ ბროლის ქედკისერზე.

გაიკრიბნენ მექორწილენი. მოსამსახურეებმა დაამარმარეს, მიალაგ-მოალაგეს იქაურობა. ადგილი მიუჩინეს ჯამჭურჭელს და ათასნაირ წვრილმანს, რისი მილაგება და მიწესრიგება გარეშე კაცის ხელს შეეძლო...

გადაშუაღამებული იყო, როცა ლომინა და თიამულა სრულიად მარტონი, პირისპირ დარჩნენ ოთახში. თიამულამ, აქამც არაფერიო, თითქოს ასი წელიწადი ერთ ჭერქვეშ ნაცხოვრები ცოლქმარი ყოფილიყვნენ, მშვიდად, აუღელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებელი და დაუმორცხვებელი მოძრაობით, ტანზე გაიძრო ის საქორწილო სამოსელი, ზედ პერანგი და მისი ამხანაგი მიაყოლა და როგორც ღმერთმა გააჩინა, ეგრე დედაშობილა შეგორდა საბანქვეშ.

ეს ცოლ-ქმრობაა რა უბედურება ყოფილა, ძალიამ დავიღალე, დღედაღამ გადაბმული ქეიფი და დროსტარება მომეწყინაო! — უთხრა თიამულამ ლომინას, პირი კედლისკენ იბრუნა და ძილის მოლოდინში გაიტრუნა.

ლომინა კარგა ხანს დაბნეული იჯდა, ახლაც მდინარის ნაპირზე. თხმელის ბუჩქში ვზივარო, ასე ეგონა ბიჭს და ნაბიჯის გადადგმას ვერ ახერხებდა. მამლების მეორე ყივილზე ლომინამ თვალები დახუჭა, სკამიდან წამოდგა და როგორც იქნა, გაბედა, „შეცურდა მორევში..."

ერთხანს გასუსული იწვა ლომინა, განძრევას უფრთხოდა, ეკრძალებოდა, ხელის მიცენცებას ვერ უბედავდა. მერე რა ჯანდაბა ეტაკა, არავინ იცის, უცებ იფეთქა და აფთარივით დააცხრა: ბურჯგნიდა, ლოშნიდა, ჩქმეტდა და სწურავდა.

პირველ ძილში წასული გოგო, რაღაც ჯოჯოხეთურ სიზმარს ხედავდა: მთელი დედამიწა — ტყიანა, მთიანა, მდინარიან, მინდვრიანა ერთმანეთში ათქვეფილა, ფაფად ქცეულა და საბრალო გოგოს ფეხებქვეშ მთელი სისწრაფით ბრუნავს და ტრიალებს. ნელ-ნელა ჩაითრია ქალი, იძირება თიამულა, აგერ, მუხლებამდე ჩაიფლო, წელი გულმკერდი, მხრები, ყელ-კისერი... აჰა, სადაც არის, ბაგესაც წაართმევს და საბოლოოდ შეკრავს და ჩაითრევს ქვესკნელში. ამ დროს შიშისაგან დაიყვირა, თვალები გაახილა კიდეც, მაგრამ მისი ხმა ბაგეს ვერ გადმოსცილდა, თიამულას ბაგე ახლა ლომინას ტუჩებს დაეხშო და აყალო მიწასავით ირგვლივ შემოეგოზა. სიმწრის ოფლი დაასხა ქალს, ზემოდან მართლა მაჯლაჯუნა წამოჯდომოდა და ახრჩობდა, ასე მოეჩვენა თიამულას — მაჯლაჯუნა დამხტომია და მოხრჩობას მიპირებსო... რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ხელები ჰკრა, კედლისაკენ მიაგდო ურჩხული. თვითონ ლოგინიდან გადმოვარდა, წამსვე ზეზე წამოფრინდა და გონება მოიკრიბა. ჭრაქის შუქზე ნათლად დაინახა, როგორ წამოდგა ლომინას პირისახიანი ის მაჯლაჯუნა ლოგინიდან და ხელებწამოვარდნილი მისკენ ზლაზვნით გამოემართა. თიამულა შიშით უკან-უკან წავიდა. ის თითებგაფარჩხული მაჯლაჯუნა კვალში ჩაუდგა, მიჰყვება და მიჰყვება. სივრცე დაილია, ზურგით კედელს მიაწყდა, მეტი გზა აღარ არის, მაჯლაჯუნა მოდის, მოდის, მოდის... საცაა ხელს წაუჭერს და წაახრჩობს. ქალი მხრებით აწვება კედელს; კედელი კედლით აწვება ქალს... ის კი მოდის, მოდის, მოდის... წამოიღო შავი, ბანჯგვლიანი თათები, წამიც და, ყელზე შემოეჭდობა, უნდა წაუჭიროს, რომ თიამულამ განსაცვიფრებელი სიმსუბუქე იგრძნო, ხელები აიქნია და ჰაერში ტანმჩატედ აიბიჯა, თითქოს უხილავ კიბის საფეხურებს მიჰყვებოდა, უფრო სწორად ვიღაცის უხილავ ხელებს აჰყავდა ზევით და ზევით... ცოტაც და, ჭერს მიაბჯინა თავი.

ის საცოდავი მაჯლაჯუნა კედლის ძირას გდია და ღმუის, ნამდვილი ღმუილი ამოსდის პირიდან, სიმწრისაგან თმა-წვერს იბდღვნის...

— სანამდე გაძლებ, სანამდე იქნები ჰერში თავარგული, ძირს არ ჩამოხვალ? სად წამიხვალ! — ბურდღუნებს ლომინა-მაჯლაჯუნა.

მამლების მესამე ყივილზე, როცა სულები მიწას სტოვებენ და როცა ოთახში ერთმანეთში შემღვრეული ბნელ-ნათელი დატრიალდა, იგრძნო ქალმა, როგორ გამოეცალა სიმსუბუქე, ტანი თანდათან დაუმძიმდა და ნელა დაცურდა იატაკისაკენ.

საშინელი წამის დადგმის მოლოდინმა ქალს ის მშვენიერი თვალები ჯოჯოხეთური ძალისმფრქვეველ უფსკრუ-

ლებად უქცია. მაგრამ მაჯლაჯუნა ქალის თვალებს ვერ ხედავს, მაჯლაჯუნამ თიამულას ფეხები ამოიღო მიზანში· ძირს დაშვება და, მთელი ძალით ექვეთა გოგოს, ორივე ფეხი გამოაცალა და იატაკზე მოსხეპილივით დაეცა ქალი. ზემოდან გაშმაგებით დააცხრა ლომინა... ქალმა ერთი მწარედ დაიკვნესა, მერე კვნესას ისეთი წივილი ამოაყოლა, ლომინას ძარღვებში სისხლი გაეყინა. ეს ამბავი რაღაც ერთ წუთში მოხდა, მეორე წუთში კი ლომინა ღრიალ-ღრიალით წამოვარდა ზეზე, — მისი გულ-მკერდი, მუცელი და ხელმკლავი სულ სისხლის წვეთებს დაეფარა. ზარდაცემული ლომინა ქალის სამყოფელიდან უკან-უკან წამოვიდა და მანამ არ შეჩერებულა, სანამ ზურგით კედელს არ მიაწყდა. იქიდან ისევ ქალისაკენ გაბრუნდა, ისეთი აკრეფილი ნაბიჯებით მიდიოდა, თითქოს ნემსებით მოგებულ იატაკზე მიაბიჯებს და ძალიან ფრთხილობს, ზედ არ წამოვეგოო...

იქ, სადაც წეღან იატაკზე გართხმული თიამულა იყო, ახლა თიამულას პირისახიანი უშველებელი ბუძგურა ეგდო, წაბლის ბუძგურა..· შიშით შეხდაცემული ლომინა ისევ უკან გავარდა, მთელი ძალით შეასკდა კარს, გაამტვრია და ეზოში ბურთივით გაგორდა...

მზემ კარგა რომ მიიარ-მოიარა სოფელ-ქვეყანა, მაშინ წამოდგა ფეხზე ამდენ ხანს ბალახში უგონოდ ცხვირპირწარგული ლომინა და ოთახში გულის კანკალით შევიდა. სადაც გამთენიისას დატოვა, ისევ იმ ადგილზე ეგდო, მთლიანად წაბლის ბუძგად ქცეული თიამულა! იგი ფრჩხილის სიმაღლე ეკლებში განაბულიყო და არც კვნესოდა, არც ტიროდა, არც არას იტყოდა; ეს იყო, თვალების მაგივრად ქარცეცხლით სავსე უზარმაზარი უფსკრულები უელავდნენ, იმ ქარცეცხლს ლამის ნაპირები გადმოელახა და ნაცარტუტად ექცია ეს მაჯლაჯუნა ლომინა...

ორი დღე და ღამე ასე უენოდ ეგდო თიამულა, მესამე დღეს გაუსაძლისი ტკივილები დაეწყო და ეკლებმაც იწყეს რაკუნ-რაკუნით იატაკზე ჩამოცვენა. საღამოს პირზე ისევ ისე დედაშობილა წამოდგა იატაკიდან ქალი და კვნესა-კვნესით ლოგინში შეწვა. მთელი მისი მშვენიერი ტანი ახლა ამოლურჯებულ წყლულებს დაეფარა. ლომინამ, ბოლოს და ბოლოს, ერთი საზრიანი ნაბიჯი გადადგა, — თეკლა ექიმბაშს მიადგა და მალამო გამოსთხოვა·

— შენც დაგჭირდა, არა? ჩემი მალამო, განა ყველაფერს უხდება, ბიჭო! — რაღაც ეშმაკურად ჩაიცინა ფამფალა ტუჩ-კბილში თეკლამ და მალამო ხელში შეაჩეჩა თაფლობის თვეში ახლად ფეხშედგმულ მეზობელს. ლომინამ გულმოდგინედ დაუზილა ნატკენი ადგილები, მალამო წასცხო მხრებზე, გულ-მკერდზე, ზურგზე, მუცელზე, წვივსა და ბარკალზე... მერე შემობრუნდა, ხელები წაიბანა და დასწყევლოს ეშმაკი, საიდან გაიხსენა, ის ერთი უკუღმართი ქართული ანდაზა: „ავადმყოფი ლოგინზეო...“ რაღას გააწყობდა სამი დღის უსმელ-უჭმელობითა და წყლულებით გასავათებული, ფარჯავშანჩამოხსნილი თიამულა...

ერთი კვირის თავზე მთლიანად მოურჩა და მოუშუშდა კან-ხორცი თიამულას, ამასობაში ლომინა კარგად გამოიწაფა და როცა კვლავ წოლა მოუნდომა, ქალი ლოგინიდან გადმოუფრინდა..· გამოუდგა ლომინა, უნდა მიემწყვდია კედელთან, რომ თიამულა ჭერისაკენ წავიდა, ზევით-ზევით ამაღლდა. იმ ღამესაც ბევრი იბღავლა, თმა-წვერი იბდღვნა და იგლიჯა ლომინამ. ბოლოს დაწყნარდა:

— ჭერში ხომ ვერ აძვრები, უძილოდაც სანამ გაძლებ, მაგასაც დავინახავ! — ასძახა ქვემოდან ქალს, სკამი გამოიჩოჩა, კედელთან მიდგა და ზედ ჩამოჯდა...

ნახევრად მძინარე, უფრო სწორად, ძილ-ღვიძილის ზღვარზე გარჩენილი თიამულა, ზემოდან გადმოჰყურებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მოუშორებელ ჭირს და ვერაფრით მიმხვდარიყო, ეს რა ამბები ტრიალებდა მის თავზე, ან რას ემართლებოდა და სთხოვდა ასე გამძვინვარებული ლომინა-მაჯლაჯუნა (ეს უკვე ჩემი სიტყვებია). გამთენიისას, როცა სულეთის კარი იკეტება და ბნელი ნათელს უთმობს ასპარეზს, ტანის სიმძიმემ შეაწუხა და კვლავ იატაკისაკენ დაცურდა ქალი.

განმეორდა იმ პირველი ღამის სურათი. ქვეშ მოიგდო თუ არა თიამულა, სისხლით წითლად შეღებილი ლომინა, დამდუღრულივით უცებ წამოიჭრა ზეზე. ქალს ისევ ეკლები გამოაყარა. სამი დღის შემდეგ კვლავ ტკივილები აუვარდა თიამულას და ის ბუძგურაც ჩამოიფერთხა ძირს. მალამოს მოსატანად შორს წასვლა როდი სჭირდებოდა ლომინას, უცებ გადაირბინა საბიჯელა, თეკლეს ჭიშკარში თავი შეჰყო და თეკლემაც სამზადიდან გამოსძახა:

— ეი, ხეპრე! არ მითხრა, კიდევ მალამო მჭირდებაო... ურმის ღერძს ხომ არ აპოხვინებ, რა ბაბასილი დაგემართა...

მცირე ხანს იბურბუტა ოთახში, მერე თავშლის ყური აიჩარდახა და ზღურბლთან მოდგა:

— რა გაუჭრელი ნესვი გამოდგა ეგ შენი დედოფალი, ა!

ლომინა უმწეოდ გაიღიმა.

„გამოუქნელი მოზვერი!" — ექიმბაშმა მალამო გაუწოდა: — ფრთხილად უნდა იხმარო, ბიჭო!

— დიახ, ბატონო! — ნათქვამი დაბლა არ დაუშვა ლომინამ, ცოტა ხანს სამადლობელ სიტყვას ეძებდა, რომ ვეღარ იპოვა, დათვის ანგალა თვალები ერთბაშად აუწრიალდა, „მაცდური, ევას თესლი!" — გაიფიქრა და სახლისაკენ უბოდიშოდ მოკურცხლა. თიამულას წყლულები რომ დაუამა, ის ერთი საქმეც გაპირა — წადილი მოიკლა...

ამ ზერე-ქვერედ მყოფობაში გაილია წელიწადი. თიამულასა და ლომინას ბაბილო შეეძინათ. მიუხედავად ამისა, იმ პირველი და მეორე ღამის სუსხმიცემული სურათი კვლავაც შესაშური სიზუსტით მეორდებოდა მთელი ოთხი წლის განმავლობაში... როგორც ჩანს, სულიწუტვის ამნაირ დროს წამოსცდა თიამულას:

„განა ღირდა? ასეთი ორი დღისათვის მოსვლა, უფალო!"

ერთ ღამესაც, როცა ოქტომბრის ქათქათა მთვარე ნათელს ჰფენდა და ასპეტაკებდა ყოველივეს, ლომინას მარწუხებს გამორიდებული თიამულა ფანჯარაში შემოჭრილ მთვარის სხივს ჩაეჭიდა და ისე მსუბუქად გასრიალდა დახუთული ჭერქვეშეთიდან სივრცეში, მივხვდი, იგი აღარასოდეს დაბრუნდებოდა უკან...

ლომინა კარებს ეცა, ეზოში ჩავარდა, ჰაერში აჭრას და გამოდევნებას ლამობდა ისიც, მაგრამ, ტანი რომ ვერ აიტანა, თავ-კისერი ბებერი ხის ფესვივით დაეგრიხა, საპნის ქაფივით მშრალი დუჟი გადმოეშალა და მომუშტული ხელები აჰყარა ცაში. მერე, თითქოს, ბალახია და უხილავმა მთიბავმა გამოჰკრა ცელიო, ძირს გაიშხლართა, ფრჩხილებით მიწას ჩააფრინდა და პატარა მხეცის ამაზრზენი ღმუილი ამოაგდო პირიდან.

თიამულა, ვითომ ფრინველი იყო, სოფლის თავზე წრეს წრეზე ჰკრავდა, ტრიალ-ტრიალით, ნელ-ნელა მაღლდებოდა ვარსკვლავებისაკენ.

როდის-როდის ლომინა ზურგზე გადმობრუნდა, ცას უღონოდ შეაშტერდა, თვალებზე ორი წვეთი სისხლი გადმოეკიდა და, თითქოს, მთელი ქვეყნიერების სიბეჩავის უზარმაზარი ორმო მისი გულიდან იღებდა სათავეს, ეს სიტყვები ამოღირთნა:

„საით მიფრინავ, თიამულა; საით მიფრინავ, გოგო!"

ეჭვგარეშეა, ლომინამ დაინახა, ნამდვილად დაინახა: თიამულას ხუთი მშვენიერი ვაჟკაცის ხუთი ღონიერი მარჯვენა შემოსალტვოდა წელზე და

ის ძალა იყო, მნათობებში სხეტიალოდ ლაღად რომ მიაფრიალებდა ქალს.

ძირს კი, როცა ცის ნაპირი დაიძრა, როცა ჩიტებმა საგანთიადო ჟივ-ჟივი გააზურეს, როცა მზემ თვალი დააბჯინა დედამიწას და ძილით გულმოჯერებული პატარა ბაბილო ჭანიაში გამოვიდა, დედა აღარსად ჩანდა.

გამწარებული ბავშვის ტირილმა გარეთ გამოშალა ახლო-მახლო მეზობლები. საშველი რომ აღარ დაადგა, გოგო კი არ ჩუმდებოდა, უფრო და უფრო უმატებდა ზარს, ჭიშკარი შემოაღეს. კაცის ყურით გაუგონარი და კაცის თვალით აქამდე უხილავი სურათი დაინახეს:

ეზოში პირქვე დამხობილი ლომინა ეგდო. მისი თავი მხრებს მოშორებოდა, აქეთ-იქით, შორიახლო, ბეჭის ფრთებს მოწყვეტილი ლომინას მკლავები ეყარა; ორივე ფეხებიც მენჯის ძვლებიდან ამოერთმია იმ გაუგონარ ძალას... ხოლო ყველაზე გამაოგნებელი და ზარდამცემი ის იყო, რომ ტანიდან მშრალად მოგლეჯილი სხეულის ამ ხუთი ნაწილის გასწვრივ წიფლის ტარებზე სისხლგადამხმარი, პირჟანგიანი ხუთი ნაჯახი ეგდო...

**33.** „1941 წლის 22 ივნისს...“ — სოფლის შედედებული სიჩუმე გაჰკვეთა საბჭოთა ქვეყნის დიდი მეთაურის რადიოდან გადმოვარდნილმა ხმამ და ბაბილოს ეკლებსაც შეუდგა წყალი, პირწმინდად ჩამოიფანტა და ჩამოცვივდა იატაკზე. ის ხმა კი აგორებული დოლაბივით გადი-გამოდიოდა ქვეყნის ოთხივე მხარის გარდიგარდმო და შეუბრალებლად ხერხავდა სოფლის თავზე ჩამომხობილ მშვიდობის იდილიურ თავსარქმელს.

დოლაბი გორავს... გორავს... გორავს... ტანზე იკრავს და დასავლეთისაკენ მიითრევს ჭაბუკებს, ქალიშვილებს; ჭაბუკებს, ქალიშვილებს; ვისაც ხელში იარაღის დაჭერა შეუძლია, ვისაც სამშობლო-ქვეყნის სიყვარული თბილ ლეიბ-საბანში კოტრიალს უკრძალავს...

— ნიკოლოზს არ მიჰყავდა საომარო ოჯახიდან, შენ ვინ გაგიწვევდა, ბიჭო! ნუ მღუპავ და ნუ მიდიხარ, შვილო, — ფეხქვეშ ეგებოდა ბაბილო.

— მაშინ სხვა დრო იყო, ბებო, ახლა სხვა დროა, ხომ ხედავ, მტერი აგერ, ჩვენ ჭიშკართან მოვიდა... რა საომიროზე ლაპარაკობ, ძირიან-ფესვიანად მოღლეტას გვიპირებენ... ბაბუ, უთხარი რამე, — ახლა ლევანას მოუხმო მშველელად ბატამ.

— მაგას რაც არ უნდა, რომ გაიგონოს, შვილო, მე და შენ შევასმენთ?!.. ნუ შეაღონე, ბაბილინე, ეს ბიჭი, — მიუტრიალდა ლევანა ბაბილოს, — ხვალ გასამგზავრებელია და, ვინ იცის, როდის ვნახავთ კიდევ...

გვიან, როცა სოფელს ერთი ძილი გამოძინებული ექნებოდა, ბატამ კედლის იქიდან საწოლის ჭრიალი და ბებრული კრუსუნი გაიგონა.

— ბებია! — ხმადაბლა დაიძახა ბატამ.

ეტყობოდა, ბაბილოს თვალებს ძილი არ მიჰკარებოდა იმ ღამით.

— რა იყო, შვილო! — გადმოსძახა კედლის მეორე მხრიდან.

— დავწვები, ბებია, შენთან, ა!

— შენ შემოგევლოს, ბებია, ჩემი თავი, მოდი, შვილო! — თვალზე ცრემლი მოადგა ბაბილოს.

ლევანას ყველაფერი ესმოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა, თითქოს ღრმა ძილში ვარ და არაფერი მეყურებაო. არადა, ლამის ბოღმას დაეხრჩო კაცი.

ბატა ფეხაკრეფით შევიდა ბაბილოსა და ლევანას საძინებელ ოთახში, საბანს ყური აუწია და ბებიას ფეხებში შეუგორდა.

— შენ მოგიკვდეს, შვილო, შენი ბებია! — ბუტბუტებდა ქალი და ბატას შხვართალა ფეხებს გულში იკრავდა და იხუტებდა. ბატამაც ორივე ხელი შემოხვია ბაბილოს ძალაგამოლეულ, კანაფის ღერივით გამსუბუქებულ მუხლებს და ძილის მოლოდინში გაისუსა ბიჭი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ღამე, არც თუთიას თვალებზე ღამობდა, ქალს რული არ გაჰკარებია... „მიდიხარ, ხომ, ბატა? შენი თუთი-გოგოს მხოლოდ ხორცი რჩება ამ სოფელში, ჩემი სული ახლაც შენთან არის, იქაც შენთან იქნება და თუ ღმერთი გაწყრა, ცა თუ ჩამომენგრა თავზე, იმ საუკუნო ბნელშიც შენთან ვიქნები, ბიჭო!“ — თითქოს გვერდში უწვა და ფიცის სიტყვებს ეუბნებოდა ბიჭს, ისე ჩურჩულებდა შეყვარებული გოგო და ბალიშს მდუღარე ცრემლებით ასველებდა...

ბევრი ეხვეწა რაიონის კომისარს ჯუმბერა, მეც წამიყვანეთ, კოჭლი ვარ, თორემ თვალში არაფერი მიზეზი არა მაქვს, ბრუციანი ხომ არ გგონივართ, ტოლ-სწორებში ნუ გამომწყვიტავთო, მაგრამ ამაოდ, მთელი დღის მუდარით არაფერი გამოვიდა. გულმოკლული დაბრუნდა შინ. ახლა არც იმას სძინავს, ლოგინში ცალგვერდზე წევს და ფიქრობს: „ბატა მიდის, ირაკლი მიდის, რაჟდენა მიდის, ბახვა მიდის, კალისტრატე მიდის, გრიგოლი მიდის, კოწია მიდის...“ ორასი კაცი მაინც დათვალა ჯუმბერამ და აღარ იცოდა, რა ექნა, — „რომელ ერთს შეუძლია ჩემზე უკეთ სირბილი, ამ ბებრებსა და ქალებში რა უნდა ვაკეთო!..“ — გული უკვნესოდა ბიჭს და ბატას შენატროდა: „სახელს დაიგდებს, ჩამოვა ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული, თუთიაც შუშა კიტრივით შენახული დახვდება და ღმერთმა ბედნიერი ქნას, ასეთ ქორწილსაც მადლი ექნება... გავიპარები, ბატა რომ წერილს მოიწერს, უეჭველად მაშინ ვიზამ ამ საქმეს!“ — გადაწყვიტა ბიჭმა და ძილმა წაართვა თავი...

როგორც იქნა, ეს გრძელი ღამეც გათენდა. შუადღემ რომ ფეხი მოიდგა, ახალწვეული ბიჭები ორმწკრივად განლაგდნენ, ზურგჩანთები მხრებზე მოირგეს და მთავარ გზამდე ფეხით ჩავიდნენ, მთელი სოფელი სიმღერ-სიმღერით მოჰყვებოდა და მოაცილებდა.

ბაბილოს თალხი სამოსი გამოეცვალა, მოთეთრო-მონაცრისფრო, ლურჯიაო, ამასაც რომ იტყოდა კაცი, ისეთი ქსოვილის თხელი კაბა შეეკერა, თავზეც ტანისამოსის შესაფერისი, დაწინწკლული ჩიქილა წამოეხურა. გაოცებული შეჰყურებდა ყველა, ამფერად ჩაცმულ-დახურულ ბაბილოს. ვერაფრით ვერ ჰგუობდა სოფლის თვალი. ლევანამაც დაინახა, დილაბნელზე გახურებულ თონეში როგორ ჩაყარა ის სამგლოვიარო ჭინჭები და ეგრე მორთული გამოვიდა ქალი, საყვედურის სიტყვა უნდა ეთქვა, მაგრამ კიდევ კარგი, ენას კბილი დააჭირა. მალე მიხვდა ბაბილოს ამ ფერისცვალების მიზეზს და გულში დაუმადლა ქალს, თალხებში ჩამჯდარი წინდამხვდური ვის გაუგიაო...

მთავარ გზასთან, ღვინისღელე რომ უერთდება დედა მდინარეს, სატვირთო მანქანები დახვდათ, იქვე ხაკისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი რამდენიმე სამხედრო კაცი ტრიალებდა... „აბა, ჩქარა!“, „აბა, მარდად!“ „ცოცხლად, ბიჭებო, ცოცხლად!“ — იძლეოდნენ ნაწყვეტ-ნაწყვეტა ბრძანებებს ისინი.

ბატამ ჯუმბერა გაიხმო გვერდზე, რა უთხრა და რა ილაპარაკეს, იმ ორმა იცის მხოლოდ, მე ბოლო სიტყვებზე წავკარი ყური: „აბა, შენ იცი, თუთიას შენ გაბარებ, ბიჭო!“ — დაიპირა ჯუმბერა და ერთმანეთს გადაეხვივნენ. მერე ლევანას ჩაეხუტა. თუთიას ხელი ჩამოართვა, ჩვეულებრივზე დიდხანს ეჭირა გოგოს აკანკალებული ხელი ბატას, არც ქალი ცდილობდა ამ წუთის შემოკლებას, თითქოს და ბატას ხელში აპირებდა თავის ლამაზი ხელის ჩატოვებას. სულ ბოლოს მანქანისაკენ მიბრუნებულ ბატას ბაბილომ შემოხვია მკლავები, სამჯერ გადაკოცნა ბიჭი, სამგზის დალოცა...

— როგორც სალსალამათს გიშვებ, ასე სალსალამათი დამიბრუნდები, ბიჭო! შიში არ გაიტარო გულში, ღმერთს შევყური ორსავე ხელს და შენ ჩამოსვლამდე ვილოცებ, რომ შენი თავი გა-

დამირჩეს, შვილო!.. — ხელები ბეჭებზე მოჰკიდა ბაბილომ, ბიჭს თვალებში შეაჩერდა და კვლავ გაუმეორა: — არაფრის შიში არ გქონდეს, როგორც საღსალამათს გიშვებ, ასეთივე საღსალამათი დამიბრუნდები უკან!..

— გიორგობიანი, გვაგვიანებ! — დაიძახა ვიღაცამ.

ბატა ადგილიდან მოწყდა, ზურგჩანთა აძრულ მანქანაზე აისროლა და თვითონაც ერთი ნახტომით ძარაზე ავარდა.

ფარდს ხელი ჩასჭიდა და თავისიანებისაკენ გამოიხედა: ბაბილო ისე ხელებგამოწვდილი იდგა, თითქოს ახლაც ბატას ბეჭისთავებზე ეწყო ხელის მტევნები და მისი ბაცი სამოსი, მთვარის ნაზი შუქივით, ოდნავ გადიგამოდიოდა ნიავის შეხებაზე; ცოტა მოშორებით თუთია იდგა ბროლის სვეტივით, მხოლოდ მისი წაბლისყვავილა თმა მისდევდა ბატას და ლამის მანქანიდან ჩამოეღო ბიჭი; უფრო იქით გულზე ხელებგადაჭდობილი ლევანა მისჩერებოდა დასავლეთისაკენ მიმქროლავ შვილიშვილს; სულ ბოლოს, ჯუმბერა იქნევდა ხელებს, ჯუმბერას უკან კი მთელი სოფელი იდგა და მთელი სოფლის ხელების ტყე ირწეოდა ჰაერში...

ასეთივე თანმიმდევრობით ჩარჩა ბატას ხსოვნაში მთვარის სხივივით ნაზი და ნათელი ბებია და მისი გამოწვდილი, თითქოს მავედრებელი ხელები; მარმარილოს ქანდაკად დამდგარი თუთია და ქარს აყოლილი, ბატას კვალს გამოდევნებული მისი თმა, მშვიდად გულხელდაკრეფილი ლევანა და ცისკენ ხელებშესროლილი ჯუმბერა...

ამ ოთხი ადამიანის ხატება ყოველთვის თან სდევდა ბატას, ჭირს უადვილებდა, გზას უნათებდა, სიცოცხლისაკენ აქეზებდა, სიყვარულისკენ უხმობდა....

პირველი სამი თვის განმავლობაში თითქმის კვირაში ერთხელ ღებულობდა გიორგობიანების ოჯახი ბატას წერილს, შემდეგ თანდათან უკლო, უკლო და ერთი წლის თავზე ის კი მოიწყვიტა: „კარგად ვარ, ვურტყამთ და ვურტყამთ, მტერს, კუდით ქვა ვასროლინეთ, კვალში მივყვებით და მივერეკებით“. მერე კი ერთი ნაწიწვი ქაღალდი რაა, ისიც არ მოსულა, არც ავის მაცნე, არც კარგის შემატყობარი. მეორე წელიწადი, მესამეც მიიწურა, მაინც არაფერი ისმოდა. ბაბილო არ წუხდა-მეთქი, ვერ ვიტყვი, „ჩემი ბიჭი ცოცხალია, როგორც შენ გიყურებ, ლევანა რომ ხარ, ასე მჯერა ეგ ამბავი!“, — ანუგეშებდა დარდით გალახულ ლევანას და განა ეს ბერიკაცისათვის გამომცხვარი ცარიელა ნუგეშის სიტყვები იყო?! არა, ბაბილოს ნამდვილად ასე სწამდა და სჯეროდა. თუ გავიხსენებთ იმ რკინის ეკლების ამბავს, მაშინ ჩვენც უნდა ვიწამოთ ბატას ბებიას სიტყვებისა.

ამ სამ წელიწადს შიგნით კი ბევრი ისეთი რამე მოხდა სოფელში, ვფიქრობ, გვერდის ავლა და მისი განზე დატოვება, ვერაფერიშვილი ნაბიჯი იქნებოდა.

პირველი, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სოფელში და ლევანას მეხივით დაატყდა თავზე, ის იყო, რომ ბატას ომში წასვლიდან სამი თვის თავზე, თუთიამ და ჯუმბერამ საბჭოში ხელი მოაწერეს, ხოლო ექვსი თვის შემდეგ ბიჭი შეეძინათ და სახელად ლევანა დაარქვეს. „ლევან ჯუმბერის ძე გიორგობიანი,“ ასე გაატარეს იგი სასოფლო საბჭოს წიგნში...

ის ჰოგრიტი ხელმოუკიდებლად კვლავ იმ ადგილზე ეყუდა, ისევე სათიბებზე დამიზნებული, სადაც უკანასკნელად ბატამ დატოვა. წავიდოდა ლევანა, წამით ჩამოჯდებოდა დარუხანას იმ მესამე თვალთან და ჩახედვა რად უნდოდა... ისკუპა ბატამ და კაბის ბოლოზე წაატანა ხელი თუთიას.. „არა, არაფერი მესმის ამ ამბისა, — იტყოდა ლევანა და განაგრძობდა ფიქრს, — ბიჭი ნამდვილად ბატასი არის, წყალი არ გაუვა, ლევანაც რომ დაარქვეს ამ მამაძაღლებმა, დამცინიან, თუ?! რა მოხდა, ჯუმბერას როგორ

მოუვიდა, ერთად გაიზარდნენ, ერთი ბაბუის შვილები არიან, საბჭოში რომ არ გატარებულიყვნენ, კიდევ გავბედავდი, ვკითხავდი რამეს, ახლა რომელს რა უნდა მოსთხოვო, კანონიერი ცოლი და ქმარია".

ლევანა გონიერი კაცი იყო და ხვდებოდა, რაღაც მთლად წაღმართი რომ არ სჭირდა თუთიასა და ჯუმბერას ცოლქმრობას. მაგრამ, სახელდობრ, რით გამოიხატებოდა ამ ქორწინების უკუღმართობა, თუ არ ჩავთვლით ექვსთვიანი ბავშვის დაბადებას, სხვა რამე ხელჩასაჭიდი საბუთი არა გააჩნდა რა...

ყველაფერი კი ასე დაიწყო...

წყაროსთან თუთია ზის, ფეხებზე შალის სქელი წინდები აცვია, მხრებზეც შინ ნაქსოვი ღაზლი წამოუხურავს, კოკა სავსეა წყლით და წყალი არამად იღვრება კოკიდან. ქალი თავის სადარდებელს მისცემია და კოკის კი არა, ქვეყნის არსებობა აღარ ახსოვს... ამ დროს, სად იყო და სად არა, დაბარებულივით, ჯუმბერა ჩამოჩორიკდა, თუნგი ეჭირა ხელში.

ჯუმბერა: გამარჯობა, თუთია!

— გაგიმარჯოს, ჯუმბერა!

ჯუმბერა: როგორა ხარ, გოგო, თუთია!

— მტერი გეყოლა ისე, მე რომ დღეში ვარ ახლა, ჯუმბერა!

ქალს აშკარად ეტყობოდა ტანჯვისა და მწუხარების კვალი. ალბათ ბატაზე დარდობსო, გაიფიქრა ბიჭმა, მხარზე ხელი მოუთათუნა გოგოს და უთხრა:

— ნუ გეშინია, თუთია, მალე დამთავრდება ომი, მალე ჩამოვა ბატა და ჯვარს გიფსკვნით საბჭოში, კომკავშირელები რომ არ ვიყოთ, ეკლესიასაც რა უჭირდა, მთელი საქართველო აქამდე სულ ეკლესიაში იფსკვნიდა ჯვარს...

თუთია: ნეტავი შენ, ჯუმბერა, სულ ხუმრობისაკენ რომ გიხტის ენა; ბატა რომ ჩამოვა, მე ცოცხალი აღარ ვიქნები, ბიჭო!

— ხო, ხო, ხო, სიყვარულით მკვდარი მე არავინ მინახავს, რაღა ეს ხატივით გოგო უნდა დაგმარხოს, ვითომ შენი ქინი სჭირს?! რა დაუშავე ა[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუთია: სწორედ რომ დავუშავე, ჯუმბერა, და, სიკვდილის მეტი არაფერი მიხსნის...

— შენ იცი და ჩემმა თუთიამო, ასე დამიბარა ბატამ! ჰოდა, რა ვიცით მე და ბატას თუთიამ, აბა, პირდაპირ მითხარი, რა მოხდა, სახლიდან გაგდებენ თუ წყაროზე ჩამოსვლა გეზარება და იმასა სწუხარ?! — დაცინვის კილო შეეპარა ჯუმბერას ხმას, არადა, მართლა გულით უნდოდა შეეტყო თუთიას წუხილის ამბავი, უნებურად კი ასეთი კილო გამოჰყვა.

თუთია: შენ მართლა გინდა, გაიგო, რა დღეშიც მე ვარ, თუ ისე მეკითხები, მასხრად მიგდებ და მაქილიკებ.

— თუთი, თუთი, არა გრცხვენია, გოგო! — ლოყებზე ხელი მოუთათუნა გოგოს და თითები ცხელმა ცრემლებმა დაუსველა ჯუმბერას.

— ნუ, გოგო, ნუ, თუთი, აგერ არა ვარ მე, შენი ჯუმბერა? რა მოხდა, რა გიჭირს მითხარი, შენი გულისთვის კაცს მოვკლ... არა, კაცს დავჭრი, თუთი, მოსაკლავად ცოდვაა, — უცებ გადააკეთა ჯუმბერამ და თუთიას გაეღიმა.

— ე, მაგრე, გოგო, როგორ გიხდება გაცინება, სახლში თუ არ გაქვს სარკე, ა, ღელე და აქ მაინც ჩაიხედე, ჩემი თუ არ გჯერა! — კვლავ აქილიკდა ჯუმბერა და ისევ სევდის ჩრდილი გადაეფინა თუთიას პირისახეს.

ჯუმბერამ შეატყო, მოიწყინაო ქალმა და ახლა ეს უთხრა:

— თუთი! შენ თუ არაფერს მეტყვი, ჩემი გამოხოხორიკებული თავის ამბავი ხომ იცი, რა ჩამხვდომი და გულთმეცნიერიც მე ვარ... ისე რას გავიგებ, გოგო, თუ გინდა, რამე გიწამლო, ავადმყოფობა უნდა ვიცოდე, აბა, სხვაფრივ რა მოგიხერხო, მითხარი!..

— აკი ვთქვი, სიკვდილის მეტი არაფერი მიხსნის-მეთქი! — თუთიამ თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უნებურად მუცელზე ხელი დაიდო. ჯუმბერას გულმა რეჩხი უყო, თითქოს რაღაცას ჩახვდა ბიჭი, მაგრამ შეშინდა, ვაითუ, მაინცდამაინც ყველაზე ცუდი ვიფიქრეო და ენას კბილები დააჭირა, იქნება თვითონ მითხრასო გოგომ.

— სახლში აღარ მიმესვლება, ჯუმბერა! დღეს იქნება თუ ხვალე, გაიგება ეს ამბავი, — თუთიამ ისევ მუცელზე დაიდო ხელი, — ბუში გააჩინაო. ჩემს თავს როდი დავეძებ, ჩვენები მეცოდებიან, გარეთ გამოსაჩენი პირი არ ექნებათ. ამ სირცხვილს ვერ გადაიტანენ; ლევანას რომ მივადგე და გამოვუტყდე, ჯერ ერთი, როგორ გავუბედო და რომც გავუბედო, დამიჯერებს? შემინდობს? თუმცა, ვთქვათ და, მაპატიოს, მიმიღოს, სოფელს მაინც ვერსად გავექცევი, სოფელი არ შემიწყნარებს. ყველას ჩემზე ექნება თითი მოშვერილი; დავუშვათ და, მეც გავისქელე შუბლის კანი და გავუძელ სოფლის ფურთხსა და ყვედრებას, ამ ბავშვს ხომ სამუდამოდ გაჰყვება ნაბუშარის სახელი... არ მინდოდა, ბიჭო, სიკვდილი; ბატას ჩამოსვლას მინდოდა მოვსწრებოდი, ჯუმბერა! — ხმადაბლა აქვითინდა თუთია და ღვარ-ღვარა გადმოუდუღდა ცრემლები...

ჯუმბერამ არც ის იცოდა, რა ეთქვა, არც ის იცოდა, თავად რა გზას დასდგომოდა, რა გამოსავალი მოეძებნა. იდგა ბიჭი გაოგნებული და ფიქრობდა თუ არ ფიქრობდა, ამ წუთში რაიმეს ვერც მე გეტყვით და მისთვისაც რომ გეკითხათ, ალბათ ვერც ის გიპასუხებდათ...

იცოდა ჯუმბერამ სოფლის ამბავი, თუთიას, მართლაც არ შეიძლებოდა, ამ შემთხვევაში, სოფლის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა; არც მშობლები აპატიებდნენ „ღობის ძირში კოტრიალს..." არა, არც ბაბილო და ლევანა შეიწყნარებდნენ, თუმცა მთელი სოფლის მარაქაში ლევანას გარევა, რატომღაც არც მე მინდოდა და ჯუმბერასაც ეძნელებოდა, მაგრამ „რაც არ უნდა იყოს, მაინც ძველი კაცია!" — და[illegible] ერთად, მე აქეთ — ჩემთვის, ჯუმბერამ იქით — მისთვის... თუთია ტირის, ტირის ცრემლებად დნება გოგო.

უცებ ჯუმბერამ გოგოს ხელებზე ხელები მოჰკიდა:

— გამიგონე, თუთი! ხომ გჯერა ჩემი და ბატას ძმობისა, ხომ გჯერა შენი ჯუმბერას გულისა, ხომ გჯერა-მეთქი, თუთი! — ეს ისეთი ხმით უთხრა ბიჭმა, მიხვდა გოგო, პასუხი უნდა მიეცა.

— მჯერა, ჯუმბერა! ჩემი გულივით მჯერა, — დაუდასტურა გოგომ!

ყველაზე დიდი უბედურება მაინც ის არის, კაცს რომ იმედის მიცემა დასჭირდება, იმედის სიტყვა რომ უნდა უთხრა; არადა, ძალიან კარგად იცი, ამ დროს ხსნა და საშველი არსაიდან არის, იტყუილები კი მაინც, სინამდვილეს აფერადებ და გულსგარე ამბობ: — დამშვიდდი, კაცო! ყველაფერი მოგვარდება, ყველაფერი რჯულზე მოეწყობა.

რა მაგია აქვს ამ ჟანგიან, ამ დაობებულ სიტყვებს! იგი მშვიდდება, შენ კი სიცრუესთან პირისპირ რჩები...

„გრცხვენია?!" არა, არ გრცხვენია.

„გშურს!" არა, არ გშურს.

„გეშინია?!" შიში რა მოსატანია, მაგრამ მაინც ფიქრობ, ვაითუ გამოუვარდა სვეტი, — ჩემზედაც ტყუილის ცოდვა ჩამოიქცეს და ყოვლის მომწყვლელი სიცრუით დამიბნელოს თვალი, დამივსოს ყურ-სასმენელი, დააწვეს გულსა და გონებას, დამთრგუნოს განაჩენით: — „სიცრუისათვის... სიცრუის წილ... სიცრუითვე გარდაგხდების აწ და მარადის!.."

თვალშეუდგამო!

შეუბრალებელი ხარ შენს დიად სიბრალულში;

შეუგრძნობელი ხარ შენს ყოვლის მომცველობაში;

უბადრუკობა და სიღატაკე მოდის შენი უჰკნობი სიქველიდან;

სისუსტე მოდის შენი მომსვრელი სიმაღლიდან.

სიცრუე მოდის შენი დიადი სიმართლიდან; ცეცხლი და რღვევა, ფერფლი და მტვერი — შენი უგონო სიმრთელიდან;

და მაინც, შეუცნობელი ხარ შენს დიად სინათლეში...

თვალშეუდგამო! რისთვის-მეთქი, ყოველივე რისკენ მიელტვის?

34. ანდრო ლაშაური, მაშინდელი სოფსაბჭოს თავმჯდომარე, ადგა და ბრძოლის ველზე გაჰყვა ბიჭებს. ვინ უშვებდა, მაგრამ „ქვეყანას უჭირს, მთელი სოფელი ომში წავიდა, მე აქ რა გამაჩერებს!" — თავი მოიკლა და ნათქვამი მაინც გაიტანა.

პირველი შავი ქაღალდი ომის დაწყებიდან ექვსი თვის შემდეგ გამოჩნდა სოფელში და იგი ანდრო ლაშაურის სახელით და გვარით მოვიდა. „გმირულად დაიღუპა", იტყობინებოდა ის ნამლევა ქაღალდი. იქედან მოკიდებული, ათას ცხრაას ორმოცდახუთ წლამდე, ას ოთხმოცდაცხრამეტი შავი ფოთოლი გამოისხა სოფლის შუაგულში ცრემლისა და სიმწარის, სისხლისა და შიმშილის, სიკვდილისა და არდაბრუნების ფესვებზე ამოზრდილმა შავბნელმა მცენარემ — ომის ხუთწლიანმა ხემ...

ანდროს მაგივრად ბარაბა ლიხაურს ჩააბარეს სოფსაბჭო და მთელი სოფლის ბედ-იღბალიც. ეს ის ბარაბა იყო, დღე-დღეზე ომში წასაყვანად გამზადებულ თავის ორ ვაჟიშვილს რომ მოძღვრავდა: „დამიჯერეთ, შვილებო! მე არაფერში მოვტყუილდები, თქვენი ხელმეორედ ჩამოტოვება უკვე ჩემს ძალ-ღონეს აღემატება... საცაა ხელს წაგავლებენ და თქვენც იქით წახვალთ, საითაც ორასი ჩვენებური წავიდა და მათი სასიკეთო ამბავი აღარაფერი ისმის... შენ ფეხი უნდა გაიხმო, პარმენ! — ეუბნება თავის უფროს ვაჟიშვილს, — კოჭში ძუას გაიყრი და ერთ კვირაში მზად იქნები; შენ კიდევ,, პიმენ, ხელი უნდა ჩამოიკიდო ყელზე, არ შეგეშალოს, მარცხენა ხელი ჩამოიკიდე, ისეთი წამალი ვიცი, სამ დღეში ნემსივით გაგიწვრილებს მკლავსა და მაჯას... სამაგიეროდ დარჩებით, სოფელში იქნებით, უკაცო ქვეყანაში ქალს ვინ დაგიკავებთ, თუ ჭკუით მოიქცევით, მზეთუნახავს შეირთავთ, ხომ ნახეთ, კოჭლმა ჯუმბერამ რა გოგო მოიგდო ხელში, მაგალითად ეგეც საკმარისია. ნუ ყუყუნობთ, ჩემს თავზე წისქვილი არ მობრუნებულა, თორემ სხვა ყველაფერი გამომიცდია, დამიჯერეთ, მთელი სოფელი თქვენს ხელში იქნება. შვილებს გააჩენთ, ქვეყანას ეგრე უფრო არგებთ და შეეწევით,

არ გასულა დიდი დრო და პარმენი სკოლის დირექტორად დანიშნეს, პიმენი — კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. მთელი სოფელი ლიხაურების ხელში ჩავარდა, მათი მისახედი და საზრუნავი შეიქნა. უჭირდა „ცალფეხა" პარმენს ორსართულიანი სკოლის კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა, მაგრამ, ვინც სამარეში იწვა, იგი სრულებით ვერ დადიოდა. „სამარეში წოლას მიწის პირზე ცალფეხა კაცის ყოფა სჯობია!" — არიგებდა ერთ დროს ბარაბა თავის უფროს ვაჟიშვილს, ის კი, ჩვენი პარმენი, ასე ამბობდა: „ომში გამესწრო და ორივე ფეხები იქ დამეტოვებინა, ის არ სჯობდა, მშვიდობიანობაში ცალ ფეხზე თრევას?!"

არანაკლებად გაწვალდა პიმენი, სად ცალხელა კაცი და სად ამოდენა კოლმეურნეობის გაძღოლა, მაგრამ რა ქნას, ბედმა გასწირა და ომში თავის გამოჩენის საშუალება წაართვა, აქ მაინც როგორ დაიზოგავს მარჯვენას — ზურგიც არანაკლები ფრონტიაო, ამბობენ ჩვენი უფროსი ამხანაგები და ჭეშმარიტად ასეა, ტყვიას არ ვისვრი, თორემ, სხვა რაღა მაკლია, დღე და ღამე არ მძინავს — ეს ყველიო, ეს კვერცხიო, ხორციო, მატყლიო, მარცვალიო, რკინის ჯართიო, ხვნაო, თესვაო... იმ

ღმერთს რა ვუთხრა, რა დროს წამართვა ცალი ხელი, თორემ ამდენ დავიდარაბას, იქ ხანდახან თოფის კონდახზე მაინც ჩამოვდებდით თავს!“ — ყურს თუ დაუგდებდი, შეიძლება აეტირებინე კიდეც პიმენ ლიხაურს...

სოფელი როდი ემდუროდა ლიხაურებს, — მადლიანი და გლეხიკაცის მდგომარეობაში შემსვლელი ხალხიაო. ამიტომაც, მადლობის გამოსახატავად იტყოდნენ ხოლმე: ღმერთმა და მამაზეციერმა პარმენის მარცხენა ფეხს გაუმარჯოსო (ის ფეხი ჰქონდა ნედლი), თუ მასეა საქმე, პიმენის მარჯვენა ხელსაც გაუმარჯოს (პიმენს მარცხენა ხელი ჰქონდა შავი სატინის ნაჭრით ყელზე ჩამოკიდებული) — ჩაუნაცვლებდა მავანი; ხოლო მავანი და მავანი ლოცვა-კურთხევას არ უშლიდა ბარაბა ლიხაურის მარჯვენასა და მარცხენას — ორივეს, ერთად აღებულს...

იმ წლებში ვის არ უჭირდა, მაგრამ გაჭირვებაც არის და გაჭირვებაც... ლევანა უკვე მესამე თოხს აძლევდა სიმინდს, როცა სვრელის თავში, სადაც ჯერ თოხი არ დაეკრა, ბავშვების ფხუკუნი და ხმადაბალი გადაძახილ-გადმოძახილი გაიგონა. „არაფერს აშავებდნენ!“, — გაფიქრება და იქითკენ წასვლა ერთი იყო. ათიოდე ნაბიჯი გაიარა და შეძრწუნებული შეჩერდა, შუბლზე ჭირის ოფლმა დაასხა: ჯოკია ნაკაშიძის ერთიმეორეზე მიდევნებული ხუთი პატარა ბიჭი პრასა-ბალახას შესეოდა და ისე გემრიელად ძოვდა, მიწაზე ჩაჯდომა რომ არ მოესწრო, ელდისაგან უსათუოდ წაიქცეოდა კაცი.

მეორე დღეს კარგა გათენებული არც კი ეთქმოდა, როცა ლევანა ჯარისკაცის ქვრივის, ლამარა ნაკაშიძის ბელლიდან გადმოვიდა და კარი წყნარად მიხურა. სოფლის ორღობეში ნისლი იწვა, ლევანამ საბიჯელაზე ფეხი გადადგა თუ არა, იმ ნისლში ჩაიკარგა; მაგრამ, მანამდე, ბელლის კართან შეყოვნებულ ლევანას თვალი შეასწრო ქვრივმა.

„რას არ მოესწრება ადამიანი!“ — გზაცვიფრებული ქალი სახლის კარს ამოეფარა. — ვინ იფიქრებდა, ასეთ საქმეს თუ ლევანა იკადრებდა, რომც გავამხილო, აქეთ დამადანაშაულებენ, არავინ დაიჯერებს!“ — წუხდა ხუთი წვრილშვილის დედა. არადა, ნამდვილად ბელლიდან გადმოვიდა, თავისი თვალით რომ არ დაენახა, სხვის ნათქვამს როგორ ირწმუნებდა.

„მოსაპარავი რა გამაჩნდა, მაგრამ რომ მქონოდა, ხომ წასძლია სულმა და არ მოიპარავდა?! ღმერთო, ღმერთო, ამას რად შემასწარი!“ — თაწდათან ბრაზი ერეოდა ქალს, შენდობისა და პატიების გულს ცოფი და სიბოროტე ართმევდა...

ხომ არაფერი ეყარა ბელელში. ქვრივი მაინც ადგა და ბელლისაკენ გაეშურა. იქიდან, იმ ადგილიდან, სადაც ქურდი და მპარავი დაინახა, უფრო თამამად ამოაკვირკვილებდა, ისედაც ლაღეგადასმულ ლევანა გიორგობიანის ოჯახს.

ლამარამ ბელლის კარი გამოაღო, რალაც ორიოდე წუთი გარინდებული იდგა, მერე უცებ მოტრიალდა, ბელლის კიბეზე ულონოდ ჩამოჯდა, ხელები ცისკენ აღმართა და გულამოსკვნილმა ცას შეღაღადა:

— უფალო, უფალო! თუკი მართლა სადმე ხარ, და, რაღა თუკი, ამ წუთში ხომ დამარწმუნე, ჯერ კიდევ რომ არ გვტოვებ ამ გამწარებულ წუთისოფელში, შენ გაამრავლე ლევანა გიორგობიანის ჯიში და ნაგრამი, შენ გაუმარჯვე მის ერთადერთ იმედს, შენ შეეწიე და მშვიდობით ჩამოუყვანე მისი ბატა! უფალო, უფალო, შემინდე ის წელანდელი მყრალი ფიქრი მე გაჭირვებულს, ჩემი ხუთი ობოლის გულისათვის შემინდე. და მაპატიე...

მანამდე რომ არ დამენახა, ვიფიქრებდი, ეს ნაღვლიანი და სველი ნისლი ლამარას თვალებიდან გადმოდის და შიმშილითა და სიმწრის ბოდვებით გავსებულ შუბლზე სალბუნად ეფინება-მეთქი სოფელ-ქვეყანას... არადა,

ლამარას თვალებიდანაც მოიღვრებოდა საბრალო ქალის ნაზი გულისთქმა და სოფლის უკაცურ აღმართ-დაღმართებს ისიც ასდევ-ჩასდევდა და ეწურებოდა ნისლად...

მოხუცების, ქალებისა და ბავშვების ამარა დარჩენილ სოფელს, რა ხეირი დაადგებოდა — ღვარსადენები მიწითა და ნაგავით ამოივსო; ამომსუფთავებელი რომ არავინ იყო, ღვარი პირდაპირ შუკაში გადმოდიოდა, ლაფად და ჭენჭყოდ ჩადგა და ჩაგუბდა ორღობეებში; სოფლის სასაფლაოს საკავებელი შემოალპა — ღორმა და პირუტყვმა სულ მთლად გათელა და მიწასთან გაასწორა იგი... თუმცა სოფლისიანებს არაფრად ჩაუგდია, მაგრამ მე მაინც ასე მგონია, ერთი უბედურება კიდევ ეწია სოფელს, — ომის გამოცხადების პირველსავე დღეს ქვეყნის ფეხებქვეშ გამოგებულმა მიწამ ყრუდ ამოიკვნესა და ზედ სასაფლაოს ყელზე კოსმიური აქლემის კუზივით ამოიბურცა, მერე დასკდა და მაგარი მხტომელი უნდა ყოფილიყავი, აქეთა ნაპირიდან იქით რომ გადამხტარიყავ. დამსკდარი მიწა კარგა ხანს ასე პირდაბჩენილი შეჰყურებდა ჩვენს თავზე რისხვით მობრუნებულ ცარგვალს, მაგრამ დრომ თავისი გააკეთა — მზისა და ქარის, დარისა და ავდარის, ზამთრისა და ზაფხულის წასვლა-მოსვლამ, თითქოს პირი შეუკრა, ამოავსო და გაამთლიანა, ერთი სიტყვით, დროის საკერებელი დაადო.

არსებობს კი ასეთი სამუდამო საკერებელი? როცა დრო მხოლოდ და მხოლოდ დაშლისა და რღვევის ფრთებით მიმოიქცევა ამა ქვეყნისა პირზე?!.

35. მთვარიანი ღამე იყო. ლევანამ დანარჩენ მეურმეებს აღარ დაუცადა, როგორც შეატყო, კარგად დაისვენესო, ხარები უღელში შეაბა; „ჰამოო!“ — დასძახა. ოთხი ტომარა პური ედო ურემზე. ეს პურის ცალები ომის მონაწილეთა ოჯახებისათვის დაარიგეს. ოთხიოდე ურემი უკან ჩამორჩა, ძილმა შეიყოლა დაღლილი გლეხები, ლევანამ კი ვერაფრით მოიტყუილა თვალი. ღამის სიგრილეში სიარული სჯობიან, დღე პაპანებაში ოფლის ღვრასაო და ხარები გამოირეკა. ცის ნაპირი ჯერ კიდევ არ დაძრულიყო, დაშთის წყალს რომ მიაღწია, მაგრამ, ჰა და ჰა, სულ ცოტა ხანში ღამეს სული ამოხდებოდა. აქედან ორი-სამი კილომეტრი თუ იქნებოდა სოფლამდე. იფიქრა, ხარებს შევასვენებ, წყალს დავალევინებ, მუხლებს ქარს ამოვაღებინებ და გზას გავაგრძელებო, რომ უცებ საპირისპირო მხრიდან მომავალი თეთრებში გამოწყობილი მოჩვენება დაინახა.

ლევანას მოჩვენება-ლანდების მაინცადამაინც არაფერი სჯეროდა. ამ წუთში თავს ვერ გადავდებ და იმის მტკიცებას ვერ მოვყვები, შიშს არ გაუკენწლავს, ლევანას გული არ შესტოკებია-მეთქი, რადგან ისიც ცხადია, უშიშო ადამიანი რომ არ არსებობს, უფრო მეტიც, ჩემი შეტყობით, ადამიანი თავიდან-ბოლომდე სულ შიშის ქარით ნაქსოვი უბადრუკობაა და მისი სიცოცხლის ყოველი წუთი ამ დაუსრულებელ შიშთან ჭიდილის გამოვლენაა მხოლოდ. ლევანამ კარგად იცოდა, არავითარი ეშმაკი, ალი, ქაჯი და ტარტაროზი რომ არ არსებობდა, ამიტომაც უნებურად ავარდნილი შიშის ფეთება უმალ მოთოკა, ხარები უღლიდან გამოუშვა, წყაროსთან მიიყვანა, თვითონ წყაროდან ისევ გზაშარაზე გამობრუნდა... მოჩვენება სულ ახლოს მოვიდა. ლევანა მისჩერებოდა პირკალის გრძელტოტებიანი ნიფხავ-პერანგის ამარა დარჩენილ, ფეხტიტველა მოჩვენებას, იგი ბარაბა ლიხაური გამოდგა. ზურგზე რაღაც ტვირთი ჰქონდა მოკიდებული და მარჯვენა ხელით ეჭირა. მართალი ყოფილა, რომ იძახოდა ხალხი, ბარაბა ღამღამობით მძინარე გამოდის სახლიდან და აღმა-დაღმა მანამდე დაყიალობს, სანამ წყალი არ შეხვდება და ფეხს არ ჩაჰკრავსო. რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ჩანს, ბარაბას ცოლს, ეღნოსის დაავიწყდა წყლიანი ტაშტის დადგმა ლოგინთან და ამიტომაც გამოსულა ამოდენაზე კაცი. ლევანამ მოახლოებულ ბარაბას სახრის წვერი მიაბჯინა მკერდზე, ბარაბამ უგანა, სახრე იქაც მიაყოლა, ახლა მარცხნივ სცადა გადმონაცვლება, აქითაც სახრე დაახვედრა ლევანამ. გასასვლელს რომ ვეღარ მიაგნო, მძინარე კაცმა ხელ-ფეხი აატოტა ჰაერს, მაგრამ ფეხს რას მოიკიდებდა. ახლა მარცხენა ხელიც მიაშველა, თუმცა ხელჩასაჭიდი მაინც ვერ იპოვა.

შეეცოდა ლევანას მთვარეს აყოლილი ბარაბა ლიხაური, ერთი პირობა კი გაიფიქრა, მოდი, გაუშვებ, აგერ სულ ახლოს წყარო გადმოდის, ფეხს ჩაჰკრავს და წვალებას გადარჩებაო, მაგრამ გამოფხიზლებული საბჭოს თავმჯდომარის მდგომარეობაში რომ ჩააყენა თავის თავი, უმალ გადაიფიქრა. იმდენი ეჯახირა და ისიც იმდენი აწვალა შინდის სახრით, რომ საბოლოოდ სოფლისაკენ შეაბრუნა. თურმე ჩექმები არ ჰქონია მოკიდებული ზურგზე?!

ლევანა კარგა ხანს უყურებდა ბარაბას მარჯვენა ბეჭის ფრთის ქვემოთ ნელა მოქანავე ჩექმებს: რეზინის ქუსლებზე დაკრულ ჯვრებს მთვარის თხელი ნათელი გადასტკეცოდა პირზე...

„ეგ თუ ცოდვად ითვლება, მაშინ შელამებიდან განთიადამდე მთელი სოფელი ნიფხავ-პერანგის ამარა უნდა დარბოდეს. ერთი-ორი ლოდი მეც კი მაქვს გადმოგორებული იმ სალოცავის ზღურბლიდან“, — ფიქრობდა ლევანა. მაგრამ გულუბრყვილო კაცმა ერთი რამ არ იცოდა, სრული შესაძლებელია, იცოდა და ვერ იხსენებდა: რამდენადაც აფასებ და პატივს სცემ ძველს, იმდენად რომ გიყვარს ახალი... ლევანას ძველიც უყვარდა, ახალისაც სწამდა და ბოლომდე სჯეროდა. ამიტომაც ამ თავის რწმენაში იგი კრავივით უცოდველი იყო. ბარაბა ლიხაური არც ძველის მზეს ფიცულობდა, არც ახალი ეხატა გულზე, იგი ორივეს ღალატობდა — ძველსაც და ახალსაც...

სოფელს რას გამოაპარებ, სოფლიდან გამიგონია, ბარაბა ლიხაურს ცოდვა ექინჩურება და ცოდვას გადმოყავსო ბუმბულის თბილი ლოგინიდან... სახელდობრ, რა ცოდვას გულისხმობდა სოფელი, ვერ გავბედე და თავის დროზე ვერ ვიკითხე, ლევანამ კი იმ ჩექმებზე მიმითითა ხელი, მთვარის შუქზე დანის პირივით რომ უელავდა ქუსლებზე საგულდაგულოდ დაჭედებული რკინის ჯვრები...

რა კავშირი ჰქონდა ბარაბა ლიხაურის გამოჩენასთან არ ვიცი, მაგრამ ლევანას, რატომღაც, ახლა გაახსენდა ოსანა — კაჟა ჩხეტიანის ქვრივი... ოსანამ ომში დაღუპული უფროსი ვაჟიშვილის ტანსაცმელი გამოალაგა მთელი სოფლის თვალწინ და მწარედ დასტიროდა, სწორედ მაშინ შემოუტანა ფოსტალიონმა უმცროსი ბიჭის წერილი, იმ ბიჭის, ერთ წელიწადზე მეტი იყო გასული, დედამ არაფერი ამბავი იცოდა... შვილის ტანსაცმელზე დამხობილი ოსანა ფეხზე წამოიჭრა, ბარათი ააფრიალა, ხელები გაშალა და აივანზე ცეროული აუარ-ჩამოუარა.

დასასრული იქნება

# ბეთქილ შამფრიანი

**ბეთქილ შამფრიანმა** მხოლოდ საშუალო სკოლის დამთავრება მოასწრო, მოასწრო აგრეთვე პირველი სერიოზული პოეტური განაცხადი, დანარჩენი აღარ დააცალა უდროო სიკვდილმა...

●

წუხელ, იმ სუსხში,
ყინულის ფრთები
გავიკეთე და გავფრინდი ცისკენ.
და დღესაც, დღესაც
სიამით ვთვრები,
როგორც წუხელის ვთვრებოდი, ისე.
ყინულის ფრთებით,
არწივის დარად,
ვნავარდობ ლაღად მეშვიდე ცაში,
ყინვა და თოში აქ როდი მზარავს —
ცის სიმსუბუქე იმღერის ტანში.
უცებ...
გამთანგავს შიშის ხუნდები,
როს შურიანთა მომესმის ხმები:
„აი, სულ მალე გაზაფხულდება
და გალხვებიან ეგ შენი ფრთები“.

●

რომ დავეცემი,
შენ მომხვევ ხელებს —
იისფერ ხელებს,
წამომაყენებ ტალახიდან
და ცრემლით სავსეს
შემომაფეთებ ულამაზეს
მოლურჯო ველებს
და გარინდებულს მამყოფებ ასე.
შენ დამანახვებ იისფერ თვალებს,
იისფერ ცხენებს, იისფერ ეტლებს.
ჩამსვამ ეტლში და
გამაქროლებ იისფერ ტყეში.
და მე იმ ტყეში მოვიძიებ
სიცოცხლის ძალას,
შენი ხელიდან
ჩემს ხელშიაც გადმოვა ღონე.
ჰო, აი ასე განმაახლებ,
შენ — ჩემო სულო.

●

მხოლოდ ხაზებით
და წერტილებით
შეივსო შენი დღეები ძნელი.
და კვლავ
მზის ნათელს შეგეცილება
ვიღაც უცნობის
ყინულის ხელი.
და გავა ხანი —
ღამეთა რემას
გაჰყვები...
მაგრამ მოხდება ესე:
ვინმე გადაშლის
ამ შენს „თეთრ რვეულს“
და წაიკითხავს უწრფელეს ლექსებს.

●

დაიწერება „თეთრი რვეულის“
თეთრი ლექსები — ჩემი ფიქრები,
და მზრუნველობა დედისეული
მალე დამტოვებს,
მხოლოდ ფიფქები
შემრჩება ხელში,
თეთრი ფიფქები,
რომლებიც ჩქარა გადიქცევიან
უფერო ცრემლის
მსუბუქ წვეთებად.

●

ჩემზე ამბობენ:
ის ვერ იცოცხლებს,
რადგან ტკივილებს ვეღარ აიტანს.
ამოვალ შენთან, ძვირფასო დალი,
და აწ დაღუპულ ლექსებს მოგიტან.
გარდაიცვალნენ ჩემი ლექსები,
ახლა სულს ღაფავს ჩვენი პოემაც.
შენ დამანახე შენს უნებურად
ამ წუთისოფლის ამაოება.
ჰა, შორეულმა დარეკა ზარმა...
სიკვდილმა მითხრა:
„შემხედე კარგად!“
მის ცივ თვალებში უსასრულობა
მხოლოდ დაფხრეწილ ნისლებად ჩანდა.
დალი! დამთავრდა ჩვენი ამბავი!
წინ ვხედავ მარტო ღრუბელს
ბოლიანს.
ისე მივდივარ, რაა ცხოვრება,
არ ვიცი, მხოლოდ გამიგონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გახსენება

# პოეტის არქივიდან

გ. ჯაბუშანურის მდიდარი პოეტური დანატოვარი ჯერ კიდევ არაა ჯეროვნად შესწავლილი და შეფასებული. თითქმის ხელშეუხებელი და მოუსინჯავია მის არქივში დაცული პირადი მიმოწერა, დღიურები,ნაირგვარი ჩანაწერები, ავტობიოგრაფიული ცნობები, მოგონებები, ექსპრომტად თქმული ცალფა კაფიები და „მუნასიბები“ (შაირები), თარგმანები (თაგორი, სტალსკი, ბრიუსოვი, ბლოკი, ესენინი, ლუკონინი, პასტერნაკი, ბუნინი, ახმატოვა, გამზათოვი...), ფიქრები, მოსაზრებები, დაკვირვებები, შეხედულებები მწერლობის ცალკეულ საკითხებზე, მთარგმნელობით ხელოვნებაზე.

გაბრიელ ჯაბუშანური „შვიდფერი მუზის“ მსახურთა იმ რჩეული ფრთის ღირსეული წარმომადგენელია, ვისთვისაც დაძლეული სიმაღლე ინტენსიური და მოუწყინარი შრომის, დაუცხრომელი ძიების მძლავრი სტიმულია და არა თვითკმაყოფილების, საკუთარი ნამოღვაწარით ტკბობის წინამავალი საფეხური. ნათქვამის უტყუარი დასტური, ყველაზე სანდო და საბუთიანი მოწმე მრავალრიცხოვანი დღიური თუ მცირე ფორმის ფრაგმენტული, სახელდახელო ჩანაწერი, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნიათ და აუცილებელია მათი გათვალისწინება გ. ჯაბუშანურის ლირიკის დომინანტი მოტივების, მისი პოეზიის საერთო ხასიათისა და სულისკვეთების სწორი, მართებული გაგებისათვის.

„სულ მგონია, ყველაზე კარგი ლექსი დასაწერი მაქვს და კიდეც დავწერ. ვინ იცის, იქნებ ჩემი შემოქმედების მწვერვალს მე ჯაბუკობაშივე მივაღწიე და ახლა ამაოდ ვჯახირობ... ან იქნება პირიქითაც არის?“ „ო, რამდენი გიმღერე, მზექალ, და სრულყოფილად სახე შენი მე ვერ დავხატე, ვერ ჩამოვძერწე, მაინც ვერ გითხარ სათქმელი სრულად. მუდამდღე ველი ფიქრშეპყრობილი, რომ მე ამ სიტყვას, ბოლოს და ბოლოს, ვიტყვი ან დავწერ, მზექალო ჩემო. მაგრამ არ უჩანს მოლოდინს ბოლო, არც მოლოდინის მელევა სასო... მე შეიძლება ისეც კი მოვკვდე, რომ სრულყოფილად ვერ ვთქვა სათქმელი...“ ანდა კიდევ ამგვარი ჩანაწერი: „ამ ბოლო ხანებში ხშირად მივლის სურვილი: ყველა ჩემს ნაწერს ხელახლა ჩავუჯდე და გავაშალაშინო, დავამუშავო, დავხვეწო, ვსრულვყო... ყველა მათგანი ათ-ათჯერ მაინც მექნება გადაწერილი, ზოგიერთი მეტჯერაც და მაინც არასრულყოფილად მეჩვენებიან ჩემი ქმნილებანი, კიდევ მინდა ვიმუშავო მათზე... ნუთუ ეს დაეჭვება უსასრულოა?“

გ. ჯაბუშანურს შეეძლო, და ჰქონდა კიდეც სრული უფლება, თვითონ, თავისსავე სიცოცხლეში ეფიქრა და ეზრუნა ლექსთა მოზრდილი, სოლიდური კრებულის შედგენასა და გამოცემაზე. სავალალოდ, არ დასცალდა.

გაბრიელ ჯაბუშანურმა მიაკვლია პოეტისათვის ეგზომ აუცილებელ ინდივიდუალურ ხმასა და ხელწერას, შექმნა თავისთავადი მხატვრული სამყარო, მოძებნა ხედვის მისეული კუთხე და რაკურსი, შეიმუშავა ხატოვანი აზროვნების საკუთარი სტილი და მანერა.

ვფიქრობთ, აღნიშნულის სისწორეში კიდევ ერთხელ დარწმუნდება მკითხველი აქ წარმოდგენილი პუბლიკაციით.

ამირან არაგული

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაბრიელ ჯაბუშანური

### ღამეული თვითმკვლელობა

ღამემ შემხუთა...
აღარ შემოდის
სარკმელში შუქი გარიყრაჟული,
ბარბაცებს ბინდი, ვით ბეჰემოტი!
არ ტყდება ზეცის კარი დახშული...

ხელის ცახცახით ვნახულობ ასანთს,
აი, ხანჯალიც — ფხამოსამული.
წყეულო ღამევ, მე მოგცემ ლაზათს,
ავანთო გული — ნათლის მსახური!!!

### ლარსიდან—ღილღომდე

ვწაფე მწუხრის წყვდიადი,
ვფუფქე ფიფქის თივთიკი,
აწ, ამ ღილღოს წიაღში
შენს საფლავზე დავდექი.

გული აღარ მიძლებდა,
გაყრამ თალხით შემმოსა...
ნუთუ არ შეიძლება
შენს კუბოში შემოსვლა?..

### მე გავიარე

მე გავიარე დაღესტანი გულისწამღები
და ხელს მიქნევდნენ მოღიმარე ლეკის ქალები,
აგერ კასპიაც! შენს თმებს ჰგვანან მისი ტალღები...
მე გავიარე დაღესტანი გულისწამღები,
მზექალო, შენზე შორი ფიქრით კვლავ ვიდაღები,
ღილღოს ნაღველი თან მიმყვება განუქარვები...
მე გავიარე დაღესტანი გულისწამღები
და ხელს მიქნევდნენ შავგვრემანი ლეკის ქალები.

### ქალაქი ტრამალზე

ჯიხვებმა ჯიქურ გაიქროლეს ქუფრი ქარაფი
და მაღლობიდან ჩამოხედეს ღილღოს, დაღესტან!..
ღამის სიღრმეში აღველფილი კრთოდა ქალაქი,
ჯიხვებმა ჯიქურ გაიქროლეს ქუფრი ქარაფი.
ცა გაეძარცვათ და ციერთა უხვი ალაფით
ულრანი ღამე შაელობათ ღველფის თაღებით.
ჯიხვებმა ჯიქურ გაიქროლეს ქუფრი ქარაფი
და მაღლობიდან ჩამოხედეს ღილღოს, დაღესტანს.

●

რა უდარდელად იმღერიან ჩემი
ტოლები,
ღმერთო, მე სევდა რად დამებედა...
თავზე მესხმიან ღამეები, როგორც
თულები,
წამართვეს ყოვლი, რაც რამ მებადა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უდარდელად იმღერიან ჩემი
ტოლები!

შემომეფანტნენ მეგობრები —
თანამყოლები,
ახარებთ ლხინი სხვაგვარ სეფათა.
რა უდარდელად იმღერიან ჩემი
ტოლები,
მე კი დავკარგე თუ რამ მებადა...
შემომეფანტნენ მეგობრები —
თანამყოლები.

მივდივარ მარტო, ქვითინისგან
ანათრთოლები,
წინ ისევ ბინდი შემომეფეთა...
რა უდარდელად იმღერიან ჩემი
ტოლები,
ღმერთო, მე ტანჯვა რად დამებედა...
მივდივარ მარტო, ქვითინისგან
ანათრთოლები.

## ღალატი

„— ავახმე!..“ — ამოვიგმინებ
და ქარაფს ვახლი ქალასა,
„...ავახმე!..“ — ეხიც იგრგვინებს
და მიეხლება ქარაფსა,
გველიმც ადგია გვირგვინად
შენფერა ორგულ ქალასა...

გუშინ პაემანს დამპირდი,
დღეს კი მიმუხთლე წვეულსა,
წელან გიხილე — ამ სიპთან
ჩემს რაყიფს სთნევდი წყეულსა...
მკვლელად რად მექმენ ასპიტი
თეთრ მთებში გამომწყვდეულსა?!..

## პერიფრაზები

ამ სამყაროში ვიყავ მე წინათ
მიმობნეული და გაფანტული.
ხან ნისლის ქულას მთაზე მეძინა,
ხან ცას ვცვიოდი ფიფქი-ფანტელი.

შემდეგ შემკრიბა, აზრი შემძინა
ღმერთმა და მომცა სული — სანთელი.
დედასამყაროს მიტომ შევცინი
და მახლავს სასო—ღვთის ჟრუანტელი.

დრო მოვა, ისევ დუმილს შევიცნობ,
ვიქნები ქვეყნად მიმოფანტული, —
დასრულდეს ყოფნის ჩემის წრე ვიწრო
და დარჩეს მოძმეს სული — ფანდური.

მე კი ხან მცირე ფიფქი-ფანტელი,
ხან ნისლი — ქარაფს რომ ვეტოტები,
ახალ ხალისით და ჟრუანტელით
ნებას უფლისას დაველოდები: —
შემკრიბოს... მომცეს სული —
სანთელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ზიგფრიდ ლენცი

# ამბავი ერთი სიყვარულისა

ზორბა, პირუჩუმარ შეშისმჭრელს, იოზეფ ვოლდემარ გრიტზანს, სიყვარულის ჭია შეუჩნდა. არა, მართლა ამურის ისარი კი არ მოხვედრია, არამედ, აქაოდა, შეშისმჭრელიაო, კაი მოზრდილი ხმელი ხის ტოტი მოტყდა და ის-ის იყო მის მხრებზე ბრაგვანი მოადინა, რომ იოზეფმა თვალი ჰკიდა კატარინა კნაკს. ჯანმრთელი, ლოყებღაჟღაჟა ქალიშვილი მდინარეში სარეცხს ავლებდა. გოგონა მდინარისკენ წახრილიყო, ატკრეცილ სახეზე თმა ანცად ჩამოშლოდა და მოქნილი ხელებით მოხდენილად რეცხდა სარეცხს. ბედად, ამ დროს ჩაიარა იოზეფ გრიტზანმა როგორც ზემოთ მოგახსენეთ და, ვიდრე გონს მოეგებოდა, ზურგზე უკვე კაი მოზრდილი სიყვარულის ისარი ჰქონდა დასობილი.

ჰოდა, ამიტომ იყო, რომ შეშისმჭრელმა ტყისკენ კი არ გაუხვია, არამედ დილაუთენია მღვდელი დააფეთიანა: „ცოლის შერთვა გადავწყვიტე და ნიშნობის ფურცელი უნდა მომცეო".

ფერად-ფერადი სიზმრიდან გამოღვიძებულმა, ნირშეცვლილმა მღვდელმა იოზეფ გრიტზანი ერთი უგემურად შეათვალიერა და უთხრა: „შვილო ჩემო, შენ თუ სიყვარული ძილს გიფრთხობს, სხვებს რაღას ერჩი. იცი, რას გეტყვი? ცოტა მოგვიანებით, ასე, საუზმის შემდეგ გამოიარე, ისე კი, თუ დრო გაქვს, მოდი, ბაღჩა დამიბარე, ბარი თავლაშიაო".

შეშისმჭრელმა თვალი შეავლო თავლას და მღვდელს შეეკითხა — „ბაღჩას რომ დავბარავ, ნიშნობის ფურცელს მივიღებო?" — „ჩათვალე, რომ ჯიბეში გიდევსო", — უპასუხა მღვდელმა და სახლში შებრუნდა.

ეს პირობა იმდენად მოეწონა გრიტზანს, რომ თქმა და შესრულება ერთი იყო. ის კი არა, მღვდლის ნებართვით, ღორებს ცხვირში მავთულიც კი გაუყარა, ძროხა მოწველა, ორიოდე მოცვის ბუჩქიც გაკრიფა, მერე ბატიც დაკლა და შეშის მთელი გორაც დააყენა.

ის-ის იყო, შეშის ფარდულს მიადგა, მღვდელმა რომ დაუძახა, ნიშნობის ფურცელი დაუწერა, თან ბრძნული დარიგებებიც მიაყოლა. იოზეფმა გულმოდგინედ დაკეცა საბუთი, კალენდრის ფურცელში გაახვია და უბეში იტაკარა თქმა უნდა, არც მადლობა დავიწყნია და სასწრაფოდ მდინარისაკენ

გასწია, სწორედ იქითკენ, ამურის ტოტი რომ დაეცა.

კატარინა კნაკი, იმასაც კი ვერ ხვდებოდა რა ბედნიერება ეწვია, უკან მიბრუნებული იოზეფის გულისნადები საიდანღა უნდა სცოდნოდა?

გოგონა მდინარესთან ჩაცუცქულიყო და ღიღინ-ღიღინით სარეცხს წურავდა, თან თავის ეშხიან სახეს წყალში ფარულად შეათვალიერებდა ხოლმე. შეშისმჭრელი დარეტიანებულივით მიაშტერდა ამ მშვენიერებას, მერე შეეცადა ჰაერი ჩაესუნთქა, მაგრამ ერთი ორი წამოსლოკინა და სული შეუგუბდა. სლოკინმა რომ გადაუარა, წყალში შეჭრილი ხის ფიცრისაკენ აიღო გეზი.

თავისი ჭკუით, სათქმელი რიგიანად კი ჰქონდა მოფიქრებული და დალაგებული, მაგრამ როცა ქალიშვილს გვერდში ამოუდგა, ისღა წამოაყრანტალა, ჩაიწიეო. კატარინამაც დიდხანს არ აცვეწნინა, სწრაფად უტია და იოზეფიც პირუჩუმრად მიელურსმა ადგილს. დანამდვილებით ვერ გეტყვით, რამდენ ხანს ისხდნენ ასე ენაგადაყლაპულებივით, ალბათ ნახევარ საათს მაინც. გაჰყურებდნენ მდინარის გაღმა ნაპირს, მიწაში ცხვირწარჭობილ გუთნებს და ცაში მოცურავე ღრუბლებს, არც იხვების ჭყუმპალობა გამოჰპარვიათ.

„მალე ტყეში მარწყვიც შემოვა, კენკრაც ხომ იქნება და იქნება“, — წამოისროლა უცებ გრიტზანმა. გოგონა მოულოდნელი სიტყვების გაგონებაზე, ერთბაშად შეკრთა და ნათქვამი სასწრაფოდ დაუდასტურა.

ეს იყო და ეს, ისევ დარჩნენ გვერდიგვერდ უმძრახებივით, გეგონებოდათ, პირში წყალი ჩაუგუბესო, ხან მდელოს გახედავდნენ, ხან ტყეს, დროდადრო მზესაც ახედავდნენ, ხან ფეხს მოიფხანდნენ და ხანაც კისერს.

ცოტა ხანს იქით, გრიტზანმა ჯიბიდან რაღაც გახვეული ამოაცოცა და, არ გინდაო? — წამოღერღა. გოგონამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. შეშისმჭრელმა გამოხსნა ძირტკბილას ორი კვერი, ერთი ქალიშვილს გაუწოდა, თან ქურდულად უმზერდა, როგორ იტკბარუნებდა პირს იგი. ახლა ცოტა გათამამდა გოგონა, სიჩუმის დარღვევა კი მაინც ვერ გაებედნა. მოქნილი ფეხები აასხმარტალა და წყალი პაწაწინა ტალღებად გაიშალა, კატარინა ხან მდინარეს ჩახედავდა, ხანაც გრიტზანისკენ გააპარებდა მზერას.

კაცმა რომ თქვას, საქმე კარგად მიდიოდა. უცებ სახლის ზღურბლზე ბებერი მრეცხავი გამოჩნდა და კატარინას დაუძახა, სარეცხი სადააო.

გოგონა დაძახილზე ფეთიანივით წამოფრინდა, ვედროებს ხელი დასტაცა და, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, ვითომც სასუსნავი არცა ყოფილაო, გაუჩინარება დააპირა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, იოზეფ გრიტზანს უკვე ამოეძვრინა უბიდან ნიშნობის ფურცელი და ხელში ეჭირა. გოგონას ხელი დაუქნია, თავისთან მოიხმო, ნიშნობის ფურცელი ფრთხილად გაშალა და, კითხვა იციო? — შეეკითხა, გოგონამ თავი დაუქნია, იოზეფმა ნიშნობის ფურცელი შეაჩეჩა და ფეხზე წამოდგა. კატარინა კითხულობდა, გრიტზანი კი თვალებით ჭამდა მის სახეს, და პასუხის მოლოდინში ციებიანივით ცახცახებდა. „კატარინა! — ისევ დასჭექა ბებერმა მრეცხავმა. — სარეცხი იხვებმა შესანსლეს?“ — „ბოლომდე წაიკითხე“ — შეშისმჭრელს ხმაში მუქარა გაერია. კატარინა კი სულ უფრო გატაცებით კითხულობდა ნიშნობის ფურცელს და გაყურსულს, სარეცხი კი არა დედამიწის ზურგზე ყველაფერი დავიწყებოდა.

ბებერი მრეცხავი კი თავისას არ იშლიდა: „სარეცხი, სარეცხიო...“ — ბოლომდე ჩაიკითხე, — იმუქრებოდა აღელვებული იოზეფი და ვერც კი ამჩნევდა, როგორ ამოიდგა ენა. უცებ კენკრის ბუჩქებიდან მრეცხავი ქალი ისარივით გამოენთო, კატარინა კნაკს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედ ცხვირწინ აეტუზა და დასჭექა: „სარეცხი!, კატარინა, ცსარეცხიო!“

მე სარეცხი მაინტერესებს, შე ხოლერა, შენა, — მიაძახა ქალმა შეშისმჭრელს და თვალი თვალში გაუყარა.

ოი, მასურიელო სიყვარულო, ძალსა შენსა, გოგონამ ქალს ოცნებაჩამდგარი თვალები შეანათა, ნიშნობის ფურცელი გაუწოდა და უთხრა. — ნახე, რა ნიშნობის ფურცელია, მგონი, ვთხოვდები, თანაც საქმე უკვე გადაწყვეტილიცაა, დაგვირგვინებულიცო. ქალი ერთხანს სარგადაყლაპულივით იდგა, მერე ჩაეცინა: აი, რა მოსდევს სარეცხის რეცხვასო, — ჩაილაპარაკა. — ჯერ კიდევ სარეცხის ჩალბობისას არა ვიცოდი რაო.

შეშისმჭრელმა კი, ვითომც არაფერიაო, ამასობაში ისევ დააძრო ჯიბიდან სასუსნავი.

თარგმნა ხათუნა ფხოველიშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეგნატე ნინოშვილი—125

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიმართლისათვის მებრძოლი

შესრულდა 125 წელი ეგნატე ნინოშვილის დაბადებიდან! ამ ღირსსახსოვარ დღეს კიდევ ერთხელ უნდა მივაპყროთ გონების თვალი მწერლის მართალ, ტკივილებით გაჯერებულ შემოქმედებას, მისი ცხოვრების მძიმე და ეკლიან გზას, მის სპეტაკ, გაუბზარავ პიროვნებას — ფიზიკურად სუსტსა და უმწეოს — სულიერად ძლიერსა და გაუტეხელს.

ეგნატე ნინოშვილის, როგორც მწერლისა და მოღვაწის შემოქმედების შეფასება ძნელია იმ ისტორიული გარემოს გაუთვალისწინებლად, რომელშიაც ჩამოყალიბდა მისი სამწერლო კრედო; დღევანდელი დღის გადასახედიდან შეიძლება მხოლოდ მკრთალი კონტურებიღა მოჩანდეს იმ დროისა, შეიძლება ბევრი რამ მწერლის შემოქმედებაში დაუსრულებელის შთაბეჭდილებასაც სტოვებდეს, მაგრამ თუ უფრო ახლოს გავეცნობით მწერლის ცხოვრებას, ნათელი გახდება, რომ ის, რაც ეგნატე ნინოშვილმა შეიძლო, მეტი რომ არა ვთქვათ, გმირობას უდრის.

ღარიბი გლეხის შვილი, ბავშვობიდანვე სწავლას ესწრაფვის, აქეთკენ მოუწევს გული და გონება, როგორღაც ახერხებს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში შესვლას. ორიოდე წლის შემდეგ რიცხავენ სასწავლებლიდან, ვერ ურიგდება სკოლაში მოკალათებულ უვიც და ხეპრე პედაგოგებს. შემდეგ მთელი მონდომებით იწყებს თვითგანვითარებას, ეძებს სახსრებს სწავლის შემდგომი გაგრძელებისათვის, ხან სახალხო მასწავლებლად, ხან ტელეგრაფისტად, ხან სტამბაში „ნაბორშიკად“ მუშაობს, მაგრამ მისი შემოსავალი იმდენად მწირია, თავსაც ძლივს ირჩენს. 1886 წელს როგორღაც ახერხებს და საფრანგეთში მიემგზავრება, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ იძულებულია უსახსრობის გამო სამშობლოში დაბრუნდეს. შემდეგ, ერთ ხანს, თავად გრიგოლ გურიელთან მწერლად, აქაც სული ეხუთება და როტშილდის ქარხანაში იწყებს მტვირთავად მუშაობას. ფიზიკურად სუსტი ეგნატე ველარ უძლებს არაადამიანურ, კატორღულ შრომას და 1890 წელს ზესტაფონშია, ნიკო ლოლობერიძის კანტორაში. თავად მწერალი ძუნწად, ორიოდე სიტყვით გვიწერს ავტობიოგრაფიაში თავის იმდროინდელ მდგომარეობას: „1889 წელს ბათუმში ზამთარი მეტად ცუდი, ქარიან-წვიმიანი იყო; მე დაცვეთილი საზაფხულო ტანსაცმელი მქონდა. უნდა ავმდგარიყავი დილის 4 საათზე, ამ საშინელ დარში გამევლო კარგა დიდი მანძილი და მივსულიყავ ზავოდში. ხან ზავოდის კარი დაკეტილი დამხვდებოდა. უნდა მეცადნა გარეთ.

1890 წელს დავდექი ნ. ლოლობერიძის კანტორაში დ. ზესტაფონს. მეტად ბევრი საქმე იყო. მე მგონია ჩემი ჯანი და სიმართლე დავღუპე ბათუმში და ამ კანტორაში მუშაობით“.

ამის შემდეგ მწერლის სიცოცხლის დარჩენილი ოთხიოდე წელიც მუდმივ სიდუხჭირესა და ავადმყოფობაში გაილია. 1894 წელს დასრულდა მისი ტანჯული, ხანმოკლე სიცოცხლე.

როგორ ჰგავს მწერლის ცხოვრება ცხოვრებას იმ კლასისას, რომლის წიაღშიც იშვა და რომლის გულმხურვალე ქომაგადაც გვევლინება იგი თავის მოთხრობებსა და პუბლიცისტურ წერილებში! უბრალო ხალხის წრიდან გამოსულმა მთელი ცხოვრება იმათ გვერდით გაატარა, ვინც მსხვერპლად ეწირებოდა, სოციალურ უსამართლობას, განიცდიდა ეროვნულ ჩაგვრას, ვისაც ცრურწმენებითა და გაუნათლებელი გონების სიბნელით ეწამლებოდა სიცოცხლის დღენი. ამ კლასის მეისტორიეა მწერალი ეგნატე ნინოშვილი. ღარიბთა, დაჩაგრულთა, უუფლებობისა და სიღატაკეში მყოფი ხალხის ცხოვრების მართალ, გულისმომწყვლელ სურათებს დასტრიალებს მისი გონება, ერთ-ერთი მოთავე და იდეური ხელმძღვანელი ხდება მესამე დასახელებისა, თაობისა, რომელსაც წილად ხვდა ქვეყნად სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა.

ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ფიქრისას არ შეიძლება გონების თვალით არ გადავხედოთ დღევანდელ გურიას, არ შეიძლება პარალელი არ გავავლოთ იმ დროსთან, მწერალს რომ მოუწია მოღვაწეობა. დღევანდელობის გადასახედიდან დაუჯერებელიც კია რეალობა მაშინდელი სინამდვილისა, მხოლოდ მწერლის მართალ მოთხრობებს შემოუნახავს უიშვილებისა და მცირიშვილების, ძალაძეებისა და დროიძეების დროინდელი გურიის სოციალური სინამდვილე. სულის მოთქმა ჭირს ამ უსამართლობით დაბნელებულ სამყაროში, მთელი ქვეყანა ძალადობის ასპარეზად ქცეულა, სათნოების ადგილას ბოროტებას გაუდგამს ფესვი, ზნეობრიობა უზნეობასა და უსინდისობას შეუცვლია, მოშლილა და მორღვეულა საფუძველი ხალხის ადამიანურად ცხოვრებისა, გულგრილ მოხელეთა და ჩინოვნიკთა უსულგულობის, მზვაობრობის მსხვერპლად გამხდარა უუფლებო, ღატაკი კაცი. თითქოს ბუნების სტიქიონსაც პირი შეუკრავს, ისიც კრიჭაში ჩასდგომია ღარიბ გლეხობას, რომ თავის ბნელ ტალღებში ჩაიხვიოს ცხოვრებასთან შეჭიდებული კაცის იმედი...

მაგრამ მიუხედავად ამ საყოველთაო გაპარტახებისა და უსასოობისა, ნინოშვილის მოთხრობათა გმირები ბრძოლისა და მოქმედებისათვის არიან შემართულნი, ქედს არ უხრიან ძალადობას, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან დროიძეებსაც და ბუნების სტიქიასაც. ადამიანური თავმოყვარეობის შელახვას სიკვდილი ურჩევნიათ, და თუ ბრძოლის ძალ-ღონე არ შესწევთ, თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს. მთავარია სულის გადარჩენა, მთავარია რწმენისა და იმედის სიცოცხლე, მთავარია იმედი იმისა, რომ „გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“.

ეგნატე ნინოშვილი, როგორც მწერალი და როგორც მოქალაქე ამ ზნეობრივი პრინციპით ცხოვრობდა, უსაზღვრო სიდუხჭირეში მყოფს, ნაბიჯი არ მოუცვლია თავისი ბასტიონიდან, არასოდეს უღალატნია ცხოვრების ერთხელ ამორჩეული გზისთვის. ღრმად სწამდა, რომ მხოლოდ უკომპრომისო ბრძოლით შეიძლებოდა სანუკვარი მომავლის მოპოვება, და თუმცა მწერალს იარაღით არასოდეს უბრძოლია, ბრძოლით დაასრულა ხანმოკლე სიცოცხლე. უკურნებელი სენით შეპყრობილს, დაუძლურებულსა და სიცხისაგან გათანგულს ბოლო დღეებამდე კალამი არ გაუგდია ხელიდან.

სულ ოთხი-ხუთი წლის მანძილზე მოასწრო თავისი უკვდავი ნაწარმოებების შექმნა; თანაც იმგვარ პირობებში, იმგვარ ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფმა, წარმოსადგენადაც რომ ძნელდება!

რა იყო ის ძალა, რომელმაც ამდენი შეაძლებინა მწერალს!

მის სუსტ, სნებიან სხეულში გმირული სული ცოცხლობდა.

დღევანდელი ახალგაზრდული ქართული მწერლობისათვის ჭეშმარიტად ძვირფასია ეგნატე ნინოშვილის სახელი, მისი მოწამეობრივი ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების მაგალითი, მისი სულიერი გაუტეხელობა და ზნეობრივი სიმაღლე. ჩვენს თაობას, ცხადია, არც ამ ეკლიანი გზების გავლა უხდება და არც იმ სოციალურ უსამართლობასთან ბრძოლა, მაგრამ თავისი წილი დასაძლევი სიძნელე ყველა დროის მოქალაქეს ხვდება წილად და ჩვენი ვალია არასოდეს ვივიწყებდეთ უკვდავ წინაპართა ცოცხალ მაგალითებს...

სიმართლე!

სიმართლისათვის უშეღავათო ბრძოლა! აი, რა ძვირფასი მაგალითი დაუტოვა შთამომავლობას ეგნატე ნინოშვილმა.

ეს უკვდავი მაგალითია! ამ გზას არასოდეს ღალატობდა და არც უღალატებს ქართული მწერლობა.

სწორედ ამიტომაა, რომ დღეს ასეთი სიყვარულით, პატივისცემითა და მოწიწებით ვიხსენებთ ეგნატე ნინოშვილის სახელს, სწორედ ამიტომ შეიყვარა ქართველმა მკითხველმა მწერლის მართალი შემოქმედება, სწორედ ამიტომ მიუჩინა ბინა ქართველმა ხალხმა ეგნატე ნინოშვილს თავის უკვდავ შვილებს შორის.

უკვდავია ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება და თუ არსებობს უკვდავება სულისა, მაშინ არ შეიძლება არ უხაროდეს მწერლის სულს, რომ მისმა ნაფიქრმა ერში ასე ღრმად გაიდგა ფესვი, რომ ამაოდ არ ჩაუვლია მის „განწირულ სულისკვეთებას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველად იყო საქმე

(საუბრობენ მწერალი **გიორგი ხორგუაშვილი** და საქართველოს კპ კასპის რაიკომის პირველი მდივანი — **ჯონდო ჯავახიშვილი**)

გიორგი ხორგუაშვილი: ალბათ იშვიათი მოვლენაა, რომ მამა და შვილი პარტიის რაიკომის პირველი მდივნები ყოფილიყვნენ ერთი და იგივე რაიონში, მამათქვენი — ლევან გაბრიელის ძე ჯავახიშვილი საქართველოს კპ კასპის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა 1952—1954 წლებში, თქვენ კი ამავე რაიკომის პირველ მდივნად აგირჩიეს 1988 წლის ივნისში, თითქმის სამი ათეული წლის მერე. საინტერესოა, ადრევე ხომ არ გიოცნებიათ მამის გზას გაჰყოლოდით?

ჯონდო ჯავახიშვილი: მშობლების მაგალითის ძალა შვილზე, რასაკვირველია, განუზომელია. მამაჩემი, მშრომელთა წრიდან გამოსული კაცი, ცხოვრებამ რომ ყმაწვილკაცობაშივე მიაჩვია ოფლის ღვრას, ბავშვობიდანვე მინერგავდა შრომის სიყვარულს. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მუშაობა დამაწყებინა კასპის რაიონის ალაიანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მუშად, რთვლის ჟამი იდგა და მეც დილაუთენია ვდგებოდი და დაღამებამდე ვმუშაობდი. ეს მეტად სასარგებლო გამოდგა, ვისწავლე შრომის ყადრი და მშრომელის დაფასება... ოცნებით მეც ბევრ სასიკეთოზე მიოცნებია, მაგრამ ცხოვრების გზის არჩევისას ფიქრადაც არ მომსვლია, რომ პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნის დიდი და საპატიო მოვალეობა დამეკისრებოდა, თანაც ასეთ საინტერესო რაიონში. დიახ, ეს ფიქრადაც არ მომსვლია, მაგრამ ჩემი ოცნება იყო, კეთილსინდისიერი შრომით ხალხისათვის მერგო რამე, სულ ერთია, სადაც უნდა ვყოფილიყავი. როცა ამ რაიონის თავკაცობა მომანდეს, პასუხისმგებლობის გრძნობა გამიორკეცდა, სხვა მიზეზებთან ერთად იმის გამოც, რომ დამავალეს მეტად მნიშვნელოვანი რაიონის ხელმძღვანელობა, შრომისმოყვარე ხალხით რომ არის დამშვენებული, გიორგი სააკაძისა და ივანე ჯავახიშვილის მშობლიურ კუთხედ რომ ითქმის...

გ. ხ. კასპის რაიონს ადრეც იცნობდით, შორიდანაც შეგიხედავთ „უცხო თვალით“, ახლა, აქ მუშაობის ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში უფრო ღრმად გაიცანით; გთხოვთ მოკლედ წარმოგვიდგინოთ იგი.

ჯ. ჯ. ვისაც კასპის რაიონის გაცნობა ნებავს, ერთი შეხედვით მაინც, ვურჩევდი ქ. კასპისა და მისი შემოგარენის ხილვით ნუ დაკმაყოფილდება (ცემენტის საწარმოს მობორიალე მტვერი და ბული, მოშიშვლებული აშურიანის და წლევის ქედები, მაინცდამაინც კარგ გუნებაზე ვერ დააყენებს, პირიქით); ჩვენთან პირველად მობრძანებულს ვურჩევდი დაკვირვებულის თვალი შეეყოლებინა ისტორიისა და ხეობების სიღრმეებისათვის და დარწმუნდება, თუ მართლა რა წარმტაცია შიდა ქართლში — თეძმის, კავთურის, ლეხურის და, ნაწილობრივ, ქსნის ხეობებზე გაშლილი რაიონი. ეს პატარა მდინარეები, ორი სამხრეთიდან (თეძამი და კავთურა), ორი ჩრდილოეთიდან (ლეხურა და ქსანი) ერთვიან საქართველოს დედამდინარეს — მტკვარს, რომელიც შუაზე ჩამოუდის რაიონს. სწორედ ამ დიდ-პატარა მდინარეების წყალობაა, რომ უფრო მეტი სიცოცხლე და სიმშვენიერე მისცემია ამ მხარეს, სადაც პატარ-პატარა დაბლობებიც საკმაოდაა და „მთანი მაღალნიც“ და კიდევ, მთავარი მაინც ის არის, რომ ადამიანები ამშვენებენ ამ მიდამოს.

ჭეშმარიტად, უადამიანებოდ რა ფასი ექნებოდა ამ უმშვენიერეს ბუნებას. თავისი ბუნებრივი ისტორიულ-გეოგრაფიული პირობების გამო, რაც კი კაცობრიობას თავი ახსოვს, ამ მხარეშიც ჩქეფდა ცხოვრება. ამას გვიდასტურებს უამრავი არქეოლოგიური ძეგლი ყველა ეპოქისა. ისინი თვალწინ გვიშლიან წინაპართა მრავალფეროვან ცხოვრებას, შრომით შემართებას, საბრძოლო სულისკვეთებას, მათს მაღალ კულტურას, რაც უფრო ძალუმად არის გაცხადებული არქიტექტურის ძეგლებში, რომელთა რიცხვი ორასორმოცდაათამდე აღწევს. ბევრი მათგანი დაამშვენებდა ნებისმიერი ცივილიზებული ერის კულტურას. აი, თუნდაც სამთა-

ვისის დიდებული ტაძარი, აგებული მე-11 საუკუნეში იოანე და ვაჩე ყანჩაელების თაოსნობითა და ოსტატობით. მან ხომ მთელი ეპოქა შექმნა იმდროის ხუროთმოძღვრებაში, სამთავისს მხარს უმშვენებს რკონის სამონასტრო ანსამბლი, მეტეხის, ქვათახევის და ერთაწმინდის დიდებული ტაძრები, კედლის მხატვრობითაც უკვდავყოფილი ფავნისი, იკვი და მაღალაანთ ეკლესია. ეს და სხვა უამრავი საკულტო ნაგებობა უფრო მშვენივრობენ იმიტომაც, რომ გვერდით უდგანან სამშობლოს დიდი გუშაგები — თავდაცვითი ნაგებობანი. ძნელია თქვა, რომელს უფრო დიდი თავგადასავალი აქვს: შიდა ქართლის გადამყურე ვეება ხზვილოს თუ ქაჯეთის ციხესავით კლდის მწვერვალზე აზიდულ დრიხის ციხეს, დიდი მოურავის კოშკსა და ნამოსახლარს თუ რკონის ციხეს; არანაკლებ საინტერესოა ძველი საცხოვრებელი სახლები, მარნები, ყარაღაჯის, ახალქალაქის თუ ერთაწმინდის დარბაზები, რომელნიც მეცნიერულად გამოიკვლიეს და ნაშრომებითაც უკვდავყვეს სპეციალისტ-სწავლულებმა.

ბევრი მნიშვნელოვანი ამბის მომსწრეა ამ რაიონის მიწა-წყალი, რომელიც არაერთხელ ყოფილა ბრძოლის ასპარეზი. აი გავიხსენოთ: ვახტანგ გორგასლის ბრძოლა ლეხურის ხეობაში (V საუკუნე), ბრძოლა მურვან-ყრუს წინააღმდეგ (VIII საუკუნე), მონაწილეობა დიდგორის ბრძოლაში დავით აღმაშენებლის სარდლობით (1121 წ.), საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1027—1072) და კლდეკარის ერისთავს — ლიპარიტ IV ბაღვაშს შორის მომხდარი ბრძოლა სასირეთის ველის თავს; ხზერტის ველში (ნიაბსა და მეტეხს შუა) გამართული ბრძოლა ყიზილბაშების წინააღმდეგ გიორგი სააკაძის მეთაურობით (1609 წ.), ალაიანის ტრაგედია, სპარსელების წინააღმდეგ დიდი ბრძოლის დასაწყისი გიორგი სააკაძის თაოსნობით (1625 წ.), ზედაველის ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ (1724 წ.)...

და ვინ იცის, ამ მიდამოებში კიდევ რამდენჯერ დაიღვარა სისხლი მამულის დასაცავად...

შემთხვევითი არ არის ამ მიწამ ბევრი სახელოვანი ადამიანი მისცა სამშობლოს: საქვეყნოდ ცნობილი გმირები და მხედართმთავრები: გიორგი სააკაძე და გივი ამილახვარი, დიდი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი — ცნობილი ქართველოლოგი ალექსანდრე ცაგარელი, სახელგანთქმული ფიზიოლოგი ივანე თარხნიშვილი, დიდი ივანე ჯავახიშვილი, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ცხვედაძე, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი: ეკატერინე გაბაშვილი, გიორგი შატბერაშვილი, ია კარგარეთელი, ვახტანგ კოტეტიშვილი, სანდრო, მიხეილ, ლადო კავსაძეები, შალვა აზმაიფარაშვილი, მარო თარხნიშვილი და სხვები, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. ქვემო ჭალაშია დაბადებული დიდი პოეტი და ერისკაცი რაფიელ ერისთავი, ბოლო დავით გურამიშვილის ცხოვრება დაკავშირებულია ლამისყანასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ცხოვრების შექმნაშიც გარკვეული წვლილი გაიღეს ამ რაიონის მშრომელებმა. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე შექმნეს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის უჯრედები, რომელთა ხელმძღვანელობით მრავალგზის მოეწყო გლეხთა გამოსვლები, მოქმედებდნენ წითელი რაზმები, 1905 წლის გაზაფხულზე რკონის მახლობლად შეიქმნა ყუმბარების მკეთებელი არალეგალური სამჭრო, რომელიც იარაღით ამარაგებდა თბილისის და გორის მაზრის რევოლუციონერებს. 1917-1920 წლებში რაიონის ტერიტორიაზე ბოლშევიკების ხელმძღვანელობით სამგზის მოეწყო გლეხთა აჯანყება მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ და ორჯერ, 1918 წლის მაისში და 1919 წლის ნოემბერში, შეძლეს კიდეც ადგილობრივი მენშევიკური მთავრობის დამხობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რაიონის მშრომელები აქტიურად მონაწილეობენ ახალი ცხოვრების შენებაში. სწორედ ჩვენს რაიონში, სოფ. სამთავისში შეიქმნა საქართველოში პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელი და კომუნა, რომელიც 1926 წელს დაათვალიერეს ი. სტალინმა, გ. ორჯონიკიძემ, ლ. ქართველიშვილმა და სხვებმა. რესპუბლიკის მასშტაბით პირველი „რკინის ხარი" ჩვენს რაიონში შემოიტანეს, 1924 წელს. საქართველოში ერთ-ერთი პირველი ლენინის ორდენი მიიღო კავთისხეველმა ნიკოლოზ ზაქარაშვილმა. დიდ სამამულო ომში კასპის რაიონიდან მონაწილეობდა 6 500-მდე კაცი, რომელთაგან შინ ვეღარ დაბრუნდა 3 300. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ: ილია ხმალაძეს (დოესი), სურენ ასლამაზაშვილს (გრაკალი), გიორგი თვაურს (წინარეხი), ნიკოლოზ იშჩენკოს (კასპი); სოციალისტური შრომის გმირის წოდება — გენერალ-პოლკოვნიკს შალვა ყიფიანიშვილს (კავთისხევი). აქაური მებრძოლები მონაწილეობდნენ თითქმის ყველა ძირითად საბრძოლო ოპერაციაში, პარტიზანულ რაზმებში, მათ შორის საფრანგეთში, იტალიაში, ჰოლანდიაში და რაიხსტაგის შტურმშიც.

გ. ხ. ასე, რომ დღევანდელი ჩვენი თაობა ცხოვრების აქტიური მშენებლების, მამულისათვის თავდადებულ მებრძოლთა მემკვიდრეა და მათი სისხლის ყივილი მოუწოდებს მათებურ შემართებას დღევანდელი მიზნების განხორციელებისათვის.

ჯ. ჯ. რასაკვირველია, დღევანდელ თაობას უფლება არა აქვს არ გაუფრთხილდეს წინაპართა სახელებს, ვგულისხმობ ქმედებას და არა მხოლოდ სიტყვიერ პატივისცემას; უფრო მეტი უნდა გააკეთონ და შექმნან, სამინოდ კი

დიდი შესაძლებლობები და ხელშემწყობი პირობები აქვთ, მათ წინაშე ისახება რთული და საპატიო პრობლემები, გამომდინარე პარტიის მიერ დასახული ამოცანებიდან.

გ. ხ. თქვენ პრობლემები ახსენეთ, როგორც ჩანს, მრავალი პრობლემა დგას რაიონის მშრომელების, კომუნისტების წინაშე; ცხადია, ეს პრობლემები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი და ერთურთს განაპირობებენ კიდეც, უწინარესად რომელ პრობლემას გამოყოფდით?

ჯ. ჯ. ყველა პრობლემა მნიშვნელოვანია და მათი გადაწყვეტა დაძაბულ მუშაობას მოითხოვს, მაგრამ თავიდათავი სოციალ-ეკონომიკური განვითარების პრობლემაა, რომლის წარმატებით გადაჭრა განაპირობებს სხვა საკითხების მოგვარებას. რაიონში სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარება, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება და მის საფუძველზე სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უზრუნველყოფა — აი ჩვენი 3,5 ათასიანი პარტიული ორგანიზაციის, ყველა მშრომელის უპირველესი საზრუნავი. სწორედ ამ მხრივ გამახვილდა რაიონის პარტიული ორგანიზაციის ყურადღება, გადავწყვიტეთ, ღრმად შეგვესწავლა რაიონის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა და დაგვესახა მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებანი, რაშიც დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ. ამ პრობლემებით პირადად დაინტერესდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე, რომელიც საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის მდივან ამხ. ჯ. ი. პატიაშვილთან ერთად საგანგებოდ ესტუმრა კასპის რაიონს, დაათვალიერა სამრეწველო ობიექტები, მათ შორის ცემენტ-შიფერის კომბინატი, მირიანის მეფრინველეობის გიგანტური კომპლექსის მშენებლობა, რაიონის სოფლები. მათ შორის, აღდგენილი სოფელი რკონი, სამთავისის ტაძარი და სხვა დიდმნიშვნელოვანი ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ესაუბრა საქ. კპ. კასპის რაიკომის ბიუროს წევრებს, რაიონის კომუნისტებს, მშრომელებს და დაგვისახა მომავლის ამოცანები, ასევე დიდ პატივად მიგვაჩნია, რომ ამხ. ე. ა. შევარდნაძე პირადად დაინტერესდა და განიხილა ორგანიზაციული, იდეურ-აღმზრდელობითი და სამეურნეო საქმიანობის ერთიანობის უზრუნველყოფისათვის პარტიის კასპის რაიონული კომიტეტის მიერ 1983 წელს ჩატარებული მუშაობა, რასაც შედეგად მოჰყვა „კასპის რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღონისძიებანი“. ღონისძიების პროექტს განიხილავს და დაამტკიცებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. აღნიშნული ღონისძიება და გეგმა ითვალისწინებს რაიონის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ პრობლემებსა და საკითხებს, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ხ. რაიონის სახალხო მეურნეობის დახასიათებას, უპირველესად, ალბათ, მრეწველობით დაიწყებდით.

ჯ. ჯ. თავისთავად ცხადია, მრეწველობას ჩვენს რაიონში დიდი ხვედრითი წილი უკავია. თუ საზოგადოებრივ სექტორში ვაწარმოებთ 20 მილიონ მანეთამდე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, რაიონის სამრეწველო საწარმოები იძლევა 87 მილიონი მანეთის პროდუქციას, ასე, რომ ჩვენს რაიონს შეიძლება ეწოდოს აგრარულ-სამრეწველო რაიონი. სადაც მოქმედებს თხუთმეტი სამრეწველო ობიექტი. მთავარი მაინც საშენ მასალათა საწაროებია, რომლის განვითარებას ხელს უწყობს სილიკატური მასალების — კირქვის, მერგელის თუ თიხის საბადოების სიუხვე.

გ. ხ. მასალების სიუხვემ და ხარისხიანობამაც განაპირობა ამ მიდამოებში მჭიდა მასალების წარმოების განვითარება, უძველეს კერამიკულ საწარმოებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. აქ ამზადებდნენ დუღაბს, რომლითაც ნაგები ბევრი ტაძარი თუ ციხე, ათეულ საუკუნეებს რომ ითვლიან, ვერც სტიქიურმა მოვლენებმა და ვერც განრისხებული მტრის მარჯვენამ ვერ დაანგრია. ბევრგან აწარმოებენ უმაღლესი ხარისხის კირს, კასპიდან ორიოდე კილომეტრის მოშორებით იყო სოფელი საკირე, რომელიც იხსენიება ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში, ხოლო მეტეხის მიდამოებში ისეთი თიხაა, რომ აქაურები ხუმრობენ ხოლმე: პირველი ადამიანი აქ, მეტეხში გაჩნდაო.

ჯ. ჯ. ხუმრობა ხუმრობაა, მაგრამ ეს კი ფაქტია, რომ ქ. კასპში და მის მახლობლად მოქმედებენ მძლავრი საშენ მასალათა საწარმოები. უპირველესად მოსახსენებელია ხუთწლედის პირმშო, ცემენტ-შიფერის კომბინატი, რომელიც თითქმის ხუთნახევარი ათეული წელიწადია ჩვენს ქვეყანას აწვდის მშენებლობის პურს — ცემენტს. კასპური ცემენტი იგზავნება მთელ საქართველოში, მის მიღმაც, საზღვარგარეთაც. დიდი ხანი არ არის, რაც მას მხარში ამოუდგა რუსთავის ცემენტის ქარხანა (ისიც მთავარ ნედლეულს აქამდე ღებულობდა კავთისხევის კირქვის კარიერიდან), თორემ საქართველოს დიდი და პატარა მშენებლობანი, უნიკალური თუ სახელდახელონი, უმეტესად კასპური ცე-

მენტით არის აშენებული. და კიდევ ბევრი გულგასახარი საშვილიშვილო შენობა აიგება აქაური მჰიდათი.

თუ პირველ წელს (1931 წ.) ცემენტის ქარხანამ გამოუშვა 120 924 ტონა ცემენტი, 1980 წელს სამშობლოს მისცა 815 000 ტონა, ხოლო 1990 წლისათვის, ამ ქარხნის რეკონსტრუქციის შემდეგ, ნავარაუდევია 1 მილიონი ტონის წარმოება. ქარხანა უშვებს აგრეთვე სხვა ძვირფას საშენ მასალებს — შიფერს და წვრილ საკედლე ბლოკს.

გ. ხ. ცხადია, თუ რა დიდი სიკეთე მოაქვს ქვეყნისათვის, და კერძოდ რაიონისთვისაც ცემენტ-შიფერის კომბინატს, მაგრამ მისი მტვერი და ბოლი აჭუჭყიანებს და აბინძურებს ქალაქს, ყოველწლიურად ჰაერში იფრქვევა და მერე მიწას ეფინება 78 ათასი ტონა მტვერი, რაც მავნედ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე საზიანოა აგრეთვე ქარხნის ახლომახლო მდებარე ათასობით ჰექტარ მიწაზე გაშენებული ხეხილისა და მცენარეებისათვის, რითაც, საბოლოოდ, ისევ ადამიანი ზარალდება. არის თუ არა პერსპექტივა, რომ აცილებულ იქნას ეს უსიამოვნება?

ჯ. ჯ. ცემენტის მტვრისა და გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემა კასპელებსა და არაკასპელებსაც აწუხებთ. ტარდება ღონისძიებანი, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში კასპელებს გვექნეს „უმტვერო ცა"; აქვე უნდა ითქვას, რომ დაუდევრად ვექცევით მარჩენალ მიწას. ათობით ჰექტარი საუკეთესო მიწა ფუჭდება თვით ცემენტ-შიფერისა და მეტეხის საშენ მასალათა კომბინატების კარიერებზე, საიდანაც ეზიდებიან საჭირო ნედლეულს. მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ ექსკავატორებისაგან დაგლეჯილი და შეჭმული მიწა ისევ გავარგისიანდეს, იმ მიზნით, რომ სწორედ ამ ადგილებში აშენდეს ახალი საწარმოები.

მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ საწარმოებს. რაიონში ცემენტ-შიფერის კომბინატის გარდა მოქმედებენ ისეთი მძლავრი საწარმოები, როგორიც არის მეტეხის საშენ მასალათა კომბინატი, ქარხანა „კასპიელექტროაპარატი", კასპის ხილკენკროვანი ღვინის ქარხანა, ოკამის ღვინის ქარხანა, საკონსერვო ქარხანა, რაიმრეწვკომბინატი... 1988 წელს დავამზადეთ 764 ათასი ტონა ცემენტი, 48 750 ათასი პირობითი ფილა შიფერი, 89 200 კუბური მეტრი წვრილი საკედლე ბლოკი, 55 400 ათასი ცალი აგური, ქარხანა „კასპიელექტროაპარატმა" გამოუშვა 15,5 მილონი მანეთის, ოკამის ღვინის ქარხანამ 13,7 მილ. მანეთის, საკონსერვო ქარხანამ 3 მილ. მანეთის, რაიმრეწვკომბინატმა 1,9 მილიონი მანეთის პროდუქცია. სულ რაიონის სამრეწველო საწარმოებმა აღნიშნულ წელს გამოუშვეს 83 მილიონ 500 ათასი მანეთის პროდუქცია.

გ. ხ. ხარისხზე რას იტყოდით?

ჯ. ჯ. ბოლო ხანებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, რაზეც მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ჩვენმა რაიონმა სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ხარისხისა და მუშაობის ეფექტიანობის, სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებისა და ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესების რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში მესამე ადგილი დაიკავა რაიონებს შორის. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგზეა, ჩვენი ქარხნები ჯერ კიდევ „შემოგვაპარებენ" ხოლმე უხარისხო პროდუქციას, რაც გამოიხატება მომხმარებლის ზეპირ სამდურავსა და ოფიციალურ რეკლამაციებში.

ბარემ აქვე მოგახსენებთ, რომ ჩვენი საწარმოების კოლექტივებიც გულმოდგინედ იღვწიან შრომის ნაყოფიერების ერთი პროცენტით გაზრდისათვის და თვითღირებულების 0,5 პროცენტით შემცირებისათვის, ეს კი ჩვენს პირობებში დამატებით მოგვცემს 850 ათასი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას და 350 ათასი მანეთის მატერიალური რესურსების ეკონომიას წელიწადში. ეს თანხა მოხმარდება რაიონის სოციალ-კულტურულ ღონისძიებებს.

გ. ხ. რაიონის მრეწველობის მომავალზე რას იტყოდით?

ჯ. ჯ. კიდევ უფრო გაიზრდება არსებული სამრეწველო ობიექტების წარმადობა, ძირითადი დანადგარების რეკონსტრუქციის შედეგად ცემენტ-შიფერის კომბინატი ყოველწლიურად გამოუშვებს 1 მილიონ ტონა ცემენტს, გაიზრდება შიფერის წარმოება, აშენდა წვრილი საკედლე ბლოკის დიდი საწარმო, რომელიც ყოველწლიურად გამოუშვებს 120 ათას კუბურ მეტრ ბლოკს, აშენდება აზბესტ-ცემენტის ქარხანა, რეკონსტრუქცია გაუკეთდება ქარხანა „კასპიელექტროაპარატს". რომელიც ყოველწლიურად გამოუშვებს 20 მილიონამდე მანეთის პროდუქციას. მნიშვნელოვნად გაიზრდება რაიმრეწვკომბინატის, რკინა-ბეტონის ქარხნის, ქვემოჭალის ხილ-კენკროვანი წვენების ქარხნის, საქცეოლითის და სხვათა პროდუქციის წარმოება. მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის მახლობლად შენდება ახალი აგურის ქარხანა, სადაც დამონტაჟდება ბულგარული დანადგარები, სამუშაო პროცესი ავტომატიზებული იქნება, ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს 60 მილიონ ცალ წითელ აგურს და სხვა მასალებს. ექსპლოატაციაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შევიდა კავთისხევის სუვენირული ღვინოების
ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად გამოუშვებს
6 მილიონი მანეთის ნაწარმს. გაიზრდება სოფ-
ლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავე-
ბელი საწარმოები, ოკამის ღვინის ქარხანა, რო-
მელიც ყოველწლიუარდ გამოუშვებს მაღალი
მარკის კონიაკს, გაფართოვდება საკონსერვო
და ხილისა და ხილ-კონკროვანი წვენების ქარხ-
ნები, რომლებიც ერთი სამად გაზრდიან წარ-
მადობას. (თუ ახლა რაიონში მზადდება 30 000
ტონა ხილი, მომავალში მისი წარმოება გაიზ-
რდება 70 000 ტონამდე.) აშენდება დიდი ხილ-
საცავები, აიგება სრულიად ახალი საწარმოები,
კომუნალური მომსახურების ავტომანქანების
შემკეთებელი და საწოვარ-სატუმბო მოწყობი-
ლობის ქარხნები. განზრახულია სხვა ობიექტე-
ბის მშენებლობაც. 2 000 წლისათვის რაიონის
სამრეწველო ობიექტები გამოუშვებენ 140 მი-
ლიონ მანეთამდე პროდუქციას. ეს საწარმოები
ძირითადად განლაგებული იქნება ქ. კასპსა და
მის მიდამოებში. მის შესაბამისად განვითარდება
ტრანსპორტი, როგორც სარკინიგზო, ისე
საავტომობილო. ქალაქისავე მახლობლად, აღ-
მოსავლეთით შენდება მეფრინველეობის უზარ-
მაზარი კომპლექსი, რომელიც ყოველწლიურად
დაამზადებს 11 ათას ტონა ფრინველის ხორცს.
საწარმოების შესაბამისად აშენდება მისი დამხ-
მარე და საჭირო დაწესებულებანი: საც-
ხოვრებელი ბინები, განათლების, კულტურის
ჯანმრთელობის დაცვის კერები, სპორტული
ნაგებობანი და სხვა. ასე, რომ ქალაქი კასპი
ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში გადაიქ-
ცევა დედათბილისის თანამგზავრ ქალაქად (იგი
ხომ თბილისიდან სამოციოდე კილომეტრით
არის დაშორებული), სადაც მეორე ათასწლეუ-
ლის ბოლოსთვის მცხოვრებთა რიცხვი ერთი-
ორად გაიზრდება ალბათ.

გ. ხ. და მაინც დღევანდელ კასპს დავუბრუნ-
დეთ. რა მდგომარეობაა ქალაქში, რა შენ-
დება ახალი, რა სამუშაოები მიმდინარეობს
მისი კეთილმოწყობისათვის, არქიტექტურული
სახის გაუმჯობესებისათვის?

ჯ. ჭ. მოსახლეობის რაოდენობის მხრივ თავის
ტოლ ქალაქებს შორის ასე ფართოდ და, მე
ვიტყოდი, თვითნებურად გაშლილი ქალაქი,
ალბათ იშვიათია. იგი გადაჭიმულია 25 კვად-
რატულ კილომეტრზე და კიდევ განზე მიი-
წევს, ჩრდილოეთით საცაა შეუერთდება სო-
ფელ მრგვალიჭალას, რომელიც ცენტრიდან
(გ. სააკაძის მოედანი) ბარე 7 კილომეტრით
იქნება დაშორებული, ხოლო აღმოსავლეთით
მალე მიებმება სოფელ მიქელწყაროს, ამავე
მანძილით რომ იქნება დაცილებული ცენტრს.
არის მაღლივი საცხოვრებელი შენობების პა-
ტარ-პატარა უბნებიც, მოსახლეობის უმეტესო-
ბა კი ცხოვრობს კერძო ბინებში, რომელთა
წინ მშვენიერი ბაღ-ვენახები აქვთ გაშენებული,
მაგრამ ქალაქს აკლია მზრუნველი ხელი, რის
გამოც მოსახლეობა გამოთქვამს სამართლიან უკ-
მაყოფილებას. შედარებით თვალსაჩინოდ მოჩანს
ქალაქის შუაგული, გიორგი სააკაძის მოედანი,
რომელიც მოეწყო დიდი მოურავის ძეგლის
დადგმისა და გახსნის დროს (1970 წელი), ასევე
შედარებით კეთილმოწყობილია ლენინის ქუჩა,
დანარჩენ ქუჩებში, რომელთა რიცხვი ასამდე
აღწევს და რომელთაგან ზოგი 2-3 კილომეტრის
სიგრძისაც გახლავთ, როგორც იტყვიან, არ
გაივლება. რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანე-
ლობამ ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად დაუ-
სახეთ ქალაქის კეთილმოწყობა, კომუნალური
მეურნეობის გაუმჯობესება, ახალი საცხოვრე-
ბელი ბინების მშენებლობა. ქუჩების კეთილ-
მოწყობა დავიწყეთ ქალაქის მთავარი ქუჩით,
ლენინის ქუჩით, ქუჩის ორივე მხარეს გრძელ-
დება დეკორატიული კედლების მშენებლობა,
კეთილეწყობა ტროტუარები, ძველი შემხმარი
ხეების ნაცვლად ირგვება ახლები, ლამაზდება
ქუჩისპირა შენობების ფასადები. ასეთივე სამუ-
შაოები მიმდინარეობს სტალინის ქუჩაზე იმ და-
მატებით, რომ ცენტრალურ ნაწილში კეთდება
სკვერის ტიპის ხეივანი. გრძელდება მდ. ლეხუ-
რის მარჯვენა სანაპიროს რეკონსტრუქცია და
კეთილმოწყობა, ქუჩას გაუკეთდება დეკორატი-
ული მოაჯირი და განათდება ლამაზი ლამპიონე-
ბით, გრძელდება აგრეთვე ლეხურის მარჯვენა
სანაპიროს ჯებირის მშენებლობა. მდინარისაგან
შუაზე გაყოფილ ქალაქს აკავშირებს ერთადერთი
სამანქანო ხიდი, რომელსაც დაეწყვილება მეო-
რეც: ასევე გათვალისწინებულია რკინიგზის ხა-
ზის ზემოდან გადასასვლელი სამანქანო ხიდის
მშენებლობა. მიმდინარეობს მარქსისა და საბჭოს
ქუჩების დაპროფილება, რომლებზეც მოეწყობა
შავი საფარი. ამ ქუჩების ბედს თანდათანობით
გაიზიარებს სხვა ქუჩებიც. ქალაქის ცენტრში
აიღება ბანკის ძველი შენობა, (შენდება ახალი)
მის ადგილას გაკეთდება დეკორატიული სკვერი
აუზითა და შადრევნებით, რომელიც შეერწყმის
სააკაძის მოედანს. ადგილის გადანაცვლება მოუ-
წევს დღევანდელ საკოლმეურნეო ბაზარსაც მა-
შინ, როცა სულ უფრო ფართო და მარჯვე ადგი-
ლას აიგება ორსართულიანი ახალი ბაზრის შენ-
ობა. ქალაქის აღმოსავლეთით „ნატბეურაზე“ გა-
შენდება კულტურისა და დასვენების ვრცელი
პარკი.

მოსახლეობა სამართლიან უკმაყოფილებას გა-
მოთქვამს სასმელი წყლის უკმარისობისა და
უვარგისობის გამო. შენდება ახალი წყალსადენი
სისტემა, რომლის მშენებლობა ჯდება 1,2 მილ.
მანეთი და რომელიც წამში მოგვცემს 100
ლიტრ წყალს. სასმელი წყალი, რომელიც სათა-
ვეს იღებს ახმაჯში (ლამისყანის ზემოთ, კასპი-
დან 20 კილომეტრზე) მალე გაახარებს ქალაქის
მცხოვრებლებს.

დიდი ყურადღება ეთმობა ქალაქის განაშენიანებას. ის საწარმოები, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, ძირითადად შენდება ე. წ. საშრეწველო უბანში — თიხის კარიერის მიდამოებში, რომელიც სახნავ-სათესად აღარ გამოდგება. ვაპირებთ ახალი უბნების გაშენებას. ერთი ახალშენი უბანი იქმნება ქალაქის დასავლეთით ელექტროაპარატურის ქარხნის მახლობლად, სადაც აშენდება „არმაზ-88“ ტიპის საცხოვრებელი ბინები (8—5 სართულიანი). ახალ უბანში უკვე აშენდა 2 საცხოვრებელი ბინა, მალე დაიწყება 8 ოცბინიანი სახლის მშენებლობა მეფრინველეობის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისთვის, ამ პირველი რიგის სამუშაოებს მოჰყვება მეორე რიგის მშენებლობა — კვლავ ახალი საცხოვრებელი ბინები. 3 ოცბინიან სახლს აშენებს ხასოფლო მშენებლობის სამინისტრო, ამავე უბანში აშენდება ცემენტის ქარხნის სამოცბინიანი და ქალაქის საბჭოს ოცბინიანი სახლები. ამ მიკრორაიონში იცხოვრებს 9 ათასამდე კაცი, რომელთათვისაც აშენდება ახალი სკოლა, ბაგა-ბაღი, სავაჭრო ცენტრი, კულტურის დაწესებულებანი, სპორტული კომპლექსი და სხვა.

ახალი მიკრორაიონის გაშენება გათვალისწინებულია ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს, ნატბეურას მახლობლად. კვლავ გაგრძელდება ინდივიდუალური ბინათმშენებლობა, ქალაქის ჩრდილოეთით, გამოყოფილია 8 ჰექტარი სამოსახლო ფართობი ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის. იგი ძირითადად განაწილდება ცემენტის ქარხნისა და სხვა საწარმოების მუშა-მოსამსახურეებზე. მომავალში, დროდადრო, შეძლებისდაგვარად აშენდება საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, კულტურის დაწესებულებანი; მოკლე ხანში უნდა აშენდეს „სამედიცინო კომპლექსი“, საქორწინო სახლი და სხვა დაწესებულებანი, რომელიც ესოდენ ესაჭიროება არა მარტო ქალაქის, არამედ რაიონის მშრომელებსაც. დაიწყება ახალი სასტუმროს და ახალგაზრდული თეატრის მშენებლობა, გაფართოვდება სატელეფონო სადგურის ქსელი და სხვა.

გ. ხ. ძველი მემატიანეების მიერ კასპი მოხსენიებულია იბერიის უძველესი ქალაქების — უფლისციხის, სარკინეს, ოძრახეს და სხვა ქალაქებს შორის. თავისი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა და სოციალ-ეკონომიკური განვითარების გამო სოფლის ტიპის დასახლება თანდათან ქალაქად უნდა ქცეულიყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-5 საუკუნეში განსაკუთრებით დაწინაურდა ჩვენი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნეში, ვახტანგ გორგასალის დროს. მემატიანის თქმით, ვახტანგის დაი გურანდუხტი სწორედ აქ იზრდებოდა. ასე, რომ თავისი სპასალარი ანუ მხედართმთავარიც კი ჰყოლია კასპსა და განათლებისა და კულტურის დონე იმდენად მაღალი ყოფილა, რომ მეფეები აქ აგზავნიდნენ შვილებს აღსაზრდელად. ვახტანგ გორგასალმა კასპის მიდამოებში გადაიხადა დიდი ბრძოლები მომხდურის წინააღმდეგ. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, ქალაქი კასპი დაუნგრევია მურვან ყრუს (VIII საუკუნე) და გადაქცეულა ჯერ დაბად, მერე სოფლად, ხოლო ქალაქად კვლავ იქცა საბჭოთა ხელისუფლების წლებში და, როგორც თქვენ ბრძანეთ, დიდი მომავალი აქვს, ისე, რომ ქ. კასპი 25 საუკუნის ქალაქია, ეს საიუბილეო თარიღია. ხომ არ გადავუხადოთ ამ მრავალ ჭირნახულ, სისხლითა და ოფლით ნაგებ ქალაქს იუბილე?

ჯ. ჯ. ოცდახუთი საუკუნის ქალაქი, თანაც მრავალჭირნახული და დიდი მომავლის მქონე, ჭეშმარიტად იმსახურებს იუბილეს რესპუბლიკური მასშტაბითაც კი, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ჯერჯერობით მზად არა ვართ. იუბილარი ქალაქი დღესაც სანიმუშო უნდა იყოს საქმიანობითაც და სხვა მხრივაც. ისე კი, ურიგო არ იქნებოდა განგვესაზღვრა დაახლოებით საიუბილეო წელი და აქედანვე დაგვეწყო მზადება, უწინარესად კი გვემრავლებინა ზრომითი წარმატებანი.

გ. ხ. გთხოვთ, მოკლედ დაგვიხასიათოთ რაიონის დღევანდელი სოფლის მეურნეობა და მისი დარგები, ძირითადი მიმართულებანი, მომავლის პერსპექტივები.

ჯ. ჯ. რაიონის მიწის ფონდი შეადგენს 80 316 ჰექტარს. აქედან სახნავ-სათესია 10.048 ჰექტარი, მრავალწლიან ნარგავებს უკავია 8.500 ჰექტარი, სათიბი შეადგენს 340 ჰექტარს, საძოვარი 16 150 ჰექტარია (ამის გარდა, რაიონის გარეთ გვაქვს 3 328 ჰექტარი საძოვარი), საკარმიდამო მიწის ფართობი 1-290 ჰექტარია, კოლექტიურ მებაღეობას უკავია 364 ჰექტარი, რომელსაც ფლობს 32 ორგანიზაცია, 26,462 ჰექტარი ტყე გვაქვს, ბუჩქნარი შეადგენს 2 077 ჰექტარს, ხოლო გზებს, მდინარეებსა და ხევებს დაკავებული აქვს 18 110 ჰექტარი.

ამ ღალოცვილ მიწაზე ყველაფერი მოდის. ოდითგანვე ხარობდა ვაზის მრავალნაირი ჯიში, ხილეულის, მარცვლეულის, ბოსტნეულის და ბაღჩეულის სახეობანი, შაქრისა და საკვები ჭარხალიც კარგად გვარობს, მეცხოველეობასაც ოდითგანვე მისდევდნენ და მეაბრეშუმეობასაც. ჩამოთვლილიდან თითოეული დარგის ინტენსიური განვითარება შეიძლება, მაგრამ ყველა ერთად და ერთდროულად, რასაკვირველია, გაძნელდება. თავიანთი ხვედრითი წილის მიხედვით რაიონში ასე მოჩანს სათანადო მეურნეობის დარგები: მარცვლეულის საწარმოებ-

ლად დასაქმებულია 2 933 ჰექტარი, ბოსტნეული ითესება 544 ჰექტარზე, შაქრის ჭარხალი 300 ჰექტარზე. ვენახს უკავია 1 540 ჰექტარი, ბაღებს 8.600 ჰექტარამდე. შაქრის ჭარხლის წარმოებით ბოლო ხანებში საქართველოში პირველ ადგილზე ვართ. რაიონი სამ წელიწადს ზედიზედ დაჯილდოვდა საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს. რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და ეს სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია, რადგან ამ რაიონში შაქრის ჭარხლის მოყვანის დიდი ტრადიციები არსებობს, მეჭარხლეობის მთელი სკოლა შექმნეს იგოეთელმა მარიამ ჩადუნელმა და ქვემოგომელმა სოფიო მერიდაშვილმა, რომელიც ითვლება საქართველოში პირველ სოციალისტური შრომის გმირად მეჭარხლეობაში და რომლის სახელობის პრიზიც არის დაწესებული რესპუბლიკური მაშტაბით.

ბოლო ხანებში უფრო ინტენსიურად ვითარდება მებოსტნეობა და მეხილეობა. თუ 1960 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა აწარმოეს 4 275 ტონა ბოსტნეული, 1988 წლისათვის იგი 8 ათას ტონამდე ავიდა. თუ 1960 წელს საზოგადოებრივმა მეურნეობებმა აწარმოეს 1483 ტონა ხილი, 1988 წლისათვის იგი გაიზარდა 14 500 ტონამდე, ხოლო 1990 წლისათვის უნდა ვაწარმოოთ 70 ათასი ტონა ხილი. აქ საყურადღებოის არის, რომ წინა წელთან შედარებით იზრდება საჰექტარო მოსავლიანობა, რასაც ხელს უწყობს ისიც, რომ უკანასკნელი 10—15 წლის განმავლობაში განხორციელებულია დიდი საირიგაციო სამუშაოები. თეზი-ოკამის და დოე-გრაკალის არხებმა, კავთისხევის წყალსაქაჩმა ათასობით ჰექტარი მიწა გააცოცხლა. კვლავაც გათვალისწინებულია დიდი საირიგაციო სამუშაოების ჩატარება.

გ. ხ. როგორ ვიყენებთ მიწასა და წყალს, ბუნების სიკეთეს, ღირსეულად არის თუ არა დასაქმებული ჩვენი მარჩენალი მიწა?

ჯ. ჯ. რაიონში ბევრგან მიწას საკადრისად უვლიან და შედეგიც სასურველია, ბევრგან კი სცოდავენ. მივმართოთ მაგალითს: 1982 წლის მონაცემების მიხედვით, საშემოდგომო ხორბალი ჰექტარზე მიღებულია 13,4 ცენტნერი, მაშინ როცა ზოგ კოლმეურნეობაში 25 ცენტნერი მოჰყავთ. სამარცვლე სიმინდი ჰექტარზე საშუალოდ 24,5 ცენტნერია, მაშინ როცა 100 და 120 ცენტნერი მოუყვანიათ. შაქრის ჭარხლის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე შეადგინა 428 ცენტნერი, როცა 1 000 და 1 200 ცენტნერის მოყვანა არ გაჭირვებიათ. ხილის საერთო მოსავალმა ჰექტარზე საშუალოდ 36,8 ცენტნერს მიაღწია, როცა შეიძლება ჰექტარზე 100—120 ცენტნერის მოყვანა. ასე რომ, ვერ ვიყენებთ მიწას საკადრისად. სასურველ დონეზე არ დგას შრომის დისციპლინა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ზოგან თუ ისეა მოწყობილი შრომის ორგანიზაცია, რომ უქმე დღესაც მუშაობენ, ზოგი შრომისუნარიანი სანახევროდაც ვერ ასრულებს სავალდებულო მინიმუმს, საშუალოდ კაცდღის ანაზღაურებამ შეადგინა 5,72 მანეთი. ბევრმა კოლმეურნემ თუ საბჭოთა მეურნეობის მუშამ თვეში გამოიმუშავა 300-400 მანეთი და მეტიც, მაგრამ ზოგი მეურნის საშუალო თვიური ხელფასი 40-50 მანეთს არ აღემატება.

გ. ხ. ქართველი კაცი ოდითგანვე ყველა კულტურის და ხეხილ-მცენარის დიდი თაყვანისმცემელია, რაც კი ქართულ მიწაზე გვარობს, მაგრამ „შვილივით ნაზარდი“ ვაზი მაინც გამორჩეულად უყვარდა. ეს სიყვარული გაცხადებული იყო ლექსში, სიმღერაში, ხელოვნების ყველა დარგში. ვაზი დიდი სიყვარულითა და ოსტატობით გამოუსახავთ ქვაზე, ხეზე, ლითონზე, ტაძრებსა თუ ეკლესიებზე და ჯვარიც ვაზისა იყო. ეს თაყვანისცემა გამოწვეული იყო იმით უფრო, რომ მას დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახისთვისაც და ქვეყნისთვისაც.

ჯ. ჯ. მევენახეობა ამ მხარეშიც ოდითგანვე განვითარებული იყო. რასაც ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები (ღვინის ჭურჭელი, ყურძნის წიპწები და სხვ.). მევენახეობის განვითარებისათვის ამ საუკეთესო ადგილებში გვარობდა 70-მდე ჯიშის ვაზი. მათ შორის, ჩინური, გორულა, მწვანე, თავკვერი, საფერავი, თითა, ბუდეშური, ხარისთვალა, ჭყაპა, შავკაპიტო. განსაკუთრებით პოპულარულია ჩინური, რომლის ერთ-ერთ სახესხვაობას კასპურა წარმოადგენს, მხოლოდ კასპსა და მის ახლომახლო რომ ხარობს. აქაურ ზვრებში მოწეული ყურძნიდან დგება საუკეთესო ღვინოები.

სამიოდე ათეული წლის წინათ მევენახეობა რაიონში ითვლებოდა ერთ-ერთ წამყვან დარგად, შეიქმნა მევენახეობის დიდი საბჭოთა მეურნეობა (ოკამის, ქსნის). მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩემი დაკვირვებით, ჩვენს რაიონში ვაზი და ვენახი ისეთი დიდი პატივით ველარ სარგებლობს, როგორც ტრადიცია მოსდგამს და როგორც ეკადრება ქართულ ვაზს და თვით ქართველ კაცს. განვითარების მაგიერ, უკანასკნელ წლებში უფრო დაქვეითდა, შემცირდა ფართობებიც და მოსავალიც, იმატა მეჩხერიანობამ. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1975 წლისათვის სულ 8 451 ჰექტარი ვენახი იყო, 1983 წლისათვის ვენახის ფართობი 1887 ჰექტარამდე დავიდა, თუ ამ

ათი წლის წინათ საზოგადოებრივი მეურნეობებიდან მიღებულ იქნა 5 ათასამდე ტონა ყურძენი, გასულ წელს 2 000 ტონა ყურძენი ძლივს მოვიწიეთ. ყურძნის დაბალი, თითქმის სამარცხვინო, მოსავლის მიზეზია ვენახების მოუვლელობა, მეჩხერიანობა.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი მევენახეობის დარგში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ახალი ვენახები გაშენდა 700 ჰექტარზე. რაიონში უნდა აღორძინდეს მევენახეობა, ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ სახელმწიფოს დიდ მარანში, აქ კი თავიანთი სიტყვა უთუოდ უნდა თქვან კერძო ვენახების პატრონებმაც.

გ. ხ. რას იტყოდით რაიონში მეცხოველეობის მდგომარეობის შესახებ?

ქ. ქ. მეცხოველეობის განვითარებისათვის მართლაც რომ საუკეთესო ბუნებრივი პირობებია ჩვენს რაიონში, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ვითარება რამდენადმე შეიცვალა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება გართულდა კიდეც სხვადასხვა გარემოების გამო, მათ შორის კი ერთი მიზეზთაგანი გახლავთ, ის, რომ სოფლის მეურნეობის დარგების დაწინაურების გამო შემცირდა საძოვარი და სათიბი ფართობი, შემცირდა აგრეთვე სახნავ-სათესი, სადაც უმთავრესად მარცვლოვანი ითესებოდა. მარცვლოვანი კულტურები კი ამავე დროს იძლეოდა საქონლის საკვებს, განსაკუთრებით კი ნამჯისა და ჩალის უხვი რაოდენობით დამზადების საშუალებას. თავი რომ დავანებოთ წარსულს, ბოლო ათი წლის მაგალითები და ციფრობრივი მაჩვენებლებიც მოწმობენ ამას. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თავკაცები იძულებული ხდებიან ნამჯა და ჩალა დიდი რაოდენობით შემოზიდონ რაიონისა და საქართველოს გარედანაც. ეს კი ძვირი ჯდება. მიუხედავად ამისა, ბოლო ხანებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება მაინც აღმავლობის გზით მიდის. თუ 1960 წელს წარმოებულ იქნა 8 172 ცენტნერი პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონა), 1982 წელს იგი ავიდა 13 004 ცენტნერამდე. აქ დიდი ხვედრითი წონა აქვს სამეურნეობათაშორისო გაერთიანებებს — ნოსტეს მეფრინველეობის ფაბრიკას და ბარნაბიანთკარის მეღორეობის კომპლექსს. ასევე იმატა რძის, კვერცხისა და მატყლის წარმოებამ.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში დიდად გვეხმარება სასურსათო პროგრამა, რაშიც თავისი წვლილი შეაქვს მოსახლეობას. თუ მოსახლეობას 1975 წელს ჰყავდა 7 601 სული მსხვილი რქოსანი პირუტყვი, 1982 წლისათვის იგი გაიზარდა 10 224 სულამდე. მოსახლეობა განსაკუთრებით მიეტანა ღორის ხორცის წარმოებას. თუ 1975 წელს მოსახლეობას ჰყავდა 1 769 ღორი, 1982 წლისათვის 8 017 სულამდე გაიზარდა. ხორცის წარმოება უახლოეს წლებში კიდევ უფრო გაიზრდება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მალე მწყობრში ჩადგება მირიანის გიგანტური მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელიც წელიწადში მოგვცემს 11 ათას ტონა ფრინველის ხორცს.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე მოსახლეობის მხრიდანაც კიდევ უფრო გაიზრდება ხელს რომ არ გვიშლიდეს საძოვრებისა და სათიბების სიმცირე.

გ. ხ. რას გვეტყვით რაიონის ახალგაზრდობაზე, მათ წვლილზე სახალხო მეურნეობაში?

ქ. ქ. ჩვენს რაიონში შესანიშნავი ახალგაზრდობაა, რომელსაც პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობითა და დახმარებით დიდი წვლილი შეაქვს რაიონის მშრომელთა წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულების საქმეში. რაიონის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დასაქმებულია 4 200-ზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი, 54 კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივი თავდადებით იბრძვის მეთერთმეტე ხუთწლედის წარმატებით გადაწყვეტისათვის. რაიონის მუშათა კლასის რიგებში დგას კომკავშირული ორგანიზაციის მთლიანი შემადგენლობის 45 პროცენტი, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 8 პროცენტი. ბევრ საწარმოში, დაწესებულებასა თუ მეურნეობაში ახალგაზრდობა გადამწყვეტ სიტყვას ამბობს. აი, თუნდაც სამაგალითოდ დავასახელოთ ქარხანა „კასპიელექტროაპარატი", რომელსაც ახალგაზრდულ საწარმოს უწოდებენ, რადგან ამ 1000 კაციანი კოლექტივის თითქმის 90 პროცენტი ქალიშვილები და ჭაბუკები არიან. ამ ქარხნის მთავარი პროდუქციის, მაგნიტური სადგურები 70 პროცენტი კომკავშირელების ხელით მზადდება. ელექტროაპარატელ ახალგაზრდათა საუკეთესო წარმომადგენელია ახალგაზრდა მუშა სპარტაკ ჩოხელი, რომელიც საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

სოფლადაც ბევრი ახალგაზრდა იღვწის თავდადებით. საამისოდ კმარა ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორის — ნათელა ბუთხუზის მაგალითი, თექვსმეტი წლის გოგონა დაჯდა ტრაქტორზე და მას მერე აღარ მოშორებია მის საჭეს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სკკპ XXVI ყრილობის და საკავშირო ალკკ XVII და XVIII ყრილობის დელეგატს, კომკავშირის რაიკომის ბიუროს წევრს — ნათელა ბუთხუზს ამშვენებს მრავალი ორდენი და სხვა ჯილდო, ამა-

ყობს პაშა ანგელინას სახელობის პრიზით, ჯილდოდ მიიღო ტრაქტორიც... ნათელა ბუთხუზმა მექანიზატორის პროფესია სხვა ქალიშვილებსაც შეაყვარა და მთელი სკოლა შექმნა, ბევრგან გაუჩნდნენ მიმდევრები, მათ შორის ყარალაჯელი ნანა უსანეთაშვილი, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, მალე დაეუფლა და შეიყვარა მექანიზატორის პროფესია, ახალი ტრაქტორი „დაისაკუთრა“ და ხალისით შრომობს საკოლმეურნეო მინდვრებში. ნ. ბუთხუზის, ნ. უსანეთაშვილისა და ს. ჩოხელისნაირი შემართებული ახალგაზრდები და მათი კვალის მიმდევარნი უხვად მოითვლებიან რაიონში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა როდია კომკავშირული ორგანიზაციის, ოჯახისა და სამშობლოს შემარცხვენელი ახალგაზრდა, მუქთახორობითა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევით რომ „გამოიჩინა თავი“, ზოგი კი ლამაზი სიტყვებით ცდილობს ფონს გასვლას, მაგრამ საქმე არ მოსდევს. საბედნიეროდ ასეთი გამონაკლისები ცოტაა. საიმედო ამინდს ქმნიან შრომის და სწავლისმოყვარე, შემმართებელი, ინიციატივიანი ოპტიმისტური სულისკვეთებით გამსჭვალული ქალიშვილები და ჭაბუკები, საიმედო ხელში გადადის ჩვენი სამშობლოსა და საზოგადოების მომავალი.

გ. ხ. ამას წინათ (1984 წლის გაზაფხულზე) საქართველოს ტელევიზიამ მოაწყო გადაცემა საქვეყნოდ განთქმულ სოფელ სამთავისზე, მის საჭირბოროტო საკითხებზე, ახალგაზრდულ პრობლემებზე. ეს ისტორიული სოფელი, შრომისმოყვარეობითაც რომ იყო საამაყო, თანდათან იცლება ახალგაზრდობით, რომელიც სულ უფრო და უფრო მიილტვის ქალაქისაკენ. მეტად გულსატკენად ლაპარაკობდა მოხუცი ქალი დარიკო გამხიტაშვილი, რომ მის შვილებს სოფელში მშვენიერი ორსართულიანი სახლები აქვთ თავიანთი კარმიდამოთი, მაგრამ ქალაქში (თბილისში) გაიქცნენ და დაქირავებულ ბინაში ცხოვრობენ. იმისათვის რომ ბინის ქირაც იხადონ და ცოლ-შვილიც არჩინონ, ორ-სამ ადგილზე მუშაობენ. 1988 წელს სოფელი სამთავისი დატოვა 88 კაცმა, იმავე წელს დაიბადა მხოლოდ 2 ბავშვი. ასეთი მწარე, მაგრამ დამახასიათებელი მაგალითები ცოტა როდი მოითვლება. ეს ტკივილი — ახალგაზრდობის გაქცევა სოფლიდან აწუხებს რაიონის სხვა სოფლებსაც და არა მხოლოდ რაიონის სოფლებს. მიგრაციის პრობლემა გადაფესვილია სხვა რთულ საკითხებთანაც. საინტერესოა თქვენი მოსაზრებანი ამ პრობლემაზე.

ჯ. ჯ. მიგრაციის პრობლემა ყველგან მწვავედ იგრძნობა, მათ შორის ჩვენს რაიონში, რომელიც დედაქალაქს სულ სამოციოდე კილომეტრითაა მოცილებული. სოფლის ყოფილი მოსახლეობის ერთი ნაწილი კაი ხანია მთლიანად გაქალაქელებულა, მაგრამ სარგებლობს სოფლის სიკეთით, აქვთ ბინები და საკარმიდამო ნაკვეთები, „სოფლელთა“ დიდი ნაწილი მუშაობს ქალაქად, მაგრამ იქ ბინა არა აქვთ, ყოველ დილით მიდიან ქალაქში სამსახურში და საღამოთი ბრუნდებიან. საამისოდ ხელი ეწყობათ ტრანსპორტითაც — მატარებლითაც და ავტობუსითაც, ხოლო ქალაქის ზოგი საწარმოოს ხელმძღვანელობა იმდენადაა დაინტერესებული სოფლად მცხოვრები მუშახელით, რომ თავიანთი დაწესებულებების ტრანსპორტით მიჰყავთ და მოჰყავთ ისინი დილა-საღამოს. ისე რომ სოფლის მუშახელის თითქმის 70 პროცენტი ქალაქად არის დასაქმებული (აქედან ნაწილი თვით ქალაქ კასპის საწარმოებშია, ნაწილი — გორში, დიდი უმრავლესობა კი თბილისშია) იქაც, რასაკვირველია კარგ საქმეს აკეთებენ ჩვენი რაიონიდან წასული მშრომელები, მაგრამ მშობლიურ სოფელს, მიწას აკლია მათი ხელი. სოფლიდან ქალაქად მიილტვის განსაკუთრებით ახალგაზრდობა, რაც დასტურდება თუნდაც ზემოთ ნახსენები ციფრებით. მუშათა კლასის რიგებში დგას რაიონის კომკავშირელთა 46 პროცენტი, ხოლო სოფლად 8 პროცენტი. როგორც ჩანს, ქალაქად ანაზღაურებაც მეტია სოფელთან შედარებით, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებიც უკეთესია და იმიტომ მიილტვიან იქითკენ.

ჩვენი აზრით, იმისათვის, რომ შეჩერდეს მიგრაცია და ახალგაზრდობა დამაგრდეს სოფელში, საჭიროა განმტკიცდეს შრომის დისციპლინა, ამაღლდეს მიწათმოქმედების კულტურა, ფართოდ დაინერგოს მექანიზაცია და გამსუბუქდეს შრომა, ამაღლდეს შრომითი ანაზღაურება, მაღალ დონეზე დადგეს სამედიცინო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, ახალგაზრდობამაც და ხანმოვლილებმაც სოფლად დაიკმაყოფილონ სულიერი და გონებრივი მოთხოვნილებანი. ამის მიღწევა კი საჭიროებს დიდ გარჯას პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას, რაც ყველა კომუნისტის, კომკავშირელისა და მშრომელის უპირველესი ამოცანაა.

გ. ხ. ხომ ასე დიდია მრეწველობის ხვედრითი წონა რაიონში, ფულზე გადაანგარიშებით თითქმის ხუთჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია იქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქციასთან შედარებით, მაგრამ კასპის რაიონი ძირითადად მაინც სასოფლო რაიონად იწოდება. უახლოეს მომავალში მრეწველობა უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება. კასპი მალე გადაიქცევა თბილისის თანამგზავრ ქალაქად. როგორც ითქვა, აშენდება ახალი საწარმოები და მისი შესაბამისი დაწესებულებანი, გაიზრდება ქალაქის მცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებთა რიცხვი. დღეს თუ რაიონის საწარმოებს სჭირდება 4 ათასამდე მუშა, მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის რაიონის საწარმოები და მათთან აღმოცენებული სხვა „ზედნაშენი" ორგანიზაციები დაისაჭიროებენ, ალბათ, ორ ამდენ მუშახელს. მებადება კითხვა: მოსალოდნელი ხომ არ არის წონასწორობის დარღვევა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის შეფარდებაში, რაიმე „გასაჭირისა" თუ რთული პრობლემების წინაშე ხომ არ დაგვაყენებს ეს მდგომარეობა. როგორ უნდა უზრუნველყოს რაიონმა სამრეწველო ობიექტები მუშახელით, მით უმეტეს თუ ინტენსიურად უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობაც, რაც თავისთავად თხოულობს მეტ მუშახელს და კიდევ მით უმეტეს, როგორც ზემოთაც ითქვა, დღესაც უჭირს მეოფლე კაცი სოფელს. მუშის ექსპორტი ხომ არ არის მოსალოდნელი რაიონში, განსაკუთრებით კი სამრეწველო საწარმოებში?

ჯ. ჯ. დიახაც, რომ რაიონი საპატიო და აუცილებელი ამოცანის წინაშე დგება, მაგრამ ჩვენ, კომუნისტები, მოვალენი ვართ სიძნელეს ვძლიოთ და ამოცანასაც წარმატებით გავართვათ თავი. მე მეძნელება წინასწარ განვჭვრიტოთ, თხუთმეტი-ოცი წლის მერე როგორ უზრუნველვყოფთ ჩვენს საწარმოებს მუშახელით, მაგრამ, ვფიქრობ, ღონისძიებანი უნდა გავატაროთ მიგრაციის შესაწყვეტად, საჭიროა სათანადოდ განვამტკიცოთ დისციპლინა, ამაღლდეს მიწათწარმოების კულტურა და მის შესაბამისად შრომითი ანაზღაურება, ყოველი ღონე ვიხმაროთ მატერიალური წახალისებისათვის, ფართოდ იქნეს გამოყენებული მექანიზაცია, სოფლად შეიქმნას საყოფაცხოვრებო-კულტურული პირობები ახალგაზრდობის სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რათა ჭაბუკები და ქალიშვილები დამაგრდნენ სოფლად, და რაც უფრო უმთავრესია, ნომერ პირველ პრობლემად ვაქციოთ დემოგრაფიული პრობლემა, რასაც ასეთ დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. თუ ახალგაზრდობას ჩავუნერგავთ გრძნობას, რომ როდესაც გავმრავლდებით, როცა ბევრნი ვიქნებით, სოფელსაც ვეყოფით და ქალაქსაც, გაადვილდება იმ მრავალი საჭირბოროტო საკითხის გადაჭრა, რომელიც სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარეობს.

გ. ხ. სამი ათეული წლის წინათ თითქმის ერთბაშად დაიცალა ჩვენი რაიონის მთა-თრიალეთის ქედის ნაწილის მთის სოფლები: გოსტიბე, გოგოთი, რკონი, თეკნელა, ჭავჭავისი, გარგალი, კაბერი, ზირთა, იკვი, სამოჭალო, მერია, დევნამუხლარი, ვარჯაანი, წიფორი, ტყემლიანა, ზვარიკოტმანი, ხანათუბანი, გავაზური, ვერხვეული, ზემო და ქვემო შუბანი, ბოტისი, საკურთხისი, პარატისი და სხვა, სადაც ძალუმად ჩქეფდა სიცოცხლე, მრავლდებოდა მოსახლეობა, ტრიალებდა დოვლათბარაქა და სიკეთე მობქონდა ბარისათვისაც. სოფლები ნასოფლარებად იქცნენ, სახლების მხოლოდ ნანგრევებიღა შეიმჩნევა, ეს ერთ დროს კერანამრავლი სოფლები ისე გაუკაცურდა, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა რომ ექსპედიციები მოვაწყეთ ნასოფლარებისა და იქ არსებული ძეგლების შესასწავლად, მოსაუბრეს ვეღარ ვპოულობდით, მეგზურობას გვიწევდნენ მეზობელი სოფლებიდან გამოდმოსული მწყემსები.

ახლა კი მთელმა საქართველომ სიხარულით შეიტყო, რომ ხდება მთის ერთ-ერთი დიდი სოფლის — გოსტიბის აღდგენა-აღორძინება.

ჯ. ჯ. ამ დიდ სიკეთეს და ეროვნულ საქმეს, რომელიც მთის სოფლის აღდგენასთან არის დაკავშირებული, უწინარესად უნდა ვუმადლოდეთ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას და პირადად ამხ. ე. ა. შევარდნაძეს. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 5 აგვისტოს დადგენილებაში წერია: „მიღებულ იქნეს საქართველოს კპ კასპის რაიკომის და რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წინადადება, აგრეთვე დაკმაყოფილდეს აღნიშნული რაიონის გაუქმებული სოფლების მცხოვრებთა თხოვნა და აღდგენილ იქნეს სოფელი გოსტიბე 80-100 კომლის რაოდენობით, იმ ვარაუდით, რომ მის ტერიტორიაზე გადასახლდნენ სოფელ გოსტიბის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების მცხოვრებნი".

ამ დიდმნიშვნელოვანმა დოკუმენტმა აღაფრთოვანა ყველა, ვისაც კი უყვარს „საქართველოს მინდორ-ველი", უწინარესად კი თვით ყოფილი გოსტიბელები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, უწინარესად კი ქალაქებში იყვნენ გაფანტულნი და მაშინვე დაიწყეს ლტოლვა „ადგილის დედისაკენ". თქვენ სხვა ნასოფლარებიც ბევრი ჩამოთვალეთ, მაგრამ აღდგენა ხდება ჯერჯერობით ამ ყველაზე დიდ სოფელში, აგრეთვე რკონში, სხვა სოფლებიდან წასული მცხოვრებნიც თანდათან იბრუნებენ პირს თავიანთი ნასოფლარისაკენ. ზოგი პატარა სოფლის მცხოვრებნი შესაძლებელია დასახლდნენ ამ დიდ სოფელში. პარტიის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი ქმედით ღონისძიებას ატარებენ რაიონის მთის სოფლების აღორძინებისათვის. გაყვანილ იქნა გზა, ისე რომ თავისუფლად ადის მსუბუქი მანქანა, უკვე აშენდა ბაგა-ბაღი, გაიხსნა მაღაზია, დაიწყება სკოლისა და კულტურის დაწესებულებათა, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობა. ინ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დივიდუალური მშენებლობისათვის გამოიყო სახელმწიფო კრედიტი, საშენი მასალები, ხელი ეწყობათ ტრანსპორტით, ჩვენ არ ვაკლებთ ყურადღებას, თვითონაც მონდომებულნი არიან მალე დაამთავრონ დაწყებული სახლები. რამდენიმე კომლმა უკვე დაამთავრა ბინის მშენებლობა და დასახლდნენ კიდეც. შენობათა დიდი უმრავლესობა კი ხარაჩოებში ზის. გოსტიბელებმა იმდენად გაიტარეს გულში ეს ამბავი, რომ თვითონვე მოიწადინეს დაეწესებინათ სახალხო დღესასწაული — გოსტიბეობა — სოფლის აღდგენის დღე, რომელიც პირველად ჩატარდა 1984 წლის 5 აგვისტოს; ამიერიდან ეს დღესასწაული ტრადიციად იქცევა და გაიმართება ყოველი წლის აგვისტოს პირველ კვირა დღეს.

აქ ძირითადად მეცხოველეობა განვითარდება. ჯერჯერობით შექმნილია მეცხოველეობის უბანი, რომელიც შედის ახალქალაქის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში, ხოლო სოფელი ერთიანდება ახალქალაქის მეცხოველეობის საბჭოში, და როცა კარგად გაიმართება, ალბათ, თვითონ გახდება მისი სახოფლო საბჭოს ცენტრი. აღნიშნულ დადგენილებაში ისიც წერია, რომ ეს რეგიონი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ზონაა, აგრეთვე, საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვისაც და ამ მხრივ სიკეთეს მოუტანს ხალხს, მით უმეტეს, თბილისიდან გოსტიბემდე ორი საათის სავალი არც კია.

გ. ხ. მედიცინის მამა ჰიპოკრატე ამბობდა: „ავადმყოფი ადამიანისათვის ექიმი მამაა, მომჯობინებულისათვის — დამცველი, ჯანმრთელისათვის — მეგობარი“ ამიტომაც ექიმობა უკეთილშობილეს პროფესიად არის მიჩნეული ხალხისგანვე. ეს გასაგებიცაა, ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის სასწორი ბევრჯერ მათ უკავიათ ხელში. გთხოვთ გვაცნობოთ რა მდგომარეობაა რაიონში ჯანმრთელობის დაცვის მხრივ, როგორ ემსახურებიან ამ დარგის მუშაკები ხალხს, როგორია მატერიალური ბაზა?!

ჯ. ჯ. ჯანმრთელობის დაცვის საქმე, საერთოდ ჩვენს ქვეყანაში, და კერძოდ ჩვენს რაიონში ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავად არის ქცეული. თუ რაიონში რევოლუციამდე არც ერთი სამკურნალო დაწესებულება არ იყო და განათლებული მედიცინის მუშაკიც სანთლით საძებარი იყო არამც თუ რაიონში, არამედ მთელს საქართველოში, ახლა რაიონში ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 120 ექიმი, 400-მდე საშუალო სამედიცინო პერსონალი 2 საავადმყოფო 820 საწოლით, 14 საექიმო ამბულატორია, 16 საფერშლო-საბებიო პუნქტი, 4 საბავშვო ბაგა, სანეპიდსადგური, მაგრამ მატერიალური ბაზით სრულიად არა ვართ კმაყოფილნი, საავადმყოფო, 1937 წელს რომ არის აშენებული დიდი ხნის ვეღარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს, კაპიტალურ რემონტს ესაჭიროება საავადმყოფოსა და პოლიკლინიკის შესაფერი შენობები, უკვე გადაწყდა სამედიცინო კომპლექსის მშენებლობა.

ხოლო სამედიცინო პერსონალის დიდი უმრავლესობა რომ ცოდნითა და კეთილსინდისიერად ემსახურება ხალხს და ზოგ მათგანს რომ ჩინებულიც ეთქმის, ამან გამოხატულება ჰპოვა ხალხის მადლიერებაში და მთავრობის ჯილდოებშიც. სწორედ კასპელ მედიცინის მუშაკთა ჯგუფის საუკეთესო წარმომადგენელს — ლამისყანელ ექიმს მარგარიტა კაკაბაძე-ლუდუშაურს მედიცინის მუშაკთა შორის საქართველოში პირველს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ქალბატონ მარგარიტასნაირი გულისხმიერი და მცოდნე ექიმი სხვაც ბევრია, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, რომელსაც, ვცდილობთ, ჩავუნერგოთ, კეთილსინდისიერად იდგეს ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე. უნდა შევნიშნოთ, რომ სპეციალისტი ექიმები მაინც არ გვყოფნის, განსაკუთრებით კი სოფლად. აქვე გულახდილად უნდა ვთქვათ ისიც, რომ ზოგი ექიმი სცოდავს თავისი სინდისის წინაშე. ზოგჯერ სასურველ დონეზე არა დგას დისციპლინა. გამონაკლისები ჩრდილს ვერ აყენებენ მედიცინის მუშაკების დიდი ნაწილის საქმეს და სახელს.

გ. ხ. რაიონში რომ აღრზდა-განათლების დიდი ტრადიციები არსებობს, სკოლების ასაკიც გვიდასტურებს. ხოვლის საშუალო სკოლა, ივანე ჯავახიშვილის სახელს რომ ატარებს, 120 წელიწადზე მეტი ხნისაა. საუკუნეს გადააბიჯეს ან უახლოვდებიან ლამისყანის დავით გურამიშვილის სახელობის, თვალადის ნიკო ცხვედაძის, კავთისხევის გიორგი შატბერაშვილის, ახალქალაქის ეკატერინე გაბაშვილის სახელობის, ქვემოჭალის, წინარეხის და სხვა სკოლები. წინათაც ილვწოდნენ სახალხო მასწავლებლები, რომლებიც ამავე დროს სოფლის განმანათლებლებიც იყვნენ. ცნობილი პოეტის — გიორგი ლეონიძის — მამა ნიკო ლეონიძე, ქვემოჭალის სკოლის თავკაცი და აღმზრდელი, ამავე დროს დიდ სათეატრო მოღვაწეობასაც ეწეოდა, წინარეხის სკოლის გამგე-მასწავლებელმა სალომე მაღალაშვილმა სკოლაში მოიწვია ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, რომელთაც ყმაწვილების სულს ცხოველი კვალი დააჩნიეს, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანმა ლამისყანასა და გარდატენში გახსნა სკოლები, სადაც გლეხის შვილებს უფასოდ ასწავლიდა...

ჯ. ჯ. თქვენ ერთეულ მაგალითებს ასახელებთ, მე კი უხვი ციფრების ენით გიპასუხებთ, თუ რაოდენ დიდი ყურადღება ეთმობა

ჩვენს რაიონში მომავალი თაობის აღზრდის საქმეს, რომელსაც ემსახურება 52 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სადაც სწავლობს 10 100-მდე მოსწავლე, 20 მუდმივმოქმედი სკოლამდელი დაწესებულება 1 200-ზე მეტი აღსაზრდელით, ინდუსტრიული ტექნიკუმი, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. ამ სასწავლებლებში მოღვაწეობს ათასამდე პედაგოგი. ჩვენი მასწავლებლები მეტად დიდ და უანგარო შრომას ეწევიან მომავალი თაობის კომუნისტური და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში, ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას აზიარებენ მეცნიერებათა საფუძვლებს. ამის გარდა, ჩვენი მასწავლებლები ხომ დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევიან: დავალებული აქვთ აგიტატორობა, პროპაგანდისტობა. მათი შრომა დასაფასებელია საზოგადოებისაგან, უწინარეს კი თავიანთი აღზრდილებისაგან, მაგრამ პედაგოგების მიმართ კიდევ უფრო მეტი პატივისცემა და სათუთად მოპყრობა გვმართებს. უსამართლობის მცირე გადახრითაც კი შესაძლოა დიდი სულიერი ტრამვა განიცადოს, ამიტომ მათი ხელმძღვანელები მოვალენი არიან, ისეთივე სიფხიზლითა და სამართლიანობით მოეპყრან პედაგოგებს, როგორც თვით ისინი, პედაგოგები ეპყრობიან თავიანთ აღსაზრდელებს. პედაგოგებისა და სასკოლო დაწესებულებების როლი კიდევ უფრო ამაღლდა მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი. ეს სისტემა ჩვენი რაიონის პარტიულ ორგანიზაციას დიდი ამოცანების წინაშე აყენებს; ვფიქრობთ, უფრო ღრმად ჩავწვდეთ სასკოლო-სააღმზრდელო საქმიანობას, ვიბრძოლოთ აღზრდის გარემოს გაჯანსაღებისათვის, მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის; განზრახულია ახალი სკოლების მშენებლობა ლამისყანაში, საქადაგიანოში, თვალადში, მეტეხში და სხვაგან.

გ. ხ. უკაცრავად, სიტყვას რომ გაწყვეტინებთ. თქვენ რომ მუშაობას შეუდექით და რაიონის აქტივითა და მისი პრობლემებით დაინტერესდით, პირველ რიგში მიიღეთ კულტურის დარგის მუშაკები, გაეცანით მუზეუმსაც, იყო მსჯელობა სამომავლო-საპრობლემო საკითხებზე. თქვენი გულთბილი მიღება, საუბარი და დაინტერესება არასოდეს დაავიწყდებათ მათ., მორალურად უფრო გახალისდებიან და გამხნევდებიან, რადგან მაშინ პირველად მოიხაზა რაიონში კულტურული აღმავლობის კონტურები.

ჯ. ჯ. პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურის საკითხებს, განსაკუთრებით კი უკანასკნელ ხანებში. ამას მოწმობს თუნდაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისში გამართული პლენუმი, რომელიც იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს მიეძღვნა. მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში გადამწყვეტ როლს თამაშობენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, რომლებიც მშრომელებს აწვდიან გონებრივ და სულიერ საზრდოს. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს ჩვენს რაიონში ემსახურება 7 კულტსახლი, 28 სასოფლო კლუბი, 56 ბიბლიოთეკა, 2 მუზეუმი, 2 სამუსიკო სკოლა, რომლებიც შეძლებისდაგვარად იღვწიან ახალგაზრდობის და საერთოდ მშრომელების კომუნისტური, პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის, ატარებენ მრავალფეროვან, საინტერესო ღონისძიებებს. მართალია, რაიონის კულტ-საგანმანათლებლო მუშაობა რაიკომის ყურადღების ცენტრშია მოქცეული, ამას თუნდაც მოწმობს ისიც, რომ საგანგებოდ ვიმსჯელეთ რაიკომის პლენუმზე და ბიუროზეც მოვისმინეთ კულტურის განყოფილების ანგარიში, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ კულტურის დაწესებულებებს და მუშაკებს მაინც ვერ ექცევა ისეთი ყურადღება, როგორსაც მოითხოვს დღევანდელი გაზრდილი მოთხოვნილება. სასურველი მდგომარეობა არ არის მატერიალური ბაზის განმტკიცება-გაუმჯობესების საქმეში. მეტისმეტად შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული სარაიონო კულტურის სახლი და ბიბლიოთეკა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სამუსიკო სკოლა, ხოლო 5 ბიბლიოთეკა სოფლად დაქირავებულ სახლებში ბინადრობს და გასაგებია, რა ხალისით მივა მკითხველი. განზრახული გვაქვს კულტურის დაწესებულებებს გავუუმჯობესოთ მატერიალური ბაზა.

გ. ხ. თქვენი სიტყვა რომ საქმედ იქცევა, ამის რწმენას გვიმტკიცებს ახლახან გაკეთებული საშვილიშვილო საქმე, სოფელ ხოვლეში საფუძვლიანად შეკეთდა ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის შენობა, კეთილმოეწყო ეზო-მიდამო, განახლდა დიდი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპოზიცია, სახლ-მუზეუმის ეზოში დაიდგა ივანე ჯავახიშვილის ძეგლი, მოხდა მისი საზეიმო გახსნა და მაღალ დონეზე ჩატარდა სახალხო დღესასწაული მამულიშვილობა-ჯავახიშვილობა და ამით ერთხელ კიდევ მიეგო პატივი დიდ ივანე ჯავახიშვილს, რომელმაც ილია ჭავჭავაძის დონით გაწია ერისკაცის უმძიმესი ჭაპანი. ამით მადლიერნი არიან ივანეს თაყვანისმცემელნი, უწინარესად კი თვით ხოვლელები, რომელთაც ამ დღესასწაულთან დაკავშირებით მატერიალური საჩუქარიც მიიღეს — კეთილმოეწყო სოფლის ქუჩები, მოსახლეთა ეზოები. ამ სასიკეთო საშვილიშვილო საქმისათვის დარაზმული იყო რაიონის მთელი აქტივი თქვენი მეთაურობით

და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დახმარებით.

ჯ. ჯ. ვიცი ამ საქმეშ თქვენც გაგახარათ, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ თვით კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომლისგანაც აღმოცენდა მისი ფილიალი — ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი სოფ. ხოვლეში და კიდევ ბევრი სხვა, მეტისმეტად შეუფერებელ შენობაშია. ამ მუზეუმს ესაჭიროება ახალი შენობა და ვფიქრობთ, შორს არ არის ის დრო, როცა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ახალ, ღირსეულ შენობაში დაიბინადრებს. შენობები ესაჭიროება სარაიონო კულტურის სახლსაც და სამუსიკო სკოლასაც და ეს საქმეც მოგვარდება, ოღონდ დიდი დახმარება დაგვჭირდება სათანადო ორგანოებიდან.

გ. ხ. კასპის რაიონი, როგორც არქეოლოგებს უყვართ ხოლმე თქმა, დაყურსულია მიწისქვეშა ძეგლებით. სხვადასხვა დროს აქ გამოვლენილია ქვის ხანიდან მოყოლებული საზოგადოების განვითარების ყველა ეპოქის მეტად საინტერესო არქეოლოგიური ნივთები. შემთხვევითაც იმდენი საყურადღებო და მათ შორის უნიკალური ნივთი იქნა ნაპოვნი, რომ მთელი ტომები დაიწერებოდა. სახელდახელოდ გავიხსენებთ ხუთიოდე კოლექციას, რომლის პოვნის მოწმე და მონაწილე ჩვენ თვითონ ვართ: გამდლისწყაროს განძი (ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის დასაწყისი), რომელშიც სხვა მრავალ საინტერესო ნივთთან ერთად იყო ბრინჯაოს იშვიათი ნივთი. იგი წარმოადგენს ე. წ. „ხაღვთო კარავის“ მაკეტს, კარვის ირგვლივ განლაგებული განმგებელი ღვთაების და სხვადასხვა ქანდაკებების მრავალრიცხოვან ჯგუფს. რენეს განძი (XIII—VII საუკუნეები ჩვენს წელთაღრიცხვამდე), რომელსაც ამშვენებდა მსოფლიო მნიშვნელობის ბრინჯაოს ცული, ტომის ბელადის კუთვნილი რომ უნდა ყოფილიყო; ყუაზე წამოსკუპებული ჰქონდა ცხოველის მინიატურული ქანდაკება, ხოლო ტარი მოხატული იყო უიშვიათესი სინატიფით. ზემო ხანდაკის განძი (V საუკუნე) ინკუსტრირებული ბრინჯაოს დოქით, რომლის ყურის ბოლოები დამშვენებული ღვთაებების შესანიშნავი გორელიეფებით. ალაიანის მდიდარ სამარხში ნაპოვნია ქალის სამკაულები (IV—V საუკუნე) ოქროს ბეჭედი და ორი საყურე. დიონისეს მინიატურული ქანდაკება (II—III საუკუნე) შესრულებული აგრეთვე უმაღლეს დონეზე და სხვა. ალარაფერს ვამბობთ, აგრეთვე, შემთხვევით აღმოჩენილ განძზე, რომლებიც ამშვენებენ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო, ხელოვნების სახელმწიფო, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებს. 1955—1960 წლებში აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფელ ხოვლეს მიდამოებში გათხარა უნიკალური გორა (გვიანი ბრინჯაოს — ადრე რკინის ხანა), რომელმაც ახალი ფურცელი გადაშალა საქართველოს ისტორიაში. 1961-68 წლებში მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის კასპის რაზმმა მ. ბარამიძის ხელმძღვანელობით ქ. კასპში ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები, სადაც აღმოჩენილია მეტად საყურადღებო ძეგლები. 1971 წლიდან კასპის რაიონში მოქმედებს არქეოლოგიური ექსპედიცია გ. ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც გათხრებს აწარმოებს კავთისხევში, ციხიაგორაზე, ქ. კასპში და სხვა ადგილებში. მათ წამოეშველა ნასტაკისის (მცხეთის რაიონი) არქეოლოგიური ექსპედიცია, (ხელმძღვანელი ა. ბოხოჩაძე, მოადგილე ნ. მირიანაშვილი), რომელმაც სოფ. ალაიანში მეტად საინტერესო მასალები მოიპოვა და წიგნებიც გამოაქვეყნა მათ მიერ მოძიებული მასალების მიხედვით.

თქვენი მობრძანება, ბატონო ჯონდო, კასპის რაიონში არქეოლოგიური თვალსაზრისით იღბლიანი გამოდგა, სოფ. კავთისხევში აღმოჩნდა უნიკალური განძი, რომელიც თქვენი დახმარებით გახმაურდა კიდეც პრესაში.

ჯ. ჯ. ციხიაგორა, რომლის გათხრებსაც არქეოლოგიური ექსპედიცია 1971 წლიდან აწარმოებს, ერთი უნიკალური ძეგლთაგანი ყოფილა, სადაც მოსახლეობა 8 ათასი წლიდან ჩანს, გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები ადასტურებენ, რომ აქ ცხოვრება ადრე ბრინჯაოდან მოყოლებული ყველა ეპოქაში ინტენსიურად ჩქეფდა. შემორჩენილია რვა სხვადასხვა კულტურული ფენა. საყურადღებოა მზის ღვთაების ტაძარი სადაც აღმოჩნდა სვეტის თავი, რომელზედაც გამოქანდაკებულია ერთმანეთზედ ზურგშექცეული ორი ხარის თავი, 24 საუკუნის წინანდელი წისქვილი, თონეები, დიდი მარანი და სხვა მრავალი ნივთი. და აი, 1988 წლის სექტემბერში ციხიაგორას სამარავანზე აღმოაჩინეს უძველესი განძი — ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს უნიკალური ნივთები, რომელთაც დიდი ისტორიული და მხატვრული ღირებულება აქვთ. აღმოჩენილ ნივთებს შორის გამოირჩევა ფირფიტა, რომელიც ჩვენი წინაპარი ოქრომჭედლების უნიკალურ ნახელავს წარმოადგენს. ორიოდე კვირის მერე კიდევ ახალი აღმოჩენა — სამთავისის მახლობლად ნაპოვნი იქნა თიხის სარკოფაგი, რომელშიც, მართალია, ძვირფასი ნივთები არ იყო, მაგრამ, მისი აღმომჩენის, ნინო მირიანაშვილის თქმით მეტად საყურადღებო იყო თვით სამარხი, რომელიც მეხუთე საუკუნისა მაინც უნდა ყოფილიყო, ამ დროისათვის კი სამთავისი ქალაქად არის მოხსენიებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ჩვენი მიწა უფრო მეტ საიდუმლოებას ინახავს, როგორც იტყვიან, ბარი ვერ დაგიქრავს და ხნული ვერ გაგვივლია, რომ რაიმე არქეოლოგიურ ნაშთს არ წავაწყდეთ. თვით ქალაქ კასპში, სადაც კი სახლისა თუ ობიექტის მშენებლობა დავიწყეთ, ყველგან აკლდამები, სამარხები და არქეოლოგიური ძეგლები დაგვხვდა. უნდა ითქვას, რომ მშენებლები ყურადღებით არიან და მშენებელი ორგანიზაციები საჭირო თანხებსაც კი გამოყოფენ ხოლმე. არქეოლოგების მიერ რაიონში დაზვერილია 60-მდე ძეგლი, რომელთაგან ბევრი უნიკალურია, დაზვერვები არ ჩატარებულა კასპის რაიონის მთიანეთში, სადაც მოსალოდნელია ბევრი არქეოლოგიური ძეგლების არსებობა, ასე, რომ ჩვენს არქეოლოგებს ბევრზე ბევრი სამუშაო მოელით. მაგრამ პირველ რიგში ყურადღებამისაქცევია თვით გათხრილი ძეგლები. ციხიაგორას უნიკალური ძეგლი ზიანდება, ამის თაობაზე მივმართეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო სამმართველოს, დგება მისი დაცვა-გამაგრების პროექტი; არქეოლოგებს არა აქვთ საწარმოო ბაზა, ისინი დაქირავებულ სახლში ბინადრობენ. რაიონი ამ მხრივაც აღმოუჩენს დახმარებას. ხელი შევუწყოთ რაიონში მოქმედ არქეოლოგიურ ექსპედიციებს — ეს რაიონის კომუნისტების ერთ-ერთი საპატიო მოვალეობაა.

გ. ხ. კასპის რაიონში, როგორც ზემოთაც ვახსენეთ, 250-ზე მეტი ისტორიისა და კულტურის ძეგლია, რომელთა შორის ცოტა როდია მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი. უკანასკნელ წლებში შეკეთდა რკონის, ქვათახევის, ერთაწმინდის, მეტეხის ტაძრები, იდლეთის, ქვემოჭალის, ჩაჩუბეთის, მაღალაანთ ეკლესიები, წითელი საყდარი იგოეთში, დასასრულს უახლოვდება ლამისყანაში ორბელიანთა სასახლისა და ციხე-გალავნის რესტავრაცია, კიდევ რა კეთდება და რა გაკეთდება მომავალში?

ჯ. ჯ. პარტიისა და მთავრობის, მთელი ხალხის ზრუნვის საგნად იქცა ჩვენი წინაპრების დანატოვარი — ისტორიისა და კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობა. როგორც ბრძანეთ, ცოტა რამ როდი გაკეთებულა კასპის რაიონში. ამ საკითხზე დიდი მადლობა გვეთქმის საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-სარესტავრაციო სამმართველოს და პირადად მისი ხელმძღვანელის, დაუცხრომელი მოღვაწის ირაკლი ციციშვილის მისამართით, რომლის ხელშეწყობითაც ამჟამად კასპის რაიონში მიმდინარეობს ქ. კასპში წმინდა თევდორეს ეკლესიის და მისი გალავნის რესტავრაცია, მალე დაიწყება ლავრის, კაბერისა და [illegible] ძეგლების სარესტავრაციო სამუშაოები, მოკლე ხანში განზრახულია შეკეთდეს ნოსტისა და ოძისის საკულტო ნაგებობანი, ახალციხის ციხე. მიუხედავად ამისა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია. რესტავრატორის მარჯვენას ელის კასპის მთავარანგელოზისა და კვირაცხოვლის, ნიაბის, სვიმონ მესვეტის (რკონის მახლობლად), კვართის (ხოვლე) საკულტო ნაგებობანი, იკვის ტაძარი, ქვემო გომის ციხე, რკონის ციხე და მასში მდებარე ეკლესია, სხვილოს ციხე, მეფეების რეზიდენცია — ცხირეთის ციხე და სხვა. განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია მთებში არსებული ისეთი დიდმნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიცაა თავკავთის წმინდა გიორგის ეკლესია და ციხე-გალავანი, ჭოტისუბნისა და ბენისის ეკლესიები და ბევრი სხვა. როგორც ჩანს, საზრუნავი ამ მხრივაც ბევრზე ბევრია. რაიონის ხელმძღვანელობა ადრეც დაინტერესებული და ამჟერადაც მზად ვართ, ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი ჩვენს რესტავრატორებს ამ საშვილიშვილო საქმის დროულად მოგვარებაში. ამასთან ერთად, საჭიროდ მიმაჩნია, ჩვენი ძეგლებით უფრო მეტად დაინტერესდნენ ამ საქმის სპეციალისტები, მკვლევარები, ხშირად მობრძანდნენ, შეისწავლონ, გასწიონ პროპაგანდა, ჩაატარონ სიმპოზიუმები თუ სხვა მეცნიერული ფორუმები, რაიონული კომიტეტი მზად არის სათანადო დახმარება გაუწიოს ამ ღონისძიებების ჩამტარებლებს.

გ. ხ. ისტორიულ-რევოლუციური ძეგლებითა და მემორიალური სახლებითა და ადგილებითაც „უხვმოსავლიანია“ კასპის რაიონი.

ჯ. ჯ. ამ მხრივაც ბევრი გვაქვს საზრუნავი. როგორც ითქვა, სოფ. ლამისყანაში მთავრდება ორბელიანთა სასახლისა და მისი ციხე-გალავნის რესტავრაცია, რომლის პროექტიც შეადგინა არქიტექტორმა ირინე შარაშენიძემ. ეს სახლი მემორიალურიცაა; მას უკავშირდება პოეტ ვახტანგ ორბელიანის, საზოგადო მოღვაწის მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის, ივანე ჯავახიშვილის, კიტა აბაშიძისა და სხვათა ცხოვრება. აქ ხომ მდიდარ ბიბლიოთეკაში ივანე ჯავახიშვილმა 1913 წელს აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ ყველაზე უფრო სრულყოფილი, ანა დედოფლისეული ნუსხა. ამ სასახლეში მოეწყობა სოფლის ისტორიის, საზოგადო მოღვაწეთა და დავით გურამიშვილის მუზეუმი. გურამიშვილის მემორიალურ წყაროს მიდამოებში გაშენდება ბაღი. ყურადღება მიექცევა სოფ. ახალქალაქში ეკატერინე გაბაშვილის სახლს, სადაც გაიხსნება მემორიალური მუზეუმი, თვალადში ნიკო ცხვედაძის სახლში, სადაც ამჟამად სკოლაა მოთავსებული, მოეწყობა ამ დიდი მოღვაწის მუზეუმი. ამ მხრივ ვალში ვართ გიორგი სააკაძის

წინაშეც. არ გვაქვს მისი მუზეუმი და სასურველია, რომ იგი მოეწყოს მის მშობლიურ სოფ. ნოსტეში, კოშკის გვერდზე. არსებული სახახლე რომ აღსდგეს, აქ მშვენიერი მუზეუმი გაიმართება. ამას მოითხოვს ხალხი და ჩვენ უფლება არა გვაქვს, მათ კანონიერ მოთხოვნას ანგარიში არ გავუწიოთ. მემორიალური დაფები გაუკეთდება ია კარგარეთელის სახლს ერთაწმინდაში, გიორგი შატბერაშვილის სახლს თვალადში, სასურველია მემორიალური დაფა გაუკეთდეს კასპის წმინდა თევდორეს ეკლესიის გალავნის კედელს იმ ადგილზე, რომელზეც მიშენებული იყო სახლი, სადაც დაიბადა ცნობილი ქართველოლოგი ალექსანდრე ცაგარელი. სამწუხაროდ, ადრე უყურადღებობის გამო დაინგრა სახლი სოფ. ქვემოჭალაში, სადაც დაიბადა რაფიელ ერისთავი (დედა ამილახვრის ქალი ჰყავდა). მაგრამ იმ ადგილის მოძებნა მაინც შეიძლებოდა და არც ამ დიდი ქართველის წინაშე დავრჩებოდით ვალში. სასურველია, აიგოს ობელისკი სოფ. ერთაწმინდის მახლობლად, სადაც სამშობლოს მსხვერპლად შეეწირა ბერი თევდორე.

გ. ხ. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში რაიონი გამდიდრდა ახალი მონუმენტური ძეგლებით, ქ. კასპში 1972 წელს გაიხსნა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი (ავტორი ი. ფარულავა), 1970 წელს — დიდი ქართველი მხედართმთავრის და გმირის — გიორგი სააკაძის ძეგლი (ავტორი მ. ბერძენიშვილი, არქიტექტორი გ. ჯაფარიძე), 1969 წელს — მამაცი მებრძოლის — თენგიზ უზნაძის ბიუსტი სოფ. სამთავისში (ავტორი ო. ფარულავა), 1981 წელს — ცნობილი მწერლის, გიორგი შატბერაშვილის ბიუსტი სოფ. კავთისხევში, 1980 წელს — შინმოუსვლელთა მემორიალი ქ. კასპში, 1988 წლის მაისში — შინმოუსვლელთა მემორიალი სოფ. დოესში, ხოლო 1988 წლის ოქტომბერში თქვენ გზვდათ წილად გაგეხსნათ ივანე ჯავახიშვილის ბიუსტი სოფ. ხოვლეში (ავტორი ჯ. თუშურაშვილი). კიდევ ვისი ძეგლების დადგმას ფიქრობთ?

ჯ. ჯ. უწინარესად მინდა მადლიერება გამოვთქვა რაიონის აქტივისა და წარსულში იმ ხელმძღვანელთა მიმართ, ვინც ყურად იღო რაიონის მშრომელთა მოთხოვნა და ითავა თქვენ მიერ ჩამოთვლილი ძეგლების აგება, რომლებსაც მოხმარდა რაიონის ბიუჯეტის ნაჭარბი თანხა. რასაკვირველია, მადლობის ღირსნი არიან უპირველესად თვით ავტორები, რომლებმაც არ დაიშურეს ნიჭი და ენერგია, რომ ასეთი მაღალმხატვრული სკულპტურული ძეგლები შეექმნათ. მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მშრომელთა, და განსაკუთრებით ახალგაზრდების, კომუნისტური და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ აქ ხშირად იკრიბებიან ახალგაზრდები და ტარდება მთელი რიგი ღონისძიებანი. მომავალში განზრახული გვაქვს დავდგათ პაატა სააკაძის ძეგლი, რომლის ავტორი იქნება ცნობილი მოქანდაკე ვაჟა მელიქიშვილი. ესკიზი უკვე არსებობს და მეტად საინტერესოდ და ორიგინალურად არის გადაწყვეტილი. ხოლო ქ. კასპის ჩრდილო შემოსასვლელთან, სადაც ერთდებიან ვ. ი. ლენინისა და სანაპიროს ქუჩები, აიგება მონუმენტური ძეგლი მშვიდობის თემაზე. ქ. კასპში, აშენდება დიდების მემორიალი, სადაც აღნუსხული იქნება გვარ-სახელები ყველა შინმოუსვლელისა, რომლებიც კასპის რაიონიდან გაიწვიეს და სამშობლოსათვის დაეცნენ საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. ხალხი სხვა ძეგლებსაც ითხოვს, ამისი ღირსი გამოჩენილი პიროვნება, როგორც, ზემოთაც ითქვა ბევრია რაიონში, მაგრამ ჯერ ეს ჩანაფიქრი განვახორციელოთ და მერე ვნახოთ.

გ. ხ. დიდი ქართველი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე გიორგი სააკაძე უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ხალხში. იგი თავის მსხვერპლად შეწირულ შვილ—პაატასთან ერთად იქცა ზნეობრივ გმირადაც. მისი სახელი სხვა გმირებთან ერთად ქართველ მეომრებს აღაფრთოვანებდა მომდევნო ეპოქებში გადახდილ ომებში და საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომშიც. ქ. კასპში რომ გიორგი სააკაძის დიდებული ქანდაკებაა აღმართული, ესეც ხალხის მოთხოვნით არის. ხალხმავე დაჟინებით მოითხოვა დაწესებულიყო სახალხო დღესასწაული „სააკაძეობა", რომელიც პირველად ჩატარდა 1988 წლის ივნისში სოფ. ნოსტეში. მოკლე ხანში შესრულდება გიორგი სააკაძის დაბადების 400 წლისთავი, ხალხი მოითხოვს, რომ ეს თარიღიც აღინიშნოს რესპუბლიკის მასშტაბით. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით?

ჯ. ჯ. ხალხი არასოდეს არ სცდება და მისი მოთხოვნა სამართლიანია. გიორგი სააკაძე დიდი პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი ხომ იყო და, შეიძლება ითქვას, დიდი სახალხო გმირიც გახლდათ. და ამ უდიდესი ფიგურის 400 წლისთავის იუბილე, ჩემი აზრით, გადახდილი უნდა იქნეს რესპუბლიკური მასშტაბით. ეს იუბილე, როგორც უკვე დაწესებული სახალხო დღესასწაული „სააკაძეობა", პატივისცემა და მოსაგონარი იქნება არა მარტო გიორგი სააკაძისა, არამედ მისი შვილების — პაატა და ავთანდილ სააკაძეებისაც, სამშობლოსათვის შეწირული ბერი თევდორესი, გიორგი სააკაძის გვერდით მებრძოლი ზაზა ცოციშვილისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირი ქვლივიძისა, მარტყოფის აჯანყების და მარაბდის ბრძოლის ჩინებული თუ უჩინარი გმირებისა, ვინც თავი შესწირეს მამულს იუბილეს ფართოდ ჩატარების საკითხი დაყენებულია პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოში და, ვფიქრობთ, დადებითად გადაწყდება. ეს მოვლენაც დიდი ამოცანების წინაშე გვაყენებს რაიონის კომუნისტებს, ყველა მშრომელს, რათა ღირსეული შრომითი მაჩვენებლებით შევხვდეთ ღირსეული მამულიშვილის — გიორგი სააკაძის 400 წლისთავის იუბილეს.

გ. ხ. ჩვენს რაიონში დაწესებულია ოთხი სახალხო დღესასწაული: გურამიშვილობა, ჭავახიშვილობა, სააკაძეობა და გოსტიბეობა — სოფლის აღდგენის დღე.

ჯ. ჯ. ახალ საბჭოურ დღესასწაულებს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის კომუნისტური, ინტერნაციონალური და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის. სამი დღესასწაული უკვე კარგახანია ტარდება და ტრადიციად იქცა, მეოთხე დღესასწაულს — გოსტიბეობას, წელს ჩაეყარა საფუძველი. დღესასწაულები, რამდენადაც ვიცი, აქამდეც მაღალ დონეზე ტარდებოდა და კიდევაც უნდა მივაქციოთ დიდი ყურადღება. ისინი უნდა იქცნენ ნამდვილ სახალხო დღესასწაულებად, თვით ხალხი უნდა მონაწილეობდეს აქტიურად, პასიური მაყურებლის როლში არ უნდა გამოდიოდეს, და რაც მთავარია, სოფელი, სადაც დღესასწაული ტარდება და მთელი რაიონი მაღალი მაჩვენებლებით უნდა შეხვდეს დღესასწაულს.

გ. ხ. ხალხის ტალანტი და გენია ჩვენს მხარეშიც ძალუმად ღვიოდა და ხელოვნების თითქმის ყველა დარგში იჩინა თავი. აქაც იქმნებოდა ხალხის ჭირ-ვარამისა და სიხარულის გამომხატველი ლექსები, სიმღერები, ზღაპრები, ლეგენდები, მითები, რომლებიც ჩაიწერეს და გამოაქვეყნეს კიდევაც ქართული ხალხური შემოქმედების დიდმა მოამაგეებმა, აქაურმა მკვიდრმა ია კარგარეთელმა, ანეტა კაპანაძემ, ვახტანგ კოტეტიშვილმა, სანდრო და მიხეილ კავსაძეებმა, მარო თარხნიშვილმა, გიორგი შატბერაშვილმა და სხვა ფოლკლორისტებმა, მეცნიერებმა, მწერლებმა, ლოტბარებმა. ბევრი სიმღერა და ლექსი, აგრეთვე ცეკვა ჩაიწერა ზაქარია ფალიაშვილმა, რომელიც ივანე ჯავახიშვილს მეგობრობდა. დიდი ხანი არ არის, რაც კავთისხეველმა ომარ კელაპტრიშვილმა მსოფლიოში გაიტანა ქართული სალამურის სახელი და მომხიბვლელობა და ბევრი მიმდევარი გაიჩინა საქართველოს თითქმის ყველა მხარეში. რა კეთდება დღეს ამ თვალსაზრისით, როგორ ვითარდება ხალხური შემოქმედება?

ჯ. ჯ. პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს ხალხური შემოქმედების განვითარებას. ჩვენი ვალია, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ხალხის მიერ შექმნილ ნაწარმოებებს, სათუთად მოვუაროთ მათ და ჩავაყენოთ მშრომელთა ესთეტიკური აღზრდის სამსახურში. მართალია, თქვენს მიერ ნახსენები მოღვაწეების მიერ უამრავი ხალხური მარგალიტი იქნა ჩაწერილი, მაგრამ ხალხის ნიჭით შექმნილი ნაწარმოებები ჯერ კიდევ მოიძიება და ამჯერადაც იქმნება. ამას მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ როგორც ვიცი, ამ ხუთიოდე წლის წინათ სოფ. ქვემოჭალაში ჩატარდა ფოლკლორული საღამო, რომელსაც უამრავი მაყურებელი დაესწრო რაიონის სოფლებიდან და თბილისიდანაც, მათ შორის ჩვენი თანამემამულე ვახუშტი კოტეტიშვილი. ბევრი ხალხური მთქმელი გამოვიდა, შეიკრიბა უამრავი მასალა, რომელიც დაცულია კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და ნაწილი გამოქვეყნდა კიდეც პრესაში. მაშინ ახალი სიმღერებიც გამოვლინდა, მაგრამ, ვფიქრობ, გამოსავლინებელი ჯერ კიდევ ბევრია და ჩვენი კულტურის მუშაკთა ერთ-ერთი ამოცანა სწორედ ეს გახლავთ. აქ ჯერ კიდევ არიან მომღერალი ოჯახები, ისეთები, როგორიც ძმები ნინოშვილები, მთელს რესპუბლიკაში რომ არიან ცნობილნი. ბევრ კარგ საქმეს აკეთებს კულტურის სახლთან არსებული სიმღერის გუნდი, მედუდუკეთა ანსამბლი. ხალხურ საკრავთა ახალგაზრდული გუნდი, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. სახვითი ხელოვნების დარგში გვყავანან ნიჭიერი შემოქმედნი და მეტ ყურადღებას მოითხოვენ ისინი. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ხალხურ ხელოსნობას რომელთა წარმომადგენელნი თითზე ჩამოსავლელნი არიან.

გ. ხ. როგორ დგას რაიონში მშრომელთა მეგობრობისა და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საკითხი. რა კეთდება ამ მხრივ?

ჯ. ჯ. მშრომელთა, და განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის, მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის რაიონს უამრავი საშუალება გააჩნია. ამ მხრივ ისტორიული მაგალითებიც ბევრია და დღევანდელიც. განა საამისოდ საუკეთესო საშუალება არ არის დავით გურამიშვილის ცხოვრება, რომელიც ლამისყანასთან არის დაკავშირებული და თვით „გურამიშვილობა“, რომელსაც მოძმე ერებისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც ესწრებიან ხოლმე. ასევე მდიდარ მასალას იძლევიან ბიოგრაფიები ალექსანდრე ცაგარელისა, ივანე თარხნიშვილისა და ივანე ჯავახიშვილისა, რომლებიც პეტერბურგში მოღვაწეობდნენ და მეგობრობდნენ რუს მოღვაწეებთან. გიორგი სააკაძის შთამომავალნი ავიღოთ: მისი ერთ-ერთი შვილი ივანე ხომ შედიოდა თეიმურაზ მეფის მიერ ქ. მოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოვში 1649 წელს გაგზავნილ საელჩოში, რომლის მიზანი იყო მეგობრობის დამყარება და სამხარი ძალის თხოვნა კახეთის გასაწმენდად ირანელებისაგან. ანდა რუსეთის არმიის გენერალი გიორგი იოსების ძე თარხნიშვილი (1841—1911), რომელმაც თავი ისახელა 1877—78 წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

ქართველ, რუს, უკრაინელ და სხვა მოძმე ერების წარმომადგენელთა მეგობრული ურთიერთობის საუკეთესო მაგალითია ხანდრო და პლატონ იაშვილების (მეტეხი) ცხოვრება. უფროსი ძმა ხომ დიდი რევოლუციონერი იყო და მუშაობდა ქ. მოსკოვში, ლესნაიას ქუჩაზე არსებულ არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბაში, ხოლო პლატონი გახლდათ სამოქალაქო ომის გმირი, რომელიც პირადად იცნობდა ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს, შექმნა რაზმი, რომელშიც ქართველებთან ერთად შედიოდნენ რუსი, უკრაინელი და სხვა მოძმე ერების წარმომადგენლები. რაზმი გმირულად იბრძოდა კონტრრევოლუციონერებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ქ. მოსკოვსა და რუსეთისა და უკრაინის ბევრ ქალაქსა და სოფელში. საქვეყნოდ ცნობილია სამთავისელი თენგიზ უზნაძისა და უკრაინელი კონსტანტინე ტერნავოის საბრძოლო მეგობრობა, ხოვლელი გრიგოლ შავლოხაშვილი ხომ ის ოფიცერი იყო, რომლის ასეული საბჭოთა არმიიდან პირველი შევიდა სლოვაკიის მიწაზე ჩეხოსლოვაკიელი ხალხის გასათავისუფლებლად. დოესელმა პედაგოგმა ი. აბრამიძემ 1943 წლის დეკემბერში ტყვეთა აჯანყება მოაწყო ფაშისტების წინააღმდეგ საფრანგეთის ქალაქ პერიგეში, გმირული სიკვდილით დაეცა და განისვენებს ძმათა სასაფლაოზე.

ასეთი მაგალითები მართლაც რომ უამრავია ჩვენი რაიონის სინამდვილიდან. ამას ემატება დღევანდელი ცოცხალი მაგალითები. ჩვენს საწარმოებს ცხოველი ურთიერთობა აქვთ ჩვენს მოძმე რესპუბლიკების საწარმოებთან და საზღვარგარეთის ფირმებთანაც. საამისოდ იკმარებდა ქარხანა „კასპიელექტროაპარატის“ მაგალითი, რომელიც ასაწყობ ნაწილებს ღებულობს საბჭოთა კავშირის 300-მდე საწარმოდან, ხოლო აქ დამზადებულ უნიკალურ პროდუქციას აწვდიან ჩვენი ვრცელი სამშობლოს ყველა რესპუბლიკის 14 ათას საწარმოს და საზღვარგარეთის 82 ქვეყანას. მეგობრული ურთიერთობა აქვთ დამყარებული ჩვენს სკოლებს. თუნდაც კასპის მეორე საშუალო სკოლის და ლატვიის ქ. ზილუპეს მეგობრობა რად ღირს. რაიონში ცხოვრობს თერთმეტი ეროვნების წარმომადგენელი, რომლებიც შრომაში, ჭირსა და ლხინში ერთად არიან, ქართული ადათ-წესები შეითვისეს და ბევრი მათგანი შესანიშნავად ლაპარაკობს ქართულად.

ყოველივე ეს საუკეთესო საშუალებას იძლევა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, და საერთოდ ჩვენი მშრომელები, აღვზარდოთ პატრიოტული, მეგობრული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით.

გ. ხ. ვფიქრობ, რომ კარგი ურთიერთობაა დამყარებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კასპის რაიონის მშრომელებს შორის. ეს გასაგებიცაა, შეიძლება ითქვას, კასპელებმა გადამწყვეტი სიტყვა თქვეს მისი დაარსებისას. უნივერსიტეტისათვის გამიზნული შენობის აგების ინიციატორი და პრაქტიკული მოამაგე იყო თვალადის მკვიდრი, დიდი საზოგადო მოღვაწე ნიკო ცხვედაძე. 1905 წელს კავთისხეველ გლეხთა რევოლუციური გამოსვლებისას ერთ-ერთი მოთხოვნა იყო თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება, რომლის პრაქტიკული განხორციელება, ამ უდიდესი საქმის მეთაურობა წილად ხვდა აქაურ (ხოვლელ) მკვიდრს — დიდ ივანე ჯავახიშვილს. მას სხვა მოღვაწეებთან ერთად მხარში ედგა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ერისქალი — მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, რომელიც ლამისყანის მკვიდრად ითვლებოდა. ასე, რომ კასპელებს მეცნიერებისა და კულტურის ამ უდიდესი, მსოფლიო მნიშვნელობის კერის — თბილისური უნივერსიტეტის დაარსებაში და შენობის აგებაში დიდი წვლილი აქვთ გაღებული. მადლიერების გრძნობით უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტმა დიდი დახმარება გაგვიწია ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის დაარსებასა და მისი დაბადების 100 წლისთავის იუბილის მაღალ დონეზე ჩატარებაში. ხელს გვიწყობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობაში, მისი საპატიო რექტორი სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში, პროფესორი სერგო ჯორბენაძე. ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარებულა ერთობლივი ძალით. რას გვეტყოდით ამ ურთიერთობის შემდგომ განვითარებაზე?

ჯ. ჯ. ურთიერთობა თბილისის უნივერსიტეტთან, რომლისგანაც აღმოცენებულია საქართველოს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი და თვით მეცნიერებათა აკადემია თავისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო დაწესებულებებით, ყველასათვის სასურველია, მათ შორის ჩვენთვისაც, კასპის რაიონის მშრომელებისთვის, კანონიერად ამაყობენ თავიანთი წვლილით უნივერსიტეტის დაარსებაში და მადლობის მეტი რა გვეთქმის ამდენი დახმარებისათვის. უნივერსიტეტის კოლექტივმა გასულ წელსაც აქტიური მონაწილეობა მიიღო სოფ. ხოვლეში გამართულ სახალხო დღესასწაულზე — მამულიშვილობაზე, სადაც წარმოგზავნა თავისი დელეგაცია და შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვაჟა ოკუჯავამ. ამის შემდეგ კიდევ უფრო განვითარდება ჩვენი საქმიანი ურთიერთობა. ახლოვდება ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო თარიღი — დაბადების 110 წლისთავი (1986 წელს), ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ერთობლივი ღონისძიებების გატარებას, სამეცნიერო სესიისა და საიუბილეო საღამოს მოწყობა. იმედი გვაქვს, რომ უნივერსიტეტი დაგვეხმარება ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმისა და რაიონის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მეგზურების, აგრეთვე ერთობლივად მოპოვებული ახალი ფოლკლორული მასალების კრებულის გამოცემებში და სხვა. ვფიქრობთ, უნივერსიტეტი დახმარებას გაგვიწევს სოფ. თვალადში ნიკო ცხვედაძის სახლ-მუზეუმის დაარსებაში, კვლავაც გამოგვიგზავნიან კვალიფიციურ ლექტორებს სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებისათვის და პარტიული ღონისძიებების ჩასატარებლად იდეოლოგიურ დარგში.

აქვე დავუმატებდი, რომ ჩვენი ურთიერთობა კვლავაც გაცხოველდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტთან. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტთან (სადაც არსებობს ივანე ჯავახიშვილის კაბინეტი და სამეცნიერო არქივი), საისტორიო და ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებებთან, მწერალთა კავშირთან და სხვა შემოქმედებით და სამეცნიერო კოლექტივებთან, ყველასთან ვინც სამეგობრო ხელს გამოგვიწვდის.

გ. ხ. კასპის რაიონი დიდი სპორტული ტრადიციების მქონე რაიონია, განსაკუთრებით ჭიდაობაში. საკმარისია გავიხსენოთ ნოსტელი ლეგენდარული ფალავანი დავით ხიზამბარელი, კავთისხეველი პოხრო პაპიაშვილი, გოგლა ლამისყანელი, რომლებზეც მაშინდელი პრესა აღტაცებულ წერილებს აქვეყნებდა. როგორ გრძელდება ეს ტრადიცია და, საერთოდ, რა მდგომარეობა გვაქვს ფიზკულტურისა და სპორტის მხრივ რაიონში?

ჯ. ჯ. დღეს უფრო უხვად მოითვლებიან ფალავნები, რომლებმაც შორს გაიტანეს მშობლიური რაიონის სახელი. უწინარესად უნდა დავასახელოთ მსოფლიოს ორგზის და სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში იოსებ მაღალაშვილი (მეტეხი), მსოფლიოს ჩემპიონი ამავე სახის ჭიდაობაში შალვა პაპინაშვილი, ევროპის ჩემპიონი ჭიდაობა ძიუ-დოში ამირან ობგაიძე, (იგოეთი), სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ლავრენტი კაციაშვილი (კასპი), სსრ კავშირის ჩემპიონები: გივი ბალხამიშვილი, გიორგი და ნოშრევან ბეინაშვილები (ლამისყანა), შოთა შაქარაშვილი, დავით კოდანოვი (დუშეთი), ვალერიან იაშვილი ჯემალ გუთნიაშვილი (კავთისხევი) და ბევრი სხვა. მათი წარმატება თავისუფალ ჭიდაობაში, სამბოსა თუ ძიუ-დოში განპირობებულია იმითაც, რომ რაიონის თითქმის ყველა სოფელში ტრადიციულად მისდევენ ქართულ ჭიდაობას, რომლის სრულფასოვნად დაუფლება დიდად შველის სხვა სტილის ჭიდაობებში. ქართული ჭიდაობის ტრადიცია კვლავაც უნდა აღორძინდეს და განვითარდეს, მაგრამ კასპელებს შეუძლიათ თავი გამოიჩინონ სპორტის სხვა სახეობებშიც. საამისო მაგალითების დასახელებაც შეიძლება. გვყავს სსრ კავშირის ნაკრების წევრი მძლეოსნობაში — ბესიკ გოცირიძე (კასპი) სსრ კავშირის ჩემპიონი სოფლის სპორტსმენთა შორის შაშში — ლია ყაზარაშვილი (კასპი) და სხვები. რაიონის წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თავკაცებს, აგრეთვე, სასკოლო დაწესებულებების ხელმძღვანელებს მეტი ყურადღება მართებთ მასობრივი სპორტის განვითარების, სპორტული ბაზების გაუმჯობესების მხრივ.

გ. ხ. როგორც ჩანს, უამრავი ამოცანა და პრობლემა დგას რაიონის კომუნისტების და ყველა მშრომელის წინაშე.

ჯ. ჯ. პრობლემების გამოკვეთა და, ამოცანების დასახვა ერთია, (ესეც მთავარია, საქმის დასაწყისია), მაგრამ მათი განხორციელება და რეალიზაციაა. უმთავრესი. რაიონის პარტიული ორგანიზაცია და თითოეული თანამშრომელი უნდა დავირაზმოთ ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის. ეს კი უპირველესად თხოულობს შრომის დისციპლინის განმტკიცებას და წესრიგის დამყარებას, რაც თვით ხელმძღვანელობისაგან იწყება.

გ. ხ. უცოდველი ადამიანი არ არსებობს. თუ აპატიებთ ნებსით თუ უნებლიედ ჩადენილ ცოდვას კომუნისტს, ხელმძღვანელი იქნება თუ რიგითი, და საერთოდ ადამიანს?

ჯ. ჯ. ცოდვის სიმძიმესაც გააჩნია და თვით პიროვნებასაც, თუ ეს ცოდვა შემთხვევით, მისგან დამოუკიდებელი მიზეზებისა თუ ვითარების გამო იყო ჩადენილი, მე მგონია, ასეთი ცოდვის პატიება ცოდვად არ უნდა ჩაეთვალოს ხელმძღვანელს. ოღონდაც, რაც უმთავრესია, დამნაშავემ თავისი პატიოსნებით, თავდადებული შრომით უნდა გამოისყიდოს ეს ცოდვა.

გ. ხ. ცოტანი როდი მოითვლებიან კომუნისტები, უფრორე ხელმძღვანელები, ვისი „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უდევს დიდი ზღვარი“.

ჯ. ჯ. დიახ, ჩვენთანაც ცოტანი როდი არიან, რომ ლაპარაკობენ ერთსა და აკეთებენ მეორეს,

ხალხი მათ არ უჯერებს, რწმენის ნაცვლად ურწმუნობას ნერგავენ მასებში, მოქმედების მიერ უმოქმედობისაკენ წარმართავენ ხელქვეითების გუნება-განწყობილებას. სიტყვას მაშინ აქვს ფასი, როცა საქმე უძღვის, ანუ მთლიანობაში უნდა იყოს სიტყვა და საქმე. მეც დიდ პატივს ვცემ ცნობილ ნათქვამს: „პირველად იყო საქმე“, საქმე კი გულით უნდა იყოს ნაკეთები.

როგორც ივანე ჯავახიშვილმა ბრძანა, „სიყვარულის გარეშე არ კეთდება არასოდეს დიდი საქმე; გულცივი, გულგრილი ადამიანი ვერ გააკეთებს დიდ საქმეს“.

გ. ხ. რას უსურვებდით „ცისკრის“ მკითხველებს, ახალგაზრდობას?

ჯ. ჯ. მე ჟურნალ „ცისკრის“ ერთგული მკითხველი და დამფასებელი გახლავართ. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს ყველა თაობის მკითხველს შორის. მადლობას მოვახსენებ ჟურნალის კოლექტივს, სარედაქციო კოლეგიას, ასეთი პატივისცემისათვის, რომ საშუალება მოგვცა წარვმდგარიყავით მრავალათასიანი მკითხველის წინაშე და ჩვენი რაიონის ზოგიერთ პრობლემებზე გვესაუბრა.

ჟურნალს ვუსურვებდი, კვლავაც მრავალჯერ გაეხარებინოს მკითხველი ახალ-ახალი მხატვრული, პუბლიცისტური თუ მეცნიერული ნაწარმოებებით, კიდევ უფრო გაბედულად შეჭრილიყოს ცხოვრების შუაგულში და ახალგაზრდობისთვის ეთქვას მართალი და შთამბეჭდავი სიტყვა. ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობას კი ვუსურვებდი კიდევ მეტ შემართებას, შრომასა და სწავლას, სამშობლოს სიყვარულს ქმედითად და არა სიტყვით, ხალხის საკეთილდღეოდ, თავიანთივე მომავლის საბედნიეროდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები

ინა ბორისოვა

# ოტია იოსელიანის ვარსკვლავები და დოლაბები

იოსელიანის გმირები ნიადაგ რკინიგზით მიდი-მოდიან. მართალია, მათი გზების კვეცილები მსხვილი სარკინიგზო კვანძებით, პატარ-პატარა, უცხო სადგურებით, დიდი ქალაქების ვოგზლებით, ლიანდაგების დარაჯის განმარტოებით დაყუდებული ჯიხურით, აწყვეტილი, ჯლიგინ-ჯლიგინა ეშელონებით და უხსოვარდროინდელ გადასასვლელთან კედელზე მიკრული გამტვერილი საფოსტო ყუთითაა მონიშნული, ხოლო ამ გზებზე სრბოლა გულისხმიერებას აღვივებს და მისი გაფანტვის და გაქარწყლების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ იოსელიანის მხატვრული ძალისხმევა მაინც შინაურობისკენ მიისწრაფვის. დედამიწის ზურგზე მისი გმირების იძულებითი ან ნებაყოფლობითი ხეტიალი იმდენად ამაო არაა, რამდენადაც ფეხის მოკიდების, დამკვიდრების სურვილს აღვიძებს, რათა ამ ხეტიალის წარმმართველი არსის მაძიებლებმა მიწის გულში და თავის თავის სიღრმეში შეაღწიონ, თანაც ისე, რომ არ შეუშინდნენ ერთი წერტილის გარშემო ტრიალს, ტავტოლოგიას, მოჩვენებითად ზოზინა მოძრაობას.

სადმე ცის დასალიერთან? არა, იოსელიანი ცის დასალიერზე, დიდი სივრცეების გასაყარზე ძვირად თუ დაძრავს სიტყვას. ის სულაც არ არის მოგზაური, ყარიბი, მოხეტიალე და ცუდმავალი. ის დარბაისელი კაცია და ჩანს ძირმყარობა, ძალუმობა და მტკაველ მიწაზე დგომა ურჩევნია.

მიხეილ ალპეტოვი თავის ეტიუდებში წერს: „საბერძნეთში თვალი სავსებით ნათლად და მკაფიოდ ხედავს როგორც წინა პლანს ასევე უკანას. პირველ პლანზე ყველაფერი უმცირეს წვრილმანებამდე, ქოჩორა ზეთის ხის ვერცხლისფერ ფოთლამდე, ნალიტა სახედრის ბალნის ყოველ ღერამდე განირჩევა. (საწყალობლად მოყროყინე სახედარი ხომ ბერძნული პეიზაჟის უთუო კუთვნილებაა) პირველ პლანზე ყველაფერი ხელშესახებია, მატერიალურია. ეს არის პროზა, რომელშიც ადამიანი იმყოფება.

დღის ნათელზე აქ ცხადად გაისმის დედამიწის ქერქის მშვიდი სუნთქვის ხმა“.

იოსელიანი მთლიანად იმ მტკაველ მიწას დანდობია, რომელზედაც ფეხი უდგას. ეს ერთი ბეწო მიწა მისთვის მკვიდრმრავალი და იმედისმომცემია. ცხადია, აქ ლაპარაკი იმაზე არ არის, შეუძლია თუ არა მიწის ნაკვეთს გამოკვებოს პერსონაჟები, ლუკმაპური გაუჩინოს მათ. როგორც ყველაფერი — ეს ნაკვეთიც დედამიწის ნაწილია, ოღონდ მისგან მოგლეჯილი როდია. მას ძალუძს შემეცნებითი შიმშილი მოუკლას კაცს.

იოსელიანის რომანში „შავი და ცისფერი მდინარე“ სოფლის მასწავლებელ ფარნა ამაღლობელისათვის ისტორია პროფესიად და მსოფლმჭვრეტის წესად გადაქცეულა. მის ოთხ ვაჟიშვილს ომში წასვლა ელის და კარს მომდგარი გაჭირვების გასააზრებლად თუ მასთან შესაგუებლად ფარნა წარსულს მიმართავს, საკუთარ თესლტომობასაც იხსენებს და კოლხეთის მეფე აიეტსაც, რომლის ვაჟი მზაკვრულად მოკლეს არგონავტებმა. ფარნას უმცროს შვილს, მეოცნებე მამუკას ცხოვრებასთან საკუთარი ნაბოდვარის გარდა არაფერი აკავშირებს. ფარნა კი გრძნობს, ცხოვრება ამ ნაბოდვარში უფრო ნიშანდობლივად რომ ვლინდება, ვიდრე მომჭირნე და ანგარიშიან ყოფაში, რომელშიც მისი საშუალო ვაჟი ვატუტი ასე ძალიან გაწაფულა. ამ მძიმე წუთებში ფარნა ყურს როდი უგდებს „პროზას, რომელშიც ადამიანი იმყოფება“, არამედ უმცროსი ვაჟის ამოუხსნელ საქციელში „მიწის ქერქის მშვიდ სუნთქვას“ შეიგრძნობს.

რაც უფრო ღრმად შედიან იოსელიანის გმირები ისტორიულ ცხოვრებაში, მით უფრო შვებით სუნთქავს ავტორი. ის თვალსაჩინო პარამეტრებამდე დაშვებას ერიდება. იოსელია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის შემოქმედება პროზაიზმებისაგან განდგომას მოასწავებს.

ფარნა ამაღლობელი ცხოვრობს რათა იკვლიოს და იკვლევს რათა იცხოვროს. ვერავინ შეამჩნევს სად გადადის ერთი მეორეში. ოთხი ვაჟის ბედილბალი ფარნას საგონებელში აგდებს, მაგრამ ოთხი განსხვავებული და ერთმანეთის უგუებელი პიროვნების ბედსა და ხასიათებში გახლართული ფარნა აღმოაჩენს, რომ ჯერ საკუთარი თავი არ შეუცნია და თავისი ისტორიული არსებობის სიღრმეს ჩააკვირდება. ფარნას საკუთარი არსებობის ხანიერების შეგრძნების უნარი შესწევს, ჯიში აქვს ასეთი. მას შეუძლია ერთდროულად წინაპრადაც განიცადოს თავი და შთამომავლადაც. ფარნა ოთხი შვილის, ოთხი განსხვავებული და ერთმანეთის უგუებელი პიროვნების ბედილბალში გახლართული ისტორიკოსი გახდა და ამით საკუთარი ისტორიული არსებობის სიღრმე გამოააშკარავა. ფარნა მნიშვნელოვანი პერსონაჟია, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ომში საქართველოს ღვაწლს განმარტავს და ამ ღვაწლზე დაფიქრებულა, არამედ იმიტომ, რომ მის პიროვნებაში იმ ნაწარმოების კვანძი იხლართება რომელიც მოგვითხრობს ომზე როგორც კაცობრიობის მიერ დაგროვილ ურთიერთსაპირისპირო ძალების რეალიზაციის სარბიელზე. მწერალიც სწორედ ამ ძალების გამორკვევას ლამობს.

როცა „დიდი ფარნას“ კითხვას იწყებ, ისე გეჩვენება თითქოს თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების მკვიდრ კალაპოტში ხარ მოქცეული. ეს არის მოთხრობა ერთ მოხუც გლეხზე, მეწისქვილე ფარნა დათუაძეზე, რომელიც შეძლებულმა და ვირეშმაკა ვაჟიშვილმა ძალით წამოიყვანა ქალაქად. შვილმა სოფლად სახლკარი მიაყიდა და ფარნას უკან დაბრუნების მცდელობა მოთხრობას ხევდისმომგვრელ ანეგდოტად აქცევს. ფარნას ოთახში ფანჯრებსაც კი რკინის ღობე აქვს, აქაო და ნიფხავ-პერანგის ამარა ბერიკაცმა მესამე სართულიდან არ ისკუპოს, სოფელში არ მოუსვას და მთელი ქალაქის სასაცილო არ გახდესო, შვილს კი თავი არ მოეჭრასო. მეწისქვილეს მისმავე სახლეულმა ჩაუკლა ზრახვები. ახლა ისინი პატარებთან თამაშშილა ხორციელდება. ცოლის ზედამხედველობის იმედად სასეირნოდ გამოშვებული ფარნა ეზოს ბავშვებს წისქვილის აგებას ასწავლის. ენატკბილი ელპიტე ქმარს შეეხმიანა, როცა ის ბავშვებს ასწავლიდა როგორ უნდა დაეგოზათ თიხის ღარი: „კაცო, შენ შემოგევლე, რამდენჯერ გითხარი. ღარს რომ აკეთებ, ქვევით ნაფოტი დაატანე, თვარა წყალი მიწას გარეცხავს-თქვა...“

ავტორი ფარნასადმი თანაგრძნობითაა აღსავსე და აშკარად ამხილებს მის ვაჟიშვილს, რაც მკაცრად შეესაბამება არსებულ ადათ-წესებს. ამ ნამდვილ და საპირბოროტო ანტითეზებს, მიუხედავად თავისი მაძიებლური ხასიათისა, მოთხრობის ძირითადი ფართობი უჭირავს. მხოლოდ ელპიტესათვის, რომელიც მამა-შვილს თავს დაჰფოფინებს, თითქოს არ არის განაჩენი გამოტანილი. ყოველ შემთხვევაში, მის მიმართ ირონია საბოლოო არაა. აქ ტრადიციის ფარგლებში ვიმყოფებით. ელპიტე ალერსიანი, თანაც მოქნილი და დამყოლია, წამსვე ვითარების შესაფერისად მოიქცევა ხოლმე. თუ ფარნა ნასვამი მოვიდოდა, ელპიტე არამცთუ საყვედურს აკადრებდა ქმარს, არამედ იმის მტკიცებასაც მოჰყვებოდა, ერთი ყანწიც რომ დაგელია, დედას რძესავით შეგერგებოდაო. მეოთხე ქალიშვილი რომ შეეძინათ, ფარნა ლამის დარდს გადაჰყოლოდა, ელპიტე კი აშოშმინებდა — სხვა ქალი შეირთე ვაჟიშვილს გაგიჩენსო. ის თითქოს მუდამ იმას სჩადიოდა რაც საყვარელ ქმარს ეამებოდა, მაგრამ როცა მეხუთე შვილი, ღვთისაგან მუდარით გამოთხოვილი ვაჟი შეეძინათ — რომლისგანაც ნამუსგარეცხილი კაცი დადგა — ელპიტემ ძველებური ერთგულებით გაიღო მსხვერპლი და მეუღლის ყოველგვარი ტანჯვის მიუხედავად, მამაშვილს დაუთმო. თითქოს მორჩა, ეგ არი! თითქოს აქაც ყველაფერი ცხადია, ისღა დაგვრჩენია ალვშფოთდეთ ელპიტეს საქციელით, მაგრამ მისი ფარნასთან შეხმიანება იმ ნაფოტის გამო, რომელიც ფარნამ ღარს ქვეშ უნდა დაატანოს, რათა წყალმა მიწა არ წარეცხოს, გვიმჟღავნებს, რომ ელპიტეს ნიჭი, იყოს მუდამ ვილაცისთვის საჭირო ადამიანი, ჯერაც არ დაშრეტილა. ფარნა ბავშვობაში კი არ გადავარდა, როგორც ეს მის ერთადერთ ვაჟიშვილს წარმოუდგენია, არამედ ყოველმხრივ გზამოჭრილიც კი ჯიუტად ასრულებს თავის დანიშნულებას. აქ კი ელპიტე უკვე შვილს ღალატობს მამის გულისათვის, მხარს უჭერს ბებერი მეწისქვილის მოწოდებას, ელოლიავება მას, თუმცა თუ მოხუცის ბავშვურ თამაშობას ავადმყოფობად მივიჩნევდით, მაშინ ამ სენის გამძაფრება რა საჭირო იქნებოდა. სურს თუ არა მას დადასტურდეს შვილის ვერსია ავადმყოფობის შესახებ, ეს ნათლად არ ჩანს. ასევე მოჩვენებითად გამოიყურება მოთხრობის ფინალში პროფესორის მოუსვლელობით გამოწვეული მისი წუხილი, ყოველ შემთხვევაში, პროფესორის მოყვანის სურვილისა არ იყოს, ვერც ეს წუხილია მთლად გულწრფელი. ასე ორჭოფულად მთავრდება კიდეც მოთხრობა. აქ წყდება ელპიტეს ქცევის ხილული მოტივების ჯაჭვი და დიდი ფარნას ჭეშმარიტი აღიარების ძალუმი განცდა რჩება. მიტოვებული სოფლის მოტივი აქ მხოლოდ საბაბი გამოდგა საიმისოდ, რომ გამოაშკარავებულიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ როგორ იკიდებენ ფეხს ამქვეყნად სიცოცხლის დამამკვიდრებელი ძალები, თუ როგორ ასაზრდოებენ ისინი საკუთარ წინააღმდეგობებს, მაშინაც კი, როცა კარს სიკვდილი მოსდგომიათ, როცა მოკლებულნი არიან განახლების შესაძლებლობას.

იოსელიანის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა „ლევანაც“ სიცოცხლის ბოლოზე გვიამბობს. მოხუცი ლევანა მთელი დღე ბიჭებს ტუქსავს და ცოლს ხმას აკმედინებს. შვილები რომ აღარ ჰყავს და აღარც კესარიაა ცოცხალი, ამას ავტორი პირველივე აბზაცში გვეუბნება, მაგრამ ლევანას ჯალაბთან საუბარი ისე ბუნებრივია, ისეთი წვრილმანებით და ყოფითი მოსაზრებების ცოცხალი ლოგიკითაა აღსავსე, რომ მკითხველი ამ ლოგიკის ტყვე ხდება და უნებლიედ ექცევა წვრილმანების ალყაში. ამ შთაბეჭდილებისაგან თავის დაღწევა შეუძლებელია, თუმცა კი ავტორი შეგვახსენებს, რომ ეს სინამდვილეში კი არა, ბურანში ხდება, რომ „ჭილობზე დასვენებული, გაციებული ძვლების მეტი ლევანას არაფერი დარჩენოდა“.

კესარიას სიკვდილი ლევანას არც გაჰკვირვებია. კესარია იმქვეყნად უნდა გადასახლებულიყო — ამას გრძნობდა ლევანა — ბიჭებს დედის ხელი იქაც სჭირდებოდათ. სამლავში ჩაშვებულ კუბოსაც ეს მიაძახა:

— შენ იცი კესარია, ბიჭებს მიმიხედეო.

ლევანას ბიჭები ორივე ერთად დაიღუპა ავტოავარიაში.

და ეს მაინც არ არის მოთხრობა შეშლილზე. ლევანას გონება არ დაბნელებია: მას უბრალოდ არ უნდა ანგარიში გაუწიოს სიკვდილს. აქ უგუნურობაზე კი არაა ლაპარაკი, არამედ უკვდავებაზე. ლევანა სწორედ იმიტომ მობრუნდა სიცოცხლისაკენ, რომ ბიჭების დაღუპვას არ შერიგებია. როცა ურემი უფროსი შვილის, ამირანის გარეშე დაბრუნდა — ეს იყო სიზმარში — ის ხარებს და უპატრონოდ დაგდებულ ურემს მივარდა — ეს უკვე ცხადში ხდებოდა — უნდოდა დილაუთენია სახნავად გასულიყო, თორე მიწას გამოგვალავდა, „კავი არ მოეკიდება საყანესო“. რაკი ლევანას არ უნდა შვილების სიკვდილი დაიჯეროს, თავს ირწმუნებს, თითქოს ამირანი ეზოში ყოფილიყოს და თვალს მიფარებოდეს. ლევანას ლოგიკა სავსებით მხატვრულია. მისი მოჩვენებითი უდარდელობა სინამდვილეში მისი გულმოწყალე არსების უმძლავრესი ქმედითუნარიანობის გამოვლინებაა. ის ამ გზით ცდილობს წინაღუდგეს მისი უახლოესი ადამიანების სააქაოდან ამოგდებას. მიწა, რომელიც ლევანამ უნდა მოხნას, მისი ოჯახის წევრია. ამიტომ ამირანის გაუჩინარება დანაშაულია მიწის წინაშე. მან მიწა უპატრონოდ მიატოვა რაკი მართლა დაიღუპა (ანდა თუ არ დაიღუპა სადღაც გოგოსთან ხომ გაიქცა) ეს ლევანას აიძულებს სახნისს მოჰკიდოს ხელი.

აქ არის ერთი წვრილმანი, რომელიც სხვათა შორის კია ნახსენები, მაგრამ მასში თითქოს ლევანას ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე არსებობა გასაგნებულა. ყანაში წასვლისას ლევანამ ბარის წალება დააპირა, მაგრამ არც ერთი ბარი სახლში არ აღმოჩნდა. „წასულა — ამოილაპარაკა უკვე საქმიანად“. ლევანას ჰგონია, ამირანმა ყანაში წასვლა დაასწრო. არადა ბარები სულ სხვა მიზეზის გამო არაა ადგილზე. ბარს, რომლითაც სამლავი გაითხრება, აგდებენ — ასეთია ქართული ადათი. ამირანი მართლაც რომ წავიდა.

მაგრამ აქ ჭეშმარიტება ის კი არაა, რომ ლევანამ დაიჯეროს ამირანის სიკვდილი, არამედ ის, რომ მან დასაღუპად არ უნდა გაიმეტოს კიდევ ერთი არსება — მიწა. თუ მან მიწა არ მოხნა — ნაყოფი არ აღმოცენდება. ლევანა ნიადაგ სიცოცხლის გასაგრძელებლად ზრუნავს, იბრძვის, რომ არ შეწყდეს სიცოცხლის წრებრუნვა. მისი ბოლვებიც ხომ ბიჭების ქორწილს უკავშირდება. ავტორის მიერ ასე გულმოდგინედ აღწერილი გამოგვალული მიწა, ამ წრებრუნვის ძირფესვიანად მოშლით იმუქრება და მხოლოდ ამ საფრთხის გამო ტოვებს მოხუცი ნეიტრალურ სარტყელს და ცხოვრებას უბრუნდება. მას ისლა ასულდგმულებს, რომ თავს ამ წრებრუნვის მონაწილედ გრძნობს. შრომის ფერხულიდან ამოვარდნილი ლევანა მოკვეთილი კაცის დღეში ჩავარდებოდა.

მოთხრობა „მეწისქვილის ქალიშვილი“ სრულიად არ დაიყვანება ახლანდელ ვითარებაზე, რომელიც წესად ქცეულა როგორც ცხოვრებაში, ასევე ლიტერატურაში, როცა სოფლად მარტოსულობაში ამთავრებს სიცოცხლეს შეძლებული შვილებისაგან მოძულებული და ცხოვრებისაგან გატეხილი მამა. ეს ვითარება მოთხრობის საბაბი უფრო ვიდრე მისი არსება. სევდისმომგვრელი, გადაუღებელი წვიმა (მოთხრობა „მეწისქვილის ქალიშვილი“) და წისქვილის ქვის მოსაწყენი ტრიალი (მოთხრობა „წყლის ქალი“) არც ღრმად ცხოვრებისეული ინტრიგის აკომპონიმენტია და არც ზღაპრისა. ეს არის შინაგანი მდგომარეობა, რომელშიც გმირი, მოთხრობის ქარგა და მისი ტონუსი იმყოფება. მაგრამ ამ ქაოსურ, მოსაწყენ ყოფას ერთბაშად აღმოაჩნდება გამოკვეთილი ფორმა და თვითგამოხატვის გამბედაობა. მოხუცი ბეკო თავისი დღეგრძელი სიცოცხლიდან მხოლოდ ერთ ამბავს იხსენებს. ეს ამბავი ბეკოს „მგონი იმ დღიდან ახსოვს რაც გაჩნდა ქვეყნად. თუმცა ეს მისი შეღერების, ყმაწვილკაცობის დროს უნდა მომხდარიყო. კი, მაშინ ბეკოს საულვაშეც კი ჰქონდა აშლილი. სხვა დროს ეს ამბავი არც მოხდებოდა, მაგრამ ბეკოს მაინც ჰგონია, რომ უამისოდ არ უცხოვრია. ამით დაიწყო ბეკო და ამით დამთავრდება“. ეს ამბავი ბეკოს მომავალ ცოლთან შეხვედრა გახლავთ. მთელი შემდგომი ცხოვრება

მძიმე ტვირთად დააწვა ბექოს, „ქედზე ბალანი გადახძვრა“. ჯერ ერთი შვილი, სიმონიკა დაჯდა კისერზე, მერე გიგოლიკაც დაემატა. სამი წლის შემდეგ კოწია გაჩნდა. ბოლოს კი თექლა. ყველა დანარჩენიც, რაც ბექოს მეხსიერებას შემოუნახავს მთლად სხვათა შორის მოიხსენიება, ხოლო ის შეხვედრა მეწისქვილის ქალიშვილთან (თავის ცოლთან ანუ თავის ოთხი შვილის დედასთან კი არა, არამედ სწორედ მეწისქვილის ქალიშვილთან) ყველა წვრილმანით აღიწერება. დასაწყისი დასაწყისადვე დარჩა, თუმცა კი ამ ქალთან ცხოვრების უღელში შეება. ეს იყო წამი, როცა მან თავის თავს მიაგნო. მას რაღაც დამართოდა, რაღაც ხდებოდა მის არსებაში. ეს იყო მოვლენა, მ ო ვ ლ ი ნ ე ბ ა; რაც შემდეგ მოხდა, თუ მთლად დუმილით გვერდის ავლის ღირსი არა, ინერციით მომხდარი მაინცაა.

ასეთივე ამბავი ხდება მოთხრობაში „წყლის ქალი“. ვერც სარდიონს, ვერც მეზობლებს და ვერც მის თანასოფლელებს ვერ გაუგიათ ქალი შემოეყარა ტყის ბილიკზე სარდიონს თუ ქაჯი და მაცდური; მართლა იცხოვრა მასთან თუ სიმთვრალეში მოეჩვენა. სარდიონმა სიბერემდე იცოცხლა, მაგრამ იმღამინდელი ამბის მერე აღარც უცდია ცხოვრებას დაბრუნებოდა. სიცოცხლის დარჩენილი დღეები კაეშანში გალია და ყოველდღიურობისაკენ მობრუნების რაიმე სურვილიც კი არ გამოუვლენია. შავ დღეში ჩავარდა სარდიონი, „ფეხქვეშ ბრუნავდა დედამიწა“, ის კი ამ დღიდან თავის დაღწევას არც აპირებდა. ეს ქედმაღლობით როდი მოსდიოდა. არა, მას სხვა განზომილებაში ცხოვრების უნარი დაეკარგოდა. მეწისქვილე, წისქვილი, დოლაბების ტრიალი, აქ ყველაფერი მონოტონურია, ყველაფერს შარიშური გაუდის ადამიანებს. დღედაღამ წისქვილში საფქვავს რომ ეზიდებიან. მარცვალს რომელიც იფქვება, წყალს, რომელიც ფირფიტებს ეცემა და თვითონ წისქვილს, რომელიც ფქვავს და ფქვავს. ეს სინამდვილე თვალსაჩინოდ, ხელშესახებადაა აღწერილი, მაგრამ ყველგან სრულ რელიეფურობამდე დაყვანილმა თვალსაჩინობამ თავზრუ დაახვია სარდიონს. და მაშინ დადგა მისგან თავის დაღწევის წამი. სარდიონს ქაჯი შეეფეთა. ბექოსგან განსხვავებით სარდიონმა ცხოვრებაში თავისი მოვალეობის შესრულება არ ინდომა, ვინაიდან მისი დარჩენილი ცხოვრება იმ დონეზე აღარ მიედინებოდა, რომელიც ერთხელ მოელანდა. ვის უფრო თანაუგრძნობს ავტორი ძნელი სათქმელია, მაგრამ მათ თანასოფლელად კი მხოლოდ თავი მოაქვს, თითქოს არც კი იცის, სად უნდა დაემკვიდრონ ამნაირი სულდგმულები.

იოსელიანთან საქმე მარტო ყოფითი და ზნეობრივი წვრილმანების აღწერაში როდია.

ახალგაზრდა, ხათნო ქვრივი დარო მოჩვენებით ცთუნებას შებრძოლებია. მისი საწუხარი შემწყნარებლური და სევდისმომგვრელი [illegible]ნიითაა გადმოცემული. საკმარისია მწ[illegible] ოდნავ გადამცდარიყო და ეს ეპიზოდი ანეგდოტად იქცეოდა, საკმარისი იყო ოდნავ სხვაგვარად ეთქვა რაიმე და ქალური მარტოობის და მიუსაფრობის შესახებ დაწერილი კაეშნის მომგვრელი მოთხრობა გამოვიდოდა. ისევ წისქვილი, გზა, ურემი, ისევ მარცვლით სავსე ტომრები, ზრუნვა საფქვავზე, ზრუნვა არსობის პურზე. მაგრამ ამ მარადიულ საზრუნავს თავს აღწევს ყოველდღიურობის წიაღშივე ჩამარხული და ყოველდღიურობაზე ამაღლებული წმინდაწყლის ადამიანური ვნებათაღელვა.

ათი წლის შემდეგ იოსელიანი ქალურ მარტოობაზე სხვა მოთხრობას დაწერს — „თბილ რძეს“. აქ სულ სხვა რიტმი და ჟღერადობა ისმის. ფიქრი რძეზე — ვაითუ გაცივდეს და აღარ ჩაიკვეთოს, ფიქრი სახლიდან უკვე წასული შვილების ავან-ჩავანზე, ფიქრი აგერ ღობის გადაღმა მეზობლებზე. — ყრუ კედლით მიჯნავს პელოს გზააბნეული ქმრისაგან რომელმაც თექვსმეტი წლის წინ მიატოვა პელო და აგერ ახლა ღამის ბინდ-ბუნდში უცებ გაკრთა და მგონი ისევ ამ ჭერქვეშ შემოშვებას ელოდება. მაგრამ პელო ამდენს ვერა ხვდება. ბუნებრივი, კანონიერი საზრუნავი და ორომტრიალი. აქაოდა უამისოდ სიცოცხლე არ შეიძლებაო, მართლაც უადგილო გამოდგა ანდუყაფარისადმი ჩაუმქრალი გრძნობების და მისი დაბრუნების შესაძლებლობის გვერდით. თუმცა ეს მხოლოდ მიმქრალი გრძნობაა და გამბედაობა არ ჰყოფნის აენთოს. ყოფის და ყოფითი ფსიქოლოგიის დოგმებს აქ ყავლი გასდით. ყოფითი არგუმენტები, რომელთა წყალობითაც პელომ ანდუზე გული აიცრუ[illegible] ცოცხალი და გულშიჩამწვდომია, პელოსა და ანდუს შერიგების შესაძლებლობა კი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, საჭირბოროტო და საგნობრივია, ვიდრე მოჩვენებითი საზრუნავის საბურველი, რომლისთვისაც პელოს თავი შეუყვარებია.

იოსელიანის პროზის ჟანრები იმისდამიხედვით იცვლება, თუ როგორ აღავსებს განხორციელების გამაწამებელი სურვილი მისი გმირების გაურკვეველ, ბუნდოვან მისწრაფებებს. თავდაპირველი ეტიუდების ის სიმსუბუქე, რომელიც ცხოვრებასთან თავისუფალი, ძალდაუტანებელი დამოკიდებულების ნაყოფია, თითქოს მტანჯველი შეიქნა.

მოთხრობაში „ჯარისკაცი დაბრუნდა“, ლირიკული სინამდვილე, რომელიც იოსელიანის სტიქიაა, უკანასკნელად ცდილობს უსიუჟეტოდ გავიდეს ფონს, ყოველ შემთხვევაში სიუჟეტი აქ მხოლოდ საბაბია.

---

ინა ბორისოვა

ოტია იოსელიანის ვარსკვლავები და დოლაბები

ომიდან დაბრუნების ღრმა და ჩვენი ლიტერატურისათვის ჯერ კიდევ ამოუწურავმა თემამ ოთხელიანთან ჩვეულებრივ ცხოვრებისეული ფაბულის სახე მიიღო. ასეთ ფაბულებს ლიტერატურა, ცხადია, გვერდს ვერ აუვლის. ჯარისკაცი, დაღუპული რომ ეგონათ, შინ ბრუნდება, მაგრამ იქ ოჯახს ვიღაც უცხო დაპატრონებია. შინისაკენ მომავალი საჩინო ჯერ კიდევ გზაში გაიცნობს თავისი ცოლის დესმას ახალ ქმარს, ამბერკის. ტრაქტორისტი ამბერკი ამ მხარეში უცხოა. ისიც ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცია. მას დესმასთან ვაჟი ჰყავს. ორი ჯარისკაცი ერთმანეთს თავის ვინაობას არ უმჟღავნებს, მაგრამ იმას კი ხვდებიან ვინ არიან ისინი დესმასათვის.

ომისშემდგომი მძიმე ცხოვრების რეალიებით გაჯერებული მოთხრობა საბუთივით, დროის მოწმობასავით როდი იკითხება. ის თითქოს მოგვითხრობს, როგორ წარიხოცება სულსა და მეხსიერებაში ერთი დრო და როგორ დაილექება მეორე.

„ამბერკიმ ლენინგრადის ბლოკადაში დაღუპული ძმის სახელი დაარქვა ბავშვს — არჩილი. უკეთესი იყო სხვა სახელი დაერქმია. ერთხანს სულ ძმას აგონებდა ეს სახელი, მერე დესმამ ფერებებში ხან არიკოდ აქცია, ხან აჩოდ, ხან აჩა-ბაჩად. ახლა ამბერკი აჩოს უძახის და თანდათანობით ისე მიითვისა სახელი, არჩილის გაგონება ძმას კი არა, შვილს, პატარა აჩოს ახსენებს“.

ავტორი ყურადღებას არ ამახვილებს დესმაზე, რომელიც მხოლოდ მოთხრობის ბოლოს ხვდება, რომ მისი პირველი ქმარი საჩინო დაბრუნებულა. დესმა აქამდე მას დაღუპულად თვლიდა. ავტორი ყურადღებას არც საჩინოზე ამახვილებს, საჩინო მიხვდა, რომ აქ უკვე აღარავის სჭირდება. ავტორის ყურადღება მიპყრობილია ამბერკიზე, პატიოსან ჯარისკაცზე და ალალ-მართალ მშრომელზე, რომელსაც ისევ უსახლკარობა და სიცოცხლის ჩამწარება ემუქრება. ამბერკი ჯერ ისევ არ შეჩვეოდა თავის მიწიერ ბედნიერებას, რომ მისი მოწოლისაგან შეწუხებულიყო. მისთვის ეს მოწოლა სიცოცხლის თვისება და შინაარსია, სხვაგვარი განსხეულება მას არა სჭირდება. სანგრებისა და ბლოკადის მერე ის უსხეულობით სულდგმულობს. თოვლიანი პეიზაჟი, რომლითაც მოთხრობა თავდება, მიმზიდველიც კი გვეჩვენება. („თოვლში შპალები არ ჩანდა და ახლა სულ ერთი იყო სადაც დაადგამდა ფეხს“) ეს პეიზაჟი თვითონაა თავის თავის ფონი და თვითონვე მოქმედებაც. ამ პეიზაჟში საჩინოს და დესმას წამიერი შეხვედრა ფაბულითაა გაპირობებული, რათა დავრწმუნდეთ, რომ გმირები ერთმანეთისათვის უცხონი არიან და ერთმანეთი მეტად აღარ სჭირდებათ. ფაბულამ თავისი საქმე უნდა მოათავოს და ისიც გარს მოხვევია მკითხველის თვალსაწიერ სივრცეს, მაგრამ ფაბულა კიდეც აუბრალოებს ომისშემდგომ გზაჯვარედინზე შეყრილ ორი ჯარისკაცის ბედს, რომელშიც მწერალმა პოეტური საზრისი შეიგრძნო.

მწერლის მხატვრული მეხსიერება იმ ცხოვრების ხორცი ხორცთაგანია, რომელსაც ის თავის პირველ რომან „ვარსკვლავთცვენაში“ აღადგენს. ფიქრისთვის ისევე შეუძლებელია დაეხსნას ომს, როგორც ძაღლმა ვერ შეძლო თვალი მოეწყვიტა მჭადის ნატეხისათვის.

„ — მოგკლავ თოლია!.. თოლია გაგათავებ. — მოტრიალდა მოხუციც, უკან გამოუდგა. ძაღლმა ურმის ქვეშ შეასწრო და მჭადს ერთი მოღრღნა კიდეც, რომ ტუხუია ურემს ეცა. იქვე ჩარჭობილ წალდს დაავლო ხელი, ძაღლი წიხლით გამოაგდო, როგორც კი ურმიდან გამოძვრა კბილებში მჭადგამოჩრილი თოლია, ტუხუიამ ისეთი ძალით მოუქნია წალდი, რომ ძაღლის თავის ქალა ყველივით გაჭრა.

ამ დროს ჩვენც მივირბინეთ, მაგრამ ორად თავგაჭრილი თოლია ცალ-ცალკე ხუჭავდა თვალებს, თითქოს ნახევარ-ნახევარი თავი ცალ-ცალკე კვდებოდა და ორივეს მაინც მჭადის ნატეხზე რჩებოდა სული.“

მწერალი თავისი გმირის ასაკის ერთგულია. ის ბავშვობის ხანას აგვიწერს. ის ამ ყოფაში გადასახლდება, რომელიც უპირველეს ყოვლისა, მოთხრობის მაცოცხლებელი ჰაერია და მხოლოდდა მერე, მისი სიუჟეტი. სინანულით ნათქვამი სიტყვები, რომ ბავშვობის ხანაში მას ბავშვობა არა ჰქონია, აქ მართლაც ზედმეტია. აქ ბავშვობა აღუხოცელი შექმნილა, მიუხედავად იმისა, რომ თექვსმეტი წლის ბიჭი უკვე მამა გახდა. ის უმამობას, შიმშილსა და ქანცგამწყვეტ შრომაში გამოიწრთო, ამიერიდან ამ ჭირს ვეღარასოდეს მოიცილებს თავიდან. ბიჭუნას რაც არ უნდა შეემთხვეს, თავზარი არ დაეცემა. თავზარი მაშინ ეცემა კაცს, როცა ნორმებს ეჩვევა, მაგრამ ბიჭუნა იმდენად ბავშვურია და ამიტომ ისე დამყოლი, რომ ყველაფერს, რასაც ცხოვრება თავს დაატეხავს, ის ბუნებრივ ამბად თვლის. ის იმდენად კეთილშობილი და გულმხიარულია, რომ სიმწარესა და უბედურებას, როგორც ომის დათესილი ბოროტების ნაყოფს, ძალა არ შესწევთ შებღალონ და აამღვრიონ მისი სიწმინდე. ის ხელმარჯვე, გამრჯე ადამიანია. საოცრად ყოჩაღი, გულკეთილი და ქველმოქმედია. ომის მიერ ახლობლებზე მიყენებული ყოველი ჭრილობის საპასუხოდ ის მაშინვე რაღაცას მოიმოქმედებს ხოლმე. მას იმდენი ვნება არ ადგება, რამდენსაც თავად ირჯება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ის ამტანია და ეს თვისება უმალ გაჭირვების შემამსუბუქებელ ან აღმომფხვრელ ძალად გადაიქცევა ხოლმე.

რომანი აღორძინების უნარსა და ნგრევის ძალების აგრესიულობას შორის გაჩაღებული ბრძოლის სარბიელია. ბიჭუნა წამდაუწუმ რაღაცას აკოტიტებს — მხნედ, დიდსულოვნად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირჯება, ნაღველს გულს არ აკარებს, თითქოს ტკივილს გაურბის, თითქოს ინსტინქტურად ეშინია მასთან შეგუების, თავს უფლებას არ აძლევს ბოროტებასა და სიკვდილს მიეჩვიოს. ბავშვობა რომანში უაღრესად ცხოველმყოფელი ძალაა. მაგრამ აქ თუ უბედურებისაგან თავზარი არ ეცემათ, სამაგიეროდ არც ამ ცხოველმყოფელობისაგან აღტაცება შეინიშნება. რომანის თემა ან პათოსი ხელოვნურად არაფრისაგან არ გამოიყვანება, არც თვითონ ომის გამო დაჩაგრული ბიჭუნას სტიქიური რაინდულობისაგან.

ბიჭუნა თავის თავის ერთგული დარჩა, შეინარჩუნა თავისი დამყოლი ხასიათი, თავისი მოვალეობის გრძნობა და მფარველობის გაწევის ბავშვური სურვილი, რამაც მას თავს დამტყდარ ჭექა-ქუხილში გოგონასთან და ბავშვებთან გაქცევაზე ხელი აალებინა და ფატისთან დარჩენა გადააწყვეტინა. ამ თვისების წყალობით ის ახალგაზრდა ქალის ბადეში გაება. ბავშვობას სწორედ იმ მომენტში დაესვა წერტილი, როცა მას ფრთები უნდა გაეშალა.

როცა უფროსები ფრონტზე, წავიდნენ მაშინლა გამოაშკარავდა მოსაწყენი ყოველდღიურობისაგან მიჩქმალული რამხელა ძალღონე სჭირდებოდა თურმე სოფლური ცხოვრების ჭაპანის თრევას. ის-ის იყო მამა ომში გაისტუმრა და ოჯახის უფროსად ქცეული ცამეტი წლის გოგიტა ეზოში შემობრუნდა, რომ რლვევაც დაიწყო, თუმცა კი ყოველ ღონეს ხმარობდა ყველაფერი ისე შეენარჩუნებინა, როგორც მამისობისას იყო. და აქაც ნელ-ნელა და უსაზღვროდ შლის ფრთებს ყოფის აღწერის იოსელიანისეული ნიჭი. ისე გვეჩვენება, თითქოს ეს ზედმეტად ნელაც კი ხდება. სულ წვრილად და ზედმიწევნითაა მოთხრობილი თუ როგორ აბამენ უღელში ხარებს, როგორ ჩაჭიდებია ბიჭუნა გუთანს, როგორ გაჰყავს პირველი ხნული, როგორ ჭედავენ ხარებს. აქ თითქოს ცოდნა თვითონ განიცდის სიამოვნებას თავისი თავის სამზეოზე გამოტანის გამო, მაგრამ ცამეტი წლის ბიჭუნას გლეხური ჯაფის ამ სცენებში ისიც იგრძნობა, რომ ეს ცოდნა შესაძლოა აღარც კი გამოადგეს, რომ მეურნეობის მოძველებასთან ერთად შეიძლება მანაც დრო მოჭამოს. იოსელიანის ნაწარმოებების დაბოლოებებს ნატიფი ხელი ატყვია. ცვლილებები თითქოს უმოძრაო, მამაპაპური ადათებით ნაკურთხი და შედუღაბებული წინაპირობების წიაღშივე მწიფდება. ამაზე ამახვილებს ყურადღებას და ამით იკვეთება მისი მხატვრული ცნობიერება. მის ნაწერებში ძნელადაღსაქმელობისა და ხიმხუბუქის შერწყმა იმას მოასწავებს, რომ მას ძვალრბილში გამჯდარი, ძვირფასი, საყვარელი ტრადიცია დასწოლია ტვირთად და იმის უნარიც შესწევს, კიდეც მოიცილოს ის, როცა მისგან გამოხსნლტომის სურვილი აიტანს.

ამ საქმისათვის ბავშვობა კურთხეული რამ არის. განსაკუთრებით — გოგიტას ბავშვობა, ვინაიდან ეს ბიჭი გულწრფელად და თავდავიწყებით ებმება მამამისის უღელში. უღლის სიმძიმე ვერ თრგუნავს ბავშვურ სიხალისეს, რომლის წინაშეც სილარიბე, შიმშილი და გაჭირვება უცბად უჩინარდება.

ჩაითრევს თუ ვერა, წალეკავს თუ ვერ წალეკავს მას ომისაგან გამოწვეული გაჭირვების ნიაღვარი? „არა, — ვამბობ ჩემთვის. — ეზიკამ არ იცის თუ არა აქ, როგორ შეიძლება ომი, როცა წყალი ამოდის. იქ, სადაც ომია, ალბათ წყალი არ ამოდის ორმოებში. არა, არაფრით არ შეიძლება. ბებიას ფეხზე დგომა არ შეუძლია და წყალში ხომ ვერ ჩაჯდება? ან ზაზა არ გაცივდება“? აქ როგორ შეიძლება ომი. მან, ეზიკამ ყველაფერი იცის?!“ ეს მეზობლებისაგან წაქეზებულმა ბავშვებმა გადაწყვიტეს თავშესაფარი გაეთხარათ ეზოში კარს მომდგარი გერმანელებისაგან თავდასაცავად.

თავგზააბნეულობისა და გამოუვალობის სულისკვეთებას გოგიტა თავისი სულის სიღრმიდან ერეკება, უფრო სწორად გზას უკეტავს მას, რაკი ის მისი სულის წიაღში შემოჭრას ლამობს; ეს სული სიცოცხლის და ცხოველმყოფელობის თავშესაფარია. ნუმც წაქცეულიყოს ამ თავშესაფარის დედაბოძი, თორემ სადღა იპოვის ბიჭუნა ყველას მხარში ამოსადგომ და ყველას ხელისშესაშველებელ ძალას?

ფატი რომანში თანდათან შემოდის, თანაც პირველი გვერდებიდანვე. ის ისე ეპარება გოგიტას, რომ თავიდან ვერც გოგიტა ამჩნევს ამას, ვერც თვითონ და ვერც მკითხველი. ბავშვობა დაითრგუნა, ოღონდ იმ მხრიდან არა, საიდანაც მოველოდით. ის შიმშილით, ქანცის გამწყვეტი შრომით და ობლობით არ დათრგუნულა. ომის აფეთქების ტალღამ მიწის წიაღში ჩააღწია და იქიდან ამოიყვანა გმირი, რომელიც ზედაპირზე მისი წილხვედრი გამოცდილებისა და უნარის შესაბამისად შეუძლია თავი გაართვას საქმეს. მაგრამ აქ ის უსუსური აღმოჩნდა, ეტყობა თვით ცხოვრების საფუძველში შეირყა რაღაც, რის გამოც გოგიტა ფატის ტყვე გახდა და ბებრული კერტებიდან რძემ იწყო დენა, ხოლო თავგაჩეხილი ძაღლის თვალი დაჭყეტილი მისჩერებოდა მჭადის ნატეხს. გოგიტაში არასოდეს არ ჩამქრალა ნათელი სხივი და ეს იქნება იმიტომაც, რომ თავისი ბავშვობით შეუპოვრად იცავს თავს. მწარე ბოლო, რომელიც ჩვიდმეტი წლის გმირის ცხოვრებას ალმოაჩნდა, უკვე მთხრობელისაგან მოდის, მაგრამ ეს უკვე სხვა როლი და სხვანაირი მსოფლშეგრძნებაა.

„ვარსკვლავთცვენა“ კარს მომდგარი უცილობელი აღსასრულის განუწყვეტელი და უტყუა-

რი შეგრძნებისაგან მოჯადოებული ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. სიცოცხლე სიკვდილის პირას მისულა; სიცოცხლე თვითუარყოფის ზღვარზე დგას. სიკვდილმა შეიძლება არც მოაკითხოს, მაგრამ მისი გავლენის სფეროში, მის გვერდით გარდაუვალი აღსასრულის მოლოდინში ხანგრძლივად ყოფნა უკვე სიკვდილია. სიცოცხლის სიმპტომები, რომელმაც ბუნებრივი გამოხატულება ვერ იპოვა, გადაშენების სიმპტომები აღმოჩნდა. სიცოცხლის ძვრიტა გადარჩენას თხოულობს.

მაგრამ საკითხავია, ისევ ძველ ყაიდაზე სურს ცხოვრება? ისევ ძველებური ყოფის ფარგლებში უნდა დარჩენა? ორაზროვანია ფრაზა: „მე ხომ მამა ვარ მთელ სოფელში ოთხი წლის მანძილზე დაბადებული ერთადერთი ბავშვისა...“ ბავშვი მაინც დაიბადა, მაგრამ მამა თექვსმეტი წლისაა. ეს იყო სიცოცხლის შენარჩუნების უკანასკნელი შანსი. ამიერიდან ცხოვრება სხვა გზით უნდა წავიდეს.

ზოგიერთი მამა, ცხადია, დაბრუნდება. დაიზრდებიან დახოცილთა შვილები, ბრძოლაში დაცემულებს შვილიშვილები გაუჩნდებათ, სოფელი არ ამოწყდება, პირიქით, მოშენდება კიდეც. მაგრამ ის, რაც ერთხელ მის პატარა სოფელს შეაატყდა, მწერლისთვის უკვე გადალახულ მიჯნად როდი დარჩება, თუმცა მეხსიერებამ დღესავით ნათლად შემოინახა, რომ რაც ომში და ომის გზით გაიგო, ის მხოლოდ დასაწყისი იყო სოფელ-ქვეყნის შეცნობისა. იოსელიანის ბევრი სიუჟეტი თავისი სიხისტით მწვავე ისტორიზმებს ნიღბავს. როგორც ჩანს, შიდასაკნელების დინამიკის, მათი თვალითუხილავი მოძრაობის მხატვრული გამოსახვა ძნელია და გაპირვებით თუ მოხერხდება რეალისტური პროზის საშუალებით. მაგრამ ცხოვრებისეულ პროზას მისთვის დამახასიათებელი წარმოდგენების, მისი ჩვეული ენის მეშვეობით სურს გაიცნობიეროს თავი. ის უხვადაა წარმოდგენილი და ყოველმხრივ გვიმჟღავნებს თავს. საკითხავია, შესწევს ჩვენს ცნობიერებას უნარი სათანადოდ დაიძაბოს და გაშიფროს ისინი? არადა ისინი გაშიფვრას მოითხოვენ, მოგვაწოდებენ ამ საქმისაკენ. აქ მისაგნებს უებველად, უსათუოდ მიაგნებ, რაც ყოველთვის სახალისოა, მაგრამ მთავარი მაინც მუშაობაა, წისქვილის დოლაბების მუშაობა, იოსელიანის მთელ შემოქმედებაში რომ სპვივის და ნაწილობრივ ალსარებითი და მეტაფორული ხასიათი აქვს.

რომანი „იყო ერთი ქალი“ აშკარად ტოლსტოის რომანის ჩრდილს შეფარებია, სავსეა მასთან პირდაპირი თუ ირიბი ანალოგიებით. ამ ანალოგიების აღმოჩენა, ისევე როგორც მათი უარყოფა, შრომატევადი საქმე როდია. პარალელებით გატაცება გააცამტვერებდა ავტორისეული სითამამის ცოცხალ არსს, რადგან უაღრესად პატივმოყვარე უნდა იყო კაცი, რომ არ დაერიდო ასე სარისკო, პირდაპირ ანალოგიებს. მაგრამ აქ გულუბრყვილობა არაფერ შუაშია, ანალოგიები საქმემ მოითხოვა.

თანამედროვე გმირი ქალისათვის ოჯახური და საზოგადოებრივი დოგმების დარღვევა ცოლქმრული ღალატის სახით, არც ისე უსაშველო და კატასტროფული ამბავია. თანამედროვე ცხოვრების სტატუსი ნაწილობრივ ანელებს ამ კოლიზიით გამოწვეულ დაძაბულობას, ამარტივებს, აადვილებს მას, დაე თუნდაც ლაპარაკი ორმოცდაათიანი წლების დასასრულისა და სამოციანი წლების დასაწყისის პროვინციულ პატარა ქართულ ქალაქზე იყოს, რომელსაც ჯერ ვერ მოუსწრია მოვლენათა საერთო მდინარებაში ჩართვა. მისი ყოფის კონსერვატორულობა, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ მყარია. აქ არ ჩამკვდარა ტრადიცია, ფორმალურ მოვლენად არ გადაქცეულა არც ყოფაში და არც ზნეობაში.

რომანში ზედმიწევნით თანმიმდევრულადაა აღწერილი იმ ვნებების საფეხურები მაკა ლეუავას რომ დაუფლებია. ჯუმბერ ტყავაძემ თავი გადადო მაკას გულისთვის. მისი გეგმაზომიერი ანგარიში მხოლოდ იმიტომაა გულცივი, რომ მან მაკას გარდა სხვა მიზანი არ იცის. თუ უნდა მაკას დაეუფლოს, კიდეც უნდა იბეჯითოს და გულცივადაც იმოქმედოს. მაკაზე ნადირობის პერიპეტიებში ამაო მოლოდინების თუ მიღწეული წარმატებების ყველა საფეხურზე არის პოეზია და სასოება, მაგრამ არის მელოდრამაც, რომლიდანაც გმირი თავს ვერ დაიძვრენს და რომელსაც ვერც ავტორი გადაურჩა. მართლაც, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ჯუმბერ ტყავაძე რამდენადმე განწირულია მელოდრამისათვის. ცხოვრების ფსკერიდან ამოღწეული ადამიანისათვის კი მელოდრამა იარაღიც კია.

მაკას სძულს ტყავაძე. ამ სიძულვილს მაკა თვითონვე ამწვავებს, ამას ვერ ჩავუთვლით მოყვასის წინაშე ცოდვილიანობის შეგრძნებად, რომელსაც თითქოს იმის შეგნება ამძიმებს, რომ მაკა ყველაფერს ანგრევს, რაც კი მანამდე უშენებია, ულაგებია და ერთმანეთთან შეუკავშირებია. მას შერცხვენისა და სახელის გატეხვის შიში როდი ეწევა ხრამზე გადასაჩეხად — მის მიერვე პროვოცირებულ საავტომობილო კატასტროფისაკენ. ის იმდენად თვითონ არ იკლავს თავს, რამდენადაც გარემოებებს აიძულებს ბოლო მოუღონ მას. ჯუმბერის პატიოსან საქციელში მაკა შენიღბულ ანგარებიანობას ამჩნევს და უდიერი დამოკიდებულების და გულაცრუების ყველა გამოვლინებას აღნუსხავს. მაგრამ ეს გამოგონილი ნიშან-თვისებები გზადაგზა მათ მიერვე წინასწარი განზრახვის გარეშე უარყოფაა და მთლად მონაჩმახს ემსგავსება.

„წვიმა ერთბაშად რომ შეწყდა, როგორც ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოკისპირულმა იცის ხოლმე, ქალის დახშულ გონებაში ახლა ჯუმბერივით მობუტბუტე ღელის ხმაური შემოიჭრა.“ ახლა კი გადაიჩეხება ხრამში, ფსკერისაკენ გაქანდება. ამ სასიკვდილო მიდრეკილებას, როცა დახშული ცნობიერების ყურამდე მიღწეული ნაკადულის ჩუხჩუხი კი არ გამოაცოცხლებს მას, არამედ ამაზე დააწყებინებს ფიქრს, თუ სად ჯობია სიცოცხლეს გამოესალმო, იოსელიანი ისეთ ძალად გვიხატავს, რომელიც მისი გმირის ნებასურვილს არ ემორჩილება. თავის თავში ჩაკეტილი, ყველაფრისაგან გამიჯნული მაკას გონების კარი ამ ძალის მისაღებად ღიაა. ის ჩაიკეტა, თავი მოიზღუდა ცხოვრებისეული საზრუნავის, ბრალის შეგრძნების, შიშის და თვით ფსიქოლოგიური დასკვნებისა და მოტივებისაგან, რათა მთლიანად მინებებოდა თავის ბუნებას, მის ძახილს, ზრახვას და განაჩენს. მაკა ბუნებითაა ბედისწერის მორჩილი. იოსელიანმა სწორედ ის ვითარება გამოიცნო, როცა მორჩილება თავისუფლებისაგან არ განირჩევა და პოეტურად გამოხატა რომანის ფინალში, აქ ის უფლებამოსილი აღმოჩნდა პლასტიკური ყოფილიყო, საგნობრივობა მიენიჭებინა თავის შეგრძნებებისათვის. რომანის გმირთან ერთად იოსელიანიც თავს აღწევს გამომსახველობით სიძნელეებს. როგორც მაკა დაუსხლტა ხელიდან მისი განცდების დამმონებელს, ასევე მანაც დააღწია თავი გმირების ურთიერთობის მწვავესიუჟეტიან და მგრძნობიარე პერიპეტიებს და მისი ნაწერი კვლავინდებურად უზადო დარჩა. მაკას წაქეზებული ტყავაძე, თავის ლიაყავისფერ „პობედას“ ისე გიჟურად დააქროლებს, რომ ბეტონის თეთრი სვეტები, რომლებიც მთის გზატკეცილს ფლატესგან მიჯნავს, ერთმანეთს შერწყმია და თეთრ თოკად გაბმულა. „ვიღაც ძალიან ჟინიანად აქანავებდა თეთრ თოკს, ძალიან მოსწონდა ეს გასართობი, სულ ახლოს მოჰქონდა, ზოგჯერ იქვე ბორბლებთან, მაგრამ არ უნდოდა ზედ მანქანას გაევლო და გაეწყვიტა“. მაკა კი გრძნობდა, რომ საჭირო იყო ამ ზღუდის გადალახვა. ამ ბოძებს და თეთრ ძაფს მწერალი მეტად აღარ ახსენებს, თუმცა თითქოს ურიანი კი იქნებოდა ეხსენებინა. მწერალს ის არ აჰყავს მეტაფორის სიმაღლეზე და სიუჟეტურად არ აგვირგვინებს მას.

აქ ვნება მაინც არ არის მიზეზი. ის შედეგია. მაკა კიდეც მიილტვის მისი სათავეებისაკენ გრძნობის ბურუსსა და სინათლეში. ჯუმბერ ტყავაძეს სკოლის მერხიდან უყვარდა მაკა. ჯუმბერის სკოლისდროინდელი მუნიანი და ჩამომტირალი სახე მაკას მხოლოდ ზიზღს ჰგვრიდა. ეს სახე მით უფრო ჯიუტად ავიწროებს ახლანდელ ჯუმბერს, მოხდენილს, გამოსულს და მაკას თაყვანისმცემელს, რაც უფრო ვუასლოვდებით დასასრულს. მაკასათვის ის ძველი სახე უფრო ჭეშმარიტია. ის ყველა მომხდარ ამბავს ამ სახეს უფარდებს.

მაკა და ჯუმბერი ორივენი ომის შვილები არიან, „ვარსკვლავთცვენის“ ცამეტი წლის გმირების უმცროსი თანასოფლელები. მაკას მამის, სიმონის ომიდან დაბრუნება რომანის ერთ-ერთი საუკეთესო სცენაა, სადაც ავტორისეული ინტონაციების სიწმინდე ხელს არ უშლის ამავე ინტონაციის მრავლისმეტყველებას. „მაკას თვალში მოხვდა მისი თბილი ქუდი. ფარაჯა ისე გაღხეკილი და უფერული იყო, სამხრეებიც კი ვერ შენიშნა. ჟინულლავდა. დამძიმებულ ქუდს ყურები ჩამოყრილი ჰქონდა და შესაკრავი თასმებიც შვეულად, უძრავად ეკიდა.“ მამას ზურგში ნაღმის ნამსხვრევი ჩარჩენია, ცალი ხელი დაუკარგავს, ფეხის თითები მოყინვია, ომში ნანახსა და გადატანილზე არაფერს ამბობს. პატარა მაკა კი გმირს ელოდა, ელოდა კაცს, რომელიც თავს გადამხდარ საგმირო ამბებს მოუყვებოდა. სინამდვილე სხვანაირი აღმოჩნდა, მაგრამ მაკამ გული არ გაიტეხა, თავის გუნებაში არ უარყო, ნაბოდვარად არ მიიჩნია თავისი ნაოცნებარი. მამა კვლავინდებურად გმირად მიაჩნდა და „ვარსკვლავთცვენის“ გმირის გოგიტასი არ იყოს, მანაც ბავშვისთვის შეუფერებელი შრომისთვის გადადო თავი, რათა აღედგინა ბებიამისისეული სახლ-კარი. გათხოვების მერეც ასე მოიქცა, ასევე რუდუნებით შეუდგა საკუთარი სახლ-კარის შექმნას.

ჯუმბერმა მეთოდურად გამოთვალა თავისი დარტყმები და ენ ყველაფერი მოშალა, თვითონ კი ასე ეგონა, თითქოს სიყვარულის ცეცხლში იყო გახვეული. ჯუმბერი მამით ობოლი იყო. მამამისი სადღაც კარპატებში დაეცა. დედამისს, ღვთისმსახურის ქალიშვილს, საჭირო მარიფათი არ აღმოაჩნდა და ვერ შეერწყა ცხოვრებას. ჯუმბერი შიშველ-ტიტველი დააგდეს სოხანეზე, რათა იქიდან ელდანაცემი წამოჭრილიყო და მანამდე დარჩენილიყო ცარიელ-ტარიელი, სანამ მისი გეგმები არ განხორციელდებოდა. ამიერიდან ის მზად იყო ყველა ყვარებოდა და საშუალებები შეეცვალა. მშვენიერი ქალის გულისწამლებმა სიყვარულმა ამ დაგლახავებული კაცის ვნებები დახვეწა, თავის საკუთარ თვალშივე აამაღლა ისინი და მაკას დასაპყრობად ხრიკების გამოყენება დააწყებინა. მათი ხელახალი შეხვედრისას ჯუმბერი თვითონ ყელამდეა და მაკას კეთილდღეობას ვერ დაბარბდებოდა. ამ დროისათვის თითქოს ვნებათაღელვა ყოველგვარი ცთუნებისაგან განწმენდილია. მხოლოდ წრფელი გრძნობის სიმართლეღა დარჩენილა, და მაინც მაკა და მასთან ერთად ავტორიც, ჯიუტად უბრუნდებიან ამ გრძნობის სათავეს და პირველ მამოძრავებელს, რადგან გრძნობენ, რომ ამოუწურავია ის ავთვისებიანი ენერგია, რომელმაც პირველი ბიძგი წარმო-

შვა და რომლის იმპულსებმაც თვით ტყავაძის თავგანწირულ მისწრაფებაშიც კი შეაღწია, რათა ის ყოველთვის და ყველაფერში მოთამაშედ ექციათ. ის საკუთარი დაპყრობების მონა შექმნილა, საკუთარი ენერგიის მხურვალებაში გამდნარა და ძალა აღარ შესწევს ხელი აიღოს იმის დანგრევაზე, რაც თავად დაუპყრია. მან მაკაზე ადრე შენიშნა გზატკეცილის ხრამისაგან გამმიჯნავი თეთრი ბოძები. „ტყავაძემ იცოდა, რომ ნელა უნდაევლო და ეს არ ხერხდებოდა. იგი ახლა შეცდომას არ დაუშვებდა, თუმცა რაღაც იყო მოსალოდნელი: უცბად საბურავი არ გახეთქილიყო, საჭე არ წაერთმია, ან ლილვზე არ მოწყვეტილიყო ბორბალი, გზაზე ლოდი არ ჩამოვარდნილიყო, ან... რამდენი რამაა მოსალოდნელი, როცა უსაზღვროდ გინდა სიცოცხლე...

...ყველაფერში, საჭის უბრალო, ჩვეულებრივ მობრუნებაში იგრძნობოდა ნამდვილი სიხარული. მას ისე ეკიდა ხელი საჭის მოყვითალო პლასტმასის რგოლზე, თითქოს ეფერებოდა, ესიყვარულებოდა. ხელს უჭერდა ზომიერად და შემხვედრ მანქანებს, ჩამოჭრილ მთის კალთებს, სადაც გზა გაეყვანათ, და თეთრ ბოძებს ულიმოდა."

მაკას შეგრძნება, რომ ის მიწაზე მძიმეა, რომანის ატმოსფეროში ხელშესახებადაა წარმოდგენილი, რომელთა შეხმატკბილებაც ვერც გმირს და ვერც ავტორს ვერ მოუხერხებია. ბუნებრივი ყოფა, რომელშიც ეს შეგრძნება აღმოცენდება და ვითარდება, არ არის ნაძალადევად შეთხზული და სრულიად არ დაიყვანება აღნიშნულ სათავეებსა თუ შედეგებზე. აქ არის ჭეშმარიტების მომენტი, პოეტური ჭეშმარიტების მომენტი. ის სულიერი წონასწორობა, რომელიც თვით ადრეული ბავშვობის წლებშივე იყო მაკას ბუნების არსი და რომელსაც ის დაუოკებლად მიელტვოდა ხოლმე, აქ მის მიერვეა დასალუპავად გამეტებული. ამიტომ ასე მსუბუქი, თითქმის სევდისგან დაცლილია რომანის ფინალი. უფრო სწორად, აქ თვით სევდაც მსუბუქია.

იოსელიანის დრამატურგიაში გმირები გარემო პირობებისაგან დამოუკიდებლობას სიცილის წყალობით ინარჩუნებენ. იოსელიანის გმირი მაშინაც კი იცინის, როცა სახაცილოდ არა აქვს საქმე, ხოლო თუ სიცილი მთლად შეუძლებელი შეიქმნა, მაშინ გმირი ეთხოვება წუთისოფელს და ამით აღადგენს კომედიურ სიტუაციას. სამოცდაჩვიდმეტი წლის აგაბო ბოგვერაძე სიცოცხლეს თავის ვაჟიშვილის დაბადების მომენტში ეთხოვება. ის კიდევ ერთი ვაჟიშვილის გაჩენით სირცხვილს აჭმევს სიცოცხლითა და ჯანღონით სავსე თავის უძეო, უმემკვიდრო უფროს შვილებს. მისი სიკვდილი კი მოხუცის მორიგ ხრიკად აღიქმება. მოულოდნელ გარდაცვალებამდე სულ რამდენიმე საათით ადრე აგაბო ამბობდა: „იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის... ვინც ცოცხალი რჩება. მკვდრის სიცილი არ გამიგონია მე!" მაგრამ მან გაიცინა.

იოსელიანის სამივე პიესა (კომედია „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი", დილოგია „სანამ ურემი გადაბრუნდებოდეს" და „ურემი გადაბრუნდა!" (ანუ ათი წლის შემდეგ") გმირების ძლევამოსილი ლაშქრობების ისტორიაა. მშვიდობიანი ცხოვრებისეული სიტუაცია აგრესიად გადაქცეულა. აგრესიის წინააღმდეგი გმირი ჭეშმარიტი მებრძოლია და რაც უფრო ნაკლებია აქ სამხედრო ატრიბუტები, მით უფრო თვალში საცემია მისი შემართება. თავისი გლეხი გმირის ქველმოქმედების ნიჭი იოსელიანს ლეგენდარულ სიმაღლემდე აჰყავს. როცა სიმამაცე ტრივიალურ ოჯახურ კოლიზიებში გამოვლინდება, მაშინ მას კომედიურობის ელფერი დაჰკრავს. იოსელიანი ამ კომედიურობით ტკბობას მისცემია, თავის ნებაზე მიუშვია ის, მაგრამ იმასაც გრძნობს, რომ ეს სიცილი ნებისმიერ წუთში შეიძლება შეწყდეს და სევდა-კაეშნის დროც დადგება. მის პიესებში სიცილს სამანები ყოველთვის თვალსაჩინოა: აი აქ სახაცილოა, აქედან კი სიცილი უადგილოა. საზღვრებში მოქცეულ სიცილის ამ ჩახლართულ, მოძრავ, ცვალებად კონტურებში თუ შიშისმომგვრელი არაფერია, რაღაც ამაფორიაქებელი მაინც არის.

თავისუფალი, ირონიული, ცხოვრებაში გამოსული ექვსი ქალიშვილი, რომლებიც ამ თვისებებს თავიანთ ღირსებად მიიჩნევენ, ზამთარში თხილამურებზე სასრიალოდ მთიან სოფელში ქირაობენ ერთ საცოდავ ოთახს ბავშვიან, ქვრივ მამაკაცისაგან. მიტუა მარტოობას თავისუფლებად კი არ განიცდის, არამედ ღვთისწყრომად და ცოდვის კითხვად. ის ექვს მოაგარაკეს შეებრძოლება, აღიზიანებს და აბეზღებს მათ, ხოლო ერთ-ერთი მათგანი დანარჩენებს ხელიდაწაც გამოგლიჯა და ცოლად დაისვა. ეს არის სიყვარულით, გულკეთილობით და გამჭრიახობით აღსავსე ბრძოლა იმ მიმკვდარებულობის წინააღმდეგ, რომელიც ამ ქალებმა ჯეროვნად მიიჩნიეს რაკი ეშინიათ და რცხვენიათ თავი მის მსხვერპლებად აღიარონ.

მიტუასი არ იყოს, აგაბო ბოგვერაძეც იქ განიცდის ძალაღობას მწვავედ, სადაც სხვა ვინმეს ეს აზრადაც არ მოუვა. ამ დრამატურგიის სათავე იმ მომენტის სრული გაცნობიერებას და მკაფიო ფორმულირების უნარშია, როცა გმირს ყელში წვდნენ. ორივე, მიტუაც და აგაბოც გრძნობს, რომ თვით სიცოცხლის ხელყოფა ხდება, რომ ვიღაცამ მათ სიცოცხლის დაცვა დაავალა, ორივე პერსონაჟი ამ წინათგრძნობით საზრდოობს. ამ აბსტრაქციაში ისინი თავისუფლად დაცურავენ. ხოლო იმ აბდაუბდათი, რომელიც სურთ მათ ცხოვრების სანაცვლოდ შეაჩეჩონ, ისინი თავს ვერაფრის დიდებით ვერ მოიტყუებენ.

თავიდან აგაბო ბოგვერაძის ისტორია ნაცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი სიუჟეტის სახით ვითარდება. სოფლად მშობლებს ქალაქელი შვილები ესტუმრებიან. აგაბოს სამართლიანად სჯერა, რომ შვილებს მხოლოდ უბედურების შესახებ ცნობა თუ მოუყრის ერთად თავს, ამიტომ შვილებს მამამათის სიკვდილს ატყობინებს დეპეშით. ათი წლის შემდეგ, მეორე პიესაში ვაჟიშვილებს და რძლებს ახალი ხიფათი შერეკავს მშობლიურ ჭერქვეშ; დაქვრივებული მამა ცოლს ირთავს. შვილებს კი ეს სახლკარი აგარაკად უნდოდათ. როგორც ერთ, ისევე მეორე პიესაში დაძაბულობა მწვერვალს ბედელთან დაკავშირებულ ამბებში აღწევს. პირველ პიესაში შიგ აგაბო თავის უმცროს შვილს ბუხუტის მეზობლის ცაგოსთან ერთად გამოკეტავს. მოხუცისათვის ეს სოფლად კერის შენარჩუნების უკანასკნელი იმედია. მაგრამ ბუხუტი უმტკივნეულოდ გაიტაცებს ცაგოს ქალაქში. ათი წლის მერე ცაგო უკვე ექიმია, ბუხუტი კი აგრონომი. უფროსი ძმების თაოსნობით მათაც იერიში მიიტანეს მოხუც მამაზე. სცენაზე ისევ ამოდის ბედელი, როგორც ცხოვრების ციტადელი. ოღონდ ამჟამად აგაბო ბედელში თავის ცოლს ტასიას შეაგდებს, რომელმაც აქ უნდა მოილოგინოს, ნასწავლ შვილებს და რძლებს კი ბრაზი ისე მორევიათ, რომ სურთ ალკვეთონ მშობიარობა, რათა მემკვიდრემ და კონკურენტმა დღის სინათლე არ იხილონ. ფინალში დიაგნოზს ცაგო სვამს. „ეს კარგად განვითარებული, ძალზე ნორმალური ბავშვის ტირილია.“ მეზობელი კარპე კი თავისი მეგობრის აგაბოს სიკვდილს ადასტურებს.

პიესას მებრძოლი სულისკვეთება მსჭვალავს, ოღონდ მას მაღალ მითოლოგიაზე პრეტენზია როდი აქვს. რაც უფრო ვითარდება დრამა, მით უფრო ცხადი ხდება აგაბოს კონფლიქტი ვაჟებთან. ამ დავაში აგაბო თავის როლსა და პოზიციაში არსებობის საზრისს ხედავს. ჩვენი ციხე-სიმაგრეები ისეთი ნაგებია, მტერი რას დააკლებდა, ისევ ჩვენიანი ალებდა შიგნიდან, მარა ამიტომ ციხეების მშენებლობისათვის თავი კი არ დაგვინებებია. მიდი და ერთი გამძლე ქვა შენც დაადევი“.

„ხუთასზე მეტი ჯიშის ვენახია საქართველოში და კახური რქაწითელისა და საფერავის, ქართლის ჩინებულისა და დასავლური ცოლიკაურის და ციცქას მეტი მივიწყებულია“. — დარდი უსერავს გულს აგაბოს. ცხოვრების გამარტივებაში ის მის უავლგასულობას ამჩნევს. ამავე თვალით უყურებს ის თავისი ოჯახის ისტორიასაც; დაცემად და გაცამტვერებად მიიჩნევს იმ კეთილდღეობას, რომლითაც რძლებსა და შვილებს ასერიგად მოაქვთ თავი. მისი გონება შექმნისაკენ, ნაყოფიერებისაკენ, სიცოცხლის ძალების აღდგენისკენაა მიქცეული. მამაშენ იორდანეს — ჩასჩიჩინებს ის ცაგოს — „ფეხზე დგომა არ შეუძლია და მაღალი სკამი აქვს გაკეთებული, იმ სკამზე ჯდება და ისე აქვს მოვლილი ის ალადასტურის ტალავერი“. აგაბოს თავში თავისი ეკონომიკა და თავისი ბალანსი აქვს, მას ძალიან კონკრეტულად წარმოუდგენია თავისი ადგილი ღირებულებების იმ იერარქიაში, რომელზეც მის ვაჟიშვილებს პარაზიტული წარმოდგენა აღმოაჩნდათ. „ხუთას წამგებიან მეურნეობას ვერ გააშენებს სახელმწიფო. მე იორდანემ და ჩვენისთანებმა უნდა ვიხოხოთ, მუხლიჩოქვით, სკამზე ჩამომჯდარმა, კიბეზე ჩამოკიდებულმა უნდა გადავარჩინოთ“. აგაბო თავისი მამის მეჯვარეს, ეზეკია ქართხანიძეს იხსენებს. ეზეკიას სოფელი მთიდან ბარში ესახლებოდა, როცა ეზეკიამ ამბროსის ეზოს ჩაუარა, ასე მიაყვირა: „აგაბო ბოგვერაძე- იმ ნათელღამდგარ ნათლიაჩემის სულს გაფიცებ, ჩემს ნამოსახლარზე ფუტკარი დავტოვე ხუთი ძირი, შენი არაფერი მინდა მიხედე და ღმერთმა მოგახმაროსო“.

„ქართული მსოფლიო ჩემპიონია. უმაღლესია ქართული ფუტკარი“, ამოწმებენ ინფორმირებული და დოყლაპია ძმები. ბარში ჩამოვიტანოთო — ნაჩქარევად გადაწყვეტს აგაბოს ერთ-ერთი ვაჟი. ეს ხუთი ძირი სკა სამჯერ მეტ თაფლს და ცვილს იძლევა, ხოლო ბარად ჩამოყვანილი ფუტკარი თურქულს და სპარსულს შეერია — უმარტავთ მათ მამა, „ეზეკია სიკვდილის წინ მწერდა: „აგაბო, ცოდვით გიბარებ იქ დეიდგი ქოხი და ის მართლა ღვთის ხელით ჩამოდგმული არ დაღუპო, შვილის და მომავლის წინაშე სული არ წაიწყმიდოო.“ მაგრამ აგაბოს მთაში სახიარულო ჯანი აღარ მოსდგამს, კიბეზეც ძლივს მილასლასებს.

იოსელიანის სვანური ნოველების მოქმედება მთებში ხდება, „ცატეხია მწვერვალებთან, მარადიული ყინვისა და მზის საბრძანებელში.“ ეტყობა ჟანრმა და ადგილმა ზუსტად განაპირობეს ერთმანეთი და თავთავიანთი ტიპოლოგია გამოიმუშავეს. ფიზიკური არსებობის საზღვარი აქ მთლად თვალსაჩინოა, ხოლო თავისუფალი გონებაჭვრეტის ცთუნებანი ხელმისაწვდომი. სადაც ფიზიკური ამტანობის ზღვარი მკაცრადაა მონიშნული, იქ მოთხოვნილება გვიჩნდება გავიგოთ, რამდენად შესწევს სულს ძალა დაამხოს ამ ზღვრების სიცოცხლეზე ბატონობა, საერთოდ რამდენად უფრთხის ცხოვრება ამ ზღვრებთან მიახლოებას.

იოსელიანის სვანური ნოველა იგავისაგან, როგორც ჩანს, იმით განსხვავდება რომ ის თუმცა ძუნწად, მაგრამ მაინც ცხოვრებისეული, ყოფითი და ფსიქოლოგიური მოტივირებებითაა აღჭურვილი. იოსელიანის სვანური ნოველა, უპირველეს ყოვლისა, ისტორიულია. აქ მხოლოდ იმას კი არ ვგულისხმობ, რომ მას დროისა და ისტორიული მსოფლგანცდის ბეჭედი აზის,

---

ინა ბორისოვა
ოტია იოსელიანის ვარსკვლავები და დოლაბები

რომელიც, სხვათა შორის, თავის ტრადიციულობაშიც და თავის თვითმყოფადობაშიც უალრესად თანამედროვეა; მე მინდა იმაზე მივუთითო, რისკენაც მწერლის გულისყურია მიპყრობილი, რაც მას კვლევისაკენ უბიძგებს, რაც აიძულებს მას მუდამ ბიძგის მიზეზს მოუტრიალდეს და თვითონ ეს მიზეზი აქციოს ყურადღების საგნად.

სვანურ ნოველაში ბუნება — პეიზაჟი იქნება ის თუ ცხოველი — სრულუფლებიანი მოქმედი პირია, რომლის სიუჟეტური უფლებამოსილება მაშინაც კი განუყოფელი და შეურყვნელია, როცა ბუნება — სვანური ნოველის პროტაგონისტი — კატასტროფულ სიტუაციაში აღმოჩნდება ხოლმე. იოსელიანისათვის ბუნებრივი საწყისი, თავისი მარადიულობის მიუხედავად არ არის გაყინული, უსაძრაო, არამედ მოძრავი და წინმავალია. თავისუფლდება რა ცხოვრებისეული წვრილმანების გულისმომყირჯებელი სიჭრელისგან, სვანური ნოველა მხოლოდ მიწიერ რეალიებზე ინარჩუნებს უფლებამოსილებას და საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ ადამიანის და ბუნების ურთიერთკავშირი, გამოვიკვლიოთ ბუნება ადამიანის გარეშე, როგორიც ის არის თავისთავად, მისი ეპოქიდან ეპოქამდე მოძრაობის კონკრეტულობასა და ერთობლიობაში. „მიწის ქერქის სუნთქვა" მშვიდია, მაგრამ თავისი დინამიკა გააჩნია. მწერალს სურს იმ დოლაბების ბრუნვის ხმა გაიგონოს, რომლებსაც დიდი, მსოფლიო დრო ამოძრავებს. მან ბევრი რამ იცის იმის შესახებ, თუ როგორ ბრუნავს დოლაბი იქ, სადაც ცხოვრების პროზა მიედინება, იცის, რომ ამ სამუშაოს მექანიზმი მრავალსაუკუნოვანი გლეხური შრომითაა გამართული და ამის მიუხედავად მაინც ყოველნაირად დრომოჭმულია. მწერალს ეშინია, რომ ამ სოფლური ყოფისათვის მიუწვდომელ დოლაბების მუშაობაში რაღაც მოიშალა. ამას ფიგურალურად ვამბობთ.

რომანი „ტყვეთა ტყვე", ჩვენის აზრით, შინაგანი ჟანრის მიხედვით სვანური ნოველების ციკლის ერთ-ერთი რგოლია. ამბავი ზემო სვანეთის პიტალო კლდეებში ხდება. შვეული კლდეებით დაცულ, ორ მომცრო გამოქვაბულში დაბანაკებულ გერმანელ დესანტებს ტყვედ ჩაუვარდებათ ორი მთიელი ქალი, რომელთა გამოხსნას მათი ჭაბუკი თანასოფლელები ლამობენ. ამ ორმაგი თუ სამმაგი ტყვეობის სიუჟეტი ვიწრო ხეობაში ვითარდება. მთიელი ქალები გერმანელებს ჰყავთ ტყვედ, გერმანელები მთიელ ვაჟებს. ეს კოლიზია პირობითს ჩამოჰგავს, რამდენადმე თვითმიზნულია, იმის მიუხედავად, რომ ის სინამდვილეში მომხდარი ამბიდანაა აღებული. შემთხვევით ან განზრახ გადადგმული ყოველი მცდარი ნაბიჯი საჰმაგ გავლენას ახდენს გერმანელებზე, გოგონებზე ან ბიჭუნებზე, რომლებსაც გამოქვაბულის შესასვლელი მიზანში ამოუღიათ... ერთმანეთზე დამოკიდებულება ისე იზრდება და ძლიერდება, რომ თითქმის ყოველი მოძრაობა ორივე მხრისათვის უკვე დამღუპველი ჩანს. ამ დაძაბულობის დრამატიზმი მხატვრულობას ბადებს. დრამას სიკვდილის შიშზე მეტად ის ამძაფრებს რომ გადარჩენის შესაძლებლობასაა მოკლებული. საკითხი მხატვრულად უფრო ადრე გადაიჭრება, ვიდრე მოვლენათა ხლართებში. ხომ ასეთი მოულოდნელობით აღსავსე და მიმზიდველია სიუჟეტის ხვეულები, ხომ ასე გულმოდგინედ შეურჩევია ავტორს ფსიქოლოგიური მოტივირებები, მაგრამ ნაწარმოების მხატვრული ნერვი თითქოს ამ მცდელობის გარეშე, თავისთავად არსებობს იმ საგნის ლირიკულ არსებებში, რომლისთვისაც ეს სიუჟეტი და ეს ხასიათები, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ საკმარისი სულაც არ არის.

სვანური ციკლი იოსელიანის ლირიკაა. ის მთებში მიტომ მიდის, რომ გათავისუფლდეს ამ ლირიკის წარმომშობელი ცხოვრების მარწუხებისაგან, რათა მერე დიდ, რეალისტურ რომანზე მუშაობა განაახლოს. მაგრამ აქ ის უსაგნო როდია, პირიქით: ნოველებში „ხარჯიხვი" და „მონადირე", მაღალი მთები და ჯიხვი მოვლენებს საგნობრივ მნიშვნელობას ანიჭებენ და საშუალებას აძლევენ აზროვნებას, მიხვდეს, როგორ უნდა გაიკაფოს გზა მომავალში. აზრი ერთი ნოველიდან მეორისაკენ ისე უწყვეტად მიედინება, რომ ისინი ერთი ნაწარმოების სხვადასხვა ნაწილები გვგონია, არადა მათ შვიდი წელი აშორებთ ერთმანეთისაგან. ეს ნოველები იოსელიანის მთელ დანარჩენ შემოქმედებასთანაც მრავალი ძაფითაა დაკავშირებული.

„მონადირეში" ჯიხვი და მონადირე ისეთ დღეში ჩაცვენილან, რომ საფრთხე მარტო სიცოცხლეს კი აღარ ელის, არამედ იმ შეხედულებებსაც, რომლებსაც თვითონ სიცოცხლე დამყარებია და, რომლებიც ჩამოყალიბებული და დამოწმებულია თაობების მიერ. ერთმანეთის დაჯაბნის ჟინს ისე გადუჯაჭვავს მონადირე და ჯიხვი, რომ მიზიდულობის ძალებმა დაძლიეს განშორების და განზიდვის ძალები. ანტითეზის გამყოფი კედელი ისე სიფრიფანა შექნილა, რომ მეტად ვეღარ იჭერს ანტაგონისტებს ერთმანეთში გადასვლისაგან. თავიანთი მეტოქეობით მონადირე და ჯიხვი ერთმანეთთან უფრო მეტ სიახლოვეს აღწევენ, ვიდრე იმ ცხოვრებასთან, რომელსაც ორივენი დაშორდნენ, რათა ერთ-ერთმა მათგანმა მეტოქეზე უკანასკნელი გამარჯვება იზეიმოს.

ყველა ჯიხვზე უკეთესი ჯიხვი და ყველაზე საუკეთესო მონადირე თავიანთი სწორუპოვრობის დასამტკიცებლად ძალღონეს არ იშურებენ. მარტოოდენ ფურების ჯოგის დასაკუთრების მიზნით პირველობისათვის ბრძოლის ტრადიციული სიუჟეტი იოსელიანის ნოველის მხოლოდ პირველ ნაწილში გვხვდება. მაგრამ როცა მოლონიერდა თეთრხალამ იმ ფოთრისთვის დაიწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყო ბრძოლა, რომელიც მის ძარღვებში სისხლად მიმოდიოდა. ეგ ჯერ კიდევ არაფერია. მის ნაშიერს რომ ბრდღვიალა მზის ხილვა სურს — მთავარია ისიც თეთრხალასავით ჯიშიანი იყოს. სიყვარული, პირველობის წყურვილი, ჯიშის გაგრძელების ინსტინქტი თეთრხალაში შემოქმედებით იმპულსს გადაჰქდობია, მასში დანთქმულა და კი არ გაუფასურებულა, არამედ თავისი ადგილი უპოვნია. ეზიკა ქართსანიძის მიერ აგაბო ბოგვერაძისთვის ნაანდერძალი ხუთი სკა განუხორციელებელ პროგრამად დარჩა, მაგრამ ამან მის ცხოვრებას კვალი მაინც დააჩნია და შეიძლება იმიტომ უფრო — რომ ვერ შეძლო მისი განხორციელება. დროდადრო მისი ფიქრები ამ დალუპულ ფუტკარს დასტრიალებდა თავს.

„თეთრხალამ ერთ ფეხმარდ, თავის ტოლსწორ ჯიხვთან გადაიხადა პირველი ბრძოლა და ერთხელ, როცა უფსკრულის პირას მიაგდო და შეძლო ისევ და ისევ დატაკებოდა, რაკი თვითონ მას უკან საშიშროება არ ელოდა, მოწინააღმდეგეს კი ერთი ნაბიჯი და ფეხქვეშ მიწა გამოეცლებოდა, აკივლდა თეთრხალას სისხლში სამართლიან გაჩენას მოწყურებული ფოთრი და მამას უკან დაახევინა. ფეხმარდს საშუალება მიეცა ამოესუნთქა და გამოქანების საშუალება მისცემოდა.“

„თეთრხალა დაწვა იქვე, სადაც გაიმარჯვა და მტკივანი რქა ლოდზე ჩამოდო. სხეულში ჩაბუდრებული ფოთრიც მიყუჩდა და დაელოდა, მას არ უნდოდა მამის დაღლილობა და ტკივილი გადაჰყოლოდა.“

„იგი არასოდეს ისე ფრთხილი და წინდახედული არ ყოფილა, როგორც ეს დღეები, არასოდეს ისე არ ჰყვარებია სიცოცხლე და არ დაუჯერებია უკვდავება, როგორც ეს ერთი კვირა... იგი სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა, ჯერ გაუვალ, ფეხდაუდგმელ სიმაღლეებზე ადიოდა და აჰყავდა ფურები, რომ ფოთრს ძალა, გამჰრიახობა, ვაჟკაცობა გამოჰყოლოდა. იგი წინასწარ გრძნობდა მისი გაბზარული რქა ველარ მოიპოვებდა ჯიშის გამრავლების უფლებას და რაც თეთრხალაში მთის ლონე და მზე იყო დაგროვილი, ამ დღეებში უნდა გადაეცა შთამომავლობისათვის“.

„თუ გაჭირვება შემატყო, შევეცოდები და ჯიშში საბრალოები გამიჩნდებიანო“. მეწინავე გზას დადგა და ყურგაფხრეწილს ისე ჩაუარა, ზედაც არ შეხედა, შიში არ უგრძვნია, არც ამის ნება არ ჰქონდა, — შთამომავლებში მხდლები გამრავლდებაო“.

თეთრხალა სიცოცხლის შემოქმედია, მაშინაც კი როცა სისხლისგან იცლება. ის ერთი წამითაც არ აღუნებს ყურადღებას, რადგან ის მაღალი საწყისები, მის სისხლში რომ ჩაბუდებულა, მისი წარმოდგენით სიცოცხლის დედაა, სწორედ ამ საწყისების არსებობის შენარჩუნებაა საჭირო. თუკი თეთრხალას თვითშენახვის ინსტიქტი მაინც გააჩნია, ეს არის მაღალი საწყისების ჯიშის შენახვის ინსტიქტი.

თეთრხალას მონოლოგი უსიტყვოა. ეს მდუმარე საქმიანობა ხიფათზე მისი ფხიზელი რეაქციების ენამზეობაა. უპატიოსნოდ მოპოვებულ უპირატესობაში ან გამარჯვებაში თეთრხალა ყოველთვის სიცოცხლისათვის ხიფათის მომასწავებელ ამბავს გრძნობს. ის სიცოცხლეს მეტოქისაგანაც იცავს და საკუთარი სულისაგან, თუკი ის უცებ დაძაბუნდება. ნოველის პოეზია სიფაქიზის, სიმძაფრის და თვალწარმტაცობის ურთიერთშეხამების გამოვლენაა.

მონადირის მონოლოგი იმას გარდა, რომ ის შინაგანია, სიტყვაწყლიანი და მოსწრებულიცაა. მონადირე ჯობე კლდის შვერილზე ითოშება, იქ სადაც ჯერ ფეხი არც ერთ მონადირეს არ დაუდგამს. მისი მონოლოგი დაუნდობელია, მშრალი, ლოგიკურია. ჯობეს ამ სიმშრალესა და დაუნდობლობაში დაუფარავი სიმართლე გამოსჭვივის, მის ანტინომიებში ჭეშმარიტება თანდათან იფიტება და კვდება. „ვერც კი გეტყვი მე შემოგდენე ამ გადაკიდებულ მწვერვალის თავზე თუ შენ შემომიტყუე.“ — მიმართავს ჯიხვს მონადირე — „შენ რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო, ამდენხანს არც შენ იარსებებდი და არც კარგი მონადირე... ჩვენ ერთმანეთზე ავი მტერი არ გვყავს და არც ერთმანეთზე ახლობელი მოყვარე.“

ისინი ერთმანეთის ტყვეები არიან, მაგრამ თეთრხალასი არ იყოს, მონადირესაც მხოლოდ პატიოსან ბრძოლაში გამარჯვება სურს. ხარჯიხვივით ისიც ფხიზლად ადევნებს თვალყურს, რომ მის გამარჯვებაში რაიმე თვალთმაქცობა და უკანონობა არ გაერიოს „ახლა ისე არ გამიგო, რომ მე აქ შენს შეცდომასა და ფეხის გადაბრუნებას ვდარაჯობდე... ღმერთმა დამიფაროს! არა, ჭკუით და მოხერხებით უნდა გაჯობო. შენც იცი, აქ მთხლე და გაიძვერა არ წამოვა სანადიროდ“. „...ჩვენი სისხლიანი მტრობაა ჩვენივე გადარჩენა“. „...მე ჯერ ჯიხვებს მარილიან წყაროზეც არ ჩავსაფრებივარ. რა ვქნა, მწყურვალს თოფს ვერ ვესვრი, არაა მაგი ჩემი ხელობა, ვერც მშიერს ჩავუყრი ჯამში საწამლავს.“

მაგრამ რატომ დასჭირდა მას თავის მართლება? იმიტომ რომ ჯიხვის დევნაში მწვერვალზე აცოცებულა და ციცაბო კლდის ნაშალზე ფეხმოკიდებულს ტანი უგრძნობს, როგორ აწვება ამ დღეში მყოფს მთიელის და რაინდის ძველისძველი კოდექსის მეწყერი. სანამ გონს მოეგებოდა და თავის მართლებას დაიწყებდა, მანამდე აი რა თქვა: „შენზე ახლოს ცოცხალი არსება ამ ცაში შედგმულ მწვერვალზე არავინაა. მალე ყინვა ძვალ-რბილში გამიჯდე-

ბა და შენზე ფიქრმა და შენთან მასლაათმა უნდა გადამატანინოს ეს ჯოჯოხეთური ღამე. დილით კი ვნახოთ, დილა ბრძენია. იქნებ შევძლო კიდეც ცოტა უფრო მაღლა ამოფორთხება, ან შენ შეცდე და ქვევით ჩამოგიცდეს ფეხი“.

ხელის მოცარვის, შემთხვევითობის გარეშე აქ გამოსავალს ვერ იპოვი კაცი. აკი უფროსი ჯობე, ჩვენი მონადირის ბიძა, ხრამში მძვინვარე ქარიშხალმა გადაჩეხა და არა ჯიხვმა, ჯობემ რომ კლდის ქიმზე მიიმწყვდია.

მაგრამ ისე მოხდა, რომ მონადირესაც ხელი მოეცარა და ჯიხვიც დაიღუპა. მონადირის ტყვიამ დაღუპა. ჯიხვი თვითონ გადაეშვა უფსკრულში და მონადირემ მას უკანასკნელ სასიკვდილო ნახტომში ტყვია დაახალა. ჯიხვს უნდოდა ისე დაესრულებინა სიცოცხლე, როგორც ყველა ჯიხვი ასრულებს, როცა მათი დრო დგება. ისინი ბუნაგში კი არ იღუპებიან, არამედ გამოქანდებიან და თავს გადაიჩეხავენ. „ქვასა და ლოდს მოარღვევ, მდიდარი ხარ, თან გაქვს შენი სამარის ამოსავსები მიწა.“

ჯობეს ნასროლი უპატიოსნო იყო. ეს ჯიხვისთვის სასიკვდილო გასროლა გამოდგა, ჯობესთვის კი საბედისწერო ზნეობრივი შეცდომა. ჯობე ჯიხვებს წყაროსთან არ ჩასაფრებია და მწყურვალისათვის თოფი არასოდეს უსვრია, მაგრამ დასაღუპად თავგადადებულს კი მაინც დაახალა.

ჯობე ფხიზლად ადევნებდა თვალყურს, რათა მთიელი მონადირის ღირსება არ შეელახა, მაგრამ აქ თავი ვერ შეიკავა და ესროლა.

სიკვდილის ზონაში არსებობა უკვე მომაკვდინებელია. ჯობეს სულს ხრწნა დაეტყო. მან დაახალა ჯიხვს, რომელმაც თავი ნებით გადაიგდო უფსკრულში და ამით ჯობემ თავის თავს გამოუტანა განაჩენი. ხრამში გადაჩეხილმა ჯიხვმა თავის თავსაც ბოლო მოუღო, ჯობესაც და მათ მეტოქეობასაც. ინიციატივა ჯიხვმა დაინარჩუნა.

ერთ-ერთ ადრეულ სვანურ ნოველაში, „ორი ქორა“, ბიჭუნამ მშვენიერი ცხენი, ოქროსფერი ქორა გამოასალმა სიცოცხლეს — თავისი გაზრდილი, თავისი გახედნილი, ტანადობით და ჭენებით იმ მხარეში ბადალი რომ არ მოეპოვებოდა. როცა ყაისნმა ცხენის მოპარვა შეიტყო, გაიფიქრა: „როგორ მოახერხა ქურდმა ქორაზე ამხედრება, თითქოს სადღაც გულიც გაუტყდა საყვარელ ცხენზე.“ როცა თავის ქორისფერ ქორაზე ამხედრებული ათმურზა ქურდს დაეწია და ოქროსფერი ქორა წაართვა, ბიჭუნამ ტყვია კრა საყვარელ ცხენს, რაკი მას ჯირითში აჯობეს.

თხრობის ტონში ბიჭუნასა და ცხენისადმი სიბრალური ისმის. ამ სიბრალურში მკითხველის ცთუნების საფრთხე იმალება, ხოლო ცთუნება ეჭვია. ალტერნატივა — პირველობა ან სიკვდილი, გმირისათვის უდავოა, ავტორისათვის კი არ არის უდავო. სიყვარული განელდა, რაკი პირველობა ხელიდან გაშვებულ იქნა. ნოველის შინაგანი მოძრაობაც, მისი სიცოცხლის ფეთქვაც ესაა. მწვავე, პარადოქსული, მაგრამ ერთმნიშვნელოვანი ინტრიგა მთხრობელისათვის აღარაა უდავო და უეჭველი და როცა ენგურმა „ოქროსფერი მსხვერპლი გამოიტანა, გადაატრიალა და ისევ ჩაიხვია“, მაშინ მკითხველმა ბიჭის სიამაყის დამღუპველი შედეგი იგრძნო, და არა მისი სულის სიძლიერე. ყოველ შემთხვევაში, მთხრობელი ისე აღფრთოვანებული აღარაა, როგორც მოთხრობის დასაწყისში იყო, როცა ყაისნი კვიცს ზრდიდა და ხედნიდა. აქ, ფინალში ავტორი რომ მკაცრ მითს დამორჩილებოდა, მაშინ ის ქედს მოიხრიდა ყაისნის განაჩენის წინაშე, ცხენს და თავის თავს რომ გამოუტანა. მაგრამ მან ქედი კი არ მოიხარა, არამედ ნაღვლიანი მზერა გააყოლა ცხენის მშვენიერ ტანს და მის მკვლელს, რომელიც „უკვე აღარ ტიროდა“. ყაისნის სახით მხოლოდ ტრადიციის გადააზრება იწყება, ჯობეს სახით კი ტრადიცია დასრულებულია და განახლებას მოითხოვს.

„პირიბეს ბაბუაზე ამბობენ ხელმოცარული მონადირე იყოო.“ მოულოდნელად შემოიჭრა ნოველის ბოლოში მონადირე ჯობეზე მოლაპარაკე ახალი პერსონაჟი. „ბაბუამისი იქნებ ცუდი მსროლელიც იყო, უგულისყუროც, ან იქნებ თოფის გასროლა არც ჭირდებოდა, არც ჯიხვის ნაკვალევის კირკიტი. მაგრამ რასაც უმიზნებდა არ აცდენდა და ნადავლიც სხვაზე მეტი და მძიმე ჩამოჰქონდა! რა ვუყოთ, თუ მისი ნანადირევის მწვადად შეწვა არ ხერხდებოდა. ცოლი და სოფელი იმას ხედავს, რაც შამფურზე შიშხინებს და მუცელს აძღებს, შესაშური სიმარტივეა მათი ცხოვრება. ...ერთეულთა ბედი და უბედობა კი თვალით ძლომის ნიჭია. იგია საწვრთნელი და საფერები, მთელი ცხოვრება წმინდა რუდუნებით, შეჭირვებით და ურვით შესანარჩუნებელი.“

ერთკვირიანი ნადირობის მერე ბაბუა შინ ხელცარიელი და ილაჯგაწყვეტილი ბრუნდებოდა, მაგრამ თვალებში ღიმილი უთამაშებდა. პირიბეს მამა ომში დაიღუპა, მასაც და პირიბესაც ეს ღიმილი დარჩათ სახსოვრად. თვითონ ჯობესაც სწორედ პირიბე და მისი ღიმილი უყვარს. ასე რომ ბაბუას ღიმილმა უკვე ჯობეს გულშიც შეაღწია, თუმცა ვერ მოასწრო ხელი შეეშალა მისთვის, როცა კლდეზე გადაჩეხილ ჯიხვს ესროლა.

პირველი ფრაზა პირიბეს ბაბუაზე ისეთი მშვიდი თხრობითი კილოთია ნათქვამი, რომ ხანგრძლივი ისტორიის მოსასმენად განგვაწყობს, მაგრამ ეპიზოდი ერთ გვერდსაც არ მოიცავს. ვინ იცის, იქნებ სწორედ აქ იბადება მწერლისათვის ახალი დიდი ისტორია? მაგრამ მანამდე მოგვიწევს მისი უკანასკნელი წიგნი „შავი და ცისფერი მდინარე“ წავიკითხოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ზედელაშვილი

# ოსეთის უკვდავი შვილი

აუჩქარებლად ვფურცლავ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ 1981 წელს დასტამბულ მარგარიტა ვალიითისა და რუბენ ჩეთიითის წიგნს „კოსტა ხეთაგათი“ და გონებაში თითქოს ცოცხლდება 120 წლის წინანდელი ოსეთის სინამდვილე. მძიმე იყო მეფისდროინდელი რუსეთის ხალხის ცხოვრების პირობები, ხოლო ორმაგად მძიმე, თითქმის აუტანელ მდგომარეობაში იყვნენ მცირე ერები, რომლებსაც რუსული ნაციონალისტური პოლიტიკის ანტიეროვნული ხასიათის გამო გადაშენება ელოდათ. სწორედ ასეთ პირობებში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა ოსი ხალხის ბედნიერებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს, მის უკვდავ შვილს, კოსტა ხეთაგათს.

„ქვეყანა ტაძრად, სიყვარული კი სალოცავად მაქვს და მსოფლიო სამშობლოა, სამშობლო ჩემი“ — ვკითხულობთ წიგნში კოსტას ლექსის სტრიქონებს და ვრწმუნდებით, რომ მთელი მისი შეგნებული ცხოვრება დასტურია ამ სიტყვებისა. ბევრი დაწერილა მასზე და კვლავაც ბევრი დაიწერება იმიტომ, რომ ვიდრე ცოცხლობს ერი, ცოცხლობენ ისინიც, ვინც ხალხის სულის ნაწილად ქცეულან. მ. ვალიითის და რ. ჩეთიითის წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ კეთილშობილურ მისიას ემსახურება; იგი ერთხელ კიდევ ჩაგვაფიქრებს და შეგვახსენებს იმ ვალს, რომელიც შვილებს გვაკისრია სამშობლოს წინაშე, ჩვენს ღირსეულ წინაპართა წინაშე.

წიგნში მკითხველი თანდათან მიჰყვება კ. ხეთაგათის ცხოვრების გზას, რომელმაც ის პატარაობიდანვე აზიარა ხალხის დუხჭირ ყოფას და იმ საპროტესტო მუხტით დამუხტა, მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე მოსვენებას რომ უკარგავდა მეფის თვითმპყრობელობის რეჟიმს. თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე კოსტამ გააკეთა ის, რასაც ჩვეულებრივი ადამიანის ორი სიცოცხლეც არ ეყოფოდა და ეს ყოველივე შესძლო უაღრესად არახელსაყრელ პირობებში.

1881 წელს კ. ხეთაგათი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლობს, მაგრამ მისი დაუცხრომელი, მეამბოხე სული იქაც ვერ ეტევა თვითმპყრობელური რეჟიმის სულშემხუთავ ჩარჩოებში და აქტიურად ებმება კავკასიელი ახალგაზრდობის სტუდენტური წრეების მუშაობაში. ამის გამო მას სტიპენდია მოუხსნეს, რამაც აიძულა, სწავლა მიეტოვებინა და მშობლიურ მხარეს დაბრუნებოდა. აქ მან გააჩაღა დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მ. ვალიითმა და რ. ჩეთიითმა პირველად გამოიკვლიეს და აღნიშნეს ის როლი და მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა კ. ხეთაგათის ცხოვრებაში პეტერბურგში მცხოვრებ თარხნიშვილების ოჯახს, სადაც იკრიბებოდნენ კავკასიელი და რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლები. დიასახლისი, სონა (სოფიო) ელასის ასული ესენოვა-თარხნიშვილისა „ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომლის მოწოდებაც ადამიანებზე უანგარო ზრუნვა იყო“ — წერენ ნაშრომში ავტორები, რომელნიც ხელშესახებად გადმოსცემენ ამ ქალის ადამიანური გულის სითბოს ცხოველმყოფელ ძალას. როცა მთავრობამ კ. ხეთაგათის სრული იზოლირების მიზნით მისი ციმბირში გადასახლება მოინდომა, რაც მის სულიერ და ფიზიკურ განადგურებას უდრიდა, მხსნელად სოფიო თარხნიშვილი მოევლინა და 1899 წელს შორეულ ციმბირში გადასახლება სამხრეთ უკრაინაში, ხერსონში გადასახლებით შეუცვალეს.

კოსტა ხეთაგათი ითვლება ოსური კლასიკური მწერლობის ფუძემდებლად. ინტერნაციონალისტია კოსტა და ინტერნაციონალურია მისი პოეზიაც. ამიტომ არის ის ასე გასაგები და ახლობელი ყველასათვის, მისი პოეტური, ძარღვიანი, მებრძოლი სიტყვა მუდამ წინ უძღვება გზამკვლევად პატარა ოსეთის ყოველ ჭეშმარიტ მამულიშვილს.

კოსტა ხეთაგათს წილად ხვდა ბედნიერე-

ბა, ყოფილიყო როგორც ოსური ლიტერატურის, ისე ოსური ფერწერის ფუძემდებელიც. იშვიათია ასეთი ბედნიერი დამთხვევა, მაგრამ ფაქტია. „ის იქნებოდა დიდი მხატვარი, დიდ პოეტად გახდომა რომ არ ემჯობინებინა“ — სხვა პოეტზე ნათქვამი ფრანგი მწერლის ეს სიტყვები ზუსტად ესადაგება კოსტა ხეთაგათს.

წინამდებარე წიგნის ავტორთა დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ იმ ღვაწლის მრავალრიცხოვან მასალათა მიკვლევა და მკითხველთა ფართე აუდიტორიის წინაშე გამოტანა, რომელიც გასწიეს ქართველმა მოღვაწეებმა ოსი ხალხის სულიერი განვითარებისათვის. წიგნში მოცემული ქართველ საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობა ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის მკვლევართ და უფრო განამტკიცებს ამ ორი მეზობელი ხალხების მეგობრულ ურთიერთობას. ნათქვამის დასტურად საკმარისი იქნება წიგნიდან რამდენიმე ქართველი მოღვაწის დასახელება.

1. გ. ბარათაშვილი, მოზდოკის ეპისკოპოსი, რომელმაც 1798 წელს, საეკლესიო სლავური ანბანის საფუძველზე შეადგინა პირველი ოსური ანბანი.

2. მ. ზ. ყიფიანი, რომელმაც 1890 წელს საფუძველი ჩაუყარა დედაენაზე ოსური საანბანო წიგნების გამოცემას, ეროვნული მწერლობის, საბავშვო ლიტერატურისა და გამომცემლობის შექმნა-განვითარებას და სხვ.

კ. ხეთაგათის 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მ. ვალიითის და რ. ჩეთიითის ეს მცირე მოცულობის ნაშრომი სიამოვნებით იკითხება.

ბევრი რამე ეამაყება დღევანდელ ოს ერს და ერთ-ერთი მათგანი კოსტა ხეთაგათია. ეს აზრია განვითარებული ნაშრომში და მკითხველიც სიამოვნებით ეთანხმება მას.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ „კოსტა ხეთაგათი“ თბილისში მცხოვრები ოსი ავტორების მიერ ქართულ ენაზეა დაწერილი, რაც უფრო ამაღლებს ნაწარმოების მნიშვნელობას ქართული საზოგადოებრიობის თვალში. ეს გარემოება თვალნათელს ხდის იმ კეთილსახურველ ატმოსფეროს, რომელიც შექმნილია საბჭოთა საქართველოში, სადაც მრავალი ერის წარმომადგენელი ცხოვრობს და შრომობს ერთმანეთის მხარდამხარ.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

ჩაეცა ასაწყობად 3. 09. 84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29. 10. 84 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, საალრ.-საგ. თაბახი 15,85. შეკვ. № 1965. უე 06788. ტირაჟი 57.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8 92/149

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ